N36 (587) 8/IX-14/IX-2011 ფასი 1 ლარი



## ჩემი რჩეული

**მიხეილ ჯავახიშვილი**

შვიდტომეული

ტომი VII

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ

**ოტია იოსელიანი**

ტომი I

## დათო ხუჯაძე მეგრულად ამღერდა

„სიყვარული ძალიან ძლიერი გრძნობაა"

## ექსკლუზივი

ლალი მოროშკინას დედა გაუთხოვდა



„ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ"

## რითი ერთობა ბესტსელერების ავტორი

## ვინ უზრდის თიკა ჯამბურიას შვილს

## 9 წლის სანდროს გასაჭირი



„ჩემი შვილი საშინელ ტკივილს უძლებს"



როგორ გადაურჩა ნუცა შანშიაშვილი და მისი მეუღლე ქარიშხალ „აირენს"

„ამერიკა სამოთხეს ჰგავს, მაგრამ იქ ცხოვრება საშიშია!"

## ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლო



ვინ მოისყიდა მწერლის მეეტლე

ISSN 1987 - 5029

# რატომ არ უნდა უსაყვედუროთ მამაკაცს

პანცი ლიონი PANTSI LION

# ახალი კოლექცია











მისამართი:

1. ერისთავის ქ.№2, მე-2 სართული (მეტრო დიდუბის ზემოთა ამოსასვლელთან), ტელ: 2 66 41 90
2. ერისთავის ქ. №5 (სავაჭრო ცენტრი „საბა“), მე-2 სართული ტელ: 2 69 29 20
3. ოფისი 2 245-105

BU-BA
GEORGİA
YATAK COLECTION

# BU-BA GEORGIA

## ევროპული ხარისხის ლეიბები







ნებისმიერი ზომის და სიმაღლის, ორთოპედიული და ეკონომიური საუკეთესო არჩევანი ყველაზე პრეტენზიული მყიდველისათვის

მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ.№1
ტელ: 2 66 16 51

# სახელმძღვანელოები!

## და სასკოლო საკანცელარიო საქონელი

„ბიბლუსის“ ყველა მაღაზიაში!

მათ შორის

ახალ ფილიალებშიც:

თბილისი - ვაჟა-ფშაველას 47

ქუთაისი - ჭავჭავაძის გამზირი 58

ლანჩხუთი - ჟორდანიას 103

ფიქსირებულ ფასად!



ბიბლუსი Books

წიგნის მაღაზიათა ქსელი მთელ საქართველოში

www.biblusi.ge ტელ: 2307 402

ელვა.ჯი

პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო

www.elva.ge

პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი

გთავაზობთ

**სასკოლო სახელმძღვანელოების**

სრულ კომპლექტს, ან ცალკეულ წიგნებს ადგილზე მიტანით, უმოკლეს დროში, საუკეთესო ფასად თბილისსა და საქართველოს ნებისმიერ კუთხეში!

**რაიონებში მიწოდება ხდება ელვა.ჯი-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში.**
**აღნიშნული წერტილების მდებარეობა დაზუსტეთ ოპერატორთან.**

წიგნების სრული კატალოგი

იხილეთ ვებ-გვერდზე **www.elva.ge**




დარეკეთ: 2 38 26 74; 2 14 09 91; 2 38 26 76

ან მოგვწერეთ: elva@elva.ge

# მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად



ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი TBC BANK დაფინანსებით

ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი

მშენებლობის პროცესის
ონლაინ კონტროლი

## გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

www.saba-group.ge

## აპირებთ რემონტს?

ზოდი პლიუსი გთავაზობთ შიდა და გარე კარების ყველაზე დიდ არჩევანს საქართველოში!

- ბუნებრივი გრანიტისა და მარმარილოს ფილებს;
- კიბის საფეხურებს;
- კერამიკულ ნაწარმსა და ლამინირებულ იატაკს!

მის: აკ. წერეთლის გამზ. 115ა
აკ. წერეთლის გამზ. 117
ტელ: 577 200 700; 577 200 500;
235 80 00; 235 80 08

გთავაზობთ ნებისმიერი დიზაინის ბუნებრივი გრანიტის და მარმარილოს ნაკეთობების დამზადებას




დაიწყეთ რემონტი ჩვენთან ერთად!







კვირის პალიტრა

№36 (587)
8 - 14 სექტემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### სტეფან კოპენის მკვლელობისთვის არასრულწლოვანი უმკაცრესად დასაჯეს

„იანვრის შუა რიცხვებში, კოჰენმა მთაწმინდის პლატოზე შემთხვევით გაიცნო თბილისის ერთ-ერთი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. მთაწმინდის პარკისა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ისეირნეს...“

9

■ მინიატიურები 5
გეი-ალლუმი თუშეთში
■ ქრელი მსოფლიო 6
■ ფესტივალი 8
■ ჩვენი ოტია 10
■ ტერორიზმი 12
■ კრიმინალი 14
■ გასაქირი 17
■ საზღვრებს მიღმა 19
„იქ ყველამ იცის, რომ ქართველი ვარ!“
■ არდადეგები 21
რატომ მუშაობდა გიორგი ყიფშიძე ბარმენად
■ გემოვნება 22
რატომ ველარ ჩერდება ნუცა შანშიაშვილი საქართველოში
■ ამპლუა 24
„პირველი, ვინც ჩემი წიგნით გათხოვდა, დედაჩემია“
■ სცენის მიღმა 26
რის გამო დასაჯეს მშობლებმა
■ ქორ-მართალი 27
დაშორდა თუ არა თიკა ჯამბურია მეუღლეს

## სახე



### რატომ ველარ ჩერდება ნუცა შანშიაშვილი საქართველოში

„მივეჩვიე უკიდეგანო სივრცეებს და მიჭირს თბილისში გაჩერება. ვგიჟდები მადრიდზე, ბარსელონაზე, პარიზზე, მაგრამ დიდხანს ვერც ევროპაში ვძლებ“.

22

## ცხოვრება

### „ნატრობდა, სანამ რამაზს რამე მოუვა, 2 საათით ადრე მე მოვკვდეო“



„როგორ ცუდ ხასიათზეც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის გაღიმებული და გაბრწყინებული შეხვდებოდა და ჩვენგანაც იმავეს მოითხოვდა“...

32

ვნილები

### როგორ დაისაჯა მოღალატე



„ჩვენც გავაყოლებდით ხოლმე თვალს, სანამ სახლში არ შევიდოდნენ, აი მერე კი რა ხდებოდა შიგნით, ღმერთმა უწყის... ისე, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ლამაზი გოგო გახლდათ“.

64

■ **ბედი კაცისა** 30
ნინოწმინდის წყაროზე მონათლული პირველი ოჯახის ტრაგედია

■ **კვალი** 32
„ნატრობდა, სანამ რამაზს რამე მოუვა, 2 საათით ადრე მე მოვკვდეო“

■ **ემიგრანტი** 34
ქართველების კალიფორნიული ცხოვრება...

■ **მმართველი** 36
მუამარ კადაფი ლიბიის ჯამაჰირიის მამა

■ **თინეიჯერული პონტები** 39
საკურორტო რომანი და მხიარული „ბატის ჭუკი“

■ **ისტორიის ლაბირინთები** 42
ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოებანი

■ **ავტო** 45

■ **ანტიდეპრესანტი** 46

■ **საკითხავი ქალებისათვის** 46

■ **ერუდიტი** 48
„წარსულში ვცხოვრობ“

■ **ტაძარი** 50
„არ მოგვიტევებს, თუკი ჩვენც არ მივუტევებთ“

■ **ჯანმრთელობა** 51
დაიბანეთ ხელები

■ **წვეთი პოეზია** 54

■ **რჩეული** 55

■ **ქართული დეტექტივი** 56
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64
როგორ დაისაჯა მოღალატე

■ **ყველა ერთისათვის** 68

■ **მობილი-ზაცია** 70

■ **ასპარეზი** 74

■ **ეს სამყაროა** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **ფოტოფაქტი** 82


## სამყარო



### „წარსულში ვცხოვრობ“...

„სიმართლის თქმა ჯობია. იმედია, ამისთვის არავინ დამაპატიმრებს: ერთი პატარა ბიბლიოთეკიდან მოვიპარე. პოლიტიკური ლიტერატურაა და ახლაც სახლში მაქვს“.

48

## ბიბლუსი






— მშობლების სიკვდილის შემდეგ როგორ იქცეოდა?
— რატი?.. ძალიან განიცდიდა... მაგრამ ერთხელ მაინც უცნაურად მოიქცა.
— რა ჩაიდინა?

56

## ტაიმ-აუტი



### აკრძალული ძაღლები

ამერიკულ პიტბულტერიერს ხშირად პიტბულსაც ეძახიან. კინოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია დღემდე არ აღიარებს ამ ჯიშის ძაღლს. იგი უმიზეზოდ არავის ესხმის თავს, მაგრამ მისი თავდაცვა ხშირად ადამიანებისთვის სავალალო შედეგით სრულდება.

77


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

# გეი-ალლუმი თუშეთში



**შესავლის ნაცვლად** არ ვიცი, რა ხდება ხუთშაბათს, როდესაც მკითხველი ჩვენი ჟურნალის ახალ ნომერს მიიღებს, მაგრამ დღეს, სამშაბათს, ქართული საინფორმაციო სივრცე მთლიანად ორ თემას აქვს „დაპყრობილი“: კალათბურთს და პედერასტებს!

ერთი კარგი ამბავია, მეორე — „ისე რა“, ანუ „ვისთვის — როგორ“...

კალათბურთში ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპი გადალახა, თანაც ეს ქართულ-უკრაინული ძმობის (ან დაძმობის) კიდევ ერთ დადასტურებად იქცა; რაც შეეხება მეორე ამბავს — როგორც დღევანდელი ელექტრონული პრესა იუწყება, თუშეთში იქაურებს სამი გერმანელი „ლაჟვარდისფერი“ ტურისტი ჯერ უცემიათ, მერე ხელ-ფეხი შეუკრავთ, ბოლოს კი მდინარეში გადაუყრიათ (ოღონდ არ წერია, რომელ მდინარეში)!

ამ უკანასკნელ ამბავს რაც შეეხება, იმ ანეკდოტს მაგონებს, P.S.-ში რომ გიამბობთ, ამიტომ ახლა კარგი ამბით დავიწყოთ:



სპორტული (და არა მხოლოდ სპორტული) ინტერნეტფორუმები, სპორტული (და არა მხოლოდ სპორტული) ელექტრონული და ბეჭდვითი მედია სავსეა სამადლობელი სიტყვებითა და სტატიებით: უკრაინის ნაკრებმა ბელგია დაამარცხა, თანაც თვითონ „არ სჭირდებოდა“ ქულები და მხოლოდ საქართველოსთვის გაისარჯა! გაუმარჯოს უკრაინელ ხალხს! „ხაი ჟივე უკრაინა!“ „ჩვენ ასე, ერთმანეთის მხარში დგომით შევალთ ნატოში!“

კარგი, ხუმრობა იქით იყოს და, ჩემდა თავად, ვისაც სხვაზე ნაკლებად გაუხარდა ჩვენი ნაკრების წარმატება, ის იყოს კამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი), მაგრამ „ფეისბუკზე“ 117 კომენტარი (ყველა მხარდამჭერი ანუ იმავე აზრის მქონე) ერთვის ვიღაც იდიოტის „პოსტს“, რომელიც ამტკიცებს, რომ უკრაინამ მხოლოდ იმიტომ მოიგო, რომ მიშამ სთხოვა (მიშა ხომ იცით?), თორემ ბულგარელები 10 მილიონს სთავაზობდნენო!

რაც მთავარია, ავტორსაც და მხარდამჭერებსაც მართლა სჯერათ...

მოდი, ერთი წუთით ჩვენც დავიჯეროთ და წარმოვიდგინოთ, რა როგორ იქნებოდა: ბულგარეთთან წაგების შემდეგ კოკოშკოვი დაიწყებდა ტირილს; ლიპარტელიანს (კალათბურთის ფედერაციის შეფი) შეეცოდებოდა და გაიქცეოდა ვარძელაშვილთან (იქვე იჯდა, პირველ რიგში), — მინისტრი კაცი ხარ, გვიშველე რამეო; ვარძელაშვილი თვითონ ვერ გაბედავდა, მაგრამ კოლეგა-მინისტრს — გოგა ხაჩიძეს მიმართავდა (ის ზედა რიგში იჯდა და სასტვენს „აპრუწუნებდა“), — ე, ბიჭო, „გაგვედო ფანტაზიებში“, ესენი თუ ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, თბილისში მოგვიწევს დაბრუნება და ხვალ ის ნაშები გაგვემაზებაო; ხაჩიძე ბევრს არ იფიქრებდა, ეგრევე მოიფიქრებდა, — შეფი ახლა შეიძლება ვახშმობდეს, არ გამიბრაზდესო და უშუალო უფროსს — გილაურს მიმართა... აბა, მკითხველო, თქვენც გაგახსენდათ „რწყილი და ჭიანჭველა“?! ჰო, იქ მხოლოდ რწყილი დარბის და აქ ამდენი ხალხი შეწუხდა, მაგრამ მთავარი ერთი და იგივეა: იქაც და აქაც მეგობრობა იმარჯვებს! იქ — რწყილისა და ჭიანჭველას, აქ — უკრაინისა და საქართველოსი! მერე რა, რომ ტიმოშენკო ციხეშია, ხოლო იუშჩენკო — არავინ იცის, სად არის?! საქმეს თუ დასჭირდა (და ეს უკვე იყო), ლუკაშენკოსთან ძმაკაცობაც „მოსულა“.

მოკლედ, ბოლოს გილაურს შეუბედავს „მთლა უფროსისთვის“: ხაჩიძეს ახალი ჰიმნი აქვს მზად და უკრაინამ თუ ბელგიას არ მოუგო, ოხრად რჩება, ცოდოა ბიჭი, იქნებ უშველოთ რამე; უკრაინელებს ხომ იცით, როგორ უყვარხართ, ერთი თქვენი სიტყვა და ბულგარელებს სახეში მიაყრიან იმ 10 მილიონს და ბელგიას დედას უტირებენო!

ფინალი კი, ყველამ იცით...

აი, ასე იყო ეს ამბავი, მაგრამ როგორც თვით პრეზიდენტი ბრძანებს ხოლმე: „ნურას უკაცრავად! ვერ მო-გართ-ვით!“

როგორც ყოველთვის, პრეზიდენტი იმაზე უფრო ორიგინალურია, ვიდრე ჩვენ გვგონია და რაც მთავარია, შედეგიც უფრო მეტია ხოლმე:

— რაო, ვის უნდა მოუგოს უკრაინამო? — უკითხავს გილაურისთვის.

— ბელგიას...

— მერე, თქვე ბოთეებო, რა გვაქვს უკრაინის სახვეწარი?! დაგავიწყდათ, რომ ბელგიაში ბრიუსელია, ბრიუსელში — ნატოს შტაბბინა, ნატოში კი — საქართველოს მომავალი?!

ჰოდა, „სინამდვილეში ეს ზღაპარი“ ასე დასრულდა: პრეზიდენტმა ბელგიელებს სთხოვა, ბელგიელებმა, — თქვენ ისინი არ ხართ, ნატოს წევრობას რომ ან ელირსებით, ან არა და ავღანეთში მაინც ჩვენზე მეტი ჯარისკაცი რომ გაუშვით?! რაზეა ბაზარი, წავაგებთ, აბა, რას ვიზამთო! — და იმის მიუხედავად, რომ უკრაინას ძალიან უნდოდა წაგება (ბულგარელების 10 მილიონის გამო), ბელგიამ „აჯობა“ და ჩვენი ხათრით წააგო!

ამიტომ, როდესაც არ იცი (იმ „ფეისბუკელს“ მივმართავ), არ უნდა ილაპარაკო!

**P.S.** შესავალში ანეკდოტს რომ დაგპირდით, მგონი, ადრეც მოვყევი, მაგრამ იმ გერმანელი პედერასტებისა და მათი თუშური თავგადასავლის გამო ისევ გამახსენდა, რადგან ვერც ტურისტების ვინაობა დადგინდა და ვერც მათი წყალში გადამყრელებისა.

— ჭიჭიკია, გეიგე, ჩვენმა „ტორპედომ“ „ბარსელონას“ მოუგო!

— არ იქნება მართალი...

— კი, ტყუილია, მარა ხო მაგარია?!

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# ქვეყანა

## თუშეთში გეი ტურისტებს სცემეს



მათ ხელ-ფეხი შეუკრეს და მდინარეში გადაყარეს. ამის შესახებ სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს. ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ტურისტებმა საქართველო უკვე დატოვეს.

ინციდენტი ერთი კვირის წინ სოფელ ომალოში მოხდა. თუშეთში დასასვენებლად მყოფმა რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ სამი გერმანელი ტურისტი სუფრაზე მიიწვია. ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც სტუმრებმა ერთმანეთს აკოცეს. ქართველმა ახალგაზრდებმა მათ ჯერ სცემეს, ხოლო შემდეგ ხელ-ფეხი შეუკრეს და მდინარეში გადაყარეს. ტურისტები წყლიდან ომალოს მცხოვრებლებმა ამოიყვანეს. ტურისტული კომპანიის წარმომადგენლის ცნობით, ადგილობრივებმა უზრუნველყვეს გერმანელთა ბარში უსაფრთხო ტრანსპორტირება, საიდანაც ისინი თბილისში ჩავიდნენ და საქართველო დატოვეს. დაზარალებულებს არც პოლიციისთვის და არც საკონსულოსთვის, მომხდართან დაკავშირებით, არ მიუმართავთ. შესაბამისად, ახმეტის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ■

## შეცვლის თუ არა კალია ძროხის ხორცს?

ევროკავშირი საკვებად მწერების გამოყენების პოპულარიზაციაზე 4,5 მლნ დოლარს დახარჯავს. ეს გადაწყვეტილება მსოფლიოში საკვები პროდუქტების დეფიციტსა და არაჯანსაღ კვებას უკავშირდება. ბოლო ბიოლოგიური კვლევების შედეგით, მწერები ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო ცილებს, მინერალებსა და მიკროელემენტებს შეიცავენ. მაგალითად, კალიის შემადგენლობის 20% ცილაა. ამასთან, მასში ცხიმების შემადგენლობა მინიმალურია (6%-ს).

ევროკავშირი მილიონობით დოლარს ჩადებს კვების პროგრამაში, რომელიც ადამიანებს არა მხოლოდ საჭმლის მომნელებელი სისტემის გაუმჯობესებაში დაეხმარება, არამედ მოსავალს კალიების თავდასხმისგან დაიცავს.



„2020 წლისთვის მწერებს სუპერმარკეტებში შეიძენთ“, — აცხადებს პროფესორი მარსელ დიკე, რომელმაც გრანტის მისაღებად განაცხადი უკვე შეიტანა.

ადამიანისთვის ისეთი ტრადიციული ცილების წყარო, როგორიც არის ძროხის ხორცი, წარსულს ჩაჰბარდება, ვინაიდან მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პირობებში რქოსანი პირუტყვი დეფიციტური იქნება. მწერები კი ძროხის ხორცის ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი ალტერნატივაა. ■

## კადიროვის წარმომადგენელს ესროლეს

ჩეჩნეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს სვერდლოვის ოლქში, სალაუტდინ მამაკოვს ეკატერინბურგში თავს დაესხნენ. მამაკოვს 5 სექტემბერს საღამოს ქუჩაში ტრავმატული პისტოლეტიდან ზურგში ესროლეს. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. მიყენებული ჭრილობები სიცოცხლისთვის უსაფრთხო აღმოჩნდა.



მასმედია შურისძიების შესახებ წერს. ზოგიერთი მონაცემით, რამდენიმე დღის წინ მამაკოვმა უფლებადამცველი ორგანიზაციის „საზოგადოებრივი სადამკვირვებლო კომისია“ აქტივისტ ადამ კალაევთან იჩხუბა. მამაკოვმა კალაევს თავის არეში რამდენიმე დარტყმა მიაყენა. კალაევის თქმით, მამაკოვის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ დამცველი სიმართლეს ამბობს სვერდლოვის ოლქის ციხეებში ჩეჩნების მდგომარეობის შესახებ. „მამაკოვი ხშირად ხვდება ჩეჩენ პატიმრებს, რომლებსაც ციხეებში ეროვნული ნიშნით ჩაგრავენ, მაგრამ შემდეგ მათ ნათესავებს უყვება, რომ ისინი თავს კარგად გრძნობენ და არაფერი უჭირთ“, — აცხადებს უფლებადამცველი.

თავად მამაკოვმა არ იცის, ვინ შეიძლებოდა, მას თავს დასხმოდა. „არც ბიზნესი მაქვს და არც კონფლიქტებში ვმონაწილეობ, — აღნიშნა მან, — შესაძლოა, ვინმეს არ მოსწონს, რომ ჩვენ აქტიურად ვცდილობთ ჩეჩნეთსა და სვერდლოვის ოლქს შორის ურთიერთობების დარეგულირებას“. ■

# ილჰამ ალიევმა ქალიშვილი გაათხოვა

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილის, 22 წლის არზუ ალიევას რჩეული 23 წლის ბიზნესმენი სამედ ყურბანოვია. ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ის მოსკოვში დაიბადა და გაიზარდა. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სამედი ოჯახურ ბიზნესს ჩაუდგა სათავეში. ის ცნობილი ბიზნესმენის, რუსეთში აზერბაიჯანელთა კონგრესის დამფუძნებლის, აიდინ ყურბანოვის ერთადერთი ვაჟია. აიდინი 8 წლის წინ გარდაიცვალა.

არზუ ალიევამ უმაღლესი განათლება ინგლისში მიიღო. ის თავისუფლად ლაპარაკობს 4 უცხოურ ენაზე. ამჟამად ბაბუის — ჰეიდარ ალიევის სახელობის ფონდში მუშაობს, რომელსაც დედამისი — მეჰრიბანი ხელმძღვანელობს. 22 წლის არზუ საავიაციო ჰოლდინგის — Silk Way Holding ერთ-ერთი თანამფლობელია. ჰოლდინგი 23 კომპანიას აერთიანებს, რომელთა საერთო კაპიტალიც რამდენიმე ათეულ მლნ ევროს შეადგენს.

არზუ და სამედი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ. მათი ნიშნობა 2011 წლის გაზაფხულზე გაიმართა. წყვილმა 3 სექტემბერს ბაქოში იქორწინა. ქორწილში მხოლოდ ოჯახის ახლო მეგობრები და ნათესავები, ასევე აზერბაიჯანში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები იყვნენ მიწვეულნი. ■





# ყველაზე ასაკოვანი ქალწული დედამიწაზე

105 წელს მიტანებულმა ქალიშვილმა კარლა მიდმორმა განაცხადა, რომ მისი „უკვდავების“ საიდუმლო უსექსობაშია.

კარლა მიიჩნევს, რომ ინტიმური ურთიერთობები საზიანოა, ამიტომ უარი თქვა მასზე. მიუხედავად ასაკისა, მიდმორს მშვენივრად ახსოვს „ტიტანიკის“ კატასტროფა და პირველი მსოფლიო ომის მოვლენები.

ის მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად შრომობდა, რათა თავი ერჩინა და რამდენჯერმე უარი თქვა გათხოვებაზე, მაგრამ მისივე განცხადებით, ამას სულაც არ ნანობს. ■

# სომხეთის მოსახლეობა
## გარეგინ მეორის გადადგომას ითხოვს



სრულიად სომეხთა კათალიკოსის, გარეგინ მეორის გადადგომის მოთხოვნით სომხეთში სოციალურ ქსელებში მასშტაბური კამპანია მიმდინარეობს. „ფეისბუკში“ მოქმედმა „სამოქალაქო ინიციატივამ“ სახელწოდებით — „მოვითხოვთ კათალიკოსის გადადგომას“ ქვეყნის პირველი სასულიერო პირი ეკლესიების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში არაერთხელ ამხილა, ამჯერად კი სურბ ასტვაცაცინის ეკლესიის შესახებ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა.

„სომხური სამოციქულო ეკლესიის უმოქმედობის გამო სურბ ასტვაცაცინის ტაძარი სექტანტების თავშეყრის ადგილად იქცა. ეკლესიის ტერიტორია დღეს გარყვნილობისა და კრიმინალური გარჩევების ადგილია, რაზეც პასუხისმგებლობა გარეგინ მეორეს ეკისრება. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც კათალიკოსმა თანამდებობა უნდა დატოვოს“, — ნათქვამია „სამოქალაქო ინიციატივის“ განცხადებაში.

სამოქალაქო კამპანია „ფეისბუკში“ დაიწყო და თანდათან დიდ მასშტაბს მიაღწია. სომხებს საკუთარი კათალიკოსის მიმართ ბევრი პრეტენზია დაუგროვდათ. კულტურული გენოციდი, სასულიერო პირთა კორუმპირებულობა, საკუთარ ხალხთან გაუცხოება და ამით ეკლესიის პოზიციების შესუსტება, კათალიკოსის მიმართ სომეხი ხალხის უნდობლობა — ასეთია გარეგინ მეორის მიმართ პრეტენზიების ჩამონათვალი. სომეხთა კათალიკოსს სახელისუფლებო წევრებთან „საეჭვო“ სიახლოვესა და ეკლესიის წევრების ბიზნესში ჩართვაშიც ადანაშაულებენ.

„სამოქალაქო ინიციატივამ“ სოციალურ ქსელში გამოკითხვაც ჩაატარა. ხართ თუ არა თანახმა, გარეგინ მეორემ დატოვოს სომხური სამოციქულო ეკლესიის მეთაურობა? — ამ შეკითხვას მხოლოდ ერთ დღეში 1200-მა მომხმარებელმა დადებითად უპასუხა. 100 მომხმარებელი კი წინააღმდეგი აღმოჩნდა. ■



# მეძავეებს უხარისხო მომსახურებისთვის უჩივლა




კანზასის მცხოვრებმა პოლიციას სექსუალური მომსახურების უხარისხობის შესახებ შესჩივლა. 26 წლის მამაკაცმა პოლიციაში დარეკა და მორიგე ბრიგადას სასტუმროს ნომერში მისვლა სთხოვა. მან აუხსნა სამართალდამცველებს, რომ ინტერნეტში გოგონები კონკრეტული პარამეტრებით შეუკვეთა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა — მეძავეებიდან არც ერთს არ აღმოაჩნდა სასურველი პარამეტრები.

კლიენტმა ქალებს 160 დოლარი გადაუხადა, მაგრამ შემდეგ ფულის უკან დაბრუნება მოითხოვა. ქალბატონებმა უპასუხეს, რომ ჰონორარს უკან არ აბრუნებენ და კლიენტი სასტუმროში მარტო დატოვეს. ახალგაზრდა იმდენად გაბრაზდა, რომ გადაწყვიტა, მათთვის ეჩივლა. პოლიციამ მამაკაცს პროსტიტუციის პატრონაჟში დასდო ბრალი. ■

# ქალაქმა სამეფოდ გამოაცხადა თავი



იტალიის ქალაქმა ფილეტინომ დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა თავი და ახლა მონარქის კანდიდატურას ირჩევს. ქალაქს, სადაც სულ 550 ადამიანი ცხოვრობს, უკვე თავისი გერბიც აქვს და ვალუტაც — ფულის ერთეული ფიორიტო ადგილობრივ მაღაზიებში ისეთივე მიმოქცევაშია, როგორშიც ევრო. ბანკნოტაზე ფილეტინოს მერი — ლუკი სელარია გამოსახული.

„ფილეტინოს სამეფო" იტალიის ოფიციალურმა ხელისუფლებამ თავიდან ტურისტების მისაზიდად განკუთვნილ სარეკლამო პროექტად მიიჩნია. ფილეტინოს მმართველობა კი არ ხუმრობს, საკითხს სერიოზულად აყენებს და უახლოეს მომავალში იტალიას „ოფიციალურად გაეყრება". სამეფოს გამოყოფის იურიდიულ პროცედურებზე ადვოკატი კარლო ტაორმინო მუშაობს.

ვინ იქნება ფილეტინოს მონარქი — ჯერჯერობით უცნობია. შეთავაზებულ „თანამდებობაზე" იტალიის სამეფო დინასტიის შთამომავალმა, ემენუილ ფილიბერგმა უარი თქვა. პატარა ქალაქის სამეფოდ გამოცხადების მოტივად ლუკი სელარი „საქალაქო ფედერალიზმს" ასახელებს: „იტალიაში ხშირად საუბრობენ ფედერალურ მმართველობაზე, ჩვენ კი კონკრეტული პროექტი გვაქვს. ნამდვილი ავტონომიის მოსაპოვებლად ფინანსურ რესურსებს მოვიძიებთ", — აცხადებს სელარი.

სამეფოს შექმნის რეალურ მოტივად იტალიური პრესა სილვიო ბერლუსკონის ახალ ინიციატივას ასახელებს, რომელიც მცირედ დასახლებული ქალაქების ოპტიმიზაციას ითვალისწინებს: ყველა ქალაქი, სადაც 1000-ზე ნაკლები მცხოვრებია, სხვა ქალაქს შეუერთდება, ამით იტალია ხარჯებს დაზოგავს, ფილეტინოს მერს კი თანამდებობის დაკარგვა ემუქრება. ■

*რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ*
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი"!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

*რუსუდან ლებანიძე*

**საქართველოში, აფხაზეთთან ახლოს, ანაკლიის შემდეგ უკვე მეორე ქალაქი ამღერდება — ხობი საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. ძველი კოლხეთი ახლებურად წარმოაჩენს თავის ულამაზეს კუთხეს. აიეტის თვალწარმტაც ბაღებსა და სურნელოვან შადრევნებს განსაცვიფრებელი მუსიკის ჰანგები და ხელოვნების ნიმუშები შეცვლის. ქალაქის ცენტრში დაიდგმება ფაცხები... სამფეხზე შემდგარი დიდი ქვაბი, შიგ ელარჯი და გვერდით — ოჯალეში... ძველი ტრანსპორტი — ურემი, მძღოლი, მეგრელი ბაბუ და მოპატიჟება „მოზოჯი სქუა"... ორგანიზატორების აზრით, სანახაობა ერთობ საინტერესო იქნება, თუმცა ბევრ რამეს ჯერჯერობით საიდუმლოდ ტოვებენ. ფესტივალი 16, 17, 18 სექტემბერს გაიმართება და მასში 12-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.**

**მარინა მიქაძე,** *ფესტივალის მთავარი ორგანიზატორი, საერთაშორისო ფონდ „ხობის" დირექტორი:*

— **ამბობენ, წლევანდელი ფესტივალი ყველასგან განსხვავებული იქნებაო. რატომ?**

— აქამდე ჩატარებული ყველა ფესტივალი საინტერესო იყო და საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორს წარმოაჩენდა. წელსაც ასე მოხდება, მაგრამ განსხვავებული კი ნამდვილად იქნება, რადგან საიუბილეო თარიღს უკავშირდება. ვფიქრობთ, ყველა თაობის ინტერესის გაზიარებით, დასამახსოვრებელი დღეები გამოგვივა.

— **ფესტივალი ყოველ წელს ახალ გამოცემას სთავაზობს მკითხველს, ამჯერად ამ მხრივ რა იგეგმება?**

— ეს ფესტივალი ამ თვალსაზრისითაც ნამდვილად გამორჩეული იქნება. გვაქვს რვა გამოცემა სხვადასხვა სფეროში. სპეციალურად ფესტივალისთვის მომზადდა ალექსანდრე ბასილაიას იმ ბენეფისის ამსახველი ვიდეოდისკი, რომელიც ხობის მე-4 ფეტივალის ფარგლებში ჩატარდა. დაინტერესებულ პირს შეეძლება ნახოს, როგორ მღერის მეგრულ სიმღერას საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი ზურაბ სოტკილავასთან ერთად.

— **მართალია თუ არა, რომ ანსამბლ „გორდელას" იუბილეს ხობში მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია უხდის?**

— ბატონი გოდერძი ამ შემთხვევაში გვევლინება არა როგორც დეპუტატი, არამედ როგორც ფონდის პრეზიდენტი

# რატომ არის გასაიდუმლოებული ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“

## ამღერდება თუ არა ევა რივასი მეგრულად

და ამ საქმის დიდი ქომაგი. ანსამბლ „გორდელას“ 50 წლის იუბილეს ნამდვილად ხობში უხდიან. ეს არის მეგობრობით განმტკიცებული მრავალწლიანი ურთიერთობა, რომლის დაგვირგვინება სწორედ იუბილე იქნება. როცა ფოლკლორზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ: პირველი, ვისაც ამ კუთხით საქართველოში რაიმე გაუკეთებია, ანსამბლი „გორდელაა“. გამოვცემთ იუბილესადმი მიძღვნილ ალბომსა და დისკს. მოვიძიეთ ანსამბლის ნამღერი 33 სიმღერა, რომელიც პირველად გახდება ცნობილი ფართო აუდიტორიისთვის.

— **რომელი კომპოზიტორის სიმღერები შესრულდება და ახალ რეპერტუარს თუ შესთავაზებთ მსმენელს?**

— წარმოვადგენთ რუსუდან ხორავას, ოთარ ტატიშვილის, ია მაისაიას ახალ სიმღერებს. შემსრულებლების დასახელებისგან თავს შევიკავებ — სიურპრიზად დავტოვოთ.

— **ქართველებიდან ვინ იმღერებს ფესტივალზე?**

— საქართველოს ყველა რეგიონი საკუთარი რეპერტუარით წარდგება. იქნებიან ცნობილი შემსრულებლებიც, მათ შორის — ანსამბლი „რუსთავი“; საზოგადოების წინაშე წარდგება ახალგაზრდა მომღერალი — ნინო გოთოშია. ეს ბავშვი ნანი ბრეგვაძის სახელობის საესტრადო შემსრულებელთა კონკურსის გამარჯვებულია. ელენე ფოჩხუაც პირველად ჩვენი ფესტივალის წყალობით გახდა ცნობილი.

— **გარდა თქვენი ფონდისა, კიდევ ვინ არის ფესტივალის ორგანიზატორი?**

— ორგანიზატორები ვართ: განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო ფონდი „ხობი“, ანზორ ერქომაიშვილის „ქართული ხალხური სიმღერების ცენტრი“, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაცია სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხობის რაიონის საკრებულო და მუნიციპალიტეტი.

— **უცხოელი შემსრულებლებიდან ვინ ჩამოგყავთ?**

— მოდი, ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. თუ გნებავთ, თავად გოდერძი ბუკიას დაუკავშირდით და ის გეტყვით.

*არც ვაციე, არც ვაცხელე და ბატონ გოდერძისთან სატელეფონო საუბრისთვის მოვემზადე. ფონდის პრეზიდენტს გემოვნებას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, ისეთ ვილაცაზე მითხრა, ჩამოგვყავსო, ვფიქრობ, ფესტივალზე მამრობითი სქესის მოჭარბება იქნება.*

— **ბატონო გოდერძი, გავიგე, ფესტივალისთვის განსაკუთრებულად ემზადებით, მართალია?**

— ნამდვილად ასეა. მეხუთე, საიუბილეო თარიღია და ბევრი საინტერესო რამ იგეგმება. ფესტივალი ძირითადად, ფოლკლორზე იყო ორიენტირებული, მაგრამ წელს მრავალპროფილიანი იქნება. ამასთანავე, მის ფარგლებში სხვადასხვა პროექტის პრეზენტაცია მოეწყობა: გამოიცემა წიგნები, დისკები, ალბომები; ანსამბლ „გორდელას“ იუბილე; დიდი სანახაობა მოეწყობა ფეხბურთის მოყვარულთათვის. მოწვეული არიან ვეტერანი ფეხბურთელები: კიდევ ერთხელ გავიხსენებთ იმ დიდ გამარჯვებას, რომლის შეძახილი — „დინამო“, „დინამო“, „დინამო“ — დღესაც ჩაგვესმის.

— **უცხოელებიდან ვის უნდა ველოდოთ?**

— ოოო, ეს საკითხი მინდა, სიურპრიზად დავტოვო. თუმცა გპირდებით, დაუვიწყარი დღეები გველის. ყველა



ვაჟა აზარაშვილი, გოდერძი ბუკია და ანზორ ერქომაიშვილი შარშანდელ ფესტივალზე

უცხოელი სტუმარი მეგრულად ამღერდება. ამისთვის უკვე ემზადებიან.

— **იქნებ რამდენიმე მაინც გაგვიმხილოთ.**

— კარგი... ჩამოვლენ: ზურაბ სოტკილავა, ბოშათა ანსამბლი „რადანიკი“, დუეტი აზერბაიჯანიდან, ვეფხია კუტივაძე ბელორუს გოგონასთან ერთად, ელიზა და თემურ ბოჯგუები, დიანა ლაბაძე, ხატია გადელია, ჯგუფი „მონომახის“ სოლისტი ვასილი აკიმოვი, დიან დიეზი, უკრაინელი მირიან შაშენკო, ახალგაზრდებისათვის საყვარელი ერთი ქართველი მომღერალი, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობს, „ევროვიზიის“ ფინალისტი და ბევრი სხვა.

— **ევა რივასი ჩამოგყავთ?**

— დიახ, ჩამოვა.

— **ევაც მეგრულ რეპერტუარს შეასრულებს?**

— ალბათ...

*„სიტყვაძუნწ“ ბუკიას მეტი ვერაფერი დავტყუე. ამრიგად, ერთად უნდა დაველოდოთ ფესტივალს და მოვუსმინოთ, როგორ ამღერდებიან მეგრულად უცხოელი სტუმრები.*

*ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: საცივის, სულგუნის, ხაჭაპურის, ელარჯისა და ოჯალეშის დაგემოვნების შემდეგ, ყველა ერთხმად აყვირდება: „ქუგგალე სამარგალო!“*

■



აქამდე ჩატარებული ყველა ფესტივალი საინტერესო იყო და საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორს წარმოაჩენდა

# ერთი ეპიზოდი ბიოგრაფიიდან და „სხვანაირი ბაბუას“ რამდენიმე გახსენება

**შემოქმედისადმი ხალხის სიყვარული სხვადასხვაგვარად მჟღავნდება. ჩვენს დროში ერთ-ერთი პოპულარული ფორმა ინტერნეტსივრცეში დამოკიდებულების გამოხატვაა.**

**ოტია იოსელიანის შემოქმედებისა და პიროვნებისადმი უზომო სიყვარულის გამოხატულებას წააწყდება „მართლმადიდებლური ფორუმის“ ნებისმიერი სტუმარი. ერთ-ერთ ფორუმელს, ნიკით — „ლეონს“ მწერლის ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდები და ფოტოსურათებიც გამოუფენია. იმედია, „ლეონი“ და სხვა ფორუმელები არ გვიწყენენ, თუ დავესესხებით და მათ შეფასებებს ჩვენს მკითხველებსაც გავაცნობთ.**



*„მწერალმა სკოლაში გაიცნო ქეთევან ფანცხავა, რომელიც მათთან მეშვიდე კლასში გადმოვიდა. მოგვიანებით კი ქეთევანი მისი მეუღლე გახდა.*

*სკოლის დამთავრების შემდეგ ქეთომ და ოტიამ ქუთაისს მიაშურეს და პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარეს...*

*მომავალი მწერალი იქ დიდხანს არ გაჩერებულა. პირველ კურსზევე მიატოვა ინსტიტუტი და თბილისის სამხატვრო აკადემიას მიაშურა. ამ დროისათვის მას უკვე ჰყავდა მეუღლე და უფროსი ვაჟი ბაჩო.*

*ერთი წელი მან მოსამზადებელ კურსებზე დაჰყო. მაგრამ მისაღებ გამოცდებზე ქართულ ლიტერატურაში ჩაიჭრა და ინსტიტუტის გარეთ დარჩა. ოტია დაბრუნდა სოფელში და გულმოსულმა სხვისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის რომ დაემტკიცებინა, ქართული სხვაზე ნაკლებად არც მან იცოდა, მოთხრობების წერა დაიწყო. ოტიას უთხრეს: ძალიან რომ მოინდომო, საბავშვო მწერლად იქნებ გამოდგეო...*

*„ვითომ საბავშვო მწერლობა პატარა ამბავი ყოფილიყოს“, — ამბობს ოტია.*

*შედეგი, რა თქმა უნდა, განსაცვიფრებელი აღმოჩნდა“, — წერს „ლეონი“.*

*ახლა სხვა ფორუმელების მოგონებებსა და შეფასებებს გავეცნოთ:*

• რევაზ ინანიშვილის საღამო იყო და მთხოვეს, შემოსასვლელში დადექი, ხალხი დარბაზს ვერ აგნებს და დაეხმარეო. მოვიდა ოტიაც, ფაქტობრივად, არც შესულა შიგნით, თავისი ჩიბუხით მოძრაობდა და რომ მნახა, კაი 2 საათი ფეხმოუცვლელად ვიდექი, მომიბრუნდა და მეუბნება: შენ, ბოვშო, აქანა ხო არა ხარ დარგულიო?! ძალიან მიყვარს მისი საუბრის მოსმენა, რაღაც სხვანაირი ბაბუა!

• ოტიამ თქვა ერთხელ: არც აყვავებულ და არც აღორძინებულ საქართველოზე არ ვოცნებობ, რადგან ერთ სიტყვაში „ღორი“ ურევია, მეორეში „ყვავიო“.

• ოტია — მგონი ყველას აქვს ამ ადამიანის ასე მოხსენიების უფლება...

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში ვნახე რამდენჯერმე — დინჯად იჯდა თავისი განუყრელი ჩიბუხით და კითხულობდა. ერთხელ, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში იყო მასთან შეხვედრა. რაღა თქმა უნდა, ოტიასებურად ისაუბრა — გულში რომ მოგხვდება, გაგამათრახებს, გაგაციგანებს, გაგაცინებს და დაგაფიქრებს.

„მე რას მიხდი, კაცო, მადლობას? წაი და ღმერთს უთხარი მადლობა!“ — ასე მიპასუხა მადლობაზე.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და აწერინოს! (*ჩანაწერები მწერლის სიცოცხლეში — 2008-დან 2010 წლამდეა გაკეთებული. — რედ.*)

• ერთხელ თქვა, — წიგნები სად მქონდა, რომ წამეკითხა, თუ არა, მე როგორ გავბედავდი წერასო?!

ბრწყინვალე კოლორიტია.

*მწერლის სენტენციები, თავმოყრილი ბატონი გიზო ზარნაძის მიერ წიგნში: „ოტია იოსელიანი, ზოგი რამ სიბრძნეზე“ (2006 წ.):*

◆ ა, ბატონო, გაზაფხული კარზეა მომდგარი და გაჭინჭყლებული მკაცრად ითხოვს: ან ხვნა-თესვას უნდა მიეჩვიოთ, ან ჭამა-სმას უნდა გადაეჩვიოთ!

◆ ადამიანი ბუნების შვილია. გარემო-ბუნების ხელყოფა მშობლის ხელყოფაა.

◆ ადამიანი მიწის შვილია და დედას რომ მოსწყდება, ყველა და ყველაფერი დედინაცვლად ექცევა.

◆ არავინ იცის, ადამიანები გულწრფელად როდის ტირიან ან იცინიან, მაგრამ ვინც დარდისგან გასიებული ცრემლებს

ოტია იოსელიანის ნახატები: „ჩემი ბებია“ და „ჩემი მერანი“





ჩუმად ყლაპავს, გწამდეთ, მეგობრებო!!! ის მართლა ტირის...

◆ ბევრი ვაკეთე და ვაშენე, მეყოფა, აწი სხვებმა აშენონ და აკეთონო, — რომ იტყვი და ხელებს დაიბან — იცოდე, იმ დღიდან ანგრევ, თუ რამე აგიშენებია.

◆ ბრძენი და უბირი ერთმანეთის გვერდით იზრდებიან, ცხოვრობენ და ბერდებიან. ერთმანეთს ყოველდღე ხვდებიან და არ იცნობენ.

◆ გამოცდილებით, თავგადასულობით რომ ჭკუის სწავლა შეიძლებოდეს, რაც ჩვენს ქვეყანას თავს გადახდენია, ჩვენში, ბრძენი კი არა, სულელი იქნებოდა სანთლით საძებარი.

◆ დამარცხებას ათასი გამამართლებელი საბუთიც რო ჰქონდეს, მაინც დამარცხებაა.

◆ ენაა ერის სისხლი, ჯიში და ჯილაგი. წარმომავლობა, რაც ისტორიას დაავიწყდა, ენას ახსოვს. ერები რომ გადაშენდნენ, მათი ენა ცოცხლობს. ენა მკვდარი ერების ძეგლია.

◆ ეჭვით უნდა უყურო ყოველნაირ საკუთარ ღირსებას, თორემ თავმა თავისადმი მიკერძოება იცის და დაგღუპავს.

◆ ბავშვობას და ყრმობას ადამიანი კი არ შორდება, რაც დრო გადის, უახლოვდება. პატარაობისას გინდა, რომ მოზრდილი იყო, მალე დაკაცდე, დამოუკიდებლობა მოიპოვო და ამდენად გაურბიხარ, თორემ მოწიფულობაში თვალი უკან გრჩება და ბავშვობას მართლა თუ ვერ უბრუნდები, იქ კი ტრიალებ.

◆ მხოლოდ დაჩოქილ ლოცვას ისმენენ ღმერთები.

◆ დიდი ხნით უსაშველოდ შეყვარებულ ქალთან პირველი პაემანი გახსოვთ? გახსოვთ, აბა რა ჯანდაბა დაგავიწყებთ?!

◆ ჭირის დღე მძიმე-მძიმედ გადის, მიჯახირობს, მიიზლაზნება, თუ გათენდა, დაღამება არ ეღირსება და თუ დაღამდა — გათენებას არ დაადგება საშველი. მაგრამ ერთი კია — ცხოვრებას ასწრებ. ბედნიერი უკან მოხედვას ვერ ახერხებს, წუთისოფელი ხელიდან ისე გამოეცლება.

◆ მგონია, ადამიანი იმაზე ადრეც კი, სანამ ანბანის სწავლას დაიწყებდეს, რაღაცისთვის უკვე მოწოდებულია და მერე ოჯახი, სკოლა და ინსტიტუტი მასში მხოლოდ იმას ზრდიან, რისთვისაც ის გაჩნდა.

◆ ყოველ ადამიანს აქვს ამქვეყნად კუნჭული, სადაც ის თავისი ცხოვრებით ცხოვრობს.

◆ ჭკუა თავშია და არა ხანში. ■


17 წლის ოტია თავის პირველ ველოსიპედზე, მეგობრებთან და უმცროს ძმასთან ერთად



# როგორ კლავდნენ ბინ ლადენს

## სპეცოპერაციის დეტალები

**პაკისტანის ქალაქ აბოტაბადში „ალ-ქაიდას“ მეთაურის, უსამა ბინ ლადენის განადგურებიდან 3 თვის შემდეგ, ყოველკვირეულმა — The New Yorker ჩატარებული ოპერაციის დეტალები გამოაქვეყნა.**

**ოპერაციას „ნეპტუნის შუბი“ ერქვა. ოფიციალურად ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციად ითვლებოდა, რაც, აუცილებლობის შემთხვევაში, მასთან თეთრი სახლის კავშირის დაფარვის შესაძლებლობას იძლეოდა. შტურმისთვის უმთვარო ღამეების პერიოდი შეირჩა.**



გაზეთის მონაცემებით, ოპერაციაში 6 შვეულმფრენი მონაწილეობდა. მათგან ორი ძირითადი — MH-60 Black Hawk — ავღანეთის აღმოსავლეთით მდებარე, ჯალალაბადის ავიაბაზიდან აფრინდა, ოთხი მხარდამჭერი — MH-47 Chinook-დან. ორი საზღვრის ავღანურ მხარეს დარჩა, ორმა კი პაკისტანისკენ აიღო გეზი. საზღვარზე მყოფ ორ სარეზერვო „ჩინუკში“ კიდევ 25 სპეცრაზმელი იმყოფებოდა. წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე უკაციელ ველზე დამჯდარი ორი სხვა „ჩინუკი“ ძრავას გამოურთავად იცდიდა და თან, პაკისტანის ავიაციას ზვერავდა.

Black Hawk-ზე ე.წ. „მეექვსე რაზმის“ (ოფიციალური სახელწოდება — განვითარების განსაკუთრებული სამხედრო-საზღვაო საბრძოლო ჯგუფი, DEVGRU) 23 ამერიკელი „ზღვის კატა“, პაკისტანური წარმოშობის ამერიკელი თარჯიმანი და ბელგიური ნაგაზი, სახელად კაირი იმყოფებოდნენ.

შვეულმფრენებმა, რომლებიც სპეციალურად ისეა მოდიფიცირებული, რომ რადარებმა ვერ შენიშნოს, პაკისტანის საჰაერო სივრცეში შეუმჩნევლად შეაღწია.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, „ბინ ლადენი საშუალო კლასისთვის განკუთვნილ ბილალ-თაუნის რაიონის კეიკულ-როუდის მახლობლად, 1 აკრი ფართობის მქონე კარ-მიდამოს მესამე სახლში იყო გამაგრებული, საიდანაც კარ-მიდამოს ჭიშკრამდე ერთ მილზე ნაკლები მანძილია“. გეგმა ასეთი იყო: ამერიკელი სპეცრაზმელები „შვეულმფრენებიდან ტერიტორიაზე უნდა დაშვებულიყვნენ, ბინ ლადენის დაცვის ნეიტრალიზება მოეხდინათ, ბინ ლადენი ახლო მანძილიდან გასროლით მოეკლათ და გვამი უკან, ავღანეთში ჩაეტანათ“, — ნათქვამია სტატიაში.

აბოტაბადში ჩატარებული ოპერაციის დროს ჯგუფი ყველაზე ღრმად შეიჭრა პაკისტანის ტერიტორიაზე, ვიდრე ოდესმე. ეს აგრეთვე, 2001 წლიდან მოყოლებული, „№1 ტერორისტის“ განადგურების პირველი სერიოზული მცდელობა იყო.

### შვეულმფრენის ჩამოვარდნამ შტურმის გეგმა შეცვალა

გეგმის მიხედვით, ხელთათმნიანი და ღამის ხედვის სათვალიანი სპეცრაზმელები შვეულმფრენებიდან ბინ ლადენის ეზოში ბაგირით უნდა დაშვებულიყვნენ. მაგრამ როცა პირველი შვეულმფრენი კარ-მიდამოს თავზე მოექცა და დაშვება დაიწყო, მან საკუთარი ხრახნის მიერ გამოწვეული ძლიერი საჰაერო ნაკადის გამო მართვა დაკარგა. მფრინავმა იგრძნო, რომ შვეულმფრენი აღარ ემორჩილებოდა, ამიტომ, საქონლის სადგომის ბაკზე ხისტად დაშვება გადაწყვიტა.

ეკიპაჟმა „ჩინუკებს“ განგაშის სიგნალი გადასცა. მეორე შვეულმფრენმა გეგმა შეცვალა და კარ-მიდამოს მახლობლად, მინდორში დაჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პირველი შვეულმფრენის 12-მა სპეცრაზმელმა შტურმი განაგრძო.

პირველმა ჯგუფმა ჯერ საქონლის ბაკის, შემდეგ კიდევ ერთი ჩაკეტილი ჭიშკარი ააფეთქა და ეზოში, სასტუმრო სახლთან აღმოჩნდა, სადაც ბინ ლადენის კურიერი აბუ ახმედ ალ-კუვეიტი ცოლთან და ოთხ შვილთან ერთად ცხოვრობდა. სამი სპეცრაზმელი სასტუმრო სახლის გასათავისუფლებლად გაემართა, ცხრამ კი კიდევ ერთი ჭიშკარი ააფეთქა და შიდა ეზოში შევიდა, სადაც სათავო სახლი იდგა.

ალ-კუვეიტი, ცოლისა და შვილების გასაფრთხილებლად, სახლში შევარდა, უკან იარაღით გამოიჭრა და ამ დროს იქვე ჩაცხრილეს.

ამერიკელები ეჭვობდნენ, რომ სახლში ახმედ ალ-კუვეიტის 33 წლის ძმა აბრარი, ბინ ლადენის ვაჟები — ხამზა და ხალიდი და თავად უსამა ბინ ლადენი უნდა ყოფილიყვნენ. კარში „კალაშნიკოვის“ ავტომატით შეიარაღებული აბრარი

როცა პირველი შვეულმფრენი კარ-მიდამოს თავზე მოექცა და დაშვება დაიწყო, მან საკუთარი ხრახნის მიერ გამოწვეული ძლიერი საჰაერო ნაკადის გამო მართვა დაკარგა



გამოჩნდა. „მას ტყვია გულში ესროლეს და მოკლეს. ასევე მოკლეს მისი ცოლი ბუშრა, რომელიც ქმრის გვერდით უიარაღოდ იდგა“, — ნათქვამია სტატიაში.

კარ-მიდამოს გარეთ, ბოლთას სცემდა თარჯიმანი ახმედი, რომელიც გარეგნულად, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ პაკისტანელ პოლიციელს ჰგავდა. ის და მისი ჯგუფი სახლის მისადგომებს სდარაჯობდნენ. სპეცრაზმელების მეორე ჯგუფი, რომელიც სახლის სახურავის ნაცვლად მინდორში დაეშვა, ეზოში შეიჭრა. როგორც კი ადგილობრივი სეირის მოყვარულები გამოჩნდნენ, ახმედმა ისინი უკან გააბრუნა, პუშტუს ენაზე ნათქვამი სიტყვებით: „სახლებში დაბრუნდით, სპეცოპერაცია მიმდინარეობს!“ — და არავის გასჩენია ეჭვი, რომ მათ ამერიკელი ელაპარაკებოდა...

სპეცრაზმელები სათავო სახლში შევიდნენ. „ტელეკომპანია CBS-ის მიერ გადაცემული ცნობის მიუხედავად, სპეცრაზმელებს ვიდეოკამერებიანი ჩაფხუტები არ ჰქონიათ. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, თუ როგორ იყო სახლი დაგეგმარებული“, — წერს ავტორი.

„აბრარის შვილები დასამალავად გაიქცნენ, სპეცრაზმელებმა კი სათავო სახლის მეორე სართულის ოთახოთახ დათვალიერება დაიწყეს. თავიდან ამერიკელები ვარაუდობდნენ, რომ სახლი შეიძლებოდა, დანაღმული ყოფილიყო, მაგრამ იქ ბავშვების ყოფნამ ეს ვარიანტი ეჭვქვეშ დააყენა“, — აღნიშნავს გამოცემა. თუმცაღა მესამე სართულზე ამავალი კიბის შესასვლელი რკინის ჭიშკრით იყო გადაღობილი და ოთახი გალიას მოგაგონებდათ.

ჭიშკრის აფეთქების შემდეგ სამი სპეცრაზმელი კიბეზე ავიდა. ბინ ლადენის 23 წლის ვაჟმა ხალიდმა ჯერ გამოიხედა, შემდეგ კი ზედა ბაქანზე ავტომატით გამოჩნდა და ამერიკელებს სროლა აუტეხა. სპეცრაზმელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს და ხალიდი მოკლეს.

## ბინ ლადენს ცოლები აეფარნენ

მეოთხე სართულზე ამავალი კიბის შესასვლელთან კიდევ ერთი რკინის გალიის აფეთქების შემდეგ, სამი სპეცრაზმელი ზემოთ ავიდა. ერთ-ერთმა მათგანმა ღამის ხედვის სათვალის მეშვეობით დაინახა, ოდნავ შეღებული კარიდან მოკლეწვერიანმა მაღალმა მამაკაცმა როგორ გამოიხედა და მიხვდა, რომ ეს უსამა იყო. „კონტრდაზვერვაში მომუშავე წყარო ირწმუნება, რომ სპეცრაზმელმა ბინ ლადენი პირველად კიბის ბაქანზე დაინახა და ესროლა, მაგრამ ააცილა“, — შენიშნავს ავტორი.

„ამერიკელები საძინებლის კართან მიიჭრნენ. პირველმა სპეცრაზმელმა კარი ფართოდ გააღო. მას ბინ ლადენის ორმა ცოლმა გადაუღობა გზა. ბინ ლადენის მეხუთე ცოლი, ამალ ალ-ფატახი არაბულად რაღაცას გაკიოდა. მისი ჟესტების მიხედვით ირკვეოდა, რომ იერიშზე გადასვლას აპირებდა; სპეცრაზმელმა იარაღი დაბლა დასწია და ქალს ფეხებში ესროლა. იმის შიშით, რომ ერთ-ერთ ან ორივე ქალს „შაჰიდის ჟილეტი“ ექნებოდა წელზე შემორტყმული, სპეცრაზმელმა ქალებს ხელები მთელი ძალით შემოხვია და განზე გაათრია. ქალებს თავი რომ აეფეთქებინათ, სპეცრაზმელი უცილობლად დაიღუპებოდა, მაგრამ შესაძლოა, დანარჩენი ორის გადარჩენა მოეხერხებინა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ასაფეთქებლიანი ჟილეტი არც ერთ ქალს არ ეცვა“, — ნათქვამია სტატიაში.

მეორე სპეცრაზმელი ოთახში შევიდა და თავისი M4-ის ინფრაწითელი ლაზერული სხივი ბინ ლადენს მკერდში დაუმიზნა. ბინ ლადენი გაიტრუნა. ის შეიარაღებული არ ყოფილა. „მისი დაპატიმრების ანდა ტყვედ აყვანის საკითხი თითქმის არასდროს დასმულა. ეს სპონტანური გადაწყვეტილება არ ყოფილა. პატიმრები არავის სჭირდებოდა“, — უთხრა სტატიის ავტორს სპეცოპერაციის დეტალებში ჩახედულმა წყარომ. „აშშ-ის ადმინისტრაცია ირწმუნება, ბინ ლადენი დაუყოვნებლივ რომ დანებებულიყო, შეიძლება, ცოცხლად აეყვანათო“, — დასძენს გამოცემა.



„ჯერონიმოში“ ბინ ლადენი და ოპერაციის მსვლელობისას მისი აღმოჩენა იგულისხმებოდა

პირველი, 5,56 მმ კალიბრის ტყვია მას მკერდში მოხვდა, მეორე — თავში, მარცხენა თვალის ოდნავ ზემოთ. სპეცრაზმელმა რაციით გადასცა: „ღვთისა და ქვეყნისთვის — ჯერონიმო, ჯერონიმო, ჯერონიმო“. შემდეგ ოდნავ დაახანა და დასძინა: Geronimo E.K.I.A, რაც ნიშნავდა: „ჯერონიმო — ბრძოლაში მოკლული მტერი“. კოდურ სიტყვა „ჯერონიმოში“ ბინ ლადენი და ოპერაციის მსვლელობისას მისი აღმოჩენა იგულისხმებოდა.

„თეთრ სახლში ამ სიტყვების გაგონებისას, ობამამ პირი დაბრიცა და ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის მიუმართავს, საზეიმოდ წარმოთქვა: „ჩვენ მას გავუსწორდით“, — წერს ავტორი.

სარეზერვო „ჩინუკით“ ადგილზე ჩაფრინდა ექიმი. მან ბინ ლადენის ცხედარს შპრიცი ჩაარჭო და ანალიზისთვის ძვლის ტვინის ორი სინჯი აუღო. ტამპონების მეშვეობით ასევე აიღეს



დე-ენ-ემის სხვა ნიმუშებიც. „ძვლის ტვინის ერთ-ერთი ნიმუში „ბლეკ ჰოუკში“, მეორე კი — ბინ ლადენის ცხედართან ერთად „ჩინუკში“ მოათავსეს“ — ნათქვამია სტატიაში.

სპეცრაზმელებმა ჩამოვარდნილი „ბლეკ ჰოუკი“ ააფეთქეს და უკან „ჩინუკით“ გაფრინდნენ. ქალები და ბავშვები ადგილზე დატოვეს, მათთან საქმე პაკისტანის ხელისუფლებას რომ გაერკვია.

### ბინ ლადენი მუსლიმანური წეს-ჩვეულების ზუსტი დაცვით დაკრძალეს

ჯელალაბადის ბაზაში ბინ ლადენის ცხედარს ფოტო გადაუღეს და ბაგრამის ბაზაში გაგზავნეს. ამერიკულმა თვითმფრინავმა, რომელშიც ბინ ლადენის ცხედარი ესვენა, პაკისტანის საჰაერო სივრცე უნებართვოდ გადაკვეთა, რადგან ამერიკელები შიშობდნენ, რომ აბოტაბადის ოპერაციით დამცირებული პაკისტანელები მათ ამის ნებას არ მისცემდნენ. თვითმფრინავი ხომალდ „კარლ ვინსონის“ გემბანზე დაჯდა. იქ ბინ ლადენის ცხედარი განბანეს, თეთრ სუდარაში გაახვიეს, აწონეს და ტომარაში მოათავსეს. ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ობამას მრჩევლის, ჯონ ბრენანის თქმით, ყველაფერი მუსლიმანური წეს-ჩვეულების ზუსტი დაცვით გაკეთდა. სხეული წყალში ჩაუშვეს.

6 მაისს „ალ-ქაიდამ“ ბინ ლადენის სიკვდილი დაადასტურა და ამერიკელებს შეჰპირდა, — სიხარული მწუხარებით შეგეცვლებათ, თქვენი ცრემლები კი სისხლს შეერევაო. იმავე დღეს პრეზიდენტი ობამა DEVGRU-ს სპეცრაზმელებსა და შვეულმფრენების ეკიპაჟებს შეხვდა. „მან ჯგუფის ყველა წევრთან სათითაოდ გადაიღო ფოტო და ბევრ მათგანს გაესაუბრა, მაგრამ ერთ თემას საერთოდ არ შეხებია. პრეზიდენტმა ბოლომდე მაინც არაფრით იკითხა, თუ ვინ მოახდინა სასიკვდილო გასროლა, სპეცრაზმელებმა კი ინიციატივა საკუთარ თავზე არ აიღეს და არ უთხრეს მას ამის შესახებ“, — დაასკვნის სტატიის ავტორი.

***რედაქციისგან:*** *ბინ ლადენის ლიკვიდაციაში მონაწილე ამერიკელ სპეცრაზმელთა ერთი ჯგუფი ახლახან, ავღანეთში შვეულმფრენის ჩამოგდების შედეგად დაიღუპა.* ■

*მოამზადა*
*რუსუდან ლებანიძემ*



# თბილისში არატრადიციული ორიენტაციის ფრანგებზე თავდასხმები მოხდა

## სტეფან კოჰენის მკვლელობისთვის არასრულწლოვანი უმკაცრესად დასაჯეს

*თეა ხურცილავა*

2011 წლის 26 იანვარს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მომხდარი მკვლელობა საკმაოდ რეზონანსული იყო. იმ ღამით, თავის ნომერში მყოფი მოქალაქე გვერდითი ნომრიდან გამოსულმა ჩხუბის ხმამ იმდენად შეაწუხა, რომ მორიგეს აცნობა: — საშინელი ხმები გამოდის და იქნებ ნახოთ, მეზობელ ოთახში რა ხდებაო. დაცვის თანამშრომლები სასწრაფოდ იქ მივიდნენ. ოთახიდან მამაკაცმა უპასუხა, — არაფერი ხდებაო. თანამშრომლები მაინც დაჟინებით ითხოვდნენ კარის გაღებას, მაგრამ მათ ხმა არავინ გასცა. საპატრულო პოლიცია გამოიძახეს, კარი შეამტვრიეს და შესასვლელიდან ერთ მეტრში 27 წლის კაცი, ყელგამოჭრილი, იატაკზე დაგდებული იპოვეს. ფრანგი მოქალაქე სტეფან კოჰენი საქართველოში სამუშაო ვიზიტით იყო ჩამოსული. მას სხეულზე მრავალი ჭრილობა და სისხლჩაქცევა აღენიშნებოდა. სისხლის კვალი მთელ ოთახში იყო: სააბაზანოში, ლოგინზე, ხალიჩაზე, კორიდორში. აბაჟური ჩატეხილი დახვდათ, ოთახში ხელჩართული ბრძოლის კვალი შეინიშნებოდა. ფანჯრის მინა ამოღებული იყო. დამნაშავეს გაქცევა მოეხერხებინა.

მკვლელობის მეორე დღეს, ძალოვნებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი დააკავეს.

საქმის მიმართ საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ზვიად ესებუა) საქმის განხილვა ისე დაასრულა, რომ დეტალები არ გამომზეურებულა. სასამართლო სხდომები დაიხურა, რადგან განსასჯელი არასრულწლოვანი იყო. მის ინტერესს ადვოკატი ნინო კაკაურიძე იცავდა. სხდომებზე დასწრება ვერ შეძლეს მოკლულის ოჯახის წევრებმაც, ამიტომ, დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსით, პროცესზე ადვოკატი არჩილ კბილაშვილი დაიკითხა.

საქმის მასალების მიხედვით, სტეფან კოჰენი საქართველოში 10 იანვარს ჩამოვიდა. ფრანგული საერთაშორისო საინჟინრო კომპანია „სისტრა“, თბილისში ტრამვაის პროექტს ახორციელებს. კომპანიის 9 თანამშრომელი და მათ შორის სტეფან კოჰენი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდნენ. გამოძიების მტკიცებით, იანვრის შუა რიცხვებში, კოჰენმა მთაწმინდის პლატოზე შემთხვევით გაიცნო თბილისის ერთ-ერთი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. მთაწმინდის პარკისა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ისეირნეს, მერე ერთმანეთს დაშორდნენ და მომავალი შეხვედრის მიზნით, ტელეფონის ნომრები გაცვალეს.

25 იანვარს, თბილისელმა არასრულწლოვანმა ახალგაცნობილს მესიჯი გაუგზავნა და ისინი შეხვედრაზე შეთანხმდნენ. მეორე დღეს, საღამოს 6 საათზე შეხვდნენ ერთმანეთს; ფრანგმა ის სასტუმროში დაპატიჟა. დაახლოებით 3 საათი ერთად გაატარეს სასტუმროს ნომერში. ნოუტბუკის გამოყენებით „სკაიპობდნენ“, თან ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ, ახალი ნაცნობები შეკამათდნენ, მერე კამათი ჩხუბში გადაიზარდა. კოჰენმა საწოლზე წააქცია არასრულწლოვანი, ამ დროს ბიჭმა შარვლის უკანა ჯიბიდან დანა ამოიღო, ხელის დაჭერით გახსნა და პირველივე დარტყმა კოჰენს ყელის არეში მიაყენა, შემდეგ იმავე დანით გულმკერდისა და მუცლის არეში მრავალი დაზიანება მიაყენა. ფრანგი ადგილზევე გარდაიცვალა.

მკვლელობის შემდეგ დამნაშავემ მოკლულის ზურგჩანთაში კოჰენის კომპიუტერი, ფოტოაპარატი, 3 მობილური ტელეფონი, ხელის ფარანი და სხვა ნივთები ჩაალაგა, დანით სასტუმრო ოთახის ფანჯრის მინა ამოიღო და მეორე სართულის ვერანდაზე გადახტა, იქიდან — სასტუმროს გვერდით მდებარე საცხოვრებელ კორპუსში გადაძვრა და მესამე სართულის აივანზე აღმოჩნდა; ღია კარიდან ოთახში შევიდა, ფარდა ჩამოგლიჯა, როგორც თოკი, ისე გამოიყენა და ლეონიძის ქუჩაზე ჩავიდა. ძალოვნებს ვარდისფერი ფარდა კორპუსის კედელზე ჩამოკონწიალებული დახვდათ. ეჭვმიტანილის დაკავების შემდეგ, მას მოკლულის პირადი ნივთები და მკვლელობის იარაღი — დანაც აღმოუჩინეს.

განსასჯელი სასამართლოს წინაშე ორი მუხლით წარდგა — განზრახ მკვლელობისა და ქურდობის ბრალდებით გაასამართლეს.



მოწმე ირაკლი ქუთათელაძე

სხდომაზე განსასჯელმა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და მკვლელობის მოტივი დაასახელა.

არასრულწლოვნის ჩვენებიდან:

*„...მითხრა, სასტუმროში ავიდეთ და იქ ვისაუბროთო. ცოტა ხანში სიგარეტის მოწევა მომინდა და მოსაწევად ქუჩაში გავედი. კოჰენმა პლასტიკური ბარათი მომცა, რომ ლიფტით მესარგებლა. ბარათის გამოყენება არ ვიცოდი და სასტუმროს თანამშრომელს დახმარება ვთხოვე. სიგარეტი გარეთ მოვწიე და ისევ ნომერში დავბრუნდი. ამის შემდეგ კომპიუტერით მეგობრებს ვუკავშირდებოდით და თან ვსაუბრობდით. მერე სტეფანომ ძალის გამოყენებით ჩემთან სქესობრივი კავშირის დამყარება სცადა და საწოლზე დამაგდო. ამ დროს შარვლის უკანა ჯიბიდან გასახსნელი დანა ამოვიღე და ყელში დავარტყი. კოჰენი წამოდგა და წაბარბაცდა. ისევ წამოვიდა ჩემკენ და როდესაც დავაპირე მეორედ დანის დარტყმა, მარცხენა ხელის ცერა თითზე მიკბინა და ფრჩხილი მომგლიჯა. გამწარებულმა, კოჰენს მერე დანა რამდენჯერმე დავარტყი. ის დერეფნისკენ გაიქცა, კარი გააღო და რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა. უკან გავყევი, დავეწიე და ძალით ისევ ოთახში შევიყვანე. კოჰენმა გონება დაკარგა და იატაკზე დაეცა. მაშინ მივხვდი, გარდაცვლილი რომ იყო. შემდეგ სააბაზანოში შევედი, სისხლიანი ხელები დავიბანე, ამ დროს კარზე ბრახუნი მომესმა. სასტუმროს თანამშრომელი კარის გაღებას ითხოვდა. ვუთხარი, — არაფერი ხდება, ყველაფერი კარგად არის-მეთქი. ისევ დაჟინებით მოითხოვა, კარი გამეღო, მაინც არ გავუღე და სასტუმროს ფანჯრიდან გაქცევა გადავწყვიტე. ზურგჩანთაში ჩავალაგე ნივთები... ფლეიერი და საფულეც. დანით, რომლითაც ის მოვკალი, ფანჯრის მინა ამოვიღე, მოვიკიდე ზურგჩანთა და ფანჯრიდან გადავძვერი. იქიდან მეორე სართულის დიდ ვერანდაზე გადავძვერი, შემდეგ — ერთ-ერთ აივანზე, მერე ოთახში, ლეიბზე გადაფენილი ფარდები ვნახე, ის ავიღე, ერთმანეთზე გადავაბი, აივნის მოაჯირს მოვაბი და ასე აღმოვჩნდი ქუჩაში... მეორე დღეს მეგობარს შეხვედრა ვთხოვე. ვუამბე, რომ კაცი მოვკალი. ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექით, ორივე პოლიციამ რომ დაგვაკავა“.*

სხდომაზე დაკითხულმა არჩილ კბილაშვილმა მოკლული დადებითად დაახასიათა. განმარტა, რომ ის განათლებული, თავისი საქმის პროფესიონალი იყო.



მოკლული სტეფან კოჰენი


ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲚᲘᲑᲔᲚᲣᲡᲘ“

აბიტურიენტთა და მოსწავლეთა მოსამზადებელმა ცენტრმა „ლიბელუსმა“ დაიწყო მსურველთა მიღება. გთავაზობთ მაღალრეიტინგულ სწავლებას კვალიფიცირებული, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგების მიერ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, აბიტურიენტებს – ეროვნული და მოსწავლეებს – საატესტატო გამოცდებისთვის, ასევე ნებისმიერ მსურველს ყველა საგანში.

სწავლება იწარმოებს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად (სურვილის შესაბამისად).

ფასდაკლება მოქმედებს რამდენიმე საგნის არჩევის შემთხვევაში.

ᲢᲔᲚ: 555 27 80 77; 593 63 89 37; 568 81 13 85

ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: eruditesociety@yahoo.com

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Რ. ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ №15 ᲥᲐᲨᲣᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ

## კრიმინალი

პროცესზე დასაკითხად არ მისულან კომპანია „სისტრას“ თანამშრომლები. ისინი სხდომების მიმდინარეობისას საფრანგეთში იმყოფებოდნენ, ამიტომ მათი ჩვენებები გამოქვეყნდა. ისინი მოკლულს დადებითად ახასიათებდნენ.

არასრულწლოვანიც დადებითად დაახასიათა მისი კლასის დამრიგებელმა და მასწავლებელმა.

მოწმე ჩიჩუას ჩვენებით, ღამით, პირველის ნახევარზე გვერდით ნომრიდან ხმაური გაისმა, კერძოდ — ავეჯის გადაადგილების, ბრაგუნისა და კედელზე რაღაცის დარტყმის ხმა ისმოდა; მერე მამაკაცის ყვირილი გაიგონა, მაგრამ ვერ გაარჩია, რას ყვიროდა; ამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მოწმემ კარის ხმა გაიგონა, მისი ვარაუდით — ვიღაცა ოთახიდან გავიდა; ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისევ შემოესმა კაცის ყვირილი, მაგრამ ისევ ვერ გაარჩია, რას ყვიროდა. ვინაიდან ყვირილი შემაწუხებელი იყო, სასტუმროს ადმინისტრაციას შეატყობინა.

ექსპერტიზის დასკვნით, განსასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, სრულად შეეძლო თავისი ქმედების გაკონტროლება.

**ჩემი ინფორმაციით, ბოლო წლებში ფრანგ მოქალაქეებზე საქართველოში რამდენიმე თავდასხმა მოხდა, მისი ობიექტები – არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირები იყვნენ**

სასამართლოზე მოწმე ირაკლი ქუთათელაძის ადრე მიცემული ჩვენება გამოაქვეყნეს, რადგან სხდომების დაწყების დროისთვის ის უკვე გარდაცვლილი იყო. ჩვენება მან გამოძიებას მკვლელობიდან რამდენიმე დღეში მისცა. მერე კი თავად, გაურკვეველ ვითარებაში, ნაქირავებ ბინაში ჩამომხრჩვალი იპოვეს (ამის შესახებ „გზის“ ფურცლებზე უკვე მოგითხრობდით). კოჰენის ბისექსუალობას ქუთათელაძეც ადასტურებდა. ამბობდა, რომ იგი სოციალური ქსელის საშუალებით გაიცნო. თბილისში მისი ჩამოსვლის შემდეგ ერთმანეთს ხვდებოდნენ და მკვლელობის დღესაც სასტუმროში ქუთათელაძეც ეწვია. „კოჰენმა მითხრა, რომ „გეების“ ქსელში თბილისელი არასრულწლოვანი გაიცნო, რომელიც 24 იანვარს სასტუმროში ჰყავდა და უსახსრობის გამო მას 50 ევრო აჩუქა“, — ამბობდა ქუთათელაძე.

მართალია, განსასჯელის პოზიციას მოწმე ქუთათელაძის ჩვენებაც ამყარებდა, მაგრამ სასამართლომ არ გაიზიარა ჩვენება იმ ნაწილში, რომ ბრალდებული მოძალადისგან თავს იცავდა, — *„...ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაჭრილმა ოთახის კარი გააღო და შეეცადა, თავი დაეღწია დამნაშავისგან. მან კი მსხვერპლს არ მისცა გაქცევის საშუალება, ძალით ისევ შეათრია ოთახში და დანით მრავლობითი დაზიანება მიაყენა. ამის შემდეგ მის პირად ნივთებს დაეუფლა და მიიმალა“*, — ვკითხულობთ განაჩენში.

მოსამართლემ საკმაოდ მკაცრი სასჯელი გამოუტანა ბრალდებულს: მკვლელობისთვის — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქურდობისთვის — 5 წელი და 2.000-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა, მაგრამ ვინაიდან იგი არასრულწლოვანი იყო, გამოტანილი სასჯელის მეოთხედი მოაკლდა და საბოლოოდ, 15 წლით გაამწესეს ციხეში.



რადგან პროცესი დახურული იყო, დაზარალებულს დასწრების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ მისი მშობლების საქართველოში ჩამოსვლას აზრი დაეკარგა

განაჩენი სააპელაციო სასამართლოში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

ადვოკატ არჩილ კბილაშვილის თქმით, კოჰენის ოჯახი მიიჩნევს, რომ ბრალდებულმა სასჯელის მაქსიმუმი დამსახურებულად მიიღო. რადგან პროცესი დახურული იყო, დაზარალებულს დასწრების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ მისი მშობლების საქართველოში ჩამოსვლას აზრი დაეკარგა.

**არჩილ კბილაშვილი:**

*— რაც შეეხება მოკლულის ორიენტაციას: ამაზე ცალსახად მხოლოდ ბრალდებულმა ისაუბრა — თქვა, რომ კოჰენს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება სურდა, თვითონ კი თავს იცავდა; სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება მისი ბისექსუალურობისა საქმეში არ მოიპოვება. თუმცა მისი ბისექსუალურობა არავის უარუყვია და ახლობლებს არ გაუპროტესტებიათ. ვფიქრობ, მკვლელობის მოტივი ბოლომდე გარკვეული არ არის. განსასჯელის ჩვენება რაიმეთი არ არის უარყოფილი, მაგრამ არც გაზიარებული იქნა, რომ ჩხუბი ძალადობის მცდელობას მოჰყვა.*

**— განსასჯელს მაქსიმალური სასჯელი გამოუტანეს; როგორ ფიქრობთ — მოკლული უცხოელი მოქალაქე რომ არ ყოფილიყო, არასრულწლოვანს ასე მკაცრად დასჯიდნენ?**

*— არის თუ არა ეს სასჯელი მსხვერპლის „უცხოელობიდან გამომდინარე“, ამაზე პირდაპირი არგუმენტი არა მაქვს, მაგრამ შესაძლოა, იყოს, მით უმეტეს, როცა საქმე რეზონანსულია, როცა საელჩოა დაინტერესებული. ჩემი ინფორმაციით, ბოლო წლებში ფრანგ მოქალაქეებზე საქართველოში რამდენიმე თავდასხმა მოხდა, მისი ობიექტები — არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირები იყვნენ. არ ვიცი, ეს ფაქტები თავის დროზე რამდენად გახმაურდა, მაგრამ საელჩოს ინტერესი დიდი იყო და მათ აინტერესებდათ — მომხდარი დანაშაულები ერთმანეთს ხომ არ უკავშირდებოდა და ხომ არ იყო ეს სერიული დანაშაული... დანარჩენი ორი შემთხვევაც თბილისში მოხდა. ერთი ფრანგი მოქალაქე ვაკის პარკში დაჭრეს, მეორე კი გაურკვეველ ვითარებაში მოკლული იპოვეს. არ ვიცი, პროცესუალურად რა შედეგი მოჰყვა იმ საქმეებს. ჩემი ინფორმაციით, ორივე დანაშაული გაუხსნელია. ამიტომ ინტერესი დიდი იყო. მაგრამ კოჰენის მკვლელობას სერიულობის არაფერი ეტყობა. რეზონანსი იმანაც გამოიწვია, რომ კომპანია საერთაშორისო პროექტს ახორციელებს და, ამ პროექტის ფარგლებში ჩამოსულ მოქალაქეს რომ კლავენ, ეს გადამეტებულ ყურადღებას იწვევს. სასამართლოს შეეძლო, არჩევანი ქვედა ზღვარიდან — 9 წლიდან განესაზღვრა, მაგრამ მას მაქსიმალური სასჯელი — 15-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.* ■

# 9 წლის სანდროს სიცოცხლის გადასარჩენად

**უბედური შემთხვევის შედეგად, ხობის მკვიდრმა, 9 წლის სანდრო ჩიტაიამ უმძიმესი ტრავმა მიიღო და ახლა მისი სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ ურთულესი ოპერაციის შედეგადაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ამ დონის ოპერაციას საქართველოს სამედიცინო კლინიკებში ჯერჯერობით ვერ ატარებენ, საზღვარგარეთ სამკურნალოდ საჭირო თანხა კი ოჯახს არ გააჩნია. ახლა პატარა ბიჭის ბედი კეთილ ადამიანებზეა დამოკიდებული.**



*ეთო ყორღანაშვილი*

**ვილგენი ჩიტაია,** *სანდროს მამა:*

— უბედურ შემთხვევამდე, სანდრო ძალიან აქტიური, ჯანმრთელი ბავშვი იყო: ჭიდაობაზე, ფეხბურთზე, ცეკვის წრეზე დადიოდა. სკოლაში წარჩინებით სწავლობდა. ფეხბურთშიც წარმატებები ჰქონდა... დეკემბრიდან ბევრი ტკივილი გადაიტანა: უბედური შემთხვევის (მანქანა დაგორდა და ბავშვს დაეჯახა) შედეგად, მისი მდგომარეობა ისეთი მძიმე იყო, რომ სანდრო ზუგდიდის საავადმყოფოდან რეანიმობილით თბილისში, „ჟვანიას საავადმყოფოში“ გადმოვიყვანეთ. ექიმებმა ბავშვი ფაქტობრივად „მაჩუქეს“ — მის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთეს. სანდროს მენჯის ძვლების მოტეხილობა ჰქონდა, ურეტრა — მოგლეჯილი... ექიმების წყალობით, ჩემი შვილი რთული მდგომარეობიდან ნელ-ნელა გამოდიოდა: ორი თვის განმავლობაში სამედიცინო ჰამაკზე იყო ჩამოკიდებული, მერე ყავარჯნებით სიარულიც დაიწყო. პროფესორები მამშვიდებდნენ, რომ იმ ოპერაციას, რომლის გაკეთებაც სანდროს ახლა სჭირდება, ჩაუტარებდნენ და ყველაფერი კარგად იქნებოდა. სამწუხაროდ, მათ ჩემი შვილის მდგომარეობის სირთულე არ იცოდნენ — ბავშვისთვის გამოკვლევის ჩატარება მხოლოდ 6 თვის შემდეგ (მას შემდეგ, რაც ანთება ჩაცხრებოდა და მოტეხილობები შეხორცდებოდა) იყო შესაძლებელი. ამ ხნის განმავლობაში მშვიდად ვიყავი. ივნისში, უროლოგიურ ცენტრში ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისი მდგომარეობა უმძიმესია და ოპერაციის საქართველოში გაკეთება შეუძლებელია. ბავშვის მონაცემები გერმანიის კლინიკაში გავგზავნეთ. მხოლოდ ოპერაციისათვის 14 ათასი ევროა საჭირო...

2 კვირაში ერთხელ, სანდროს კათეტერს ვუცვლით, რაც მას დიდ ტკივილს აყენებს. როცა კათეტერი კარგად „ჯდება“, ბავშვს ტკივილი უყუჩდება და ხასიათიც გამოუკეთდება ხოლმე. ამ დროს, ხანდახან ველოსიპედზეც ჯდება... კათეტერის გამოცვლა ხშირადაა საჭირო, რომ ორგანიზმში ინფექცია არ შეიჭრას. სამწუხაროდ, 10-დან 8 შემთხვევაში კათეტერი ცუდად „ჯდება“ (ეს ექიმების ბრალი არ არის) და სანდრო საშინელ ტკივილს უძლებს, სიარულს ვერ ახერხებს... მეგობრებთან ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობს. ბავშვებიც მხარში ედგნენ — დაბადების დღეზეც ეწვივნენ... სანდრო პატარა აღარ არის და ყველაფერს ხვდება. უბედურ შემთხვევამდე, საცხოვრებლად ახალ ბინაში გადასვლას ვაპირებდით. სულ იმ დღეზე ოცნებობდა, როცა ახალ ბინაში დავსახლდებოდით. ახლა მისი უმთავრესი ოცნება — ოპერაციის გაკეთებაა. წინა 3 ოპერაცია საკუთარი ხარჯებით გავუკეთეთ (არც სამედიცინო დაზღვევა გვქონდა და არც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ვიყავით), ახლა კი საჭირო თანხა აღარ გვაქვს...

ორთაჭალაში, 40 სებასტიანელ მოწამეთა სახელობის ეკლესიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. როცა არქეოლოგებმა და ეკლესიის წარმომადგენლებმა ჩემი შვილის ამბავი შეიტყვეს, მხარში ამომიდგნენ. მათი დახმარებით, საქველმოქმედო ფონდი შევქმენით.

**გთხოვთ, პატარა სანდროს მდგომარეობა გაითვალისწინოთ და თუ შესაძლებლობა გაქვთ, მას ფინანსურად დაეხმაროთ.**

**„ლიბერთი ბანკი“, (ისანი-სამგორის ფილიალი 402), საბანკო კოდი** / SWIFT codi: LBRTGE22 **ააიპ ფონდი სანდრო; ლარის ანგარიში:** GE45LB0115166473129000

**„თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი, საბანკო კოდი:** TBCBGE22 **ააიპ ფონდი სანდრო; ლარის ანგარიში:** GE68TB7012336080100001

**„კორ სტანდარტ ბანკი“, საკორესპონდენტო ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი № 900161245; კოდი:** 220101945; AGREGE22 **ააიპ ფონდი სანდრო;** GE21 KS00 0000 0360 8000 87

**ტელ: 200-282 („ბილაინი“, „მაგთი“, „ჯეოსელი“)** ■



# სახე

# ვინ შეაყვარა რუსული რომანსები სოფო გელოვანს

**მომღერალ სოფო გელოვანს გაცნობიერებული აქვს, რომ რუსეთი დიდი შესაძლებლობის ქვეყანაა, მაგრამ მაინც სამშობლოში სიმღერას ამჯობინებს. მან გადატვირთული სამუშაო გრაფიკისგან თავის დაღწევა მხოლოდ ზაფხულის ბოლო თვეს მოახერხა...**



ჩემთვის ასეთი საოცარი აკომპანემენტი არავის გაუწევია

## „მიხაილ აბტიაკმანის სიკვდილმა ტრავმა მომაყენა“

*ეთო ყორღანაშვილი*

— **სოფო, ზაფხული როგორ გაატარე?**

— ოჯახთან ერთად, ბაკურიანში ვიყავი.

— **დასასვენებლად ბაკურიანი რატომ შეარჩიე?**

— ბავშვის გამო. იქაური ჰაერი ჩემს დათას ძალიან უხდება. მშვიდ გარემოში კარგად დავისვენე.

— **ასეთ გარემოში ზაფხული პირველად გაატარე თუ ზოგადად, პასიური დასვენების მოყვარული ხარ?**

— წელს მართლა დავიღალე — გადატვირთული გრაფიკი მქონდა და ამიტომაც, მშვიდად ყოფნა მინდოდა. საერთოდ, პასიური დასვენება არ მიყვარს და ზღვაზე უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე მთაში. ჩემი მეუღლე კი მთაზე გიჟდება.



— **ხშირ შემთხვევაში, ეს საკითხი ვის სასარგებლოდ წყდება ხოლმე?**

— აჭარაში, სოფელ ქობულეთში სახლი გვაქვს (დედა წარმოშობით აჭარიდანაა). იქ ერთდროულად, მთაში დასვენებაც შეგიძლია და ზღვაზეც: სოფელი მთაზეა, ცოტა ქვემოთ კი ზღვაა. მთელი ბავშვობა იქ გავატარე, განსაკუთრებულად ლამაზი ადგილია!..

— **კარგად ცურავ?**

— ნორმალურად. ძალიან პატარა ვიყავი, ცურვა რომ ვისწავლე. მახსოვს, ზღვაში ბიძაშვილებთან ერთად შევდიოდი და ძალიან შორს მივცურავდით — ნაპირიდან არ ვჩანდით.

— **ეს ნამზეური ბაკურიანში მიიღე?**

— ცოტა ხნით ბაზალეთზე ვიყავი, მერე თბილისში, აუზზეც გავირუჯე, ბოლოს კი ბაკურიანის მზესაც მივეფიცხე...

— **ნამზეურს იოლად იღებ?**

— კი, მაგრამ ამ ზაფხულს განსაკუთრებული მზე იყო: ისე არასდროს დავმწვარვარ, როგორც წელს.

— **ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ხომ არ შეგექმნა?**

— არა. უბრალოდ, გავწითლდი და კანი ამძვრა... ასე პირველად დამემართა.

— **კარგი. შენს შემოქმედებით ცხოვრებაზეც ვისაუბროთ: „ჯეოსტარის“ შემდეგ, შენი კარიერა როგორ გაგრძელდა?**

— პროექტმა ჩემს კარიერაზე და საერთოდ, ცხოვრებაზე დადებითად იმოქმედა. ჩემთვის ხალხის სიყვარული ყველაზე ძვირფასია; ამ სიყვარულს ყველასგან ვგრძნობ და ბედნიერი ვარ!.. „ჯეოსტარის“ შემდეგ, ბევრი საქმიანი შემოთავაზება მივიღე, რაღაც პროექტებზე ვმუშაობ. საქველმოქმედო კონცერტებშიც ხშირად ვმონაწილეობ და მიხარია, რომ ამ საქმეში წვლილის შეტანა შემიძლია. თბილისიდან გასვლა მხოლოდ ზაფხულის ბოლო თვეს მოვახერხე... მალე ვაჟა აზარაშვილის საღამო გაიმართება, სადაც ძველ სიმღერებს ახლებურად შევასრულებ. სხვათა შორის, ყველაზე მეტად ქართული მუსიკა მიყვარს და მსიამოვნებს.

— **შენი აზრით, ქართული მუსიკა კომერციულია?**

— ბევრი ამბობს, რომ კომერციული არაა, მე კი მიმაჩნია, რომ ეს მომღერლებზეა დამოკიდებული — თუ ამ ჟანრის სიმღერებს უფრო ხშირად ვიმღერებთ, კომერციული გახდება.

— **სოფო, რუსეთ-საქართველოს ომი რომ არა, კარიერას რუსეთში გააგრძელებდი?**

— რუსეთი დიდი შესაძლებლობის ქვეყანაა. იქ მომღერალს ფართო ასპარეზი აქვს. საქართველო ის პატარა ქვეყანა გახლავთ, სადაც ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს. დიდ ქვეყნებში მომღერლებს მეტი გასაქანი აქვთ — იქ ფართო აუდიტორიაა და თითოეულ შემსრულებელს თავი-

სი მსმენელი ჰყავს. მუსიკალური თვალსაზრისით, რუსეთში ცხოვრებამ ბევრი რამ შემძინა. არაჩვეულებრივ ადამიანთან — კონცერტმაისტერ მიხაილ აბტიაკმანთან ვთანამშრომლობდი და რუსული რომანსი სწორედ მან შემაყვარა. მასთან 5 წლის განმავლობაში ვიმუშავე. გამოგიტყდებით და, როცა პროდიუსერმა აბტიაკმანთან პირველად მიმიყვანა და მკაცრი გამომეტყველების მქონე მაესტრო დავინახე, ცოტა არ იყოს, შევშინდი. ბატონმა მიხაილმა კი მკითხა: — რას იმღერებო? — რაც თქვენ გინდათ. მე ქართველი ვარ, თბილისიდან-მეთქი, — ვუპასუხე. გაეღიმა და „თბილისო“ დაუკრა. ჩემთვის ასეთი საოცარი აკომპანემენტი არავის გაუწევია — მუსიკას საოცრად გრძნობდა და ქართველები ძალიან უყვარდა! დიდი ტრავმა მივიღე, როცა ტელეფონით მისი გარდაცვალების შესახებ შემატყობინეს (მაშინ რუსეთში ვიყავი). ვფიქრობ, განგების ნება იყო, რომ ამ ადამიანს შევხვდი. მან ბევრი რამ მასწავლა...

— **საქართველო ასე ძალიან რატომ უყვარდა, ჩვენს ქვეყანასთან რაიმე კავშირი ხომ არ ჰქონდა?**

— როცა ქართულ სიმღერას ვასრულებდი, ამბობდა ხოლმე: სისხლით ვგრძნობ, რომ ქართველი წინაპარი მყავდაო. ქართული მუსიკა ძალიან უყვარდა. მან მაჩუქა სიმღერა — „გრუზინსკი რომანს“. ეს გახლავთ ქართული რომანსი რუსული ტექსტით. სიმღერისას საოცრად „მომყვებოდა“. არ ვიცი, ვისთან უნდა ვითანამშრომლო, რომ ისეთივე სიამოვნება მივიღო, როგორსაც მასთან მუშაობა მანიჭებდა. ამის შესახებ მაესტროსაც ვუთხარი. მიპასუხა: კიდევ ბევრ კარგ მუსიკოსს შეხვდები, დამიჯერეო. ვიმედოვნებ, ასეც იქნება. მომღერლისთვის ნამდვილ პროფესიონალებთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა.

— **„გრუზინსკი რომანსის“ მოსმენის საშუალება ქართველებს გვაქვს?**

— ეს სიმღერა საქართველოში ჯერ არ შემისრულებია, მაგრამ ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ მოისმინოთ.

— **რუსეთში დაბრუნებას ხომ არ აპირებ?**

— არა. გარკვეული შემოთავაზებები კი მქონდა, მაგრამ თავს უფლება არ მივეცი, წავსულიყავი. იმედია, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა „დათბება“... ■

# „იქ ყველამ იცის, რომ ქართველი ვარ!“

**სულ მალე ქალაქ ხობი უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ საერთაშორისო ფესტივალს — „სიმღერა სამეგრელოზე“ — უმასპინძლებს, რომლის უმთავრესი მიზანი ქართული ფოლკლორისა და სპორტის წარმოჩენა, ძველი კორიფეების დაფასება და პოპულარიზაციაა. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები გვპირდებიან, ღონისძიებას უამრავი სტუმარი ეყოლება, როგორც საქართველოდან, ისე 10-მდე სხვა ქვეყნიდან. გარდა იმისა, რომ ხობში თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მომღერალი იმღერებს, სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოდის მოსკოვში მყოფი ქართველი მომღერალი — დათო ხუჯაძეც. „გზის“ ჟურნალისტები მას ხობში შევხვდებით, მანამდე კი ინტერნეტით დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. დათო, როგორც ყოველთვის, მოზომილი და თავშეკავებულია, არ გამოირჩევა ენაწყლიანობით. მან ჩემ მიერ დასმულ ყველა კითხვას მოკლედ უპასუხა.**

ლალი ფაცია

— **დათო, უპირველეს ყოვლისა, გამარჯობა! 5 წელია, შენთან ინტერვიუ არ ჩამიწერია. როგორ ხარ, რას შვრები?**

— მშვენივრად ვარ, დიდი მადლობა. მუდმივად საქმეში ვარ ჩართული. არ ვღალატობ ჩემი ბავშვობის ოცნებას და იმ წლებს, რომლებიც სცენაზე მაქვს გატარებული. მოკლედ, კვლავინდებურად ვაკეთებ იმ საქმეს, რაც საკმაოდ კარგად გამომდის.

— **ხობის საერთაშორისო ფესტივალზე — „სიმღერა სამეგრელოზე“ სტუმრობა შენთვის უკვე ტრადიციად იქცა. ისიც ვიცი, რომ ამ ფესტივალისთვის საგანგებოდ მოემზადე — მეგრული სიმღერა გაარემიქსე. გვიამბე ამის შესახებ.**

— ჩემთვის დიდი პატივია აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობა, რომელშიც მართლაც, თითქმის მისი დაარსებიდან ვარ ჩართული. ამასთან, მე და ჩემი პროდიუსერი



## რისთვის ჩამოდის დათო ხუჯაძე სპეციალურად ხობში

— გელა გოგოხია ფესტივალის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც ვმონაწილეობდით: ჩამოგვყავდა რუსი და ევროპელი მომღერლები, რაც იმ დროისთვის იშვიათობა იყო. რაც შეეხება ჩემს რეპერტუარში ჩაწერილ ახალ მეგრულ სიმღერას, ეს ბატონი გოდერძი ბუკიას (*ფესტივალის მთავარი ორგანიზატორი. — ავტ.*) თხოვნა გახლავთ. მან მითხრა: — ფესტივალზე ყოველ წელს, მეგრული სიმღერა უნდა შეასრულოო. მისი თხოვნა ამჯერადაც გავითვალისწინე და მეგრულ სიმღერაზე საცეკვაო რემიქსი გავაკეთე, რომელსაც ჰქვია: „მა სი ვარდი თი შენ მერჩი“ და იმედი მაქვს, რომ ჩვენი პროგრესული ახალგაზრდობა ამ სიმღერას კლუბებშიც დიდი სიამოვნებით მოისმენს.

— **მაინტერესებს, საერთოდ როგორ მოხვდი ამ ფესტივალზე და როგორ გაიცანი მისი მთავარი ორგანიზატორი — გოდერძი ბუკია?**

— ჩვენი გაცნობა სრულიად შემთხვევით, მოსკოვში, ერთ-ერთ საღამოზე მოხდა, შემდეგ კი ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა. ამასთან, ერთმანეთს ერთგულება საქმითაც არაერთხელ დავუმტკიცეთ. ვაფასებ ამ კაცის პატრიოტიზმსა

და ადამიანობას. საქართველოს ღმერთმა უმრავლოს ასეთი ხალხი.

— **ისიც ვიცი, რომ მეგრული ენა კარგად იცი და ახლად ჩაწერილი სიმღერისთვის მეგრული ტექსტი არ დაგიზეპირებია. სად და როგორ ისწავლე ეს ენა? რას ნიშნავს შენთვის მეგრული ენა და საერთოდ, სამეგრელო — საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე?**

— ეს ყველაფერი დედის დამსახურებაა — ქალბატონმა მეგი ჩოჩიამ ბავშვობიდანვე ჩამინერგა სამეგრელოს სიყვარული...

— **რუსეთში ცხოვრობ. საინტერესოა, შენი ეროვნების გამო იქ პრობლემა ხომ არ გექმნება? არ გენატრება საქართველო და თბილისი — ის ქალაქი, სადაც პირველად გახდი პოპულარული, სადაც ხალხმა ძალიან შეგიყვარა?**

— საქართველო და თბილისი ყოველთვის ჩემს გულშია, მუდმივად ჩემია და ჩემთანაა. რაც შეეხება იმ პრობლემას, რაზეც მეკითხებით — ეს დიდი ხანია, გადალახულია...

— **შენს ყოფილ თანაგუნდელებს (ჯგუფ „სახეს“ ვგულისხმობ) არ ეკონტაქტები?**

— ჯგუფიდან ყველასთან მაქვს ურთიერთობა და თანაც, საკმაოდ კარგი, მაგრამ იმის გამო, რომ თითოეულს ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს, სამწუხაროდ, ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით.

— **რუსეთში რომ არ წასულიყავი, როგორ გგონია, აქ შემოქმედებითად გაიყინებოდი?**



**ადამიანს ვინმე ან რამე ერთხელ თუ შეუყვარდა, ის მთელი ცხოვრება ემახსოვრება**

— სამწუხაროდ, საქართველოში პატარა სივრცეა შემოქმედების განსავითარებლად და ისიც საინტერესოა, ადამიანს აქვს თუ არა ამბიცია... მე, როგორც ჩანს, აღმომაჩნდა ამბიცია და ჩემი შემოქმედება არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც გამაქვს. სწორედ ამის დასტურია ჩემი კონცერტები თუ გასტროლები საზღვარგარეთ, რითაც, ვფიქრობ, უცხოელებს კიდევ ერთხელ ვახსენებ საქართველოს სახელს. ბუნებრივია, იქ ყველამ იცის, რომ მე ქართველი ვარ და მგონი, ამაში ცუდი არაფერია...

— **რუსეთში გაგრძელებული კარიერა შენთვის შემოქმედებითად რა ეტაპია?**

— მგონია, რომ შემოქმედებაში ეტაპები არ არსებობს. საქმეს იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ რაღაც ეტაპები გავიარო, არამედ იმიტომ, რომ ეს საქმე მიყვარს და საკუთარ თავს არ ვღალატობ... ხოლო ის, თუ რომელ ეტაპზე ვარ ახლა ან ვიყავი წარსულში, თქვენ განსაჯეთ.

— **საქართველოში ბევრი ფანი გყავდა, გოგონები შენზე გიჟდებოდნენ, შენი ყველა სიმღერა ზეპირად იცოდნენ; „სახის“ გულშემატკივრებს სპორტის სასახლე ვერ იტევდა. ხომ არ გგონია, რომ რუსეთში წასვლით ქართველი თაყვანისმცემლები დაკარგე?**

— სიყვარული, საერთოდ, ძალიან ძლიერი გრძნობაა. ადამიანს ვინმე ან რამე ერთხელ თუ შეუყვარდა, ის მთელი ცხოვრება ემახსოვრება. ასე რომ, არ მიმაჩნია, რომ ის ხალხი დავკარგე, ვინც მგულშემატკივრობდა. ისინი ჩემი ფანები იყვნენ და კვლავაც არიან.

— **ფიქრობ, რომ შენი თაყვანისმცემლები ხობში, ფესტივალზე ჩამოვლენ?**

— :)...

— **მოსკოვში მოღვაწე ქართველ მომღერლებზეც გვიამბე. მათთან ურთიერთობა გაქვს? ქეთა თოფურიას ხშირად ხვდები?**

— ბუნებრივია, ყველასთან მაქვს ურთიერთობა...

— **რუსულ შოუბიზნესში აქტიურად ხარ ჩართული? რუსი ვარსკვლავები გაძლევენ გასაქანს?**

— ჩემს გასაკეთებელს ყოველთვის ვაკეთებ!..

— **მგონია, რომ აქ ისეთ სერიოზულ წარმატებას მიაღწიე, როგორიც ბევრ ქართველ მუსიკოსს არც ღირსებია. მოსკოვში ამ კუთხით რა მოხდა?**

— მოსკოვში შეიქმნა კლიპი სიმღერაზე — „მახინჯი ვარ“, რომელიც რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო ტელეარხებზე ტრიალებდა. ეს იყო პირველი ქართულენოვანი სიმღერა, რომელიც ემ-ტი-ვის ეთერში დაატრიალეს და კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შემიძლია...

— **შემოქმედებისგან თავისუფალ დროს რას უთმობ?**

— შემოქმედებას...

— **ისე, შენს საიტზე ბოლო დროს გადაღებულ ფოტოსურათებს ვათვალიერებდი და თუ მათი მიხედვით ვიმსჯელებთ, სულაც არ ხარ შეცვლილი. ეი. თავს კარგად უვლი ან გივლიან...**

— მაცივარში ვცხოვრობ (*იცინის*)... წარმატებას და მშვიდობას ვუსურვებ ჩემს სამშობლოს!..

■



**საქართველო და თბილისი ყოველთვის ჩემს გულშია, მუდმივად ჩემია და ჩემთანაა**

# რატომ მუშაობდა გიორგი ყიფშიძე ბარმენად

**„ზედმეტი შემოსავალი არასდროს არაა ცუდი და ამიტომაც გადავწყვიტე, ზაფხულში ქობულეთში, ბარმენად მემუშავა“, — მითხრა გიო ყიფშიძემ, რომელიც უკვე სამ ფილმში გადასაღებად მიიწვიეს. მსახიობმა ჩვენთან საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ „სტრეპტოციდის“ კლიენტები მისი დანახვისას გაკვირვებას ვერ მალავდნენ და ეკითხებოდნენ, — ასეთი რა გაგიჭირდა, აქ რომ მუშაობ?.. თუ რა „გაუჭირდა“ გიო ყიფშიძეს და რატომ წავიდა დასასვენებლად მეუღლის გარეშე, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**



## „შვილთან ერთად დასვენება ძვირი სიამოვნებაა“

*მარეხ ჭონიშვილი*

**— გიო, როგორ დაისვენე?**

— ზაფხული ქობულეთში გავატარე და დასვენების პარალელურად, კაფე-ბარ „სტრეპტოციდში“, ბარმენად ვმუშაობდი. ვიყავი თურქეთშიც, სადაც მეგობარმა — გოგლიკამ დამპატიჟა. მას რომ არ წავეყვანე, საზღვარგარეთ ნამდვილად ვერ წავიდოდი, საამისო ფული არ მქონდა.




**— როგორც ვიცი, მუშაობა არ გეზარება და დასასვენებლად წასასვლელი ფული როგორ ვერ შეაგროვე?**

— „ორ კაპიკად“ ვმუშაობდი და აბა, როგორ შევაგროვებდი (*იცინის*)?!

**— ბარმენად მუშაობა რატომ გადაწყვიტე?**

— ბარმენად ბავშვობაშიც მიმუშავია ანუ გამოცდილება მქონდა. ზედმეტი შემოსავალი ცუდი არაა და ამიტომაც გადავწყვიტე, ზაფხულში ქობულეთში მემუშავა. უკვე მეორე წელია, ზაფხულობით ბარის კლიენტებს ვემსახურები.

**— დამსვენებლებს შენი დანახვისას როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— მიღიმოდნენ და მეკითხებოდნენ: — ასეთი რა გაგიჭირდა, აქ რომ მუშაობ?

**— მერე, რას პასუხობდი?**

— გაჭირვება არაფერ შუაშია, უბრალოდ, ეს საქმე თან მსიამოვნებს და თან — შემოსავლის დამატებითი წყაროა-მეთქი. მერწმუნე, ბარმენად მუშაობა არ მეთაკილება. დასვენებისას ცოტა რომ წაიმუშაო, ამით არაფერი დაშავდება...

**— კლიენტები „ჩაის“ გიტოვებდნენ?**

— კი, აბა, ამის გარეშე როგორ შეიძლება (*იცინის*)?!

**— სად უფრო გიყვარს დასვენება — ზღვაზე თუ მთაში?**

— ზღვისპირა ქალაქში დასვენება არა მარტო სასიამოვნო, არამედ სასარგებლოცაა. ასე რომ, ზაფხულში ზღვას ვანიჭებ უპირატესობას, შემოდგომასა და ზამთარში კი მთაში დასვენებას ვამჯობინებ.

**— აქტიურ დასვენებას ანიჭებ უპირატესობას თუ პასიურს?**

— რადგან ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ, აქტიური დასვენება უფრო მიყვარს. თუმცა, გააჩნია — თუკი შემოქმედებითად დატვირთული წელიწადი მქონდა, ვცდილობ, მართლაც დავისვენო, გართობაზე ნაკლებად ვიფიქრო, მაგრამ ეს ზოგჯერ არ გამომდის.

**— წელს დასასვენებლად მეუღლე არ წაგიყვანია?**

— სამწუხაროდ, დასასვენებლად წასვლა მის გარეშე მომიხდა. ჯერ ქობულეთში წავედი სამუშაოდ, მერე კი, როგორც უკვე გითხარი, მეგობარმა თურქეთში დამპატიჟა და უარი ვერ ვუთხარი.

**— მერე, ცოლს გული არ დასწყდა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვინაიდან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, რაღაც ისეთი პრობლემა აქვს, რომ მისთვის მგზავრობა არ შეიძლება, თურქეთში ჩემს გამგზავრებას გაგებით მოეკიდა.

**— რას გულისხმობ? ფეხმძიმედ ხომ არ არის?**

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებ!

**— დასასვენებლად შვილთან ერთად არ მიდიხარ ხოლმე?**

— შვილთან ერთად დასვენება ძვირი სიამოვნებაა, ამას იშვიათად ვახერხებ. მას დედამისთან ერთად, ზღვაზე დასასვენებლად ახლა ვუშვებ.

**— როგორც ამბობენ, ზღვას ფლირტის გარეშე ეშხი არა აქვს...**

— ზღვა ფლირტის გარეშე მართლაც არ არსებობს, მაგრამ როცა დაოჯახებული ხარ, ამ ყველაფრისგან თავს იკავებ. ადამიანს ფლირტაობის შანსი ყოველთვის აქვს, მაგრამ ზოგჯერ თავშეკავება მართებს.

**— საკურორტო რომანისგან თავს დაქორწინებამდეც იკავებდი?**

— რა თქმა უნდა, არა. მქონდა საკურორტო რომანები, მაგრამ ასეთი ურთიერთობა ისევე მალე სრულდება, როგორც იწყება.

**— ამჟამად სად ხარ და რას საქმიანობ?**

— უკვე თბილისში ვარ. სამ ფილმში მიმიწვიეს სათამაშოდ და გადაღებების დაწყებას ველოდები. სხვათა შორის, ერთ-ერთ ფილმს ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი გადაიღებს, რომელსაც განათლება რუსეთში აქვს მიღებული. ■

# რატომ ველარ ჩერდება ნუცა შანშიაშვილი საქართველოში

**„ამერიკა სამოთხეს ჰგავს, მაგრამ იქ ცხოვრება საშიშია!"**


ნუცა დედასთან ერთად

**სიმღერა, ხატვა, მსახიობობა — ეს ყველაფერი მას ისევე სჭირდება, როგორც წყალი ან ჰაერი. ბინა სამ ქვეყანაში აქვს: საქართველოში, რუსეთსა და ამერიკაში. ნიუ-იორკში მისი ბინიდან საოცრად ლამაზი ხედი იშლება, მაგრამ მოგეხსენებათ, ამ ქალაქში ცხოვრება საშიშია — ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკი ქარიშხალ „აირენს" გადაურჩა. ნუცა შანშიაშვილს ამერიკაში შევეხმიანე და ცხადია, პირველ რიგში გადარჩენა მივულოცე.**

*მერი კობიაშვილი*

— ღმერთის წყალობით, გადავრჩით. „აირენის" სიჩქარე რომ არ დავარდნილიყო, ჩემი ბინაც დაინგრეოდა.

— **ნიუ-იორკში მოსახლეობის ევაკუაცია რომ გამოცხადდა, შენ ქალაქიდან არ გასულხარ?**

— ჩემი ბინა საშიშ ზონაში არ იყო და დავრჩი. თქვეს, — ახლა „ხოსე" გვემუქრებაო... ამერიკაში მყოფს თავი სამოთხეში გეგონება, მაგრამ აქ ცხოვრება საშიშია!

— **მგონი დროა, თბილისში გადმობარგებაზე იზრუნო. საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობას ასეთი ქარიშხალი არ ემუქრება.**

— მივეჩვიე უკიდეგანო სივრცეებს და მიჭირს თბილისში გაჩერება. ვგიჟდები მადრიდზე, ბარსელონაზე, პარიზზე, მაგრამ დიდხანს ვერც ევროპაში ვერ ვძლებ. ამ ქალაქებში ყოფნისას ისეთი განცდა მაქვს, თითქოს კონსერვის ქილაში ჩამსვეს და მალე ობი მომედება. აი, ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და ტოკიოში კი თავს საუცხოოდ ვგრძნობ. თან, ამერიკაში საქმეები ისე ამეწყო, რომ ამ ყველაფრის მიტოვება არ შემიძლია.

— **ნიუ-იორკში როგორი ბინა გაქვს?**

— საკმაოდ დიდი ბინაა. ერთი მხრიდან ულამაზესი ოკეანე ჩანს, მეორე მხრიდან კი — აბდღვრიალებული მანჰეტენი. ბინაში შემოსვლისას, პირველ რიგში, ჩემს ნახატებს დაინახავთ — ანუ უცნობიც მიხვდება, რომ სახლში ხელოვანი ცხოვრობს.

— **როგორც ჩანს, ბინა საკუთარი გემოვნებით მოგიწყვია. ამ გარემოში მეუღლე თავს როგორ გრძნობს?**

— თემურს აქვს საკუთარი ოთახი, სადაც მუშაობს. ალბათ, დროთა განმავლობაში ჩვენს ბინაშიც შეიცვლება სიტუაცია: მანჰეტენთან ახლოს მხატვრების დიდი სახელოსნოა, სადაც უზარმაზარი პროექტის განხორციელება შემომთავაზეს. როცა კონტრაქტს მოვაწერ ხელს, სამუშაოდ სახელოსნოში გადავალ. მართალია, ფანჯრიდან ოკეანეს ველარ დავინახავ, მაგრამ სახელოსნოს სარკმლიდანაც არაჩვეულებრივი ხედი იშლება.


როცა რაღაც ცხოვრებისეული კითხვა მიჩნდება, გადავშლი ხოლმე „ვეფხისტყაოსანს" და მასში აუცილებლად ვპოულობ პასუხს

— **მხოლოდ ოკეანის ცქერა გიყვარს თუ ცურვაც გეხერხება?**

— კარგად ვცურავ, მაგრამ ოკეანეში ბანაობა საშიშია და ამას ვითვალისწინებ.

— **რას გულისხმობ?**

— შარშან, იანვარში, კონცერტის მერე მაიამის პლაჟზე გავედი. ულამაზესი თევზი დავინახე — შავი იყო და წითელი კოპლები ჰქონდა. ცურვით გავყევი. კიდევ კარგი, იმ თევზმა გვერდი ამიარა, თორემ რომ შემხებოდა, თურმე ან დენი დამარტყამდა და მოვკვდებოდი, ან მოვიწამლებოდი. ის თევზი „ელექტრონული" და საოცრად შხამიანი ყოფილა. ჰოდა, ამიტომ ვამბობ, რომ ოკეანე საშიშია, შორს ვერ გაცურავ.

— **ჯაზი ბავშვობიდანვე მოგწონდა?**

— კლასიკურ ჯაზზე მართლაც პატარაობიდანვე ვგიჟდებოდი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ჯაზი ჩემი ხელოვნების მთავარი ძარღვი იქნებოდა.

— **საინტერესოა, როგორ მუსიკას უსმენ ხოლმე?**

— მინდა ვიცოდე, რა ხდება მუსიკალურ სამყაროში და ამიტომაც, ყველანაირ მუსიკას ვუსმენ. ხელოვანი ყოველთვის უნდა შეეცადოს, რაღაც ახალი შექმნას და ერთ ადგილაზე არ გაიყინოს. შეიძლება, ძველი სიმღერა შეასრულო, მაგრამ შენს ხმაში ახალი ინტონაცია და ჟღერადობა უნდა იგრძნობოდეს. მოდას რომ აჰყვე, შეიძლება უგემოვნო მუსიკა შექმნა.

— **რომელიმე რეჟისორთან მუშაობაზე გიოცნებია?**

— რომან ვიკტიუკზე უკეთესი რეჟისორი ჯერ არ შემხვედრია და თუ

შემხვდება, ცხადია, მასთან მუშაობა მომინდება. რაც შეეხება შოთიკო კალანდაძეს, მასთან იმიტომ ვთანამშრომლობ, რომ არაორდინარული და საინტერესო პიროვნება, სხვა რეჟისორებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია... საინტერესო იქნება ისეთ რეჟისორთან მუშაობა, როგორიცაა პედრო ალმოდოვარი.

**— შოთიკო კალანდაძეს თამამ და ეროტიკულ სცენებში თამაშზე ხშირად თანხმდები. მსგავსი შემოთავაზება სხვა რეჟისორისგან რომ მიიღო, უარს ეტყვი?**

— ეროტიკულ სცენებში თამაში დამაბრკოლებელი არაა. პირიქით, მსგავსი სცენა მსახიობს განვითარებაში ეხმარება.

**— რომელი მხატვარი მოგწონს? ცუდ განწყობილებაზე მყოფი, ვისი ნამუშევრების დასათვალიერებლად წახვიდოდი?**

— „მეტროპოლიტენ მუზეუმში" და ერმიტაჟში ყოფნა ძალიან მიყვარს. როდესაც მონეს „ვატერლოოს ხიდს" ვუყურებ, ვწყნარდები; ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ამ სურათში ვიძირები. ჩემი საყვარელი მხატვრები არიან: ვინსენტ ვან გოგი, გოგენი, მოდილიანი, შაგალი. მათი სურათების თვალიერებისას საოცარი ენერგიით ვიმუხტები. ვფიქრობ, სწორედ ისაა ჭეშმარიტი ხელოვანი, ვისი შემოქმედებაც საუკუნეებს გაუძლებს და მნახველს ენერგიით დამუხტავს. ხელოვანი არ შეიძლება ეწოდოს მას, ვინც მხოლოდ აპლოდისმენტებსა და იმაზე ფიქრობს, რომ თავზე გვირგვინი დაიდგას და ჯიბეში გარკვეული თანხა ჩაიდოს.

**— თუმცა ცუდი არც ის იქნება, ხელოვანს ნიჭიც რომ ჰქონდეს და ფულიც.**

— რა თქმა უნდა! არსებობს გამონათქვამი: — ხელოვანი მშიერი უნდა იყოს, დიდი ხელოვნება რომ შექმნასო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ფული არ უნდა ჰქონდეს, არამედ ხელოვანი მშიერი შინაგანად უნდა იყოს ანუ გამუდმებით ახლის შექმნა უნდა სწყუროდეს, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ჰქონდეს.

**— თვითკრიტიკული ხარ? ჩაგიწერია თუ არა ისეთი სიმღერა, რომელზეც გითქვამს: ჯობდა, საერთოდ არ მემღერაო?**

— კრიტიკული ნამდვილად ვარ და ასეთ რეალობასაც შევჯახებივარ: სიმღერა არ მომწონებია, მაგრამ სწორედ ის გამხდარა პოპულარული და ხალხისთვის საყვარელი. ასე რომ, მომღერალმა ის უნდა იმღეროს, რაც ხალხს მოსწონს. და კიდევ, ადამიანს თვითკრიტიკის უნარი თუ არ აქვს, დაიღუპება.

**— საყვარელი მწერალი თუ გყავს?**

— ძალიან მიყვარს კარლოს კასტანედა და ფეოდორ დოსტოევსკი.

**— ქართველი მწერლებიდან ვერავის დაასახელებ?**

— სადაც უნდა წავიდე, ყველგან მიმაქვს ორი წიგნი — „ბიბლია" და „ვეფხისტყაოსანი". ისეთი პატარა „ვეფხისტყაოსანი" მაქვს, ხელისგულზე დაგეტევა. შეიძლება ჩემს ამ ნათქვამზე გაგეცინოთ, მაგრამ მერწმუნეთ, შოთა რუსთაველი ბევრ რამეში მეხმარება. მაგალითად, როცა რაღაც ცხოვრებისეული კითხვა მიჩნდება, გადავშლი ხოლმე „ვეფხისტყაოსანს" და მასში აუცილებლად ვპოულობ პასუხს; ვხვდები, იმ მომენტში როგორ უნდა მოვიქცე... ძალიან მიყვარს ვაჟა-ფშაველაც. ვაჟას თითოეულ სიტყვაში ქართველი ადამიანის სულის ფეთქვაა ჩადებული. ტერენტი გრანელი და გალაკტიონი ჩემში ბავშვობიდანაა შემოსული და დამარხული. მიყვარს ბლოკი. გალაკტიონ ტაბიძისა და ბლოკის შემოქმედებას შორის ბევრი რომანტიკული კავშირია...


თემურ ტაგიევისგან მზრუნველობა ვიგრძენი. ის ძალიან მშვიდი ადამიანია

**— სამ ქვეყანაში გიხდება ცხოვრება. საინტერესოა, რომელი ქვეყნის სამზარეულოს ანიჭებ უპირატესობას?**

— საქართველოში ჩამოსულმა შეუძლებელია, ხაჭაპური, ხინკალი და მწვადი არ ჭამო; ნიუ-იორკში მყოფმა აუცილებლად უნდა დააგემოვნო იაპონური და ჩინური კერძები; მოსკოვში შეუძლებელია, ასი გრამი არაყი არ დალიო და კიტრის მწნილი თუ ბორშჩი არ მიაყოლო. მოკლედ, ყველა ქვეყანას თავისი ხიბლი აქვს. ბოლო დროს ჯანმრთელობაზე ვზრუნავ და პურს საერთოდ არ ვჭამ. ვცდილობ, ბოსტნეულითა და მოხარშული ხორცით ვიკვებო. შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე გემრიელი მწვანილი და ბოსტნეული საქართველოშია, მერე მოდის რუსეთი და ა.შ. ამ მხრივ ბოლო ადგილზე ამერიკაა.

**— როგორც ვიცი, შენი მეუღლე წარმოშობით უკრაინელ-აზერბაიჯანელ-სომეხია. ამ ქვეყნებში თაყვანისმცემლები თუ გყავს?**

— უკრაინაში უამრავი თაყვანისმცემელი მყავს. აზერბაიჯანშიც მქონდა კონცერტი და სხვათა შორის, დიდი სიყვარულით მიმიღეს. აი, სომხეთში კი არასდროს მიმღერია და თუ დამიძახებენ, იქაც ჩავალ.

**— მეუღლეში ყველაზე მეტად რა თვისებას აფასებ? პირველად რითი მოგხიბლა?**

— თემურ ტაგიევისგან მზრუნველობა ვიგრძენი. ის ძალიან მშვიდი ადამიანია. ეს კი ზუსტად ისაა, რაც ჩემნაირ გადარეულს სჭირდება (*იცინის*).

**— პირველი ქართველი მსახიობი ხარ, ვისაც რუსეთში „ჩაიკა" მოგანიჭეს (სპექტაკლ „ჩერტაში" შესრულებული მთავარი როლისთვის). საინტერესოა, რომელიმე პრემიის მიღებაზე თუ გიოცნებია?**

— ჩემი ოცნება ბროდვეიზე სიმღერა იყო და ეს ოცნება წელს, 14 იანვარს ამისრულდა. ყველა ნორმალური მსახიობი ოცნებობს „ოსკარზე", მაგრამ არა მგონია, ოდესმე ეს პრემია მივიღო, რადგან მუსიკალურ სფეროს არ ეხება, მე კი ბოლო დროს ძირითადად, სიმღერით ვარ დაკავებული... „გრემის" მიღებაზე ნამდვილად არასდროს მიოცნებია. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ისაა, როცა მსმენელი ფეხზე დგება, ტაშს გიკრავს და გთხოვს, კიდევ უმღერო. სწორედ ასეთი რამ მოხდა ცოტა ხნის წინ, ისრაელში — დარბაზი ფეხზე წამომიდგა. სულ მეშინია, რაიმე ისეთი არ ვიმღერო, რაც ხალხს არ მოეწონება. ხომ გაგიგონიათ, — სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. ■

# „პირველი, ვინც ჩემი წიგნით გათხოვდა, დედაჩემია“

## რითი ერთობა ლალი მოროშკინა




**„...მამაკაცები იყოფიან 4 კატეგორიად. თითოეულ კატეგორიაში 2 ტიპის ადამიანი გვხვდება, და თუნდაც ქვა გახეთქე, ვერაფრით გადააკეთებ... თუ „კადრი“ შენთვის მისაღები და ღირებულია, თავად მოერგე მის ფსიქოტიპს და ათამაშე შენს ჭკუაზე“... „პირველ პაემანზე ასაკი ნაკლებად უნდა გაინტერესებდეს, მით უმეტეს, რომ ეს ის გარემოებაა, რომელსაც ვერ შეცვლი. მთავარია, არ იყოს ძალიან პატარა, რომელსაც გაზრდა და პატრონობა სჭირდება და ძალიან დიდი, რომელსაც გაზრდა არა, მაგრამ პატრონობა მალე დასჭირდება“... „თავმოყვარე მამაკაცი არასდროს მისცემს თავს უფლებას, ჯერ ინტერნეტის სივრცეში ათვალიეროს მომავალი საბედო, მერე კი პაემანზე პირდაპირ დესკტოპიდან „ასწიოს“... „იდეალური მამაკაცი, როგორც წესი, უკვე ზრდასრული მამრია! ის არ დადის ქუჩებში, მას ვერ ნახავთ კინოში, ის არ ქეიფობს რესტორნებში, და საერთოდ, როგორც წესი, მიუწვდომელია... აბა, ისე როგორ იქნებოდა იდეალური?“ — მოკლედ, რაღა გავაგრძელო და ეს ამონარიდები გახლავთ ლალი მოროშკინას წიგნიდან — „ყველა კაცი იდიოტი არ არის ანუ როგორ გავთხოვდეთ“, რომელიც ცოტა ხნის წინ პალიტრა L-მა გამოსცა. ამ წიგნის პრეზენტაციაზე ავტორმა განაცხადა, — მესამედ ვთხოვდებიო და ცხადია, საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც მოექცა, მაგრამ სულ ცოტა ხანში ხალხის ცნობისმოყვარეობა ასე დააკმაყოფილა: რას ამბობთ, რა მესამედ გათხოვება, ეს ყველაფერი წიგნის გასაყიდად საჭირო პიარ-კამპანია იყოო. თვითონ არა, მაგრამ აღნიშნული წიგნის წაკითხვის შემდეგ დედა კი გაუთხოვდა...**

*ლალი ფაცია*

**— ლალი, „გზისთვის“ მოცემულ ბოლო ინტერვიუში, შემდეგ კი ერთ-ერთ ტელეშოუში შენს მესამე წიგნზე — „ყველა კაცი იდიოტი არ არის ანუ როგორ გავთხოვდეთ“ — ლაპარაკის შემდეგ აღნიშნე, რომ მესამედ თხოვდებოდი, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს ტყუილი იყო...**

— ერთს ვიტყვი — მყავს შვილები, მაქვს ჩემი მაკროსამყარო, სადაც თავს ბედნიერად, თავისუფლად და ლაღად ვგრძნობ; მაქვს გეგმები, რომელიც პოლიტიკას უკავშირდება და ზუსტად ვიცი, ამ სიტუაციაში ქმარი მხოლოდ ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება, რადგანაც ქორწინებით გარკვეულწილად, ადამიანის დამოუკიდებლობის ნგრევა ხდება... სხვათა შორის, ჩემს მეორე წიგნზე („უსექსობა პატარა ქალაქში“) მუშაობისას ძალიან დავითრგუნე, რადგან აღვწერე ყველა ის მანკიერი მხარე, რაც ამ ქალაქში არსებობს.

**— არადა, სახელწოდებიდან გამომდინარე, ბევრს ეგონა, რომ წიგნს სექსზე წერდი...**

— დიახ და ხელში შერჩათ მწვავე პოლიტიკური რომანი, მაგრამ ესეც ჩემგან გადადგმული ეშმაკური ნაბიჯი იყო. ძალიანაც კარგი, რომ ასე მაინც ჩავახედე ადამიანები საქართველოს რეალობაში და ზოგს გული დავუწვი, ზოგს — მოვფხანე... ამ წიგნზე მუშაობის შემდეგ განტვირთვა, ამოსუნთქვა იყო საჭირო და საკუთარი თავი მსუბუქი, სახალისო წიგნის წერით გავართე. საერთოდ, ემოციებისგან დაცლაში წერა მეხმარება. ბავშვობაშიც ასე ვიყავი და დედა ყოველთვის ჩემი ნაწერების მიხედვით ხვდებოდა, რა პრობლემა მქონდა... მოკლედ, გართობა მჭირდებოდა, თან ვიფიქრე, რომ ეს არც მკითხველს აწყენდა და სწორედ მათთვის დავწერე წიგნი — „ყველა კაცი იდიოტი არ არის ანუ როგორ გავთხოვდეთ“. სხვათა შორის, ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ერთმა ქალბატონმა წერილი მომწერა, — თქვენგან სერიოზულ ნამუშევრებს მოველით და არა ასეთ სახალისოსო. ისე, მაინც ვერ გავიგე, რატომ უნდა ვწერო მუდმივად ტრაგიკულ თემებზე?!. მოკლედ, სახალისო წიგნზე მუშაობით გული რომ ვიჯერე, გადავწყვიტე, ადამიანებისთვის ჩემი „ზღაპარიც“ შემეთავაზებინა (ზოგჯერ ხალხს ასეთი ამბების მოსმენაც უყვარს); თან მსურდა, გამეგო, რა უფრო აინტერესებთ — დეტალები ჩემი პირადი ცხოვრებიდან თუ კიდევ ერთხელ მოესმინათ ჩვენი მძიმე ყოფის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჩემი პირადი ცხოვრება უფრო საინტერესო ყოფილა. დიახ, მას მერე, რაც ვთქვი, — მესამედ ვთხოვდები-მეთქი, ქვეყანა დაინგრა, მთელი ქალაქი ჩემზე ალაპარაკდა! არადა, ცხოვრებაში გაცილებით მეტი და საინტერესო რამ გამიკეთებია, ვიდრე ჩემი მესამედ გათხოვებაა, მაგრამ საზოგადოებას ასეთი ამბები უფრო აინ-



ცხოვრებაში გაცილებით მეტი და საინტერესო რამ გამიკეთებია, ვიდრე ჩემი მესამედ გათხოვებაა

ტერესებს და სწორედ ამიტომ იყიდება ზოგადად, „ყვითელი პრესა“.

— **ე.ი. ის ადამიანი, ვისზეც საუბრობდი, გამოგონილი იყო?**

— ზოგადად მე, ქორწინებაზე ვლაპარაკობდი და რადგანაც ჩემი მომავალი მეორე ნახევრის სახელი და გვარი არ ვახსენე, ე.ი. რეალური პიროვნება არც არსებობდა. როგორ გგონიათ, 40 წელს გადაცილებული ქალი თეთრ კაბას მესამედ ჩავიცვამდი? რა, ჭკუანაკლულს ვგავარ?! იმ გადაცემაში თეთრი კაბა რომ მეცვა, ეს ინსცენირება იყო და მეგონა, ხალხი მიხვდებოდა, ამ ყველაფერს პიარისთვის რომ ვაკეთებდი. თან, ჩვენი მაყურებელი და მკითხველი ხომ პიარ-კამპანიებით 2003 წლიდანაა განებივრებული, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდნენ. ჰოდა, უკვე აღარ მიკვირს მათი, ვისაც სჯერა, რომ ანაკლია ქალაქია ან 100 უფასო საავადმყოფო გვაქვს...

— **ისე დამაჯერებლად ილაპარაკე, რომ შენს ტყუილში ეჭვი არავის შეჰპარვია... როგორ ფიქრობ, შენი მესამე წიგნი რეალურად დაეხმარება მათ, ვინც გათხოვებას აპირებს?**

— დედაჩემი, რომელსაც ქართულად კითხვა ძალიან უჭირს, ჩემი ერთგული მკითხველია და სწორედ მისი რეაქციის მიხედვით ვხვდები, გამომივიდა თუ არა ნამუშევარი. როდესაც ჩემს ახალ წიგნში გაეცნო იმ გვერდს, სადაც მამაკაცები ფსიქოტიპებადაა დაყოფილი, ბევრი იხარხარა და თქვა, — ახლა ზუსტად ვიცი, მე რა მინდაო. მაშინ მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე და ჩავთვალე, რომ იხუმრა, მაგრამ ცოტა ხანში გამომიცხადა: — მე და ზაზა ხელს ვაწერთო და მართლაც, აგვისტოს მიწურულს ლამაზი ოჯახი შექმნეს. ასე რომ, პირველი, ვინც ჩემი წიგნის დახმარებით გათხოვდა, დედაჩემია. ცოტა ხნის წინ ჩემმა ახალმა მამობილმა — ზაზამ დამირეკა და მითხრა: ხომ იცი, სიტყვა სიტყვაა (ახალი წიგნი ამ სიტყვებით სრულდება: თუ გათხოვდებით, ჩემი ქორწილში დაპატიჟება არ დაგავიწყდეთ-მეთქი), ჩვენს ქორწილში მეჯვარე შენ უნდა იყოო. დედამ გააპროტესტა: იქ რომ მოვიდეს, ჟურნალისტებიც აუცილებლად, ტელეკამერებით მოცვივდებიან. ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც, რაღაც მათ გარეშე გავაკეთოთო...

— **ვინ არის შენი ახალი მამობილი?**

— ბატონი ზაზა ცერცვაძე, შესანიშნავი ადამიანი. მას ხელოვნების მუშაკები კარგად იცნობენ, სუხიშვილების ყოფილი სოლისტია. სხვათა შორის, ზაზას ჩემი თაობის გოგონებიც ეპრანჭებოდნენ. თბილისში ერთ-ერთი სიმპათიური მამაკაცია. დღესაც სუხიშვილების სტუდიაში მუშაობს, მენეჯერია.

— **დედაშენი რამდენი წლისაა?**

— დედა 63 წლის გახლავთ, ზაზა — 65-ის. ჯერ ახალგაზრდები არიან, სიცოცხლით სავსეები და კარგადაც გამოიყურებიან. მგონი, ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ, შემდეგ კი ნაცნობობა სიყვარულში გადაიზარდა... ბევრი მილაპარაკია და დამიწერია თალესზე (ჩემს მამობილზე, ვის ხელშიც გავიზარდე) და კიდევ ბევრს ვილაპარაკებ, რადგან უსაზღვროდ მიყვარდა. როცა ის გარდაიცვალა, დედას სიცოცხლე აღარ უნდოდა, საკუთარ თავში ჩაიკეტა. ბევრი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ დეპრესიიდან გამომეყვანა. ვეუბნებოდი: ასეთი გლოვა უკულტურობის ნიშანია-მეთქი. მოკლედ, ძალიან ნელა, ფრთხილი ნაბიჯებით დავიწყე მისი რეაბილიტაცია — ჯერ თმა შევაღებინე, მერე შავი სამოსი გავხადე... წელს თალესის გარდაცვალებიდან 15 წელი შესრულდა და ზუსტად ვიცი, მანანას ის მთელი ცხოვრება ემახსოვრება. სხვათა შორის, სიკვდილის წინ დედას ასეთი რამ უთხრა: — მანანა, უნდა გათხოვდეო! მახსოვს, დედა მაშინ ძალიან გაბრაზდა, — ეს როგორ მითხრაო?! მაგრამ როდესაც მის ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შეუყვარდა, თალესის სიტყვებმა გათხოვების გადაწყვეტილების მიღება გაუადვილა... მოკლედ, ჩვენს ოჯახს ახალი წევრები, შესანიშნავი ადამიანები — ზაზა და მისი შვილი, დათო ცერცვაძე შემოემატნენ.

— **შენ არა და, დედა კი გათხოვდა მესამედ...**

— ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ: — კვიცი გვარზე ხტისო?

— **კი, გამიგონია...**

— ჰოდა, უბრალოდ, ჯერ ჩემი დრო არ დამდგარა... ახლა, მანანას შემყურე ვამბობ, რომ ცხოვრება მართლაც, წინ არის! ბოლოს და ბოლოს, ევროპაში ხომ 40-50 წლის ასაკში თხოვდებიან?! იცი, ამ ქორწინებით რამდენ ჩემს მეგობარს მიეცა სტიმული? თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბევრს (არა მარტო დედაჩემის, არამედ ჩემი თაობის წარმომადგენლებსაც) დედაჩემის შეშურდა კიდეც. არადა, თუ თავადაც იქნებიან ისეთივე ლამაზები, თბილები, მოსიყვარულეები და ქალურები, როგორიც მანანაა, მათაც გაუმართლებთ!..



დედა 63 წლის გახლავთ, ზაზა – 65-ის. ჯერ ახალგაზრდები არიან, სიცოცხლით სავსეები... ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ, შემდეგ კი ნაცნობობა სიყვარულში გადაიზარდა...

— **ჯვარი ჯერ არ დაუწერიათ?**

— არა, მაგრამ ალბათ დაიწერენ.

— **ახლა მაინც უთხარი მკითხველს სიმართლე — მოროშკინა მარტოა?**

— მოროშკინა მარტო არასდროს არის. თავში ბევრი ჩიტი მყავს და ისინი მარტოს არ მტოვებენ (*იცინის*).

— **წიგნებს ისეთი ტემპით წერ, ეჭვი მაქვს, მეოთხე წიგნი უკვე დაწყებული გექნება...**

— მორიგი წიგნის თემა მოფიქრებული მაქვს, მაგრამ მუშაობა ჯერ არ დამიწყია. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩავიფიქრე, საქართველოში ბომბივით წიგნი დაიწერება.

— **ყველაზე მეტი სიამოვნება რომელ წიგნზე მუშაობამ მოგანიჭა?**

— პირველი წიგნი ჩემი ცხოვრების ასახვა იყო და ის ჩემი ნაწილია; მეორე წიგნი, როგორც გითხარი, ძალიან მნიშვნელოვანი გახდა, რადგანაც მასში ასახული ამბები მტკივა; დიახ, ძალიან მტკივა ეს გადაგვარებული და გაუკუღმართებული ყოფა.

■

# რის გამო დასაჯეს მშობლებმა ზუკა ხუციშვილი

**ბოლოს დროს ზუკა ხუციშვილი ეკრანზე იშვიათად ჩნდება. დავინტერესდი, სად გაუჩინარდა მომღერალი, რატომ აღარ ანებივრებს მსმენელს ახალი სიმღერებით, რა სიახლეა მის პირად ცხოვრებაში და ამ ყველაფრის გასარკვევად შინ ვეწვიე.**

## „ბებიაჩემს სპორტის სასახლეში არ უშვებდნენ"

*ელენე ბასილიძე*

**— ზუკა, რას საქმიანობ?**

— „ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში" ვსწავლობ, მომავალში კი მინდა, ამერიკაში გავემგზავრო და 2-წლიანი სამაგისტრო კურსი იქ გავიარო. საერთოდ, ჰუმანიტარული საგნებისკენ მაქვს მიდრეკილება, ისტორია და პოლიტიკა ძალიან მაინტერესებს. ვცდილობ, მშობლების იმედი გავამართლო და კარგად ვისწავლო. მამა მეუბნება: მთავარია, ისწავლო, სხვა დანარჩენი მე მომანდეო.

**— უკვე დიდი ხანია, სცენაზე არ გვინახავხარ...**

— ჯობს, საქმე ნელა და ხარისხიანად აკეთო, ვიდრე სწრაფად და უხარისხოდ. არსად მეჩქარება, მთელი ცხოვრება წინ მაქვს და მირჩევნია, ისეთ სიმღერაზე ვიმუშაო, რომლის ხარისხში დარწმუნებული ვიქნები. სხვათა შორის, დაახლოებით 1 წლის წინ დათო ევგენიძის, მერე კი დედაჩემის სიმღერა ჩავწერე... ვიდრე სასწავლებლად ამერიკაში წავალ, ერთ პატარა სოლო კონცერტსაც გავმართავ. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ის, რასაც ახლა ვსწავლობ, ჩემი ჰობია, სიმღერა კი ჩემი ცხოვრება გახლავთ.

**— სიმღერისადმი შენს სიყვარულზე ალბათ, ოჯახმაც მოახდინა გავლენა.**

— დიახ, ასეა! მახსოვს, ბავშვობაში როიალზე დამსვამდნენ ხოლმე და მეუბნებოდნენ, — სანამ არ იმღერებ, არ ჩამოგსვამთო. ჰოდა, ძალაუნებურად ვმღეროდი. თავიდან ერთი სული მქონდა, როდის ჩამომსვამდნენ, მერე კი ისეთ მუღამში შევდიოდი, ჩამოსვლა აღარ მინდოდა.

**— სცენაზე პირველი გამოსვლა თუ გახსოვს?**

— პირველი გამოსვლა ძალიან ემოციური იყო და მაშინ კურიოზიც გადამხდა: 4 წლის ვიყავი, როცა ფილარმონიის დარბაზში პირველად გამოვედი. რუსულ რომანსს ვმღეროდი, დედა კი აკომპანემენტს მიწევდა. როცა სცენაზე გადიხარ, პროჟექტორის სინათლე მხოლოდ შენ განათებს, გარშემო კი უკუნი სიბნელეა. 4 წლის ბავშვისთვის ეს ძალიან დიდი სტრესი იყო და მიკროფონი ხელიდან გამივარდა, კულისებისკენ გავიქეცი, მაგრამ ვინაიდან დედა ვერ ვიპოვე, მეორე მხარეს გავვარდი; ბოლოს გამახსენდა, რომ მას აკომპანემენტი უნდა გაეკეთებინა და როიალთან მივირბინე. დედამ დამამშვიდა, მე კი ავმღერდი. თავდაპირველად ხალხს ეგონა, რომ აქეთ-იქით მორბენალი ბავშვი შოუს ნაწილი იყო (*იღიმის*)... დროთა განმავლობაში სცენაზე გასვლას იმდენად შევეჩვიე, რომ აღარც ვნერვიულობდი, ყველაფერი ბუნებრივად გამომდიოდა, რეპეტიციაც არ მჭირდებოდა...



დღე არ გავა, დედაჩემს რომ არ ვთხოვო, რამე მამღერე-მეთქი

**— მერე იყო ჯგუფ „სახესთან", მამასთან, „ქუჩის ბიჭებთან" ჩაწერილი დუეტები...**

— 5 წლის ვიყავი, როცა მე და ნინი ქარსელაძემ „სახესთან" ერთად ვიმღერეთ. მახსოვს, კონცერტზე დასასწრებად, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა, ბებიაჩემიც მოვიდა და დაცვის წევრებმა დიდხანს აწვალეს, არ უშვებდნენ: რაღაც გეშლებათ, ქალბატონო, აქ „სახის" კონცერტიაო. ბებია კი მათ არწმუნებდა: ჩემი შვილიშვილიც მღერის და იმიტომ მოვედიო...

**— მუსიკალურ კარიერაში შენი ტაიმ-აუტი ჯერ გარდატეხის ასაკის ბრალი იყო, შემდეგ კი სწავლის, არა?**

— კი, ასე აეწყო, მაგრამ გული არ მწყდება, რადგან ვიცი, რომ სიმღერა ვერსად გამექცევა. დღე არ გავა, დედაჩემს რომ არ ვთხოვო, რამე მამღერე-მეთქი. ხანდახან ძალიან ეზარება და ველოდები, როდის მორჩება საქმეს, რომ ჩემთვის მოიცალოს. სიმღერებს ათასში ერთხელ ვწერ და ვიცი, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ მოვა დრო, როცა საქმეს სერიოზულად მივხედავ... გარდატეხის ასაკშიც ვმღეროდი. მართალია, გადატვირთვა არ შეიძლებოდა, მაგრამ არც უნდა გავჩერებულიყავი. ბალანსის დაცვა რთული იყო, მაგრამ გამომივიდა. გამოგიტყდებით და, ჩემი წკრიალა ხმა ძალიან მენატრება, მაგრამ სადღაა?!

**— აღნიშნე, რომ ოჯახისგან დიდი მხარდაჭერა გაქვს; ალბათ მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გემღერა...**

— მათ მართლაც, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სწორ გზაზე მევლო. ისე, ვერ ვიტყვი, ხშირად მსჯიდნენ და ძნელად აღსაზრდელი ვიყავი-მეთქი. მახსოვს, სახლში გვქონდა ტახტი, რომელზეც ღილები იყო დაკერებული და ერთხელ, მათი აძრობის სურვილი გამიჩნდა. როცა „საქმეს" მოვრჩი, მივხვდი, რომ მთლად კარგი რაღაც არ გავაკეთე, მოვძებნე ცხვირსახოცები და ტახტს გადავაფარე. როცა ჩემი ნამოქმედარი მაინც შეამჩნიეს, გამიკვირდა: — მე ხომ ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ არ ენახათ და როგორ შეამჩნიეს-მეთქი?! იმ დღეს მშობლებმა კუთხეში დამაყენეს. როცა მოსაღამოვდა, გამოვედი, სინათლე ავანთე და ისევ კუთხეში დავდექი. მას შემდეგ მშობლებს აღარ დავუსჯივარ...

**— პირად ცხოვრებაზე რას მეტყვი? რჩეული გოგონა თუ გყავს?**

— ამ ეტაპზე მხოლოდ სწავლაზე ვფიქრობ, ამერიკაში წასასვლელადაც ვემზადები და ამიტომაც, სერიოზული ურთიერთობის წამოწყების არც დრო მაქვს და არც — სურვილი. ისე კი, შეუძლებელია, კაცს ვინმე არ მოსწონდეს, ვიღაცას არ ეტრფოდეს. გამონაკლისი არც მე ვარ — ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის არის ისეთი გოგო, ვინც მომწონს, მაგრამ ჯერჯერობით, სერიოზული არაფერია. ■

# დაშორდა თუ არა თიკა ჯამბურია მეუღლეს

## „დედა და დედამთილი მიწყობენ ხელს, რომ დავისვენო“



ახლა ორივეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა

ეთო ყორღანაშვილი

**არც ისე დიდი ხანია, რაც ახალგაზრდა მომღერალმა — თიკა ჯამბურიამ და პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, ხათუნა ხოფერიას ვაჟმა — ბექამ იქორწინეს. მათ უკვე პატარა გოგონაც ჰყავთ. ბოლო დროს ხმა გავრცელდა, თითქოს წყვილი ერთმანეთს დაშორდა. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად თავად თიკას დავუკავშირდით.**

— **თიკა, როგორ ხარ და რა არის ახალი შენკენ?**

— კარგად ვარ. ახალი არაფერია გარდა იმისა, რომ უკვე შვილი მყავს.

— **შემოქმედებითად აქტიური ზაფხული არ გქონდა?**

— ამ ზაფხულს ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში თითქმის არაფერი მომხდარა. ერთადერთი სიახლე ისაა, რომ ახალ პროექტში — „თბილისი-ერევანი ტრანზიტი“ ჩავერთე, რომლის ფარგლებშიც ქართველი მომღერლები სომეხ შემსრულებლებთან ერთად დუეტებს წერენ. შემდეგ, თუ არ ვცდები, კონცერტები ერევანსა და თბილისში გაიმართება. სხვათა შორის, სომხურენოვანი სიმღერა უკვე ჩავწერე...

— **თიკა, პირველი ზაფხულია, რომელიც პატარასთან ერთად გაატარე. საფუძვლიანად დასვენება შეძელი თუ ბავშვზე ზრუნვა ბევრ დროს გართმევს?**

— ძალიან გამიმართლა, რომ არაჩვეულებრივი დედამთილი და დედა მყავს. ფაქტობრივად, ბავშვს ისინი ზრდიან, მე უბრალოდ, მათ ვეხმარები (*იცინის*).

— **ალბათ ბავშვი მათ უფრო შეეჩვია, ვიდრე — შენ და იმედია, ამის გამო არ იეჭვიანებ...**

— საეჭვიანო არაფერია! ჩემზე მეტად ძიძა რომ ჰყვარებოდა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ბებიები უნდა უყვარდეს!

— **როგორი ბავშვია?**

— წყნარი, შეგნებული. დისკომფორტს არ მიქმნის. როგორც ამბობენ, კარგად გასაზრდელი ბავშვია.

— **პატარაზე თუ დედამთილი და დედა ზრუნავენ, ალბათ, შენ რაღაც საქმით ხარ დაკავებული...**

— დედა და დედამთილი მიწყობენ ხელს, რომ კარგად დავისვენო, ზაფხული გასართობად მაქსიმალურად გამოვიყენო. ცოტა ხნის წინ ბათუმში ვიყავი, ახლა კი წყნეთში ვარ.

— **წყნეთში დროს როგორ ატარებ?**

— აქ ოჯახთან ერთად ვარ. წყნეთში სახლი მეც მაქვს და ბექასაც, ამიტომ ხან ერთ სახლში ვართ, ხან — მეორეში. ახლა მე და ხათუნა (დედამთილი) ნინას ვასეირნებთ.

— **ოჯახური თანაცხოვრებისას ცოლ-ქმარმა ერთმანეთში ისეთი თვისებები ხომ არ აღმოაჩინეთ, რის შესახებაც დაოჯახებამდე არ იცოდით?**

— არა, ასეთი რამ არ მომხდარა... ახლა ორივეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა, რადგანაც ჩვენი სიყვარულის ნაყოფი გაჩნდა და ის ორივეს ყველაზე მეტად გვიყვარს.

— **თიკა, ამ კითხვის გამო ბოდიშს გიხდი, მაგრამ ამბობენ, რომ მეუღლეს დაშორდი. ეს ამბავი სიმართლეა?**

— მიმაჩნია, რომ ამ თემაზე კომენტარი აღარ უნდა გავაკეთო, რადგან რაც უფრო ბევრი ვილაპარაკე, ჩემი ნათქვამი უკან უფრო ცუდად დამიბრუნდა.

— **და მაინც, არ მესმის, რა არის ცუდი იმაში, თუ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს გამცემ?**

— ცუდი ისაა, რომ ცოტა ხნის წინ ჩემს პირად ცხოვრებაზე ისეთი რაღაცები დაიბეჭდა (ოღონდ — არა „გზაში“), რის გამოც ძალიან გავბრაზდი. მას შემდეგ ვთქვი, რომ ჩემი და ბექას ურთიერთობის შესახებ საერთოდ არაფერს ვიტყვი.



ჩემი და ბექას ურთიერთობის შესახებ საერთოდ არაფერს ვიტყვი

— **ამ ჭორის საფუძველი ის ხომ არ იყო, რომ ბექა ბათუმში ისვენებდა, შენ კი წყნეთში?**

— ბექას აქვს ბიზნესი ბათუმში, მე კი 1 თვის პატარას ვერ დავტოვებდი და მეუღლეს ბათუმში ვერ გავყვებოდი, თანაც ნინას ძუძუთი ვკვებავდი. ჰოდა, წყნეთში რომ დავრჩი, ამაში გასაკვირიც არაფერია...

— **როგორც მივხვდი, შენ და ბექა კვლავ ერთად ხართ. ბედნიერებას გისურვებთ!**

— დიდი მადლობა!

■

Apifito PHARM

# ბალზამი პრომიოდი

**100% ნატურალური პროდუქტი!**

როცა თვით ბუნება კურნავს...



## ბალზამი „პრომიოდი“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არა მხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. კარპატის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.

ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ კარპატებში. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.




ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად.

მის შემადგენლობაში შედის: **თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი**. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „კარპატების ოქროს ფესვს“.

მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებული ტექნოლოგიით ურთულესი დამუშავების გავლის შემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს თავიანთ დაავადებებთან გამკლავებაში.

მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომიოდი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის ხტომების დროს. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, ასტაბილურებს წნევას, შველის სახსრებში ტეხვისას, და მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალებშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომიოდი“ არბილებს სისხლძარღვთა კედლებს, ხდის მათ უფრო ელასტიურს, და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის თავის ტრამვის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომიოდი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრიპი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი, და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი.

მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინავდნენ ყვავილიდან ყვავილზე. მზრუნველმა ხელებმა თაფლის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც დედამიწის წვენებს და სტიქიის ენერგიას შეიწოვენ.

შეიგრძენით „პრომიოდ“-თან ერთად კარპატების მაცოცხლებელი სუნთქვა.

---

ჩემს ქმარს, პილოიან ლევონს უკვე 3 წელზე მეტია თავისუფლად სიარული არ ძალუძს **სახსრების ტკივილის** გამო. ასევე ტანჯავს **ქრონიკული ჰიპერტონია**. წნევა 260-მდე უწევდა. გარდა ამისა, შაქრის დონე სისხლში ძალიან მაღალია, რის გამოც მხედველობა საშინლად გაუუარესდა დაიწყო „პრომიოდი“-ს მიღება 2 ქილიდან. გაუმჯობესებას მხოლოდ ბრმა თუ ვერ შენიშნავს. წნევა ნორმალური გახდა, გაუარა სახსრების ტკივილმა, რასაც ხელი ძალიან შეუწყო აგრეთვე კომპრესებმაც. რაც მთავარია, ბალზამმა ძლიერ დასწია შაქრის დონე სისხლში. ახლა ის ტელევიზორს სათვალის გარეშე უყურებს. ჩემი ქმრის შემხედვარემ, ჩემმა მეზობელმაც დაიწყო ბალზამის მიღება. მას ჰქონდა ეგზემა. იგი ძლივს მოძრაობდა, აწუხებდა საშინელი ტკივილი მუხლებში. ერთი ქილა ბალზამის შემდეგ შედეგები უკვე ჩანს. დაიწყო ადვილად სიარული, ეგზემა სავსებით გაუქრა.

დიდი მადლობა ყველა ჩვენგანისა-გან.



**კნარიკ ნალბანდიანი**

---

ჩემი ქმარი 47 წლისაა. მას სერიოზული პრობლემები ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ტანჯავდა **უძილობა, სახსრების ტკივილი**. ძლიერი თავის ტკივილების გამო თვალები სულ უწითლდებოდა. ყველაზე სერიოზული არის ის, რომ მას აქვს **კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება,** რის გამოც თანდათან გამოვლინდა შაქრის დიაბეტის სიმპტომები. როგორც კი მან დაიწყო ბალზამის მიღება, კუჭქვეშა ჯირკვლის ტკივილები დაუცხრა, სულ მალე კი მთლიანად შეუწყდა. თავის და სახსრების ტკივილებმაც გაუარა. თვალები აღარ უწითლდება. შაქრის დიაბეტის სიმპტომები უკვე სულ აღარ შეიმჩნევა. ღამით უკვე ღრმად და მშვიდად სძინავს.



**ნარინე გრიგორიანი**

---

მე მქონდა **სუსტი იმუნიტეტი**, თითქმის მუდამ დათრგუნვილი განწყობილება, მქონდა ძილის დარღვევა. დავიწყე ბალზამ „პრომიოდი“-ს მიღება. მიღების დაწყებიდან 15 დღის შემდეგ, ჩემი აზრით, ცვლილებები სახეზეა, გაუმჯობესება მე მახარებს. გამიარა ძილის დარღვევამ, მძინავს მეტიდა უკვე ისე აღარ ვღიზიანდები. ვრცხვიძებ კარგ ხასიათზე. ახლა ვაგრძელებ იმუნოსისტემის გაძლიერებას და მხოლოდ კარგი შედეგის იმედი მაქვს.



**სიდა არამის ასული გრიგორიანი ქ. ერევანი**

---

სამი წლის წინ მე დამისვეს დიაგნოზი – **კანის კიბო**. გამიკეთეს ოპერაცია, მომაცილეს ლაქა ფეხზე. მაგრამ თითქმის მაშინვე ეს ლაქა გაჩნდა სხვა ადგილას (საზარდული), რაც გადაიზარდა წანაზარდში. დაზიანებულ ადგილას ვიდებდი ბალზამ „პრომიოდ“-ს, ასევე ვიღებდი შინაგანადაც. წანაზარდმა დაიწყო გახმობა და ბოლოს მოძვრა, ლაქა ზომებში შემცირდა. ასეთ შედეგს არ ველოდი.

დიდი მადლობა თქვენ.

**ვ. შევჩენკო**
**ქ. ჩერნიგოვი**

---

**ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოცადეს ბალზამ „პრომიოდ“-ს კეთილისმყოფელი მოქმედება.**

უკვე 5 წელია, რაც **გლაუკომა** მტანჯავს. მხედველობა სულ უფრო უარესდებოდა იმის შედეგად, რომ **შაქრის დონე** სისხლში ძალიან მაღალი იყო. ამ ყოველივეს გარდა, ერთი წლის წინ ექიმებმა ჩემში აღმოაჩინეს **თორმეტგოჯა ნაწლავის სიმსივნე**. სამკურნალო პრეპარატები უკვე აღარ მშველოდა. გავიგონე რა ბალზამ „პრომიოდი"-ს შესახებ, გადავწყვიტე მიმეღო და გამევლო მთელი დანიშნული კურსი. ვხედავდი რა კარგ შედეგებს, მივიღე კიდევ 2 შუშა. და რა? ექიმები გაოცდნენ, მეც მათთან ერთად. გაივარე რენტგენი და აღმოჩნდა, რომ ბალზამმა სავსებით გააქრო სიმსივნე. ამ შესანიშნავი ამბის გარდა, კიდევ არის სხვა გაუმჯობესებებიც. ჩემი მხედველობა გამოკეთდა, თვალების წინ ბურუსი სავსებით გაქრა. „პრომიოდ"-მა სისხლში შაქრის დონემაც დაწია. ახლა ტაბლეტებს ადრინდელივით ყოველდღე როდი ვლებულობ. გმადლობთ სასწაულისთვის!

მე, რა თქმა უნდა, გავაგრძელებ ბალზამის გამოყენებას. დაველოდები უფრო მეტ შედეგებს.



**სონა არამის ასული მანასიანი**
**ქ. ერევანი**

მე უკვე ოთხი წელია **ფილტვების ტუბერკულოზით** ვიყავი ავად. „კერები" არ იხურებოდა ტუბდისპანსერში მკურნალობის შემდეგაც კი. 2008 წლის შემოდგომის ბოლოს შევიძინე ბალზამი „პრომიოდი" და 3 თვის განმავლობაში ვიხმარე 6 შეფუთვა. შედეგად კერები დაიხურა, ამასთან ერთად აღარ მაწუხებს **არითმია** და **თირკმელები, მხედველობა** გამიუმჯობესდა. ჩემს 13 წლის ბიჭს ჰქონდა **ფილტვის ძირის გამკვრივება,** რომელიც ასევე გაიწოვა ბალზამის გამოყენების შემდეგ.

**ს. მარტინიუკი**
**ქ. სლავუტიჩი**

გასული წლის აპრილში ჩემმა ქმარმა გადაიტანა **ინსულტი.** მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ჰქონდა მარცხენა მხრის ხელის და ფეხის ნაწილობრივი პარალიზაცია. დაეწყო **ფეხის სისხლძარღვების დაავადება**. მთელი ფეხი გასივდა და გაშავდა. გავიგეთ ბალზამ „პრომიოდი"-ს შესახებ. გამოიყენა რა 3 ქილა თვეში, ჩემმა ქმარმა თანდათან დაიწყო ხელისა და ფეხის ამოძრავება, ფეხის შესივებამ და სიშავემ დაიწყო შემცირება. ახლა ბალზამს ჩემს ქმართან ერთად მეც ვიღებ.

დიდი მადლობა თქვენ.

**ჯემა პეტროსიანი**
**ქ. ერევანი**

დიდ მადლობას გიხდით! თქვენ მე გადამარჩინეთ. ვიყიდე თქვენგან 6 ქილა ბალზამი, გამოვიყენე 4 ქილა 1 თვეში. იკითხავთ რა შედეგები მივიღე? ჯერ ერთი, გამიარა **ტაქიკარდიამ, არითმიამ, ჰაიმორიტმა, ბრონქიტმა,** ასევე **პოლიართრიტმა.** დაავადებები 20 წელზე მეტია მაწუხებდა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ!

**ი. შმატკო**
**ქ. ლვოვი**

დეიდაჩემს 30 წელზე მეტია აწუხებს **ბრონქიალური ასთმა,** რომელმაც ძალიან მძიმე ხარისხს მიაღწია. მუდმივად ჰქონდა შეტევები, რის გამოც იგი იგუდებოდა. როცა გიუმრიში ჩატარდა ბალზამ „პრომიოდი"-ს პრეზენტაცია, მან გადაწყვიტა გაესინჯა იგი. მიიღო 1 ქილა, რის შედეგადაც თვითშეგრძნება კარგზე უფრო მეტი გაუხდა. იგი აღარ იგუდება, როგორც ადრე, შეტევა კი დღემდე ერთხელაც აღარ ჰქონია. დაიწყო მსუბუქად სუნთქვა და შედეგებით ძლიერ კმაყოფილია. რა თქმა უნდა იგი 1 ქილაზე არ შეჩერდა, აგრძელებს გამოყენებას და გაივლის მთელ კურსს.

**ანა სარქისიანი**
**ქ. გიუმრი**

ჩემს ქმარს უკვე მრავალი წელია **ფსორიოზი** აქვს. რა არ გამოვცადეთ, სხვადასხვა მალამოები, ტაბლეტები, შედეგები არ ჩანდა. ვიყიდე 4 ქილა ბალზამი „პრომიოდი", დავიწყე ქმართან ერთად სმა. მე **წნევა** დამირეგულირდა. ასევე შევამჩნიე, რომ **მხედველობა** გამიუმჯობესდა. ხოლო ჩემს ქმარს კანი გაეწმინდა, ანაქერცლი გაუქრა, ასევე სიწითლე. დიდად მოხარული ვარ, რომ არსებობს ასეთი საშუალება. დიდი მადლობა!

**ა. ტკაცუკი**
**ქ. კიევი**

მე მქონდა კვანძები ფარისებრ ჯირკვალზე. უკვე 10 წელია ექიმის დაკვირვების ქვეშ ვარ. ღამით არ მეძინებოდა ხუთვის მუდმივი შეგრძნების გამო. მიჭირდა ყლაპვა. ხოლო 5 ქილა „პრომიოდის" გამოყენების შემდეგ მე სრულიად დავივიწყე ჩემი პრობლემა. ექიმები მხოლოდ ხელებს შლიან. დიდი მადლობა თქვენ!

**ა ხვიტკო**
**ქ ხარკოვი**

უკვე ოც წელზე მეტია, რაც **ჰიპერტონიით** ვიტანჯებოდი. იგი არ მაძლევდა წყნარი ცხოვრების საშუალებას. თავბრუს ხვევა ყოველთვის თან მდევდა, თვალებში მუდამ მიბნელდებოდა. წნევა 220-ზე ქვემოთ არ ეშვებოდა. **თირკმლების დაავადების** გამო თვითშეგრძნება სულ უფრო უარესდებოდა. **სახსრების ტკივილი** კიდევ უფრო ამძიმებდა ვითარებას. ნათესავებმა თითქმის საბოლოოდ დაკარგეს ჩემი გამოჯანმრთელების იმედი. მაშინ მე დავიწყე ბალზამ „პრომიოდი"-ს მიღება. უკვე პირველი ქილის შემდეგ ბალზამმა ბრწყინვალე შედეგები უჩვენა. წნევა შემცირდა და რჩება 180-ის დონეზე. გამიარა თავბრუს ხვევამ, სახსრების ტკივილმა, ახლა თავისუფლად გადავადგილდები. თვითშეგრძნება გაუმჯობესდა. ორგანიზმი გამაგრდა. ახლა ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ ბალზამის გამოყენებას.

**ანჟიკ ხაჩატრიანი**
**არტაშატი, სოფ. ვოსკანი**

– მე ვარ სამამულო ომის ვეტერანი, ახალგაზრდობაში დამემართა კანტუზია, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. დროთა განმავლობაში დაირღვა სული, დამეწყო უძილობა, გამაწამა ფეხებზე დეზებმა (წანაზარდებმა). 4 თვის წინ ნერვულ ნიადაგზე მომივიდა ინსულტი. რომლის შედეგადაც პარალიზებული მექნა მარჯვენა ხელი, თვალის ჩინი პრაქტიკულად აღარ მქონდა. დავიწყე ბალზამის დალევა დღეში 2-ჯერ, იცით რა მოხდა, თითქოს უცებ გამოინათა, გამიუმჯობესდა ჭამის მადა, ტუალეტშიც რეგულარულად დავიწყე გასვლა, მძინავს ძალიან კარგად. მხედველობა დამეხვეწა და ჩემი პარალიზებული ხელიც ნელ-ნელა ამოძრავდა. ახლა მე თავს ბევრად ახალგაზრდად ვგრძნობ და სიცოცხლეც სულ უფრო და უფრო მწყურია. გმადლობთ, თქვენ, ასეთი დიდი სასწაულისთვის!

**ბახინდჯანიანი ა. ზ.**
**ქ ერევანი**

აპრილში შევიძინე 2 შუშა ბალზამი, მივიღე შინაგანად და გარედანაც. მძიმე სამუშაოს გამო 2 წლის წინ გამიჩნდა **ჰემოროი.** ძალიან ვიტანჯებოდი, მაწუხებდა ტკივილები, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ თქვენი ბალზამის მიღების კურსის შემდეგ ვიგრძენი გაუმჯობესება, დაავადებამ რაღაც სასწაულით გაიარა. კიდევ შევიძინე „პრომიოდი" პროფილაქტიკისათვის. დიდი მადლობა თქვენი სასწაული ბალზამისათვის.

**ტ. სიმონენკო**
**ქ. ჟიტომირი**

**„პრომიოდი"-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:**

## ქ. თბილისი, ბახტრიონის 22
## 6,8,9,10 - სექტემბერს
## 15:00დან 17:00მდე

**ერთი შეფუთვის ფასი: 32.8ლარი**
**ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.8ლარი**
ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი. პროფილაქტიკის კურსი – 2 შეფუთვა.
**ქრონიკული დაავადებების დროს – 4 შეფუთვა.**
**მინიმალური შეკვეთა – 2 შეფუთვა.** არ წარმოადგენს მედიკამენტს. მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია. საქონელი სერტიფიცირებულია.

**საინფორმაციო: 592 22 98 98**
www. apifito.net



# ცხოვრება

# ნინოწმინდის წყაროზე მონათლული პირველი ოჯახის ტრაგედია



**ვაგრძელებთ წინა ნომერში დაწყებული, რეპრესირებული 86 წლის გიორგი სარალიძის მიერ განვლილი მძიმე ცხოვრების ეპიზოდების თხრობას — ადამიანისას, რომელმაც პროტესტის ნიშნად დაწყებული მრავალწლიანი დუმილი „გზასთან“ საუბრისას დაარღვია...**

## „არ ვიცი, ამდენი ტკივილგადატანილი საერთოდ როგორ დავდივარ“

დასაწყისი, იხ. „გზა“, №34-35

*თეა ხურცილავა*

1955 წლიდან დაიწყო პატიმრების გათავისუფლება. პირველად იაპონელები გაათავისუფლეს. კორეელები, ჩინელები — უამრავი ხალხი იხდიდა სასჯელს. იაპონელს ჩემი პროტესტის წერილი გავატანე და ინგლისში, ლეიბორისტულ პარტიაში მიიტანა. ისინიც დაინტერესდნენ ჩემი ბედით. „ბარაკში“ 100 კაცი რომ რჩებოდა, სხვა „ბარაკის“ პატიმრებთან გვაერთიანებდნენ. ჩემ თვალწინ იქაურობა, ფაქტობრივად, დაიცალა, მაგრამ მე არაფერი მეხებოდა. რამდენიმე ასეული ადამიანი კრასნოიარსკში ჩაგვიყვანეს. იქაც დაიწყო გათავისუფლება. ერთ დღეს მეც გამომიძახეს და მითხრეს, — სასჯელი დიდი ხანია, მოხდილი გაქვს; სპეცკატორღიდან გაქცევის გამო მისჯილი წლები 2-წლიანი პატიმრობით შეგეცვალა და უკვე თავისუფალი ხარო. არადა, 15 წელი უკვე მოხდილი მქონდა... ბილეთიც მიყიდეს, გზის ფულიც მომცეს და გამომიშვეს. ეს არის საბჭოთა კავშირის სახე და კომუნისტური დემოკრატია.

### პროტესტი და ხმის ამოუღებლად გატარებული მთელი ცხოვრება

— სოფელში რომ დავბრუნდი, თითქმის 40 წელს მიღწეული ვიყავი. ფიცრული სახლი გვქონდა. სარდაფში მიწური ამოვთხარე, პატარა ფანჯარა დავუტოვე, შუქი რომ შესულიყო და იქ დავსახლდი. გარე სამყაროსთან კონტაქტი გავწყვიტე, საუბარი შევწყვიტე, არავის დანახვა არ მინდოდა. დღემდე კონტაქტი მხოლოდ წერილობით მაქვს და ხმას არ ვიღებ. მართლა არ დაიჯერებენ, რომ გესაუბრე. ეს ყველასთვის სენსაცია იქნება. არც სოფელსა და არც თბილისში ჩემს ნაცნობებს ჩემი ხმა არ გაუგონიათ: ვფიქრობ, ამდენი წლის შემდეგ რა საჭიროა, რომ ვისაუბრო და ამიტომ ისევ დუმილს ვარჩევ... იმ მიწურში ვცხოვრობდი. იქიდან მხოლოდ ღამით ამოვდიოდი და მაშინაც თვალებზე ხელი მქონდა აფარებული, რომ არაფერი დამენახა, და ყურში ბამბა მქონდა, რომ არაფერი გამეგონა. დრო ასე გადიოდა. რაიკომის მდივნის დავალებით, 2 ადამიანი მოვიდა. სახლსაც აგიშენებთ, ყველაფერში დაგეხმარებით, ოღონდ, მიწურიდან ამოდიო, — მითხრეს. დავუწერე, — აზრს არ შევიცვლი, თქვენი არაფერი მინდა-მეთქი. რაიკომის მდივანი ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი იყო. კარგად იცოდა, სრულიად უდანაშაულოდ რომ დამიჭირეს. ის რაიკომის მდივანი გახდა, მე წლები ციხეში გავატარე... მერე საბჭოს თავმჯდომარეც მოვიდა. ისიც მიცნობდა — სკოლელები ვიყავით. გარე სამყაროს მოწყვეტილი ვცხოვრობდი, მაგრამ უშიშროება ჩემს თვალთვალს მაინც აგრძელებდა. ჩემი სახლის უკან ერთი მონადირე ბიჭი ცხოვრობდა. გოგია პარტიული, განთქმული ბიჭი იყო. მიწურში რომ ვცხოვრობდი, ხორბალს ტომრებით მაწვდიდა. მან მითხრა: გურჯაანში გამომიძახეს; გენერალმა დამავალა, — სარალიძის მეზობელი, პარტიული კაცი ხარ, მას თვალყური უნდა ადევნო; უნდა გავაკონტროლოთ, ვინ დადის მასთან; წინ ვინც ცხოვრობს, ისინიც გაფრთხილებულები არიან და შენც უნდა მიადევნო თვალიო. არ ვლაპარაკობდი, გამოკეტილი ვიყავი და მაინც მითვალთვალებდნენ; ხმა რომ ამომეღო, რაიმე შარს მომდებდნენ და ისევ დამაპატიმრებდნენ. შეიძლებოდა, დღეს ცოცხალი აღარ ვყოფილიყავი... ერთ დღეს ჩემთან ახალგაზრდა გოგო მოვიდა. ზევიდან ჩამომძახა, — თქვენთან საუბარი მინდაო. „ვინ ხარ, რა გინდა? არ ვლაპარაკობ“, — მივწერე. — ძალიან მინდა გასაუბრება; მშობლებისგან ვიცი, რა დღეები გამოიარე და უნდა გაგიცნოო. უარით გავისტუმრე. რამდენჯერმე ისევ მოვიდა. რომ დაბინდდა, სახლთან ახლოს ტყეში გავედი და უფალს შევთხ-

ოვე, — ღმერთო, მომაშორე ეს გოგო, ჩემგან რა უნდა, ვისი მოგზავნილია-მეთქი?.. ის მაინც მოდიოდა. ერთ დღეს მეც წერილობით ვუპასუხე მის დასმულ შეკითხვებს. ჩემ შესახებ ყველაფერი აინტერესებდა. მეც ვწერდი და დროთა განმავლობაში ჩვენ შორის ურთიერთობა გაიბა. მამამისი კოლმეურნეობაში მუშაობდა, სახლში ძროხებიც ჰყავდათ. ესმას ჩემთვის საჭმელი, რძე და მაწონი მოჰქონდა. პარალელურად, საბჭოს თავმჯდომარეც ხშირად მაკითხავდა, იქიდან ამოსვლას მთხოვდა. ცოლი უნდა შეირთო და ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდეო, — მეუბნებოდა. კატეგორიულ უარზე ვიყავი. კომუნისტების ხანაში არც ცოლი მინდა, არც შვილი, ნეტავ, მეც არ გავჩენილიყავი-მეთქი... ყოველთვის ვფიქრობდი, — ცოლ-ქმარი თანატოლები უნდა იყვნენ, რომ ერთმანეთს კარგად გაუგონ-მეთქი. ეს გოგო, ესმა მოსაშვილი კი ჩემზე 19 წლით პატარა იყო... ამ ურთიერთობაში ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა და ეს ამბავიც ყველამ გაიგო. საბჭოს თავმჯდომარემ მდივანი სახლში მომიყვანა, ნათლიებად ჩემი ცოლის კლასელები იყვნენ და ასე მოვაწერეთ ხელი. იმ დღეს ერთმა ადამიანმა ესმა გვერდზე გაიყვანა და უთხრა:

— რა მოხდა, ამ კაცთან დაქორწინება რატომ გადაწყვიტე? ძალას ხომ არ გატანს? კაცი არ ლაპარაკობს, მიწურში ცხოვრობს, ამხელა წვერით დადის, კარგად დაფიქრდი, რამე ხომ არ დაგალევინაო? ესმამ ყველას გასაგონად უპასუხა, — ეს ადამიანი მიყვარს და ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთო. ამის შემდეგ ამოვედი მიწურიდან და ახლობლების დახმარებით, სახლიც ავაშენეთ, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ დამიწყია. ისევ ვდუმდი. ამ ქალმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. მალე ერეკლე შეგვეძინა. 3 წლიდან ლოცვას ვასწავლიდი, ძალიან მინდოდა, სასულიერო პირი გამოსულიყო. მცხეთაში, დედათა მონასტერში დედებმა 3 წლის ერეკლეს „მამაო ჩვენო“ რომ მოისმინეს, გაუხარდათ და მტრედები აჩუქეს. კახეთში ერეკლე მტრედებს უვლიდა და ისინიც გამრავლდნენ... უფლის ძალას მუდმივად ვგრძნობდი. სულ ვშრომობდი. ოჯახის შექმნის შემდეგ აკვნების კეთება დავიწყე. ჩემი აკვანი საყოველთაოდ ცნობილი იყო. ღამეები არ მეძინა, სულ შრომაში ვიყავი. ორი ქალიშვილიც შემეძინა — ეკა და მარიამი. დღეს 3 შვილიშვილი მყავს.

## უჩვეულო ნათლობა წმინდა ნინოს წყაროსთან

— ბოდბის მონასტერთან, წმინდა ნინოს წყაროა და იქ განსაბანად უამრავი მორწმუნე ადამიანი დადის. პირველად იმ ადგილას ჩემი ოჯახი მოინათლა. 3 შვილი მყავდა, ბავშვები უნდა მოგვენათლა. მეც მოუნათლავი ვიყავი და ჩემი მეუღლეც. გადავწყვიტეთ, მთელი ოჯახი ერთად მოვნათლულიყავით. ნინოწმინდას წყაროსთან ნათლობა მე გადავწყვიტე. მაშინ იქაურობა ეკალბარდით იყო დაფარული და პატარა ბილიკით ძლივს მივაღწიე იქამდე. მთიდან პატარაზე წყალი ჟონავდა; გამოვთხარე და უფრო მეტი გამოჩნდა. იქაურობა ქვიშიანი იყო და წყალი შიგნით იკარგებოდა. მერე ორმო ამოვთხარე და იქაურობა მოსანათლად გავამზადე. მეუფე ათანასეს რომ ვუთხარი, ნათლობის რიტუალის ჩატარება წყაროსთან მინდა-მეთქი, უარი მითხრა, — ასეთ რამეს ვერ გავაკეთებ, როგორც სხვებს ვნათლავთ, ისე თქვენც ტაძარში მოგნათლავთო, — მაგრამ მე მაინც დავიჟინე, ჩემი დაჟინებული თხოვნით, მეუფე დავითანხმე და ნათლობა იქ შედგა. რამდენიმე მეტრი თეთრი მიტკალიც ვიყიდეთ. ჩემმა მეუღლემ ოჯახის ყველა წევრისთვის თეთრი პერანგები საკუთარი ხელით შეკერა... მეუფე ჩემი ნათლია და დიდი მეგობარია. ყველამ თეთრი მიტკლის პერანგები ჩავიცვით და ისე მოვინათლეთ. საოცარი რიტუალი იყო, ეს დღე ძალიან კარგად მახსენდება. გული მწყდება, ამის ამსახველი კადრები რომ ვერ გადავიღეთ... მერე ბოდბის მონასტრის ეზოში სუფრა გაიშალა. ჭედილა დავკალი და მეგობრებიც დავპატიჟე. მერე გაკეთდა იქაურობა და დღეს განსაბანად იქ უამრავი მორწმუნე დადის...

## ტკივილი

— საოცარი მეუღლე მყავდა. დიდი სიყვარულის გამო, რისკზე წავიდა და ცხოვრება მართლა ავაწყვეთ. ესმასნაირი ძლიერი ადამიანი რომ არ მყოლოდა გვერდით, ალბათ ვერაფერს მივაღწევდი. სოფელში ვენახი გავაშენეთ. სოფლის პროდუქტებიც მოგვყავდა და კარგი მეურნეობა გვქონდა. აკვნებს რომ გამოვჩარხავდი, მეუღლე აპრიალებდა, ლაქს წაუსვამდა და ბაზარში ყიდდა. ბავშვობაში ერეკლეც მეხმარებოდა. მასაც საოცარი ხელი ჰქონდა. ერეკლე სკოლას ამთავრებდა, პატრიარქს რომ შევხვდი. დავუწერე: მინდა, ჩემი შვილი სასულიერო პირი გახდეს-მეთქი... 2 კონვერტი გადმომცა: ერთში ლოცვების წიგნი იდო, მეორეში — 100 რუსული რუბლი. შევწუხდი: მისთვის ფული არ მითხოვია, მაგრამ მაჩუქა. ჩვენს ეპისკოპოსსაც ვუთხარი, მან კი დამამშვიდა: აკადემიის რექტორი — ზოსიმე შიოშვილი იყო. 10-ზე მეტი სტუდენტი არ შეიძლებოდა აკადემიას ჰყოლოდა. ერეკლე ჩაირიცხა, მაგრამ



მერე გაკეთდა იქაურობა და დღეს განსაბანად იქ უამრავი მორწმუნე დადის

მალევე გაირკვა, რომ სიიდან ამოშალეს. რა თქმა უნდა, მიზეზი — მამის პატიმრობა იყო. ვერაფერს გავაწყობთ, უშიშროებიდან ტატიშვილი ესწრებოდა და იმან ამოშალაო. ვინერვიულე, ამ დროს აკადემიის ეზოში ეპისკოპოსი ჩახვაშვილი დავინახე და ჩემი გასაჭირი ვუთხარი. მისი დახმარებით, ერეკლე აღადგინეს. სემინარია დაამთავრა და მღვდლად აკურთხეს. ბოლოს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში მოღვაწეობდა. 14 წელი იმსახურა. მოულოდნელად ცუდად გახდა; ველარც ლაპარაკობდა, ძლივს ამოილუღლუღა: მამი, მაპატიე, აწი გინდა პატრონი და მე კი ვკვდებიო. გერმანიაში წავიყვანეთ. უგონოდ იყო. ექიმები ამბობდნენ, იქამდე ვერ ჩააღწევსო. დედა თამარიც გაჰყვა. საოცრება მოხდა: მეორე დღეს თვითონ დაგვირეკა. კარგად იყო, რომ ჩამოვიდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ისევ ცუდად გახ-

და და გარდაიცვალა. მოულოდნელად, ახალი უბედურება დაგვატყდა თავს... ჩემი ერეკლე ბოდბის დედათა მონასტრის ეზოშია დაკრძალული. მეუღლეც 2 წლის წინ გარდამეცვალა. არ ვიცი, ამდენი ტკივილგადატანილი საერთოდ როგორ დავდივარ. ერთ დღეს გლდანის სასაფლაოზე წავედი და ხელოსნებს ვთხოვე, ჩემთვის მარმარილოს თეთრი ჯვარი დაემზადებინათ. შავი მარმარილოს ფირფიტაც დავიმზადე და ასეთი წარწერა გავაკეთებინე: „აქაური სიკვდილით სიცოცხლე არ მთავრდება, ყველანი იქ მივდივართ, მაგრამ ვაი იმას, ვისაც ღმერთი არა სწამს!“ სამწუხაროდ, აკვანში ახლა ბავშვებს არავინ ზრდის. გავიფიქრე, სიმბოლურად, მოდი, ბოლო სახლიც ჩემი ხელით გაკეთდეს-მეთქი და ერთი პერიოდი, სასახლესაც ვაკეთებდი. ახლა უკვე ასაკში ვარ და ძალა აღარ მაქვს, რომ ვიმუშავო.

### მოლოდინი

— ყველა მეუბნებოდა, ვინ არ ყოფილა ციხეში, მაგრამ სხვები ლაპარაკობენ, შენ რატომ დამუნჯდი, ხმა გაგვეციო. შინაგანი პროტესტი მქონდა და გადავწყვიტე, ჩემი ხმა არავის გაეგონა. მაშინ რომ მელაპარაკა, ალბათ კიდევ ერთხელ დამაპატიმრებდნენ და დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. ყველასგან გარიდებას ვცდილობდი და მაინც ჯაშუშებს მიგზავნიდნენ... ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, მილიციის უფროსმა მერე გამიმხილა, ჩემზე თვალთვალი რომ ჰქონდა დავალებული. ალბათ უფლის ნება იყო ჩემი ასეთი პროტესტიც, რომ წლების მანძილზე ხმა არავისთვის გამეცა. მერაბ კოსტავა რომ გარდაიცვალა, მთელი საქართველო გლოვობდა. შავი ლენტმოხვეული სურათები დაჰქონდათ, ამის გამოც იჭერდნენ ხალხს. ჩემს მანქანაზე წელიწადი მეკეთა მერაბ კოსტავას ფოტო შავი ლენტით. ეროვნულ მოძრაობაშიც ვმონაწილეობდი და მიტინგებზე სულ დავდიოდი... არ მიჭირს, რომ არ ვსაუბრობ, ასე ცხოვრებას უკვე შევეჩვიე. ჩემთან ერთად ციხეში რომ ისხდნენ, მათი უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარ არის. რაც ჩვენ გადავიტანეთ, იმას ვერანაირი თანხა ვერ აანაზღაურებს, ეს მართლა ჯოჯოხეთი იყო... ჩემი საქმე მოსამართლე ტყავაძეს დაეწერა, ახლა ველოდები სასამართლო პროცესს და მოსამართლის გადაწყვეტილებას... ■

# „ნატრობდა, სანამ რამაზს რამე მოუვა, 2 საათით ადრე მე მოვკვდეო“



**მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე და ნატაშა კობახიძე არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის იყვნენ საყვარელი და პატივსაცემი ადამიანები და კარგი მეგობრები, არამედ მათთან უცხოელი მაღალი რანგის სტუმრებიც ხშირად ჩამოდიოდნენ. დიდი არტისტის მეუღლეს საკუთარი სასტუმროს — „ვილა ბერიკას“ თანამშრომლები სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ და იმ შინაურულ ამბებს გვიამბობენ, რომელთა მონაწილეებიც თავადვე იყვნენ წლების განმავლობაში.**

*თამთა დადეშელი*

**ნინო გოგვაძე,** *ლანდშაფტის დიზაინერი:*

— ქალბატონი ნატაშა დადებითი და ფაქიზი პიროვნება იყო, არაჩვეულებრივი მენეჯერი და ლიდერი, ყველაფერს კარგად გეგმავდა. „ვილა ბერიკაში“ მუშაობისას მის ბაღს ვუვლიდი. ყვავილები უზომოდ უყვარდა და როცა გავიცანი, მკითხა — ყვავილებთან ლაპარაკი შეგიძლიაო? თვითონ სულ ელაპარაკებოდა, ეფერებოდა. თუ რომელიმე ყვავილი მოიწყენდა, მისთვის კატასტროფა იყო... სადაც წავიდოდა, ყველა ადგილიდან ნაირნაირი ყვავილი ჩამოჰქონდა და როგორც შვილებს, ისე ჩამაბარებდა ხოლმე.

— **როგორი იყო ქალბატონი ნატაშა თანამშრომლებთან ურთიერთობისას?**

— ყოველთვის თბილად გვხვდებოდა და ძალიან შინაურულად გვექცეოდა. ვინც მასთან მუშაობდა, უკვე ოჯახის წევრად მიიჩნევდა. ადამიანის შრომას აფასებდა და პატივს სცემდა. აუცილებლად მოიკითხავდა ოჯახურ მდგომარეობას, ყველანაირად გვეხმარებოდა, რაც შეეძლო. ვერავინ იტყვის, რომ ის მხოლოდ ხელფასს გვაძლევდა, პირადად ჩემთვის მთელი 2 წლის განმავლობაში ჩიყვის წამლებს ყიდულობდა და ექიმის ფულს მიხდიდა. ფაქტობრივად, მან მიმკურნალა.

— **ალბათ შესაბამისად მომთხოვნიც იყო... სახლში რაიმეს თვითონ თუ აკეთებდა?**

— იმდენი თანამშრომელი ჰყავდა, არ უწევდა არაფრის კეთება, მხოლოდ თავისი სურვილით... ბაღში გამოდიოდა ხოლმე, ფოთლებს აცლიდა ან თავისი გემოვნებით შეალამაზებდა რომელიმე ყვავილს, დაგეგმვასა და დიზაინშიც ხომ, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა. ყველაფერი იდეალურად უნდა ყოფილიყო, წესრიგი უყვარდა. სტუმრები ბაღში გამოჰყავდა ხოლმე და ყვავილებს ათვალიერებინებდა.

— **ბატონ რამაზთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— მასთანაც ყოველდღიური შეხება მქონდა. თუ სადმე არ მიდიოდა ან სტუმრები არ ჰყავდათ, მეტ დროს ოთახში ატარებდა ხოლმე — წიგნებს კითხულობდა, კროსვორდებს ავსებდა, როიალზე უკრავდა და ა.შ. ქალბატონი ნატაშა სულ სთხოვდა, გარეთ გასულიყო და გაესეირნა. ბაღში ხშირად ჩამოდიოდა და ამბობდა — ამ ყვავილების ნაცვლად ხეხილი, პამიდორი, კიტრი და ასეთი კულტურები დარგეთო. საქმეებში არ ერეოდა, ყველაფერს მეუღლე აგვარებდა. „რამაზუ პადავაიწე ჩაი, კაშუ ი სკაყიტე, შტობ ონ გულიალ“, — გვეტყოდა ხოლმე ქალბატონი ნატაშა.

— **ქალბატონი ნატაშა სასტუმროში მოსულ სტუმრებს თვითონ ხვდებოდა ხოლმე?**

— ყველას. გაიცნობდა, ესაუბრებოდა, როგორ ცუდ ხასიათზეც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის გაღიმებული და გაბრწყინებული შეხვდებოდა და ჩვენგანაც იმავეს მოითხოვდა. მთელი მაღალი საზოგადოება მასთან მოდიოდა, ქართველებიც და უცხოელებიც. ახლოს იყო ზურაბ ჟვანიას მეუღლესთან, ნინო ბურჯანაძესთან, ხშირად სტუმრობდნენ რუსი მსახიობები, ჟურნალისტები.

— **ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს გიყვებოდათ ხოლმე?**



ბატონი რამაზი თავის დროზე გადაღებებზე ბევრს დადიოდა

— კი, მან და ბატონმა რამაზმა ერთმანეთი გემზე რომ გაიცნეს, ეს ცნობილი ფაქტია და სხვათა შორის, იმ გემის მაკეტი სახლში ჰქონდათ. რამაზი საოცრად უყვარდა, ის მისი ცხოვრების აზრი იყო. ამბობდა, სანამ რამაზს რამე მოუვა, ღმერთო, 2 საათით ადრე მე მომკალიო... სასტუმრო რომ გაყიდეს, ბინა ჭავჭავაძეზე იყიდეს, რემონტს დრო უნდოდა და საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდნენ... იქ გახარება კი არ დასცალდათ...

— **ახლა როგორაა ბატონი რამაზი?**

— სანახავად რომ მივედი, ძალიან გამხდარი დამხვდა. მთელი ღამეები ტკივილები აწუხებს, ფეხზე ვერ დგება, წევს ან ზის, ალბათ მასაც ძალიან გაუძნელდება ქალბატონი ნატაშას ამბის გადატანა...

**ლია ციციშვილი,** *თანამშრომელი:*

— ჩხიკვაძეებთან სამუშაოდ 14 წლის წინ მივედი. მაშინ მძიმე პერიოდი იყო. სანამ იქაურ სიტუაციას შევეჩვეოდი, ქალბატონი ნატაშა ძალიან ამომიდგა მხარში. საერთოდ, უნიჭიერესი ქალი იყო. მასში გაერთიანებული იყო ღვთის მიერ ბოძებული სილამაზე, ნიჭი, გემოვნება, არისტოკრატულობა, კომუნიკაბელურობა, მოკლედ, ყველაფერი. ტექნიკური განათლება ჰქონდა, მეცნიერებათა კანდიდატი იყო და ამავე დროს, შესანიშნავად ერკვეოდა ლიტერატურაში, მუსიკაში, საერთოდ, ხელოვნებაში. არაჩვეულებრივად მღეროდა, უკრავდა, ცეკვავდა, ხელსაქმე იცოდა. თავისუფალი დრო როცა ჰქონდა, მემუარებს წერდა, მერე ჩვენც გვიკითხავდა ხოლმე და გოლცებული ვრჩებოდი, ისეთი ლიტერატურული ენით იყო დაწერილი.

— **თვითონ ბატონი რამაზი როგორი იყო მასთან ურთიერთობაში?**

— რამაზი „აფანატებდა“ ნატაშაზე, დამოკიდებული იყო მასზე, რადგან ნატაშა ჭკვიანი ქალი იყო და ასევე ჭკვიანურად წარმართავდა მათ ცხოვრებას, ყველანაირად მხარში ედგა. მასხიობებს ძალიან ეხმარებოდა და არა მარტო მათ. მაგალითად, მე ბანკში სოლიდური კრედიტი მქონდა, დამიბარა და ის თანხა მთლიანად მაჩუქა, რომ სესხი დამეფარა. თანამშრომლები სასტუმროს გაყიდვის შემდეგაც ხშირად მივდიოდით მათთან სტუმრად და ვნახულობდით, სხვანაირად წარმოუდგენელი იყო, იმდენ ხანს ვიმუშავეთ ერთად. თქვენნაირი გულშემატკივარი და ახლობელი ალბათ არავინ მყავსო, — აღნიშნავდა ხოლმე. მომსახურე პერსონალისთვის საჩუქრებიც კი ჩამოჰქონდა საზღვარგარეთიდან.

— **ქალბატონი ნატაშა თვითონ თუ ამზადებდა კერძებს?**

— არაჩვეულებრივი დიასახლისი იყო და ჩვენც ბევრ რამეს გვასწავლიდა. რაღაც კერძების გაკეთება უყვარდა, რომელთაც მხოლოდ თვითონ ამზადებდა. მენეჯერებს სუფრის გაშლას და ეტიკეტს ასწავლიდა, თვითონ ამერიკაში სპეციალური კურსები ჰქონდა გავლილი. როცა „ვილა ბერიკა“ გაიხსნა, მაშინ თბილისში 1-2 მოქმედი სასტუმრო თუ იყო და ნატაშამ ყველაფერი უმაღლეს დონეზე მოაწყო, რომ მაღალი რანგის სტუმრებს შესაბამისად გამასპინძლებოდა. უმაღლესი განათლების მქონე მომსახურე პერსონალი ჰყავდა. ჩხიკვაძეებს ბევრი მეგობარი ჰყავდათ. დღე არ გავიდოდა, 3-4 წყვილი სტუმარი არ მოსულიყო. პირველ რიგში იმაზე ფიქრობდა, როგორ გამასპინძლებოდა და პატივი ეცა. მთელი დღე რაღაცას აგვარებდა, სულ საქმე ჰქონდა. მისი გარდაცვალება მოულოდნელი და სამწუხარო იყო ჩვენთვის.

**ია მათიაშვილი,**
*თანამშრომელი:*

— სასტუმროში11 წელი ვიმუშავე და ქალბატონ ნატაშასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს, ყველანაირად მეხმარებოდა — ფიზიკურად, მორალურად, მატერიალურად. ძალიან განვიცდი მისი გარდაცვალების ამბავს, საოცრად მომაკლდა... ქალბატონი ნატაშა ყველანაირ პირობას უქმნიდა ბატონ რამაზს, რომ სახლში კომფორტულად ეგრძნო თავი, დაესვენა და არ შეწუხებულიყო. ბატონი რამაზი თავის დროზე გადაღებებზე ბევრს დადიოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის გამო აღარ შეეძლო. მათ რომ ურთიერთობა ჰქონდათ, ისეთი იშვიათად მინახავს; ერთმანეთზე საოცრად შეყვარებული წყვილი იყო. 50 წელიწადზე მეტხანს იცხოვრეს ერთად და კამათის დროსაც კი უაღრესად შეყვარებული თვალები ჰქონდათ ხოლმე. ამის დასტურია ისიც, რომ ვერ გადაიტანა საყვარელი ადამიანის ცუდად ყოფნა, ბევრი გაუკეთებელი საქმე გაუკეთებია და საყვარელ ადამიანს რომ ვერ დაეხმარა, გულმა ვერ გაუძლო. ბატონი რამაზი სად აღარ ჰყავდა წაყვანილი — გერმანიაში, ავსტრიაში. ასეთი უანგარო ადამიანები ცოტანი არიან... საღამოობით აივანზე დავსხდებოდით ხოლმე და ბატონი რამაზი ამბების მოყოლას დაიწყებდა. მოგეხსენებათ, როგორი იუმორი აქვს, ქალბატონი ნატაშაც აჰყვებოდა და შესანიშნავ დროს ვატარებდით ხოლმე. ახლა რომ მახსენდება, გული ძალიან მწყდება. მათ შვილთან — საშასთანაც თბილი ურთიერთობა გვქონდა, ასევე მის მეუღლესთან — მაიკოსთან, ნატულია და რამაზიკო კი შესანიშნავი ბავშვები არიან. ყველანი ერთი ოჯახივით ვიყავით. ■



# ქართველების კალიფორნიული ცხოვრება და ოკეანის გაღმიდან დანახული სამშობლო

**ჟურნალისტები — საშა გურევიჩი და ნინო კაკულია 11 წელია, რაც კალიფორნიაში ცხოვრობენ. ახალი პროფესიებიც აითვისეს და საინტერესო საქმიანობასაც ეწევიან. მაგრამ ნინო ჯერჯერობით მხოლოდ პატარა ელენეს აღზრდითაა დაკავებული, მათი 14 წლის ქალიშვილი თამარი კი — სკოლის მოსწავლეა. სამშობლოსთან ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ზაფხულში რამდენიმე კვირით ჩამოსულ ოჯახს გამგზავრებამდე 2 დღით ადრე შევხვდი.**



*თამთა დადეშელი*

— **საშა, გვიამბეთ, ამერიკაში ამჟამად რას საქმიანობთ?**

— აქაც და აშშ-შიც ყოველთვის ჟურნალისტად ვმუშაობდი. ბოლო 2-3 წელია, რაც ეკონომიკას გაუჭირდა, ჩემი დეპარტამენტიც დაიხურა, ოფიციალურ სამსახურში აღარ ვარ და დამოუკიდებელ ჟურნალისტად ვმუშაობ. ადრე CBS-ისთვის ვმუშაობდი, მერე კი — NBC-სთვის, ჩიკაგოში. შარშან ლასვეგასში საგამოძიებო ჟურნალისტებისა და გამომცემლებისთვის მსოფლიო მასშტაბის კონფერენცია ჩატარდა, სადაც სპიკერად მიმიწვიეს, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. გამიმართლა და თავიდანვე მაღალ წრეში მოვხვდი. „ჩემი" პროფესორი, ახლა კი უკვე მეგობარი — ლოველ ბერგმანი გახლავთ. სხვათა შორის, მასზე ჰოლივუდში ფილმიც კი გადაიღეს — The Insider, სადაც ალ-პაჩინო მონაწილეობს; მისი პერსონაჟი თამბაქოს ინდუსტრიას იკვლევს. თამბაქოს საწინააღმდეგო კანონები სწორედ ბერგმანის რეპორტაჟების შემდეგ მიიღეს... ბოლო პერიოდში კარიერის შეცვლა და სამედიცინო სფეროში გადანაცვლება გადავწყვიტე. კალიფორნიის კერძო „სასწრაფოს" — „911"-ის დამხმარე კომპანიაში ვარ და გამოძახებზე ხშირად მიწევს სიარული.

— **რატომ გადაწყვიტეთ, ასე რადიკალურად შეგეცვალათ საქმიანობა? ხშირად ჟურნალისტები პოლიტიკაში მიდიან ხოლმე...**

— იმიტომ, რომ ჟურნალისტობა დღესდღეობით არასტაბილური პროფესიაა. მედიცინა კი ყოველთვის საჭიროა და შესაბამისად, სამსახურიც არის. ოჯახის პატრონი ვარ და მხოლოდ ჟურნალისტიკის იმედად ვერ ვიქნები. თუ საინტერესო არაფერი გამოჩნდა, შესაძლოა, უფრო სერიოზულადაც ჩავეფლო სამედიცინო სფეროში.

— **ესე იგი, ამერიკაში ჟურნალისტებისთვის კარგი გასამრჯელო და სამსახური პრობლემას წარმოადგენს?**

**ნინო:**

— დიახ, ამ მხრივ აშშ მგონი, პირველია. საუკეთესო ჟურნალისტებიც კი სამსახურს კარგავენ. სანამ საშა „სასწრაფოში" მუშაობას დაიწყებდა, ცოტა ეჭვი ეპარებოდა, შეძლებდა თუ — ვერა, მაგრამ რადგანაც სამედიცინო სფეროში კარგად ერკვევა, ვფიქრობ, წარმატებით ართმევს თავს თავის საქმეს.

— **საშა, სამედიცინო განათლება თუ გაქვთ?**

— არა, მაგრამ იქ სპეციალური ტრენინგი გავიარე...

— **რაიმე საინტერესო ამბავს ხომ ვერ მოგვიყვებით „911"-ში მუშაობასთან დაკავშირებით? თქვენს მოვალეობაში რა შედის?**

— „911"-ის სისტემა ძალზე საინტერესოა და ბევრ რთულ გამოძახებაზე დავდივართ. ჩემს მოვალეობაში შედის პაციენტის პირველადი დახმარება და ასე ვთქვათ, მისი საავადმყოფომდე ცოცხლად მიყვანა. რამდენჯერმე მომიწია ხელოვნური სუნთქვისა და ელექტროშოკის მეშვეობით პაციენტის დახმარებამ. სამწუხაროდ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, პაციენტი ვერ გადაგვირჩენია... ემოციურად რთული სამსახურია! თუმცა კურიოზსაც ხშირად ვაწყდები: ერთხელ გამოძახებაზე გავედით: 57 წლის ქალბატონს მუცლის ძლიერი ტკივილი ჰქონდა. ადგილზე მისვლისას და პაციენტის შემოწმების შემდეგ მივხვდი, რომ ქალბატონი ორსულად იყო და უკვე მშობიარობა იყო დაწყებული. მაგრამ თვითონ არც კი იცოდა ორსულობის შესახებ; ეგონა, რომ მენოპაუზის პერიოდი ჰქონდა. ჩემი არ დაიჯერა და თავი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო, როდესაც ვკითხე, ორსულად ხომ არ ხართ-მეთქი?.. სასწრაფოდ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. მისვლიდან 15 წუთის შემდეგ პაციენტმა ბიჭი გააჩინა. თვითონაც შოკში იყო... მისი 30 წელს გადაცილებული შვილები კი გაოგნებულები დადიოდნენ საავადმყოფოს მოსაცდელში.

— **ძალიან სახალისო ამბავია... ახლა გვიამბეთ, თქვენ და ნინომ ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

— ნინო ტელევიზიის II არხზე მუშაობდა, მე კი „ევროკავშირის" წარმომადგენლობაში საქართველოში პრესმდივანი ვიყავი. ჟურნალისტები პროექტების გასაშუქებლად სხვადასხვა რეგიონში დამყავდა. ერთ-ერთი ჯგუფი ბათუმში უნდა წამეყვანა. მაშინ II არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნატო ონიანი იყო და ნინოს წაყვანა მირჩია. ჰოდა, მეც წავიყვანე და წავიყვანე (*იცინის*). 15 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და 2 შვილი გვყავს — 14 წლის თამარი და 7 თვის ელენიკო, რომელიც კალიფორნიაში გაჩნდა.

**ნინო:**

— სხვათა შორის, ჟურნალისტიკას მეც ჩამოვშორდი და ფსიქოლოგიის სფეროში მივიღე ცოდნა. აშშ-ში ბევრ ბავშვს აქვს რაღაც პრობლემა — ზოგს მეტყველება უჭირს, ზოგი გონებრივადაა ჩამორჩენილი და დახმარება სჭირდება; ამიტომ, გადავწყვიტე, ფსიქოლოგიას დავუფლებოდი. სანამ პატარა ელენიკოს გავაჩენდი, ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობდი.

— **საერთოდ, რატომ და როდის გადაწყვიტეთ აშშ-ში წასვლა?**

**საშა:**

— აშშ-ში 2000 წლის იანვარში წავედით. მაშინ „ინტერნიუსისთვის"

ვმუშაობდი. ასევე არსებობდა ორგანიზაცია — „ფრიდომ ფორუმ“, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ჟურნალისტებისთვის ყოველწლიურად კონკურსებს ატარებდა და აშშ-ში გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიჰყავდათ. ათასობით განცხადება იყო შესული, საიდანაც 12 ადამიანი შეგვარჩიეს. მსოფლიოში წამყვანი — ბერკლის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლაში 5 თვით გამამწესეს, რაშიც გამიმართლა, რადგან მანამდე ჟურნალისტური განათლება არ მიმიღია. შემდეგ, ჩემი შემართებისა თუ ხასიათის წყალობით, სკოლის დირექტორმა კიდევ წელიწად-ნახევრით პროგრამის გაგრძელება შემომთავაზა და საბოლოოდ, იქ 2 წელი დავყავი. მალე ნიუ-იორკში გამოჩნდა სამსახური და საცხოვრებლადაც იქ გადავედით. ცუდი ის იყო, რომ ზუსტად 11 სექტემბრის დილას ჩავფრინდით, ტერაქტამდე რამდენიმე საათით ადრე, და ეს ფაქტი რომ მოხდა, სამსახურზე საერთოდ ლაპარაკი აღარ იყო.

**ნინო:**

— სხვათა შორის, საშა ერთადერთი ქართველი ჟურნალისტი იყო, რომელმაც 11 სექტემბერს „რუსთავი 2“-ის ეთერით პირდაპირი ჩართვა გააკეთა. თბილისში ხალხს ცოცხლები არ ვეგონეთ...

**— არ შეგეშინდათ, ასეთ სიტუაციაში უცხო ქალაქში რომ აღმოჩნდით?**

— ძალიან, მით უმეტეს — 3 წლის ბავშვთან ერთად გახლდით. ნაცნობები საერთოდ არ გვყავდა, ტელეფონიც კი არ გვქონდა. მერე კვლავ კალიფორნიაში დავბრუნდით, რომელიც რაღაცით საქართველოს ჰგავს...

**— თავიდან როგორ შეეგუეთ აშშ-ს?**

**საშა:**

— შოკი იყო. განსხვავებული ცხოვრების წესი, სხვანაირი მენტალიტეტი აქვთ. აქაური ურთიერთობები და სითბო გვენატრება ხოლმე. ამერიკაში საღამოს 9 საათის შემდეგ ადამიანს ვერ დაურეკავ, რადგან დილით სამსახურში მიდიან და ადრე იძინებენ. მაგალითად, კომპანიაში მანდილოსანს ზედმეტად კომპლიმენტი რომ გაუკეთო, შეიძლება, გიჩივლოს. ოფისში შენი სუნამოს სურნელით სხვა არ უნდა შეაწუხო; „სასწრაფოს“ თანამშრომელსა და მასწავლებელს სამუშაო საათებში ეკრძალება მისი ხმარება. ისინიც პროტოკოლს ემორჩილებიან.

**— ამდენი წლის უნახავ თბილისში ყველაზე მეტად თვალში საცემი რა იყო თქვენთვის?**

— 11 წელია, თბილისში მანქანა არ მიტარებია და ასეთი გიჟური მოძრაობა ნიუ-იორკსა და ჩიკაგოშიც კი არ მინახავს. ამერიკა ძალიან მოწესრიგებული ქვეყანაა. აქ კი მოძრაობის კულტურა არ არსებობს. ბევრი რამ დადებითისკენ არის შეცვლილი, მაგალითად, საპატრულო პოლიცია კარგად მუშაობს. ბევრი ტურისტიც ჩამოდის...

**თათა:**

— გარეთ რომ გავედი, ის გამიკვირდა, რომ ჩემხელა ბავშვები სიგარეტს ეწევიან და თავს იკლავენ! არც ის შეიძლება, ალკოჰოლურ სასმელს რომ სვამენ!.. აშშ-ის მაღაზიებში 21 წლამდე ასაკის ადამიანებს ალკოჰოლურ სასმელს არ აძლევენ.

**ნინო:**

— პირადად მე აქ მომსახურე პერსონალის დამოკიდებულება არ მომწონს. რაიმე თუ არ მოგეწონა, გამყიდველი მაშინვე შეურაცხყოფაზე გადადის! ვფიქრობ, ტრენინგები სჭირდებათ, რომ კლიენტთან მოპყრობის კულტურას დაეუფლონ!

**საშა:**

— ბავშვობიდან იმ აზრით ვიზრდებოდი, რომ ჩვენი სიმდიდრე — ენა, მამული, სარწმუნოება იყო... საქართველოში კი დღევანდელი სიტუაცია ცოტათი მაშფოთებს. მაგრამ იმედია, ყველაფერი მაინც ისე იქნება, როგორც საჭიროა... საქართველოსთვის ეკლესიასა და მთავრობას შორის განხეთქილება დაუშვებელია!



ნინო შვილებთან ერთად

**ნინო:**

— თუ ქართველებს ინგლისურად ლაპარაკი სურთ, ინგლისურად ილაპარაკონ, ქართულში ნუ ურევენ და ნუ ამახინჯებენ მრავალსაუკუნოვან მშობლიურ ენას. ფილოლოგი ვარ და ეს საშინლად მაღიზიანებს! უმეტესად ინგლისური აზრებია გამოკრული და ხშირად შეცდომითაცაა დაწერილი...

**— როგორია აშშ-ის მოქალაქეების თვალით დანახული ქართული დემოკრატია?**

**საშა:**

— დემოკრატია რთული „სტრუქტურაა“ და აშშ-საც კი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ ქვეყ-




ნად მიიჩნევა, ამ მხრივ ბევრი პრობლემა აქვს! იქმნება კანონები, რომლებიც ადამიანთა ერთი ნაწილის უფლებებს იცავს, მეორისას კი ზღუდავს. მაგრამ მთავრობა, პოლიტიკა, მთელი ის „კონგრესები და სენატები" ხომ იმისთვისაა შექმნილი, რომ ეს ყველაფერი დაარეგულიროს. აქაც იგივე ხდება, უბრალოდ, ნაკლები გამოცდილება აქვთ და ეგ არის.

**— ამერიკაში როგორია კულტურული ცხოვრება?**

— ძვირი სიამოვნებაა და სხვათა შორის, ისეთი დონის სპექტაკლები, როგორიც საქართველოშია, არც იდგმება... იქ წარმოდგენებს უფრო კომერციული დატვირთვა აქვს. ჩვენი შვილის ასაკიდან გამომდინარე, უმეტესად ვარსკვლავების კონცერტებზე დავდივართ. შაბათ-კვირას ვცდილობთ, დრო ოჯახთან, ქართველი ან ამერიკელი მეგობრების გარემოცვაში გავატაროთ, პიკნიკი მოვაწყოთ და ა.შ. როცა კონცერტი ღია ცის ქვეშაა, მოედანზე ან გაშლილ ველიზე, შეგიძლია, საჭმელსასმელი თან წაიღო, იქეიფო, მუსიკის ფონზე იცეკვო და როგორც გაგიხარდება, ისე გაერთო.

**— თათა, თინეიჯერები როგორ ერთობით?**

— ჩვენ ქალაქის ცენტრში ვცხოვრობთ. იქ ბევრი მაღაზია, კინოთეატრი და სალონია, სადაც დავდივართ ხოლმე; ხშირად ერთმანეთს სახლებში ვსტუმრობთ, სურათებს ვიღებთ და ვერთობით. ზოგჯერ სკეიტბორდით ვსრიალებთ. კითხვა მიყვარს და ბიბლიოთეკაში ხშირად დავდივარ, ხატვაც მიყვარს, ჩოგბურთის თამაშიც. პარასკევს, სკოლის შემდეგ, მშობლები ფულს გვაძლევენ, რომ მეგობრებმა სადმე ერთად გავისეირნოთ...

**— ძვირია ამერიკაში ცხოვრება?**

**ნინო:**

— სხვათა შორის, აშშ-ში საკვები მსოფლიოში ყველაზე იაფია, მაგრამ 90% გენური ინჟინერიითაა დამზადებული. ჯანმრთელი და ორგანული საკვები კი ძალიან ძვირია. საცხოვრებელი ბინისა და კომუნალური გადასახადები მაღალია, ტაქსიც, მაგრამ თუ ხელფასი და კარგი სამსახური გაქვს, ნორმალურად იცხოვრებ. საინტერესო ისაა, რომ 1 წლის მანძილზე მოქალაქერა დღე-ღე-გესაც იხდის, წლის ბოლოს მთავრობა უკან უბრუნებს და ყველას უხარია, რომ ამ თანხით დამატებით რაღაცაში გამოიყენებს. მაგალითად, ჩვენ ამ თანხით თბილისში წამოვედით. ახლა დიდი სურვილი გვაქვს, საქართველოში საბოლოოდ დავბრუნდეთ. იმედია, ეს ოცნება აგვიხდება... ■

# მუამარ კადაფი ლიბიის ჯამაჰირიის მამა

დასაწყისი იხ. „გზა" №35

## დემოკრატი და სამაგალითო მეოჯახე

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კადაფი დაცვის გარეშე, უბრალო „ფოლკსვაგენით" დადიოდა და, ცოლთან ერთად, ადგილობრივ სუპერმარკეტში ყიდულობდა პროდუქტებს. მაგრამ მასზე განხორციელებული რამდენიმე თავდასხმის შემდეგ (ერთ-ერთის დროს ხელშიც დაიჭრა), ლიბიის ლიდერმა ცხოვრების წესი მკვეთრად შეიცვალა. კადაფიმ მინიმუმამდე დაიყვანა მასებთან უშუალო კონტაქტი და მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აზიზია — სამხედრო ბაზა აირჩია, სადაც მთავარსარდლობა და კარვების ბედუინური ქალაქია განთავსებული, რომელიც მას რეზიდენციის მაგივრობას უწევს. გაძლიერებული პოსტები იმ ადგილთან ნებისმიერ მისასვლელს აკონტროლებენ. ამასთან ყოველ მის მცველზეც მუდმივი პერსონალური თვალთვალია დაწესებული. როცა კადაფი აზიზიას ტოვებს, რეზიდენციიდან ერთდროულად მანქანების 2 ან 3 კოლონა ჯავშანტრანსპორტიორების თანხლებით გამოდის და



როცა იქ ტრიპოლიდან ოფიციალური ვიზიტით მიმავალი ლიბიის ლიდერი უნდა ჩაფრენილიყო. აეროპორტის სადისპეტჩეროდან გაგზავნილ შეკითხვაზე ორივე მფრინავმა უპასუხა, რომ მის თვითმფრინავში „ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა" იმყოფებოდა და ორივე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ სიმართლეს ამბობდა... კარჩაკეტილი ცხოვრების მიუხედავად,

**კადაფის „მწვანე წიგნიდან"**

საზოგადოება თვითონ ახორციელებს კონტროლს საკუთარ თავზე. ნებისმიერი პრეტენზია, გააკონტროლოს კანონის აღსრულება, ცალკეული პიროვნების მხრიდან მომდინარეობს ის თუ ადამიანთა ჯგუფისგან, – დიქტატურის გამოვლინებაა, რადგან დემოკრატია ნიშნავს მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობას, ამიტომაც კონტროლს მთელი საზოგადოება უნდა ახორციელებდეს.

არავინ იცის, კონკრეტულად თუ რომელ კოლონაშია ლიბიის რევოლუციის ლიდერის მანქანა. იგივე პრინციპი ვრცელდება პოლკოვნიკის საჰაერო მიმოსვლაზეც. თუ ის სხვა სახელმწიფოში უნდა გაფრინდეს, ცაში ერთდროულად 2 თვითმფრინავი ადის და იმის შესამოწმებლად, ბომბი ხომ არ არის ჩადებული, გაფრენამდე რამდენიმე საათის განმავლობაში ჰაერში ტრიალებს.

ჟურნალისტები დღემდე იხსენებენ ტუნისის საერთაშორისო აეროპორტში შექმნილ პარადოქსულ სიტუაციას,

კადაფი მაინც ჯიუტად ახვევს მსოფლიოს თავს იმ აზრს, რომ ის უბრალო ადამიანი, დემოკრატი და სამაგალითო მეოჯახეა. სხვათა შორის, ოჯახს რაც შეეხება, კადაფის პირველი ქორწინება წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი პირველი ცოლი ლიბიის ყოფილ მონარქ იდრისთან დაახლოებული პირის, მეფის არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის, გენერალ ხალიდის ქალიშვილი — ფატიმა იყო. გადატრიალების შემდეგ კადაფი ცოლს სასწრაფოდ გაეყარა და, თან, მასთან შეძენილი ვაჟიც თვითონ დაი-

ტოვა. პოლკოვნიკის მარტოობა დიდხანს არ გაგრძელებულა. განქორწინებიდან 2 თვის შემდეგ მან ცოლად შეირთო სამხედრო ჰოსპიტლის მედდა — საფია, რომელთანაც დღემდე ცხოვრობს. საფიასთან კადაფის 5 ვაჟი და ერთი გოგონა ჰყავს. კიდევ ერთი, ნაშვილები გოგონა 1986 წლის აპრილში, ტრიპოლიზე ამერიკული ავიაციის იერიშის შედეგად დაიღუპა. დასავლური მედიასაშუალებების მტკიცებით, კადაფი დიდი მექალთანეა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას ის უპირატესობას სუსტი სქესის წარმომადგენლებთან საუბარს ანიჭებს და ამით მსოფლიოსთვის იმის ჩვენებას ცდილობს, რომ ქალებს ლიბიაში მამაკაცების თანასწორი ადგილი და მდგომარეობა უკავიათ. ლიბიელი ქალების ესოდენ მაღალი სტატუსის საიდუმლო კი ისაა, რომ მთელი ქვეყანა მისი ბელადის ერთ დიდ ჰარამხანადაა გადაქცეული. მიუხედავად იმისა, რომ თავად კადაფი სამაგალითო მრავალშვილიანი მეოჯახის როლის თამაშს ცდილობს და ისიც არაერთხელ განუცხადებია, რომ „მამაკაცი ერთ ქალს უნდა დასჯერდეს“, უკვე საიდუმლო არავისთვისაა, რომ ის ქვეყნის მთავარი კაზანოვაა; 1-ელი ღამის უფლება აქვს და აღარც კი ახსოვს, რამდენი ათასი საყვარელი გამოიცვალა. ასეთ უცნაურ ხორცშესხმას პოვებს რეალურ ცხოვრებაში კადაფის „მწვანე წიგნში“ ჩამოყალიბებული თეზისი იმის შესახებ, რომ „ქალს ყველა უფლება უნდა ჰქონდეს, გარდა მამაკაცად გადაქცევისა და საკუთარ ქალურობაზე უარის თქმისა“. ლიბიის ლიდერის „გადაყენებული“ საყვარლები არასდროს წუწუნებენ, რადგან ის ყველას გულუხვად ასაჩუქრებს. ბელადი მათ ბიზნესის დაწყების საშუალებას აძლევს, ანდა ათხოვებს (და ეს ლიბიაში ყველაზე უფრო გავრცელებული პრაქტიკაა), რომლებსაც შემდეგ ისევ ამ ქალების დახმარებითვე აკონტროლებს. ბევრი რამაა ცნობილი კადაფის მცველი ქალების გვარდიის შესახებაც. მას 40 ქალწული პირადი მცველი ჰყავს. „ამ გოგონებს კალაშნიკოვის ავტომატები Gucci-ის მოდური აქსესუარივით უჭირავთ“, — წერდა ერთი ჟურნალისტი. მართალია, კადაფი თავს ისლამური სოციალიზმის ფუძემდებლად აცხადებს, მაგრამ მისი მცველი გოგონები თავიანთ სიმშვენიერეს ჩადრის ქვეშ როდი მალავენ.

„ზოგიერთის ცნობით, ყველა გოგონა ფიცს დებს, რომ კადაფისთვის სიცოცხლეს გაწირავს. მათ დღეღამის ნებისმიერ დროს ბელადის თანხლება ევალებათ, რომელიც ყოველი მათგანისგან ქალწულად დარჩენას მოითხოვს,“ — წერდა ორიოდე წლის წინ ინგლისური გაზეთი Daily Mail.-ი. ავტორის ინფორმაციით, კადაფის მცველი ქალის პოსტი პრესტიჟულად მიიჩნევა. კანდიდატები წინასწარ, სპეციალურ სასწავლებელში გადიან მომზადებას, რომელიც უდიდეს ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. ვინც ამ გამოცდას უძლებს, მაღალკვალიფიციური კილერი, სროლისა და საბრძოლო ხელოვნების ოსტატი ხდება. „საბოლოო შერჩევას კადაფი ახდენს და მართალია, თავად ირწმუნება, რომ ჩემი მცველი ქალები უბიწონი არიანო, დადის ხმები, რომ ის მათგან ინტიმური ხასიათის მომსახურებასაც მოითხოვს“. კადაფის მცველი გოგონები მაკიაჟსა და მანიკიურს იკეთებენ, ატარებენ სამკაულებს და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც კი აცვიათ, მაგრამ მათი სერიოზული საბრძოლო მომზადება


ყველა გოგონა ფიცს დებს, რომ კადაფისთვის სიცოცხლეს გაწირავს

პრაქტიკაში უკვე არაერთხელ იყო გამოცდილი. როცა 1988 წელს კადაფის კორტეჟს ისლამური ფუნდამენტალისტები დაესხნენ თავს, ბელადს ერთ-ერთი მცველი გოგონა გადაეფარა და დაიღუპა, შვიდი კი დაიჭრა. ყველაზე სიმპათიური და თვინიერი გოგონები სამსახურებრივად წინ მალე მიიწევენ და შემდეგ ლიბიის გავლენიანი ქალბატონების კოჰორტას ავსებენ. ბევრ მათგანს ქვეყნის ლიდერთან უბრალოდ შესვლა და ნებისმიერი საქმის მოგვარება შეუძლია. კადაფისგან მისი გარემოცვის წევრები, მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებიც იღებენ მა-



გალითს. ეს პროსტიტუციისა და ბიზნესის თავისებური ჰიბრიდი, ჯამაჰირული მოდელის კიდევ ერთი სოციალური ნოუ-ჰაუა. ლიბიაში გავლენიანი ადამიანის მეგობარი და კოლოსალური კავშირების მქონე ქალბატონის — „გლიახბას“ პროტექციით რაიმეს მიღწევა ჩვეულებრივი ამბავია. როგორც ამბობენ, ახლანდელი მინისტრების უმეტესობამ კარიერა სწორედ თავიანთი მეგობარი ქალების წყალობით გაიკეთა. ჟურნალისტები, რომლებსაც კადაფისთან ბოლო ხანებში ჰქონდათ ურთიერთობა, ჰყვებიან, რომ ის თავისი ოჯახის წევრებს მკაცრად ექცევა. მაგალითად, ბელადი ქალიშვილ აიშას თხოვნას კი დაჰყვა და ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლის ნება მისცა, მაგრამ ინსტრუმენტი მაინც არაფრით უყიდა. პოლკოვნიკი ვაჟიშვილებსაც მკაცრად, მაგრამ ზედმეტი ჭკუის სწავლებისა და შეზღუდვების გარეშე ზრდის. ყოველდღიურ ყოფაში კადაფი მცირედით კმაყოფილდება და ასკეტურად ცხოვრობს. ერთხანს ვეგეტარიანელობითაც კი იყო გატაცებული. არ სვამს ყავას, ჩაისა და ალკოჰოლურ სასმელებს; არ ეწევა;


ოჯახის წევრებს მკაცრად ექცევა

ცოტას და ძირითადად, უბრალო კერძს მიირთმევს. არ არის გატაცებული ქონების დაგროვებით (მისი ოჯახი არ ფლობს უძრავ ქონებას). თვით მამამისიც კი (ვაჟიშვილის დაჟინებული მოთხოვნით) სიცოცხლის ბოლომდე ბედუინის კარავში ცხოვრობდა. და მაინც, კადაფის, ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს, თავისი სისუსტეები აქვს. უყვარს ლამაზად ჩაცმა და ხშირად იცვლის ტანსაცმელს. უპირატესობას ეროვნულ სამოსს ანიჭებს, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ვნება მაინც მუნდირებია. კადაფი ხალხში ხან საზღვაო ოფიცრის კიტელით, ხანაც სამხედრო-საჰაერო ძალების სამხრეებით, ხან კიდევ სახმელეთო ჯარების ფორმაში ჩაცმული ჩნდება. ამასთან, ეკიპირებას ყოველთვის აგვირგვინებს მუქი სათვალე, რომელიც თვალებს აბსოლუტურად უფარავს. იმ ადამიანების თქმით, რომლებიც კადაფის კარგად იცნობენ, მას სახეების, სახელებისა და ციფრების დამახსოვრების ფენომენური უნარი აქვს. თავის გარემოცვის წევრებზე ყველაფერი ზედმიწევნით იცის. მაგრამ გამორჩეულ ჭკუასთან, გონიერებასთან, უზარმაზარ ნებისყოფასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, მას ქედმაღლობა, გადაჭარბებული ემოციურობა და სიფიცხეც სჩვევია. მეორე მხრივ, შეხვედრისას ხელს პირველი გამოგიწვდის, ბავშვივით თბილად გაგიღიმებს და როგორც კი საუბარი საქმიან ხასიათს მიიღებს, მაშინვე დასერიოზულდება. სტუმრების მიღებისას სხვა რამეზე ყურადღება არასდროს გადააქვს. იმ დროს მას არავინ აწუხებს და თავადაც არავის უხმობს. კადაფის, რომელიც თავს ერის მამად მიიჩნევს, უყვარს თავისი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლა. მისი სიტყვა, როგორც წესი, 2-3 საათს გრძელდება. თან, ისიც ყველასთვის წინასწარაა ცნობილი, თუ რას იტყვის, რომელ პრობლემას შეეხება და რა თემაზე იხუმრებს. კადაფიმ ლიბია მთელი მსოფლიოს ტერორისტების გიგანტურ საწვრთნელ ბანაკად გადააქცია. ამ მხრივ მისი კეთილგანწყობილების მოპოვება ძნელი არ არის — საკმარისია, დასავლეთის სახელმწიფო სტრუქტურების სიძულვილი და მათ წინააღმდეგ იარაღით ბრძოლისთვის მზადყოფნა დაუმტკიცო. სწორედ აქედან მოდის იმ დესტრუქციული ძალების ჭრელი ნაზავიც, რომლებიც ლიბიაში სპეციალურ დივერსიულ-ტერორისტულ მომზადებას გადიან.

ცნობილია თუ არა ეს ყველაფერი უბრალო ლიბიელებისთვის? რა თქმა უნდა, ცნობილია. მაგრამ ისინი, ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონის სანაცვლოდ, თავიანთი ლიდერის ოინებზე თვალის დახუჭვას ამჯობინებენ. კადაფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნავთობდოლარების არცთუ მცირე ნაწილი ნამდვილად თავისი ხალხისთვის დახარჯა, და შედეგად, ისეთი სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლით, როგორიც ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალია (უბრალო მუშის მინიმალური ხელფასი 6 ათასი გირვანქა სტერლინგია, ხოლო საწარმოთა ხელმძღვანელების შემოსავლები 30 ათასს აღწევს), ლიბიამ თვით დიდ ბრიტანეთსაც კი გაუსწრო. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არის უმუშევრობა. მოქალაქეთა უმეტესობას საკუთარი ბინები, ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები აქვს. აშენებულია მსოფლიო სტანდარტის უნივერსიტეტები და საავადმყოფოები. კადაფის ბოლო პოპულისტურ აქციათა რიგს სამხრეთ კორეაში ძვირფასი მანქანების შესყიდვა და ლიბიელებისთვის მათი მეოთხედ ფასში მიყიდვაც მიეკუთვნება. კადაფიმ ქვეყნის მიერ ნავთობიდან მიღებული შემოსავლის (რომელიც წელიწადში ათ მილიარდ დოლარამდეა) ახლებურად გადანაწილების გადაწყვეტილება მიიღო. ამ თანხის ნახევარი სახელმწიფოს საჭიროებებზე იხარჯება, მეორე ნახევარი კი ლიბიელებს შორის ნაწილდება. შედეგად, 600 ათასამდე ოჯახმა 7-დან 10 ათასამდე დოლარი მიიღო. კადაფის აზრით, ეს მის მიერ წამოყენებული ლოზუნგის „სიმდიდრე — ხალხის ხელში!“ პრაქტიკული განხორციელებისა და მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლების გათანაბრების საშუალებას იძლევა. თუმცა მან იმასაც ხაზი გაუსვა, რომ ოჯახები ამ ფულს თავიანთი შეხედულებისამებრ ვერ დახარჯავდნენ, რადგან ის ყველაზე აუცილებელ საჭიროებებზე და არა მდიდრული უცხოური სამომხმარებლო საქონლის შესაძენად უნდა გამოიყენონ. კადაფის ნადირობა (რაც რუმინეთის ყოფილ დიქტატორ ჩაუშესკუსთან ურთიერთობის შედეგია) და ცხენები იტაცებს; დაინტერესებულია სხვადასხვა სახეობის იარაღითა და სპეცკავშირების საშუალებებით... ■

### კადაფის „მწვანე წიგნიდან“

ახალი, სოციალისტური წეს-წყობილების მიზანია შექმნას ბედნიერი საზოგადოება, რომლის ბედნიერება მისი თავისუფლებიდან გამომდინარეობს, რაც შესაძლებელია ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არავინ შეეწინააღმდეგება და არავინ გააკონტროლებს.

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

# საკურორტო რომანი და მხიარული „ბატის ჭუკები“

## „აღარ მინდა, სიყვარულის გამო დავიტანჯო“

**რამდენიმე კვირის წინ გთხოვეთ, საკურორტო რომანზე მოგეწერათ რაიმე, მაგრამ რატომღაც, მაშინ მხოლოდ ერთი მკითხველი გამომეხმაურა, ამ კვირაში კი ისეთი მესიჯები მომწერეს, შეუძლებელი იყო, ამ თემისთვის გვერდი ამევლო და მათ გამოქვეყნებაზე უარი მეთქვა.**

*ლიკა ქაჯაია*

**ქეთი,** *19 წლის:*

— ამ ზაფხულს ძალიან მატკინეს გული. ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა ბიჭი, რომელმაც იმედი გამიცრუა და მივხვდი, რომ საკურორტო რომანის მსხვერპლი აღმოვჩნდი.

— **ის ბიჭი სად გაიცანი?**

— ბათუმში. აჭარაში დასასვენებლად მეგობრებთან ერთად წავედი. ერთხელ, ბუნგალოში ყოფნისას, ვიღაც ბიჭები მოგვისხდნენ გვერდით და გვთხოვეს, — გაგვეცანითო. მათთვის უარი არ გვითქვამს. იმ საღამოს კარგად გავერთეთ, ბევრი ვიცეკვეთ და შინ დაღლილ-დაქანცულები მივედით. ბიჭებმა მეორე დღისთვის პაემანი დაგვინიშნეს. ჩვენს ერთ-ერთ დაქალს მათი „სასტაველი“, ვიღაც კოტე მოეწონა და ცხადია, მისი ხათრით ბიჭებს შეხვედრაზე დავთანხმდით... მეორე დღეს მათთან ერთად გოგაც გაიჩითა და ჩემი ყურადღება დანახვისთანავე მიიპყრო. ბიჭებმა დისკოთეკაზე დაგვპატიჟეს. გოგა მთელი ღამე მე მეცეკვებოდა, სხვებისკენ არც მახედებდა, თუმცა ამის სურვილი თავადაც არ მქონდა — მხოლოდ გოგას ცქერა მსიამოვნებდა. მოკლედ, იმ საღამოს მივხვდი, რომ ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა.

— **ალბათ გოგასაც მოეწონე, თორემ მთელ ღამეს შენთან ცეკვაში არ გაატარებდა.**

— მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ მისთვის გასართობი ბარბი ვიყავი და სხვა არაფერი. მან გამომიყენა და მიმაგდო, გული საშინლად მატკინა. ჩვენ შორის ისეთი სერიოზული არაფერი მომხდარა, რის გამოც შეიძლება შემრცხვეს და მომავალ ქმარს თვალი ვერ გავუსწორო, მაგრამ თავს დამნაშავედ ვგრძნობ მშობლების წინაშე, რომლებიც მთელი ცხოვრება იმას ჩამჩიჩინებდნენ, — ბიჭს თავი არ მოატყუებინო, თითოეულ მათგანში პოტენციური მტერი დაინახეო.

— **ასე რატომ გეუბნებოდნენ?**

— თავის დროზე დედა ვიღაც ტიპმა შეაცდინა და ეშინოდათ, მსგავსი რამ მეც არ დამმართოდა... მოკლედ, მშობლებს იმედი გავუცრუე და უკვე ზრდასრულმა გავაკეთე ის, რისი გაკეთების უფლებას თავს არასდროს ვაძლევდი.



მან მართლა მაკოცა და ამ კოცნასაც ვერ ვივიწყებ...

— **მაინც, ასეთი რა გააკეთე? გოგამ გაკოცა და ასე ამას განიცდი?**

— გამოიცანი, მან მართლა მაკოცა და ამ კოცნასაც ვერ ვივიწყებ... ბათუმში 2 კვირა უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ მე და ჩემმა დაქალმა (იმ გოგოს ვგულისხმობ, ვისაც კოტე მოეწონა) გადავწყვიტეთ, შეყვარებულები არ მიგვეტოვებინა და მშობლებს ვთხოვეთ, კიდევ 10 დღე დავრჩებით-თქო.

— **იოლად დაგთანხმდნენ?**

— კი, რადგან ჩემი ამბავი იციან და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ცუდს არაფერს გავაკეთებდი. ფულიც გამომიგზავნეს, — არიქა, არ მოგშივდეს და არ მოგწყურდესო, მე სულელმა კი ის თანხა მთლიანად, გოგას სიამოვნებისთვის დავხარჯე. იმ საძაგელმა ეს არ დამიფასა, მეტიც — ახლა ჩემს ზარებსაც არ პასუხობს.

— **ანუ ბათუმში დასასვენებლად ჩასული ბიჭები შენი და შენი დაქალის ხარჯზე „გულაობდნენ“? ხომ არ გგონია, რომ მათ სწორედ ამ მიზნით დაიწყეს თქვენი „შებმა“?**

— მგონი, თავიდან ჩვენზე სერიოზულად ფიქრობდნენ, მაგრამ მერე თითქოს, რაღაც ბუზმა უკბინა — სხვა გოგონები გაიცნეს და მათი „შებმაც“ დაიწყეს.

— **შენი აზრით, ამის მიზეზი რა იყო?**

— ის, რომ მათ უფრო მეტი ფული ჰქონდათ. კოტეს ახალი რჩეული სომეხი იყო, გოგასი — ხევსური. მათთანაც ერთობოდნენ და არც ჩვენ გვივიწყებდნენ, ჩვენზე ძველებურად ზრუნავდნენ...

— **თუ თქვენ ზრუნავდით მათზე?**

— ჰო, რა ვიცი, როგორც იყო, რა... იმ გოგონების შესახებ რომ შევიტყვეთ, გვითხრეს: დამშვიდდით, მათთან სერიოზული არაფერი გვაქვს, უბრალოდ, ვერთობითო, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ბიჭებმა არა მარტო ისინი, არამედ ჩვენც მოგვატყუეს...

— **ისინი მას მერე არ შეგხმიანებიან, რაც ბათუმიდან წამოხვედით?**

— როგორ არა, ერთმანეთს ვურეკავდით ხოლმე, მაგრამ მეორე კვირაა, აღარ შემომხმიანებია. მე რომ ვურეკავ, როგორც უკვე გითხარით, ტელეფონს საერთოდ არ პასუხობს. როცა სხვისი ნომრიდან ვეხმიანები, ტელეფონს ჩემი ხმის გაგონებისთანავე თიშავს. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— **შენს დაქალს კოტეც ასე ექცევა?**

— გოგასგან განსხვავებით, ის ტელეფონით მაინც ელაპარაკება. მართალია, შეხვედრაზე ვერაფრით დაითანხმა — ხან რას იმიზეზებს, არ მცალიაო და ხან — რას, მაგრამ

ჩემს მეგობარს იმედი ბოლომდე მაინც არ დაუკარგავს.

**— არ გიცდია, კოტესთან დაგერეკა და გოგას შესახებ მისთვის რაიმე გეკითხა?**

— როგორ არა, მაგრამ ისიც მატყუებს და მეუბნება: მას შემდეგ, რაც ბათუმიდან ჩამოვედით, არც დამკავშირებია და არც ჩემს ზარებს პასუხობსო. ვუთხარი: იქნებ მისამართი მომცე და თავად მოვძებნი, ვინ იცის, რა უჭირს-მეთქი. ამაზე ბევრი იცინა: ჩემი გასულელება გინდა? იქნებ გოგას არ სურს, სახლში რომ მიადგე და მე, რა, „ჩამშვები“ კი არა ვარ; როცა მოუნდება, თავად დაგიკავშირდება და განახავსო.

**— აშკარაა, რომ გოგა შენთან შეხვედრას გაურბის.**

— ეს უკვე მეც ვიცი, მაგრამ რა ვუყო იმ გრძნობას, რომელიც ასე მტანჯავს?..

**— ჩვენ რით შეგვიძლია დაგეხმაროთ — ანუ რა მიზნით დაგვიკავშირდი?**

— მან იცოდა, რომ „გზის“ ფანი ვიყავი და ერთხელ წამოსცდა, — ამ ჟურნალს ჩემი დაც კითხულობს და ხანდახან, თვალი მეც კი გამირბის ხოლმეო. ჰოდა, იმედი მაქვს, ჩემს წერილსაც წაიკითხავს და დარწმუნდება, რომ მე არ ვეთამაშებოდი, რომ ძალიან მიყვარს და იმედი მაქვს, ოდესმე დამიბრუნდება...

**პახა,** *17 წლის:*

— მიუხედავად მცირეწლოვანებისა, ბევრი საკურორტო რომანი მქონია. მიმაჩნია, რომ ზაფხულში, როცა ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს დასვენებისა და გართობის გარდა სხვა საფიქრალი არა აქვთ, ფლირტაობაც არ აწყენთ. ამიტომ იმ გოგონების წინაშე, რომლებთანაც ზაფხულობით ვერთობოდი ხოლმე, თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ. თუმცა ნამდვილად არ მესიამოვნება იმის გაგება, რომ ჩემი დაც ასე ერთობა.

**— გოგონები შენს მახეში იოლად ებმებიან?**

— ვერ ვიტყვი, რომ ქალებს დანახვისთანავე ვუყვარდები, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიზანს თითქმის ყოველთვის ვაღწევ. ჩემი არ იყოს, გოგონებიც ეძებენ ხოლმე ისეთ მასტს, რომელიც მათ არდადეგებს გაულამაზებს, ვისთანაც იფლირტავებენ და ამიტომაც, მსგავს ურთიერთობაზე დაუფიქრებლად თანხმდებიან. ისეთი „საზაფხულო“ „ლოვეც“ მყავდა, რომელიც დღე-დღეზე უნდა გათხოვილიყო, მაგრამ ჩემთან ერთად დროის მხიარულად გატარებაში მისთვის ამას ხელი არ შეუშლია. თუმცა ჩვენი ურთიერთობა ქობულეთშივე დამთავრდა. არ ვარ ის ტიპი, რომელსაც შეუძლია, სიტუაციით ისარგებლოს და გოგონები აშანტაჟოს.

**— რას გულისხმობ?**

— თბილისში დაბრუნებული მათ აღარ ვურეკავ, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილს თავად არ გამოთქვამენ.

**— გოგონებს რა კრიტერიუმების მიხედვით არჩევ?**

— ყოველ შემთხვევაში, მათი ფული არ მაინტერესებს. მთავარია, კარგი გარეგნობა ჰქონდეთ და ხასიათი გამისწორონ... აუ, ერთხელ ერთს იმდენ ხანს ვეჩალიჩე, რომ სიქა გამძვრა, მაგრამ მაინც ვერ „შევაბი“. ბოლოს, როცა ხელი ჩავიქნიე, თავად დაიწყო აქტიურობა. ჰოდა, მეც თავი დავიფასე და მთელი ზაფხული შორიდან წვა-დაგვაში გავატარე. ისე, გამოგიტყდებით და, ამასაც თავისი ხიბლი ჰქონდა.

**გიო,** *16 წლის:*

— ამ ზაფხულს მე და ჩემმა საძმაკაცომ მხიარული „ბატის ჭუკები“ გავიცანით, რომლებიც ისე იოლად „შევახვიეთ“, რომ არც უკითხავთ, — მართლა მოგწონვართ თუ არაო? მე ნიას „სიყვარული“ მხვდა წილად, მაგრამ მაიკო უფრო მომწონდა და როცა მას ჩემი ძმაკაცი ეზასავებოდა, გულზე ვსკდებოდი. ჩემი საკურორტო რომანი ცუდად დამთავრდა — ერთხელ, როდესაც მე და ნია პარკში „ვგულაობდით“, ბიძამისი მოვარდა და ორივე ისე გვცემა, რომ სასწრაფოდ, ძმაკაცებმა თბილისში „წამომიღეს“. მას შემდეგ ნია აღარ შემხმიანებია, მაგრამ მაიკომ კი მომიკითხა. ჰოდა, მინდა გითხრათ, რომ ის ჩემი სიხარულია და როცა ზრდასრულები ვიქნებით, ცოლადაც მოვიყვან.

**— მიუხედავად იმისა, რომ ის შენს ძმაკაცს ეზასავებოდა?**

— მერე რა მოხდა? კოცნა ბევრს არაფერს ნიშნავს. ძმაკაცს უკვე ველაპარაკე და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მაიკოს დანახვისას თავი უხერხულად არ იგრძნოს. აი, ასე დასრულდა ჩემი საზაფხულო თავგადასავალი, რომელიც არასდროს დამავიწყდება!

**ეკა,** *18 წლის:*

— მხოლოდ ერთხელ მქონდა საკურორტო რომანი და მაშინაც ვიღაც თურქს გადავეკიდე. თუმცა, ვერაფერს ვიტყვი, ქალის ფასი იცოდა და თავს მევლებოდა, ქართველი ბიჭებივით კი არ ცდილობდა, ჩემგან მაქსიმუმი მიეღო და მინიმუმი გაეცა.

**— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქართველ ბიჭებზე გაბრაზებული ხარ.**

— არა, მაგრამ დაქალებისგან ვიცი, როგორებიც არიან და ალბათ ამიტომაც არ მივეცი თავს უფლება, საკურორტო რომანი ქართველთან გამება... ჩემი თურქი მართალია, „შავი“ იყო, მაგრამ მაინც, მთელი დღე მზეზე იწვა და მისი ხათრით, მეც კარგად „შევიბრაწე“. აი, საღამოს კი ჩემ გარდა, მისთვის არავინ არსებობდა, ყველაფერს მე მიძღვნიდა და რას არ აკეთებდა, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა... ერთმანეთს რომ ვშორდებოდით, შევპირდი: მომავალ წელსაც ჩამოვალ და გნახავ-მეთქი, მაგრამ პირობა ვერ შევუსრულე, რადგან ზუგდიდში დაბრუნებული, „ლოვემ“ მომიტაცა და აბა, იმ თურქისთვის როგორღა მოვიცლიდი?.. ეჰ, კარგი ზაფხული იყო!

■

## „ჩემი შვილის შეყვარებული მართლმადიდებელი ქურთია“

**რუსთავი:**

„გამარჯობა. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. ჩემს შვილს შეუყვარდა გოგო, რომელიც კომპიუტერით გაიცნო. ჰოდა, შეყვარებულმა მხოლოდ რამდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ გაუმხილა: ქართველი არა ვარო. ის მართლმადიდებელი ქურთი გახლავთ და მისი ოჯახის წევრებიც ქრისტიანული წესით არიან მონათლულები. რა თქმა უნდა, როცა მისი წარმომავლობის შესახებ გავიგეთ, ოჯახის წევრებმა ჩემს შვილს ვთხოვეთ, — შეეშვი, სხვა მოძებნე-თქო. თითქოს, დაგვიჯერა და დაშორდნენ კიდეც, მაგრამ ახლა გავიგეთ, რომ ისინი ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად ისევ ხვდებიან. თქვენი აზრი მაინტერესებს: როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას? სიმართლე გითხრათ, პირადად მე, მათი ამბავი უკვე ღმერთს მივანდე. ვატყობ, ერთმანეთი ძალიან უყვართ და არ მინდა, ამ საქმეში ცუდად ჩავერიო და წლების შემდეგ შვილმა მისაყვედუროს: რას მერჩოდი, სიყვარული რატომ დამაკარგვინეო?! გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე“. ■

# რისთვის გაჩნდა ქალი?

**ამ თემაზე ბევრს დაობენ, მაგრამ პასუხი ყოველთვის არაერთგვაროვანია და კამათს იწვევს. ერთ-ერთი ფორუმელის აზრით, სუსტი სქესი მხოლოდ საფერებლად გაჩენილა.**

**ტასო:**

„დავიწყებ იმით, რომ ქალი — ქალია და თუ გაცხარდა... მამაკაცებმა აიღეს ბურთიც, მოედანიც და ისე დაშლიგინებენ, როგორც გაუხარდებათ. თან უნდათ, ქალიშვილი მოიყვანონ ცოლად და თან თურმე, არაქალიშვილი უნდა იყოს... ნუ, ქალიშვილი იმიტომ, რომ მეზობლებს სალაპარაკო თემა არ მისცენ, არაქალიშვილი კი იმ მიზეზით, რომ გამოცდილი უკეთესიაო... არ უნდათ ისეთი ცოლის შერთვა, რომელსაც კარგი საჯდომი და დიდი მკერდი არ ექნება, არადა, თავად მგონი, სარკეში არ იყურებიან. კავკასიაში ცხოვრობენ და გოგოს „ულვაშები" გაჰკვირვებიათ... „ფეხბოლნი კამანდის" „გაკეთება" კი გინდათ, მაგრამ ისიც გსურთ, რომ თქვენს ცოლებს ჯოლისნაირი ფიგურა ჰქონდეთ?..

ახლა კიდე, რეზერვისტებადაც წადითო!!! არა, ბატონო, ვერ მოგართვით. ჩვენც იმდენივე ხელი და ფეხი გვაქვს, რამდენიც თქვენ და ერთ დღეს ყველაფრის — შვილების, ქმრისა და საკუთარი თავის მოვლას, სარეცხის დარეცხვას, კერძების მომზადებას, სახლის დალაგებას, სტუმრების მიღებას, სწავლას და კიდევ უამრავი სხვა საქმის მოგვარებას ერთდროულად ვერ მოვასწრებთ... თან, მაინც უმადურები ხართ... კაცებო, გახსოვდეთ: ქალი საფერებლად გაჩენილა!!!"

FALLEN ANGIE:

„რა საყვარელი თემაა... ხომ იცი, უყვართ კაცებს წუწუნი, თორემ გულის სიღრმეში თავადაც იციან, რომ ქართველი ქალი ყველაზე მაგარია".

PING:

„და არა მარტო საფერებლად... პირადად მე, ქალებს ვუფრთხილდები კიდეც".

Likerstin:

„ქართველ კაცებს მენტალურად არაქალიშვილი, მაგრამ ბიოლოგიურად ქალიშვილი გოგონები სჭირდებათ!"

**მელიძა:**

„ჩემი აზრით, ყველა მამაკაცის ერთ ქვაბში მოხარშვა არ იქნება სწორი.

ჩემს ცოლს ან ქალს, რომელთან ერთადაც ვცხოვრობ, არავითარ შემთხვევაში არ დავაძალებ რეცხვას ან სახლის დალაგებას, რადგან ამ ყველაფრის მოგვარება სხვანაირადაც შეიძლება. იმაში კი გეთანხმებით, რომ ქალს უნდა მიეფერო, ყურადღება მიაქციო, მაგრამ ზოგს ეს თავში უვარდება და ეგეც ხომ გასათვალისწინებელია? ტასო, შენი პოსტიდან ჩანს, რომ ფიქრობ: მამაკაცებს ცოლი იმიტომ მოჰყავთ ან ქალთან ერთად იმიტომ ცხოვრობენ, რომ სახლი დაულაგონ, შვილები გაუჩინონ, გაურეცხონ და ასე შემდეგ, ეს კი, ჩემი აზრით, საშინელებაა! ამას სჯობია, ვინმეს ფული გადაუხადო და ყველაფერი მას გააკეთებინო. პირადად მე, ნამდვილად არ მინდა, ჩემი შვილების დედა შინამოსამსახურე იყოს. და თუ ქართველი კაცი ცოლის შეურაცხყოფისათვის სხვას ყელს გამოსჭრის, მგონი, ცოლს სახლშიც სათანადოდ უნდა მოექცეს — ანუ მას პატივი უნდა სცეს".

BONAVENTUR:

„იხუმრა თემის ავტორმა და ვხუმრობთ ჩვენც, თორემ ქალს რომ უნდა მოეფერო, ეგ გაჩენის დღიდან, ინსტინქტის დონეზე გვაქვს ყველა მამაკაცს. ჰოდა, ვინმეს თუ არ გამოსდის, ეგ სხვა ამბავია..."

**ორეირა:**

„კაცებო, ქალებს გაუფრთხილდით,
გული ფიანდაზად გაუშალეთ,
შუბლზე გაჩენილი ნაოჭები
ნაზი მოფერებით წაუშალეთ.
ქალებს შვილის ნუკრივით გაუფრთხილდით,
მადლი ხელისგულზე მოუყარეთ,
ქალებს დაულოცეთ ქალობა და
ბაღის ყვავილივით მოუარეთ.
თორემ სხვა ძალაა ქალის ძალა,
ქალი ათასგვარად გადაგაქცევს,
ქალი აგატირებს, ქალი დაგაჩოქებს,
წამოგაყენებს და ისევ კაცად გაქცევს.
ხოდა, ამ საუნჯეს გაუფრთხილდით,
გული ფიანდაზად გაუშალეთ,
შუბლზე გაჩენილი ნაოჭები
ნაზი მოფერებით წაუშალეთ", —

ამ თემის კითხვისას ეს ლექსი გამახსენდა".

**ტასო:**

„თავის დროზე ერთმა ეს სიტყვები დაწერა:

„კაცი? კაცი ოხერია,
როგორც ლოდი საყორე,
არაყს დალევს,
ღვინოს დალევს და
გულს გადააყოლებს...
ქალი?
ქალი მხნედ აიტანს,
ტარტაროზს და შაითანს,
ცხოვრებაში ყველანაირ
გაჭირვებას აიტანს..."

COCOLINA:

„ყოჩაღ! ვუერთდები ქალური სოლიდარობის ამ საერთო ფორუმულ აქციას. ისე, განა ყველა ქალი ქალია ან ყველა კაცი კაცია?!."

NITSA_144:

„ისე, ფემინისტებმა არ მიწყინონ და მე მზად ვარ, ყველა მძიმე და ბინძური საქმე კაცებმა აკეთონ: იომონ, დახნან, დათესონ, ინადირონ, დახოცონ ერთმანეთი, იმუშაონ ქარხანაში, მაღაროში, ჯანდაბაში და ოხრობაში, ქალებმა კი საკუთარ თავს მიხედონ და სურვილისამებრ, ის საქმე აკეთონ, რაც მოსწონთ... კაცი იძულებით უნდა მუშაობდეს, შემოსავლის უდიდეს ნაწილს კი ქალს, ოჯახს უნდა ახმარდეს და არ უნდა ფლანგავდეს სახინკლეებში, სასმელსა და ათას სისულელეში; მას არ უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს ის, რასაც არ იმსახურებს. ნუ, ლუკმაპურს ვერ დავამადლით, სადისტები კი არა ვართ. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა იყოს, კაციც ადამიანია და ზოგჯერ — ქალის მეგობარიც გახლავთ". ■

# „მე და ბექა შანტაჟისტს ყველაფერს ვუსრულებთ"

**ტანა 21:**

„მე და ჩემს შეყვარებულს უკვე 2 წელია, სექსი გვაქვს. ცოტა ხნის წინ ამის შესახებ ჩემმა ნათესავმა გაიგო, რომელიც საქართველოში დამკვიდრებული „ტრადიციის" მიხედვით, ჩემთან ცხოვრობს და აქ სწავლობს (აბა, როგორ ეკადრებოდა ქუთაისში დარჩენა). ჰოდა, მას მერე, რაც ეს ამბავი გაიგო, მაშანტაჟებს. ვიცი, მამამ ჩემი საიდუმლო რომ გაიგოს, ძალიან ცუდი რეაქცია ექნება და ამიტომაც, მე და ბექა შანტაჟისტს ყველაფერს ვუსრულებთ, ოღონდ კი ჩვენი საიდუმლო არ გათქვას. ამ ყველაფრის გაძლება აღარ შემიძლია. მირჩიეთ, როგორ მოვიშორო თავიდან ნათესავი?.." ■

*P.S. მაშ ასე, თუ რუსთაველსა და ტანა 21-ის წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*



# სამყარო

## ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოებანი

**1907 წლის 12 სექტემბერს (ახ. სტილით) წიწამურში მომხდარი უდიდესი ტრაგედია — ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა ის თემაა, რომელიც დეტალურად არასოდეს გამოუძიებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ ბევრ მკვლევარს აინტერესებდა და აინტერესებს, მკვლელობის ნამდვილი შემკვეთი და სხვათა შორის — მიზეზიც, კვლავ დაუდგენელია. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებამდე, ილია ჭავჭავაძის ხსენება ფაქტობრივად აკრძალულიც კი იყო: მისი შემოქმედება იმ დროის „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ბოლშევიკური იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ მიაჩნდათ და მიიჩნევდნენ, რომ „თავადი ჭავჭავაძე“ რეაქციონერი მოღვაწე იყო. 30-იანი წლების ბოლოს — ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელად — ყველა აკრძალვა მოიხსნა. ილიას ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი მკვლელიც დააკავეს და როგორც სჩვეოდათ, სამაგალითოდ დასაჯეს.**

*მიხეილ ლაბაძე*

გასული საუკუნის 40-იან წლებში, ილიას მკვლელის — გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე პირველად გაჟღერდა ვარაუდი, რომ ქართველთა უგვირგვინო მეფე ცარისტული „ოხრანკის“ აგენტებმა მოკლეს. არადა, თავად გიგლა ბერბიჭაშვილი თავგამოდებით ირწმუნებოდა, რომ მეფის ხელისუფლება არაფერ შუაში იყო — „ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი თავადი, რომელიც ხელს უშლიდა წითელ რევოლუციას!“ — აცხადებდა განსასჯელი. სხვათა შორის, ის ყოველთვის ელოდა, რომ წიწამურის ტერაქტის შემკვეთნი ადრე თუ გვიან დააჯილდოებდნენ და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლით ამაყობდა კიდეც. ისიც უნდა ითქვას, რომ ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელთა შორის ყველაზე გაუნათლებელი იყო და ამიტომაც, საბჭოთა პერიოდში, განსასჯელის სკამზე სწორედ ის აღმოჩნდა.

რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო რუსეთის იმპერიაში სისხლის სამართლის საქმე ოფიციალურად აღიძრა და რამდენიმე ეჭვმიტანილიც კი დააკავეს, მაგრამ ცხადია, გამოძიებამ ბევრი ვერაფერი დაადგინა. იმხანად, როგორც ცნობილია, რევოლუციური სიტუაცია უკვე აღარ იყო ისეთი მწვავე — მთავრობამ გამოსვლების ჩახშობა მოახერხა და რევოლუციონერებსაც დაერია. აქედან გამომდინარე, „თავადი ჭავჭავაძის“ (ასე იხსენიებოდა ოფიციალურად წმ. ილია მართალი, გამოძიების მიერ წარმოებულ დოკუმენტაციაში) მკვლელობა „ღვთისა და მეფის მოწინააღმდეგეთა“ ჩადენილ, მორიგ ტერაქტად შეფასდა. შესაბამისად, გამოძიებამ მალევე „მოაგვარა“ სხვადასხვა ფორმალობა და საქმეც ჩაიფარცხა. ქართველმა საზოგადოებამ ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე — ვინ და რატომ მოკლა ერის უგვირგვინო მეფე?



გიგლა ბერბიჭაშვილი XX ს. 20-იან წლებში



პავლე ფშავლიშვილი

ილიას მკვლელობის დეტალები, რომლებიც გამოძიებამ გამოარკვია, ასეთია: 1907 წლის 30 აგვისტოს (ძვ. სტილით), დილის 10:00 საათზე, ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან — ოლღასთან ერთად, თბილისიდან საგურამოში ეტლით გაემგზავრა. ცოლ-ქმარს თან ახლდნენ მსახური, იაკობ ბითარიშვილი და მეეტლე, თედო ლაბაური. საგურამოდან 4 ვერსის მოშორებით, წიწამურთან, 12:00 საათზე ეტლს თავს დაესხა ხუთი კაცისგან შემდგარი ბანდა. პირველად იაკობ ბითარიშვილმა ისროლა: ის შეიარაღებული ხალხის დანახვისთანავე, საქმის გასარკვევად ჩახტა ეტლიდან და რევოლვერით ერთ-ერთი თავდამსხმელი (კარგა ხნის მერე გაირკვა, რომ ეს იყო გიგლა ბერბიჭაშვილი) მუხლში დაჭრა. ბითარიშვილი ბანდიტებმა საპასუხო გასროლით მოკლეს. აგრეთვე, აუტეხეს სროლა ილია ჭავჭავაძეს და მის მეუღლესაც. ილიას ტყვიამ გულში გაუარა, ოლღა კი მძიმედ დაიჭრა. თავდამსხმელებმა ორივეს რამდენიმე დარტყმა კონდახითაც მიაყენეს, ილიას საკონტროლოდ შუბლში ესროლეს, მერე კი მიატოვეს და გაიქცნენ. ილიას მეუღლე მაინც ცოცხალი გადარჩა.

ტერორისტთა ფარული მხარდამჭერი იყო ილიას მეეტლე, თედო ლაბაურიც, თუმცა თავდასხმისას ისიც დაიჭრა, მოგვიანებით კი გამოძიებას განუცხადა, რომ თავდამსხმელები ეტლის გაძარცვას ცდილობდნენ. გამოძიებამ ეს ვერსია არ გაიზიარა და თედო ლაბაური სხვა ტერორისტ-მკვლელებთან — გიორგი ხიზანიშვილთან, პავლე ფშავლიშვილთან და ილია მოძღვრიშვილთან ერთად დააკავა. ასევე, ძებნა გამოცხადდა დანაშაულის ორ მონაწილეზე — გიგლა ბერბიჭაშვილსა და ივანე ინაშვილზე, რომლებიც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველ-

ზე ვეღარ დააკავეს; აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელთა ვინაობა პოლიციას თედო ლაბაურმა გაუმხილა.

დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა წმინდა წყლის „მაფიოზური პრინციპით“ განხორციელდა — მისმა შემსრულებლებმა არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა მსხვერპლი და რად უნდოდათ მისი მოკვლა შემკვეთებს. სარწმუნოა ისიც, რომ შესაძლოა, მკვლელები შემკვეთებს საერთოდ არც იცნობდნენ; საბჭოთა სამართალდამცველების მიერ წარმოებული გამოძიების მასალების მიხედვით, მკვლელობის საქმეში გარეული იყო ილიას მოურავი, დიმიტრი ჯაში. საქმეში ის ორგანიზატორად სახელდება. ცნობილია, რომ ჯაში ბოლშევიკი იყო, ოღონდ მეფის „ოხრანკასთან“ თანამშრომლობაში არაერთხელ გახლდათ შემჩნეული და ამის გამო, პარტიულ ამხანაგებს განაპირებული ჰყავდათ. საგულისხმოა, რომ პოლიციას არც კი დაუკითხავს ის, მაგრამ საბჭოთა სამართალდამცველებმა ორგანიზატორად იმიტომაც გამოაცხადეს, რომ მკვლელობის საქმეში მხოლოდ „ოხრანკა“ გამოკვეთილიყო.



ილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი უცნობი პიროვნება

სინამდვილეში კი, უფრო სარწმუნო ვერსიის თანახმად, ილიას მკვლელობას წინ მეტად საინტერესო მოვლენები უძღოდა: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მისი გააქტიურება ცხადია, ცარიზმის მესვეურებს მოსვენებას უკარგავდა და როგორც წესი, აგენტურა ცდილობდა, ილიასთვის პირად ცხოვრებასა და ურთიერთობებში შეექმნა პრობლემები — 1907 წლის იანვარ-თებერვალში, საგურამოელმა მოჯამაგირემ, პავლე ფშავლიშვილმა (შემდგომში — ილიას ერთ-ერთმა მკვლელმა) ილიას მოურავს, გვარად მემარნიშვილს (სხვა ვერსიით — მემანიშვილს) შარი მოსდო — გლეხებს წყალს რატომ არ აძლევო. მცირე ხნის შემდეგ კი მოურავი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, თუმცა საგურამოში ხმა გავრცელდა, რომ ის „ერთობის ხალხის“ (ანუ მემარცხენე-რადიკალების) მოკლული იყო. სხვათა შორის, ეს მკვლელობა პოლიციას ჯეროვნად არ გამოუძიებია.

ამის შემდეგ ილიამ მოურავად ყოვლად ბნელი წარსულის მქონე, დიმიტრი ჯაში აიყვანა, რომელიც ძალიან უჟმური პიროვნება იყო და ილიას მეგობრის, გერმანელი არტურ ლაისტის მოგონებით, საქართველოს უგვირგვინო მეფეს ერთხელ ისიც კი უთქვამს, ეს ვინ მომაყვანინესო. როგორც აღინიშნა, ჯაში აგენტი იყო და „ოხრანკას“ მესვეურებთან თანამშრომლობდა. ის ილიას მამულშიც სწორედ „ოხრანკამ“ ჩანერგა და მალევე გამოირკვა, რომ ჭავჭავაძის მოკვლით ბოლშევიკებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი — ერთ-ერთი სარწმუნო ვერსიით, ამ საქმეს ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე კურირებდნენ. მახარაძემ „რეაქციონერი თავადის“ მოკვლისთვის პავლე ფშავლიშვილს და მის მეგობარს — გიგლა ბერბიჭაშვილს 30-30 მანეთი (ეს იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხად მიიჩნეოდა) შესთავაზა. აღსანიშნავია ისიც, რომ მახარაძემ მათ ილიაზე ღამით თავდასხმა ურჩია: „სახლში თუ რაიმე ძვირფასეულობა ნახეთ, ისიც თქვენ გაიყავით!“ — უთქვამს ფილიპე მახარაძეს, რაზეც ბერბიჭაშვილი დაფიქრებულა, ფშავლიშვილს კი რატომღაც შორს დაუჭერია.

საბოლოოდ, ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად შეიკრიბა ოთხი „აქციონერი“ (მაშინ ასე უწოდებდნენ მათ, ვისაც ტერაქტისას უშუალოდ სროლა ევალებოდა): ფშავლიშვილი, ბერბიჭაშვილი, ხიზანიშვილი, ინაშვილი; ერთი



ილიას მეეტლე და მკვლელთა ხელშემწყობი თედო ლაბაური

„აგენტი“ — ლაბაური და ერთიც, ე.წ. „ორგანიზატორი“, რომლის სახელი და გვარი დღემდე უცნობია. აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლელობის საქმეში ის ფიგურირებს, როგორც „ვიღაც იმერელი“. ზოგიერთი ვერსიით, ამ მეტსახელის მიღმა თავად ფილიპე მახარაძე ან სერგო ორჯონიკიძე უნდა იგულისხმებოდეს. ამასთანავე, არქივში მოიპოვება კიდევ ერთი სურათიც, რომელზეც ილიას მკვლელობის უცნობი ორგანიზატორია აღბეჭდილი, თუმცა რამდენად შესაძლოა ვენდოთ „ჩეკას“ ამ დანატოვარს, სხვა საქმეა.

ერთი სიტყვით, ილიას მკვლელობა კარგად და დეტალურად იყო დაგეგმილი და სწორედაც გეგმის მიხედვით განხორციელდა. აქვე, ერთ საინტერესო ფაქტზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება — მკვლელობის დღესვე, ჭავჭავაძეების თბილისის ბინაც გაიძარცვა. გავრცელებული ვერსიით, მძარცველები რაღაც ხელნაწერებს დაეძებდნენ, თუმცაღა პოლიციამ ვერც კი დაადგინა, იპოვეს თუ არა. სხვათა შო-

ეტლი, რომლითაც ილია საგურამოში მიემგზავრებოდა



რის, ილია მაშინ სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო მოხსენებაზე მუშაობდა, რომლის გავრცელებაც „ოხრანკას“ არ სურდა და მკვლელობის მიზეზიც ეს იყო — ასეთია საბჭოთა ვერსია. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კი გავრცელდა მეორე ვერსია, თითქოს მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ილია ჭავჭავაძე საიდუმლოდ თვით ნიკოლოზ II-ს შეხვდა. მეფემ მას აღუთქვა, რომ საქართველოს ავტონომიას მიანიჭებდა; შესაბამისად, თბილისში პარლამენტი უნდა შეკრებილიყო, რომლის თავმჯდომარედაც სწორედ ილია მოიაზრებოდა. ამის წინააღმდეგნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკებიცა და მენშევიკებიც) და რასაკვირველია, თვით ცარიზმის მესვეურებიც. ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ მეფემ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა — საქართველოსადმი ავტონომიის მიცემის დაპირებით „სამოსტონიკები“ (ასე ეძახდნენ მაშინ ავტონომიის მომხრეებს) შემოირიგა, ილიას მკვლელობაზე თვალის დახუჭვით კი შესაბამისად — სოციალ-დემოკრატები. გარდა ამისა, ცარიზმისა და სოციალ-დემოკრატების მიზნები ილიასთან დაკავშირებით ერთმანეთს დაემთხვა; ორივე მხარისთვის ეს მნიშვნელოვანი იყო და დიდ მიღწევადაც ჩაითვალა.


ისარი

საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე

„ისარი“ 31 აგვისტო 1907 წ.

**გაზეთ „ისრის“ 1907 წლის 31 აგვისტოს სპეცნომერი**

ილიას მკვლელობის საქმეში ფიგურირებს აგრეთვე კიდევ ერთი პიროვნება — მცხეთის უბნის პრისტავი (რწმუნებული), ეროვნებით ლიტველი გრიციუნასი. ერთ-ერთი სანდო ვერსიით, ილიას მოურავი, დიმიტრი ჯაში გრიციუნასის აგენტი იყო. გიგლა ბერბიჭაშვილიც გრიციუნასს ჯაშმა წარუდგინა: „აი, ესაა კაცი, ვინც საქმეს კარგად შეგვისრულებს!“ — უთქვამს ჯაშს. ბერბიჭაშვილი გაოგნებულა და უკითხავს — რა საქმეზე საუბრობთო? იმ დროისათვის ფილიპე მახარაძეს უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ თავადი ჭავჭავაძის მოკვლა იყო საჭირო და ამიტომაც ბერბიჭაშვილი დაეჭვებულა — „ერთობის ხალხის“ გაცემას ხომ არ მთხოვენო. გრიციუნასმა შენიშნა მისი დაეჭვება და ორაზროვნად უთხრა: ის გააკეთე, რასაც ჯაში გეტყვისო. ერთი სიტყვით, გიგლა ბერბიჭაშვილი დაიბნა, მაგრამ როცა მოგვიანებით დიმიტრი ჯაშმა იგივე მოსთხოვა, რაც მახარაძემ, შვებით ამოისუნთქა და თანამზრახველებთან ერთად, ორიოდე დღეში შეასრულა ყველაფერი. ისიც უნდა ითქვას, რომ ბერბიჭაშვილი დაჭერას სულ უბრალო მიზეზით გადაურჩა — ის, როგორც უკვე აღინიშნა, ილიას მსახურმა, იაკობ ბითარიშვილმა მუხლში დაჭრა და ამიტომ, გამოსაჯანმრთელებლად თავი მცხეთელ მენახშირეებთან შეაფარა.

ილიას მკვლელობის ამბავი რომ გახმაურდა, გიგლა ბერბიჭაშვილმა საგურამოში ჯაშს მიაკითხა და გასამრჯელოსთან ერთად, დახმარებაც სთხოვა. ამასთან, უცნობია, აიღო თუ არა ბერბიჭაშვილმა გასამრჯელო მახარაძისგან — მის საქმეში, გასაგები მიზეზების გამო, ამის თაობაზე საერთოდ არაფერია ნახსენები. ჯაშმა ბერბიჭაშვილს აღუთქვა, რომ დაეხმარებოდა და მართლაც შეასრულა თავისი სიტყვა — სავარაუდოდ, ყველაფერი გრიციუნასს აცნობა და, მანაც მთელი თავისი გავლენა გამოიყენა, რომ ბერბიჭაშვილი მართლმსაჯულებას გადარჩენოდა: ილიას მკვლელი ირანში გააპარეს, 1921 წელს კი ის რუსეთის მე-11 არმიას შემოჰყვა საქართველოში, სხვა ქართველ მოღალატეებთან ერთად. გასაბჭოების შემდეგ, გიგლა ბერბიჭაშვილი დუშეთსა და თბილისში, სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე მუშაობდა და ტრაბახობდა კიდეც: ილია ჭავჭავაძე ამ ხელებით მყავს მოკლულიო. 1924 წელს, სრულიად შემთხვევით, ბერბიჭაშვილთან ერთად, სუფრაზე აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე მოხვდა და ყური მოჰკრა ამ სიტყვებს. ბუნებრივია, აღშფოთდა, მაგრამ რამდენადაც ბერბიჭაშვილი პარტიული ფუნქციონერი იყო, ხმამაღლა ვერაფერი თქვა. საბოლოოდ, როგორც უკვე ითქვა, ბერბიჭაშვილი 1940 წელს დააკავეს, გაასამართლეს და დახვრიტეს.



**ილია ჭავჭავაძის ცხედარი, შუბლზე ნატყვიარით**

საინტერესოდ წარიმართა პრისტავ გრიციუნასისა და დიმიტრი ჯაშის ბედი — პრისტავი პირველი იყო, ვინც მკვლელობის ამბავი შეიტყო, თუმცაღა რეაგირება 2 საათის შემდეგ მოახდინა და შემთხვევის ადგილზე ორი ჟანდარმი გაგზავნა. კაზაკთა ასეული კი, რომელიც ჩვეულებრივ, ასეთ დროს გამოიყენებოდა ხოლმე, საქმეში არც კი ჩართო. შემდგომში გრიციუნასი დააწინაურეს და ჯერ თბილისის ერთ-ერთ რაიონში გადმოიყვანეს, მერე კი ბაქოში ჟანდარმერიის უფროსად დანიშნეს. 1917 წელს მან კავკასია საერთოდ დატოვა და ლიტვაში წავიდა. იმავე წელს, დიმიტრი ჯაში, ფილიპე მახარაძესთან ერთად, „ოხრანკის“ აგენტობის გამო დააპატიმრეს, თუმცაღა ციხიდან ორივენი გააპარეს. ამის შემდეგ, დიმიტრი ჯაში უცნობმა ტერორისტებმა მოკლეს.

1919 წელს, ფილიპე მახარაძე ისევ ციხეში აღმოჩნდა. მაშინ, როგორღაც, ილიას მკვლელობის ამბებიც ამოტივტივდა; მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილს ამის თაობაზე სასამართლოს გამართვაც უნდოდა, მაგრამ ფილიპე მახარაძე ისევ გააპარეს — გადმოცემით, მას ხელი შეუწყო ერთ-ერთმა გენერალმა, რომელიც ნოე ჟორდანიას ნათესავი იყო და მისივე დავალებით მოქმედებდა. გასაბჭოების შემდეგ, ამ გენერალს სამუდამო პენსია დაენიშნა.

ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობით, ქართველი ერის მტრებმა მიზანს მიაღწიეს — იმდროინდელ ქართველ საზოგადოებრიობაში ვერავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ერს წინ გაუძღვებოდა. წიწამურის ტრაგედიის შედეგებს დღესაც ვიმკით. ■

# BMW 5-Series დიზელის ძრავათი

მომავალი წლის გაზაფხულზე კომპანია BMW მოდელის — 5-Series — განახლებულ მოდიფიკაციას გამოუშვებს, რომელიც სრულამძრავიანი სისტემითა და სამტურბინიანი დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი. სიახლეს სპორტული განყოფილება M GmbH შეიმუშავებს და იგი ფირმის მიერ შექმნილ „მძიმე" საწვავზე მომუშავე მოტორით აღჭურვილი პირველი სერიული მანქანა იქნება. გამოცემის ინფორმაციით, მანქანა ბრენდის მოდელებისთვის უჩვეულო სახელწოდებისაა, რომელშიც აუცილებლად, ასო M იქნება. ადრე გავრცელებული ცნობით, BMW M5-ის დიზელის ალტერნატივა სედანისა და უნივერსალის ძარებით გახდება ხელმისაწვდომი და მას M550dxDrive ერქმევა. სავარაუდოდ, ყველაზე მძლავრი დიზელის „ხუთიანი" არსებული 3-ლიტრიანი აგრეგატის მოდერნიზებული ვერსიით აღიჭურვება. მოტორი დაახლოებით 500-550 ცხძ-ს განავითარებს. შედარებისთვის, BMW M5-ის ბენზინის ვერსია 4,4-ლიტრიანი, 2-ტურბინიანი „რვიანითაა" აღჭურვილი. ამ ძრავას სიმძლავრე 560 ცხძ-ს შეადგენს. ბენზინზე მომუშავე სედანი BMW M5 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,4 წამში ავითარებს, ხოლო 200 კმ/სთ-ს — 13 წამში; მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ია (ან 305 კმ/სთ M Drivers Package-ს ოპციური პაკეტით). ბრენდ M-ის მარკეტინგის მენეჯერმა ბრაიან უოტსმა დაადასტურა, რომ კომპანია ნამდვილად განიხილავს დიზელის M-ავტომობილის გამოშვების შესაძლებლობას. მისი თქმით, ასეთ მანქანას „მართლა აქვს ერთობ საინტერესო პოტენციალი". ავტომობილის წარმოებაში ჩაშვების შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღიათ. ■



# ჰიბრიდული კაბრიოლეტი „კადილაკისგან"

პებლ-ბიჩის ავტოსალონზე კომპანია „კადილაკმა" კონცეპტუალური ჰიბრიდული კაბრიოლეტი Ciel წარადგინა. მისი სახელწოდება ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც — „ცა". კომპანიის პრესრელიზის თანახმად, მარკის ტრადიციულ სტილში შესრულებული 4-ადგილიანი ავტომობილი იმის მაჩვენებელი იქნება, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს „კადილაკის" მომავალი მოდელები. კაბრიოლეტის ბორბლების ბაზის ზომა 3175 მმ-ია, გაბარიტული სიგრძე — 5174 მმ, სიგანე — 1968 მმ, სიმაღლე — 1270 მმ. მანქანა 3,6-ლიტრიანი ტურბინირებული V6 მოტორითაა აღჭურვილი, რომელიც ლითიუმ-იონური ბატარეებით მკვებავ ელექტროძრავასთან ერთად მუშაობს. აგრეგატის ჯამური სიმძლავრე 425 ცხძ გახლავთ. ავტომობილის გარეგნობაზე „კადილაკის" კალიფორნიულ დიზაინცენტრში იზრუნეს. კონცეპტ-ავტო 4-კარიანი იქნება. მის დეტალებში ნატურალური ტყავი და ხეა გამოყენებული. უკანა სავარძლის მგზავრებისთვის გათვალისწინებულია შალის საბნებიც, რომლებიც სავარძლის გვერდებზეა ჩაკეცილი. ავტომობილის კარებში განათებაც ჩაამონტაჟეს, რომელიც დღე-ღამის მონაკვეთის მიხედვით, სხვადასხვა ძალით ანათებს. ■



# ბიზნესკლასის სედანი „ლექსუსისგან"

ამ კლასის ავტომობილებს შორის მუდამ დიდი კონკურენციაა. ამ „ბრძოლის ველზე" BMW, Volvo, Jaguar და Cadillac ეპაექრებიან ერთმანეთს. სედანს — GS მათ შორის საპატიო ადგილი უკავია და იაპონელი ავტომწარმოებლებიც წლიდან წლამდე კიდევ უფრო ხვეწენ თავის პირმშოს, რათა სახელგანთქმულ „ევროპელებს" არ ჩამორჩეს. მეოთხე თაობის GS ვიზუალურად დიდად განსხვავდება თავისი წინამორბედისგან. თუ ადრე „ლექსუსის" სედანი გამობერილი ფორმებით გამოირჩეოდა და ცოტა ზედმეტად სოლიდური გარეგნობით გამოირჩეოდა, ახალი ნიმუში გაცილებით დინამიკურად და მოხდენილად გამოიყურება.



ინტერიერის დიზაინერებმა ძველ პრინციპებს არ უღალატეს — ძვირად ღირებული მასალაც გამოიყენეს და მაღალი ტექნოლოგიებიც: ტყავითა და ხის მასალით მოპირკეთებული GS-ის სალონი კოსმოსური ხომალდის კაბინას წააგავს. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს — მწარმოებლებმა ამ საკითხშიც არ უღალატეს ძველ მიღწევებს: მანქანა წინა თაობის პლატფორმაზე ააგეს, მაგრამ არც მისი დახვეწის აუცილებლობა დავიწყნიათ — ძირითადი არქიტექტურის შენარჩუნებასთან ერთად, წინა საკიდრის რამდენიმე ბერკეტის დამზადებისას ალუმინი გამოიყენეს, უკანა მხარეს კი სრულიად ახალი მრავალბერკეტიანი მექანიზმი გაჩნდა, რაც, ინჟინრების თქმით, ავტომობილს მეტ სიმყარეს სძენს.

ახალი Lexus GS სავარაუდოდ, სამი ძრავათი აღიჭურვება: 2,5 და 3,5 ლ მოცულობის ბენზინისა და 3,5-ლიტრიანი ჰიბრიდული აგრეგატით. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას კომპანიის მესვეურები ჯერჯერობით არ ამჟღავნებენ. ■

**ანტიდეპრესანტი**

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. ბელურას სიარული არ შეუძლია.
2. ბეისბოლის ბურთი 142 გრამს იწონის.
3. სიგარეტი რიჩარდ ჯოშუა რეინოლდსმა გამოიგონა.
4. 10-კილოგრამიანი გირი იუპიტერზე 24 კილოგრამს იწონის.
5. საველე ჰოსპიტალი პირველად ალექსანდრე მაკედონელმა შემოიღო.
6. ბესლანის ტრაგედიის დროს 334 ადამიანი დაიღუპა. მათგან 186 ბავშვი იყო.
7. „არ ავნო“ — ასეთი გახლდათ ჰიპოკრატეს ერთ-ერთი უმთავრესი თეზისი.
8. მიქელანჯელო კარავაჯომ კაცი მოკლა და მთელი თავისი ცხოვრება იმალებოდა.
9. ევგენი ლეონოვმა სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა დიდი კომედიური ტრაგიკოსის სახელი.
10. რუსეთში პირველი წყალქვეშა ნავი დურგალმა ეფიმ ნიკონოვმა 1724-1727 წლებში ააგო.
11. „ვ რასიი ველიკ ტოტ, ს კემ რაზგავარივაეტ იმპერატორ“, — ამბობდა იმპერატორი პავლე I.
12. ლატვიის დედაქალაქი — რიგა — 1201 წელს გერმანელებმა დააარსეს, ვაჭრობის განვითარების მიზნით.
13. აკაკი წერეთელს პირველი შვილი გარდაეცვალა. ალექსანდრე (ლიოლია) მისი მეორე შვილი იყო.
14. რომის ისტორია სამ ძირითად ეტაპად იყოფა: მეფეთა ეპოქა, რესპუბლიკის ხანა და იმპერიის ეპოქა.
15. კოლიზეუმის დასათვალიერებლად ტურისტებს უგრძეს რიგში უწევთ დგომა, თუმცა შეიძლება კერძო გიდის დაქირავება, რომელსაც ურიგოდ შეჰყავს დამთვალიერებლები.



16. ადამიანები მსოფლიო მასშტაბით 40 მილიონ ტონა საგაზეთო ქაღალდს მოიხმარენ წელიწადში. ორი წლის მანძილზე გახარჯული ქაღალდით დედამიწის შეფუთვა იქნებოდა შესაძლებელი.
17. კანადა პარლამენტური მონარქიაა, წყობილების ფორმით — ფედერაცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ინგლისის დედოფალს ეკუთვ-

# ინდივიდუალობის შენარჩუნება თქვენი წარმატების გარანტიაა...



დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ ხდება, რომ თითქოსდა უნაკლო გარეგნული მონაცემების მქონე ლამაზმანის მიმართ მამაკაცი ხშირად გულგრილი რჩება მაშინ, როცა ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ, უბრალო გარეგნობის ქალს თაყვანისმცემლებისგან მოსვენება არა აქვს?!. სწორედ ეს გახლავთ ქალური შარმის საიდუმლო — ის, რასაც შესაძლებელია თავად ქალი ვერც კი აცნობიერებდეს, მამაკაცის ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩება.

თუმცა არსებობენ მამაკაცები, რომელთაც მხოლოდ ერთი, გარკვეული სტილის ქალები მოსწონთ. მაგალითად, მარლონ ბრანდოს მხოლოდ და მხოლოდ ეგზოტიკური სისხლის ქალბატონები ხიბლავდნენ და ვერანაირი ქერა ლამაზმანი მას გემოვნებას ვერ შეუცვლიდა.

თანამედროვე მამაკაცების გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მათი უმეტესობა უპირატესობას მხიარულ, კარგად მოვლილ, ამავე დროს უშუალო, გულღია ქალებს ანიჭებს. კიდევ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ სპორტული, მებრძოლი სულის, მატერიალურად ფეხზე მყარად მდგარი, ოპტიმისტი ქალბატონები, რომელთაც მამაკაცისთვის ღირსეული მეგობრობის გაწევა შეუძლიათ და მისგან გადამეტებულ ზრუნვას და ყურადღებას არ მოითხოვენ.

საინტერესოა, რომ გამოკითხვისას ერთი, კონკრეტული თმის ფერისთვის ან აღნაგობისთვის უპირატესობა არავის მიუნიჭებია. ზოგადად კი მამაკაცებს არ მოსწონთ გარეგნულად (განსაკუთრებით ვერ იტანენ თმის ლაკს და „მრავალსართულიან“, მოუხერხებელ ტანსაცმელს) თუ შინაგანად ხელოვნური, ანგარებიანი, ინფანტილური და მეწვრილმანე ქალები.

ქალური მომხიბვლელობა ძალზე ინდივიდუალურია და არანაირ სტანდარტს არ ექვემდებარება. გამოხედვა და ჟესტები, ღიმილი და ხმის ტემბრი — მამაკაცი ამ ყველაფერს ერთიანობაში აღიქვამს და მისთვის სასურველი ქალიც სახეზეა. ალბათ ამიტომაც არის ასე ძნელი, იპოვო ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებული დარჩება შენი მცირედი უცნაურობებით და შენი პატარა ფიზიკური ნაკლიც კი ეყვარება.

ასე რომ, სიყვარული მხოლოდ ლამაზმანთა ხვედრი როდია. ნებისმიერ ქალს შეუძლია ვიღაც ერთისთვის იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე — სხვისთვის. ამიტომ არ ღირს სრულყოფილებასთან მიახლოებულ, იდეალურ ქალთან მსგავსებაზე იოცნებოთ და ძირფესვიანად გარდაქმნათ საკუთარი ნატურა. ამგვარი გზით მიღწეული სრულყოფილება წარმატებას ნაკლებად მოგიტანთ, ის ხიბლი კი, რაც სწორედაც რომ თქვენს ინდივიდუალობაშია, შესაძლებელია სამუდამოდ გაქრეს. ■

## ყავა ორლეანურად



**მასალად საჭიროა:**

1 ფინჯანი ყავა
1 ფორთოხალი
5 ს/კ კონიაკი
5 ს/კ ლიქიორი
1 ჩ/კ შაქარი
3 ცალი მიხაკი

**მომზადების წესი:**

აიღეთ ფორთოხლის ცედრა და აურიეთ მასში მიხაკი. ჭიქაში ჩაყარეთ შაქარი და დაუმატეთ ცედრა და მიხაკი. ჯეზვეში (ან რაიმე ლითონის ჭურჭელში) ერთად ჩაასხით კონიაკი და ლიქიორი, გააცხელეთ და ჩაასხით შაქრიან ჭიქაში. ჭიქა ყავით შეავსეთ და მიიტანეთ სუფრაზე

განკუთვნილია 1 ულუფისათვის. ■

# ნუ უსაყვედურებთ მამაკაცს, თუ...

**მასთან ნორმალურად ლაპარაკი შეუძლებელია**

სხვათა შორის, მასაც უჭირს თქვენთან საუბარი, რადგან ქალების ტვინი ორ ნახევარსფეროს შორის ურთიერთობას უკეთ არეგულირებს. გარდა ამისა, ქალებს სპეციალური სამეტყველო ცენტრი გვაქვს. ჩვენ მამაკაცებზე სწრაფად ვსაუბრობთ, თან ერთდროულად — ყველაფრის შესახებ. მამაკაცის ტვინი უფრო მიზანმიმართულად მუშაობს, ვიდრე ჩვენი და ყოველთვის ცდილობს, შეთავაზებულ ინფორმაციაში რაციონალური საწყისი იპოვოს. მამაკაცი დუმილით ისმენს და პრაქტიკულად, სახის გამომეტყველებას არ იცვლის. ქალი კი ემოციას განუწყვეტლივ სხვადასხვა მიმიკითა და სიტყვიერი კომენტარებით გამოხატავს. ამიტომ მამაკაცის ინერტული სახის დანახვაზე, ქალმა შეიძლება იფიქროს, რომ თანამოსაუბრე მისი მონათხრობის მიმართ ინდიფერენტულია და გაბ-



რაზდეს. სინამდვილეში, როგორც ამას მამაკაცის ტვინის სკანირება მოწმობს, ის ყურადღებით ისმენს ყველაფერს და გულმოდგინედ ცდილობს(!), რაიმე გაიგოს.

**განუწყვეტლივ თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს**

მართალია, მამაკაცს არა აქვს ცალკე სამეტყველო ცენტრი, მაგრამ მის ტვინში არსებობს სპეციალური სფერო, რომელიც სივრცეში ორიენტაციაზეა პასუხისმგებელი. ამ ცენტრის შესაძლებლობების გამოყენება მამაკაცს განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ უყვარს მას ფეხბურთი, კომპიუტერული თამაშები და ნადირობა.

**შეუძლია მშვიდად იძინოს, მაშინაც კი, როცა ბავშვი ყურისწამღებად გაკივის**

თავს არ იკატუნებს — მართლა არ ესმის პატარის ტირილი. მისი ტვინი ამ ხმას ვერ აფიქსირებს, ვინაიდან მასში მამაკაცისთვის არავითარი საფრთხე არ იმალება. სამაგიეროდ, ქალმა შეიძლება ბავშვის ტირილის დაწყებამდე ერთი საათით ადრეც კი გაიღვიძოს.

**ვერ იმახსოვრებს თქვენი ნათესავების სახელებს**

ნათესაური ურთიერთობის მოგვარება ყოველთვის ქალის პრეროგატივა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მამაკაცის ტვინის ის მხარე, რომელიც პიროვნებებს შორის კონტაქტებზეა პასუხისმგებელი, საკმაოდ ცუდადაა განვითარებული. მაგალითად, გოგონებს 12 თვიდან შეუძლიათ სურათზე მშობლების სახეები უცხოებისგან გაარჩიონ, ბიჭებს — არა. ის კი არა და, მამაკაცს ყოველთვის არ ძალუძს საკუთარი შვილის ცნობა, თუ ორ მსგავს ჩვილს აჩვენებენ.

**გეჩვენებათ, რომ ის თქვენ მიმართ სრულებით გულგრილია**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალი თანამოსაუბრის მოსმენისას სახის გამომეტყველების შეცვლას სულ რაღაც 10 წამში, დაახლოებით ექვსჯერ ასწრებს — მაშინ, როცა მამაკაცებს ემოციების გადმოცემა უჭირთ. ტვინის სკანირების მიხედვით, საუბრის მომენტში მამაკაცი არანაკლებ ემოციურია, ვიდრე ქალი. გარდა ამისა, ის მოკლებულია ქალისთვის დამახასიათებელ უნარს — გარშემო მყოფთა (მათ შორის, საკუთარი ცოლის) ქცევაში მცირედი ნიუანსი შეამჩნიოს. თუ გსურთ, მამაკაცმა გაგიგოთ, უფრო გარკვევით გამოთქვით თქვენი სურვილები და პრეტენზიები. ■

## ყვავილოვანი კომბოსტო პომიდვრით



მარილწყალში ნახევრად მოხარშეთ 1 კგ ყვავილოვანი კომბოსტო, გადაიტანეთ თუშფალანგზე, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩაუმატეთ დაჭრილი 3-4 თავი ხახვი, ნახევარი ჩაის ჭიქა ტომატი ან ცოცხალი, დაჭყლეტილი პომიდორი, 100 გ მცენარეული ზეთი, დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და მარილი. ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა



**ანტიდეპრესანტი**

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*

ნის, რომლის ფუნქციებსაც გენერალ-გუბერნატორი ასრულებს.

18. გაო სინ ძიანი ჩინელი ფერმერია, რომელიც გამჭვირვალე პლასტიკატისგან დამზადებულ ფორმებს მსხლის ახლად გამოსხმულ ნაყოფზე აცმევს. მსხალი იზრდება და ზრდასრული ნაყოფი მჯდომარე ბუდისტი ბერის ფორმას იძენს.



19. როცა ბრიტანეთის საზღვაო ფლოტში ხის ხომალდები ჯავშნოსნებმა შეცვალეს და იალქნები ორთქლის ძრავებმა ჩაანაცვლეს, ძველი მეზღვაურები სინანულით გაიძახოდნენ: როცა ხომალდებს ხისგან აგებდნენ, მაშინ მეზღვაურები ფოლადისგან იყვნენ ნაწრთობი, ახლა გემები რკინისგან მზადდება, მეზღვაურები კი ხისგან არიან ნაკეთებიო.

20. განთქმულ ანარქისტისა და კონტრრევოლუციონერ ნესტორ მახნოს 1909 წელს, პოლიციელის მოკვლისთვის სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ არასრულწლოვანების გამო სასჯელის უმაღლესი ზომა 10-წლიანი კატორღით შეუცვალეს. იგი 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ გაათავისუფლა. მახნო მშობლიურ გულიაიპოლეში დაბრუნდა და ანარქისტული პარტიზანული რაზმი შექმნა, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ავსტრია-გერმანელ ოკუპანტებს, ჰეტმანის ხელისუფლებას და დიდი პოპულარობა მოიპოვა გლეხკაცობაში. „ბატკო“ მახნოს მეთაურობით დაწყებული მოძრაობა ისტორიაში „მახნოვშინის“ სახელით შევიდა, რომლის განადგურების შემდეგ, 1921 აგვისტოში, მახნო რუმინეთში გაიქცა, შემდეგ პოლონეთში გადავიდა, 1923 წლიდან კი საფრანგეთში გადასახლდა, სადაც მეწაღედ, შემდეგ კი სტამბის მუშად მუშაობდა. იქვე დაწერა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად „განწყობილი“ ორტომიანი მემუარები.

21. სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირმა 60000 ტანკი — „ტე-34“ გამოუშვა. გერმანელებმა კი თავიანთი ძვირად ღირებული „ვეფხვის“ მხოლოდ 1200 ეგზემპლარი დაამზადეს. „კალიჩესტვო ტოჟე კაჩესტვო“, — ამბობდა სტალინი და ტანკ „ტე-134“-ის წარმოებამ დაამტკიცა მისი სიტყვების ჭეშმარიტება.

# „წარსულში ვცხოვრობ“...

**„არ მგონია, ამ რუბრიკისთვის კარგი რესპონდენტი ვიყო, მაგრამ შეხვედრაზე უარს მაინც არ გეტყვი“, — ასეთი პასუხი მივიღე ფოტოგრაფ იური მეჩითოვისგან, როცა დავურეკე და „ერუდიტისთვის“ ჩაწერა ვთხოვე. როგორი რესპონდენტი აღმოჩნდა? წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ.**

## „იმედია, ამისთვის არავინ დამაპატიმრებს“

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

— **ბევრი წიგნი გაქვთ წაკითხული?**

— საკმაოდ. ახალგაზრდობაში უფრო აქტიური მკითხველი ვიყავი, მაგრამ გული მწყდება, ბევრი კარგი წიგნის წაკითხვა რომ ვერ მოვასწარი. ახლა მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო იმდენს ველარ ვკითხულობ. სამაგიეროდ, აუდიოწიგნებს ვუსმენ. ორიგინალში ქართულის გარდა, რუსულ და ინგლისურ ენებზე ვკითხულობ. ბოლოს ლარი ფლინტის პუბლიცისტიკას გავეცანი.

— **რომელი ჟანრით ინტერესდებით?**

— ინტერესი ასაკთან ერთად მეცვლება. იყო პერიოდი, როცა ფანტასტიკა მომწონდა. ახლა ყველაზე მეტად პოლიტიკური ლიტერატურა მიზიდავს. ჩემთვის პოლიტიკა არ არის კერძო საგანი. პოლიტიკა ცხოვრებაა. არ ვეთანხმები ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ პოლიტიკა არ აინტერესებთ. გამოდის, რომ მათ არც ცხოვრება აინტერესებთ.

— **საუბრის დასაწყისში მითხარით, ბევრი კარგი წიგნის წაკითხვა ვერ მოვასწარიო. რომელ წიგნებს გულისხმობდით?**

— რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ რუსულად მაქვს წაკითხული, მაგრამ ავტორის ენა და სტილი იმდენად განსხვავებულია, ორიგინალში წაკითხვაც მინდა. „ვეფხისტყაოსანი“ ნაწილნაწილ მაქვს წაკითხული. მინდა, გულიანად ჩავუჯდე და თანამიმდევრულად გავეცნო. გენიალური ტექსტია. ვამბობ ხოლმე, ციხეში რომ მოვხვდე, წიგნების წასაკითხად იქ მეტი დრო მექნება-მეთქი (*იცინის*).

— **ციხეში მოხვედრისგან ღმერთმა დაგიფაროთ. ისე, აქვე გკითხავთ, წიგნი მოგიპარავთ?**

— არასდროს (*პაუზის შემდეგ*). არა, არა, როგორ არ მომიპარავს! სიმართლის თქმა ჯობია. იმედია, ამისთვის არავინ დამაპატიმრებს: ერთი პატარა ბიბლიოთეკიდან მოვიპარე. პოლიტიკური ლიტერატურაა და ახლაც სახლში მაქვს.

— **კარგი მეხსიერებით გამოირჩევით?**

— არა. საერთოდ, წარსულში ვცხოვრობ, აწმყოში ვარ და მომავალზე ნაკლებად ვფიქრობ.

— **ინტელექტუალური თამაშები გიზიდავთ?**

— მიმაჩნია, რომ ასეთი თამაშები ადამიანს ავითარებს, მაგრამ კროსვორდების შევსება არ მიყვარს.

— **რომელი წელი ითვლება ფოტოგრაფიის გამოგონების თარიღად?**

— 1839 წელი. ინგლისში ტალბოტმა და საფრანგეთში ნიეპსმა ერთობლივად შეიმუშავეს გამოსახულებათა მიღების ხერხი. ახლახან გერმანიიდან საინტერესო წიგნი ჩამოვიტანე. ერთმა მკვლევარმა გამოიკვლია, რომ მხატვრები ოპტიკას (ფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სინათლეს) რენესანსის პერიოდიდან იყენებდნენ.

— **ვინ იყო პირველი ქართველი ფოტოგრაფი?**



— ალექსანდრე როინიშვილს ასახელებენ. ის არა მხოლოდ ფოტოგრაფი, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო.

— **მან ფოტოკარიერა თბილისში 1865 წელს დაიწყო.**

— დიახ და მალევე გახსნა საკუთარი სტუდია, რომელსაც „რემბრანდტი“ დაარქვა.

— **ამ რუსმა პოეტმა ჩვენს ქვეყანას არაერთი ლექსი უძღვნა: „საქართველოს მთებზე“, „კავკასიონი“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „ზვავი“ და ა.შ. დაასახელეთ ამ ლექსების ავტორი.**

— ბუნებრივია, საქართველოში ნამყოფი იყო.

— **დიახ. თბილისს ის 1829 წელს ესტუმრა.**

— ალექსანდრე პუშკინი. საქართველოთი არაერთი უცხოელი მწერალი აღფრთოვანებულა. ეს განცდა რუსულ პოეზიასაც ლაიტმოტივად გასდევს.

— **ვინ იყო ჟორჟ შარლ დანტესი?**

— ფრანგი მონარქისტი იყო. ცნობილია, როგორც პუშკინის დუელის ოპონენტი და მკვლელი. ამბობენ, პოეტის მეუღლესთან — ნატალია გონჩაროვასთან რომანი ჰქონდაო. პუშკინისთვის ეს პირველი დუელი არ იყო, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა.

— **გახსოვთ, ეს დუელი რომელ წელს იყო?**

— 1837 წელს. დანტესი 1830-იან წლებში ცხოვრობდა რუსეთის იმპერიაში. მერე საფრანგეთის სენატის წევრი გახდა.

— **ყველა კითხვაზე მიპასუხეთ და მეუბნებოდით, ამ რუბრიკისთვის კარგი რესპონდენტი არ ვიქნებიო.**

— (*იცინის*) ჰო! რაღაცები მცოდნია.

— **ის ჩინური წარმოშობისაა, მაგრამ ყველაზე ცნობილი სახეობა მსოფლიოში საფრანგეთიდან გავრცელდა. პირველად ის საფრანგეთის ქალაქ პლომბიერლე ბეში დაამზადეს. რაზეა ლაპარაკი?**

— ვერ ვხვდები.

— **მიგანიშნებთ, ნუგბარის ერთ-ერთ სახეობაზეა.**

— ვერ გიპასუხებთ.

— **ნაყინი „პლომბირი“.**

— მართლა? ქალაქის დასახელებიდან უნდა მივმხვდარიყავი.

— **„ისინი ჰგვანან იმ კატას, რომელმაც ფორტეპიანოს კლავიშებზე გავლა მოინდომა. ან იმ მაიმუნს, რომელმაც საღებავებიანი ყუთი იგდო ხელთ“, — ასე წერდა გაზეთი „ფიგარო“ ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა შემოქმედების შესახებ...**

— (*მაწყვეტინებს*) მივხვდი, იმპრესიონისტებზე იქნება ლაპარაკი.

— **ნამდვილად ასეა. ის თავისი ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს, დროდადრო უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოებს ანიჭებდნენ. პირველი ორდენი წერა-კითხვის გავრცელებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო. მისმა ასობით ათასმა თანამემამულემ კითხვა მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ მისი ბიოგრაფია წაეკითხა. რა სახელით არის ცნობილი ის მთელ მსოფლიოში?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებთ, მისი ნამდვილი სახელია ედსონ არანტეშ დუ ნასიმენტუ.**

— მაინც ვერ გიპასუხებთ.

— **ფეხბურთელია.**

— სპორტის ამ სახეობისგან ძალიან შორს ვარ.

— **პელეზეა ლაპარაკი. რუანდის დასავლეთ საზღვართან არის საოცარი ტბა — კივუ. მასთან ახლოს მდებარე ვულკანის ამოფრქვევისას ადუღებული ლავა ტბაში იღვრება. ამის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები ნავებში სხდებიან და ტბაზე დაცურავენ. რატომ?**

— არ ვიცი, იქ რა უნდა უნდოდეთ?

— **მოხარშულ თევზებს აგროვებენ. რა ჰქვია ძვირფასი ქვების წონის ერთეულს?**

— კარატი.

— **არსებობს თუ არა ისეთი ციფრი, რომლის დასახელება შეიცავს იმდენ ასოს, რამდენსაც ეს ციფრი გამოხატავს?**

— ალბათ არსებობს (*ფიქრობს*), 4, არა?

— **დიახ. ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი ნაწარმოების გმირია გოგი თუშურაშვილი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **„კუკარაჩა“. ბარონი დენონი ფრანგი გრავიორი, მხატვარი, მწერალი და დიპლომატი იყო. იგი დაწინაურებული იყო ლუდოვიკო XVI-სა და ნაპოლეონ I-ის კარზე. ალექსანდრე I კი მისგან სურათებსა და სხვა ნივთებს იძენდა. დაასახელეთ, სად ინახავდა ამ ნივთებს იგი?**

— ვერ დავასახელებ.

— **ერმიტაჟში.**

— თავად ეს სიტყვა რას ნიშნავს?

— **„ერმიტაჟი“ ფრანგული სიტყვაა და განმარტოებულ ადგილს ნიშნავს. რომელი რუსი პოეტი დაიბადა საქართველოში?**

— ვლადიმერ მაიაკოვსკი. მას კაზაკი დედა ჰყავდა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შვილები მოსკოვში წაიყვანა.

— **ნებისმიერ ზრდასრულ ვეფხვს აქვს საკუთარი სანადირო ტერიტორია, სადაც არავის უშვებს. მაგრამ ხდება გამონაკლისიც. როდის?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, გამრავლების პერიოდში ხომ არა?

— **გამოიცანით. რამდენი ფლოქვი აქვს ცხენს თითოეულ კიდურზე?**

— 2 ექნება, არა?

— **ცდებით, 1 ფლოქვი აქვს.**

— ცხენზე არაერთხელ ვმჯდარვარ, მაგრამ მის ფეხებს არასდროს დავკვირვებივარ.

— **თბილისში რომელ მოედანს ერქვა ადრე ერევნის მოედანი?**

— ახლანდელი თავისუფლების მოედანს.

— **გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, პომპეუსი, მარკუს კრასუსი: ამ რომაელი სარდლებიდან რომელმა დალაშქრა საქართველო?**

— პომპეუსმა.

— **ეს ხე იყო ერთადერთი მცენარე ამ ცნობილი ადამიანის ბაღში. 1820 წელს მას მეხი დაეცა, მაგრამ ხისგან სავარძელი გააკეთეს. სავარძელი ინგლისში, კერძო კოლექციონერთან ინახება და ფასდაუდებელ რელიკვიას წარმოადგენს. დაასახელეთ ეს პიროვნება და ხის ჯიში.**

— ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

— **სკოლაში ფიზიკას კარგად არ სწავლობდით?**

— ფიზიკა რა შუაშია? მაბნევთ?

— **ეს პიროვნება გახლდათ ნიუტონი...**

— (*მაწყვეტინებს*) მაშინ მისი ვაშლის ხე იქნებოდა.

— **ძველბერძნულ მითოლოგიაში არის ქალღმერთი თემიდა. რომელი ქალღმერთი შეესაბამება მას რომაული მითოლოგიიდან?**

— ვერ გიპასუხებთ.

— **იუსტიცია. ამერიკელები ამაყობენ იმით, რომ მათ არც ერთ პრეზიდენტს მამაკაცებისთვის დამახასიათებელი ეს „კოსმეტიკური ნაკლი“ არ ჰქონდა. რა ნაკლზეა ლაპარაკი?**

— საინტერესოა... უნდა დავფიქრდე, იქნებ გამოვიცნო (*პაუზის შემდეგ*), ვერ ვხვდები.

— **მელოტები არ იყვნენ. მიაჩნიათ, რომ პოლიტიკაში ეს ჩვეულება ხრუშჩოვმა შემოიტანა, მაგრამ საქმის ნამდვილ კლასიკოსად ბრეჟნევი მიიჩნევა. რაზეა ლაპარაკი?**

— მაგიდაზე ფეხსაცმლის დაბრახუნება?

— **არა.**

— მაშინ ოფიციალური შეხვედრების დროს ლიდერთა გადაკოცნა...

— **დიახ. რას უწოდა ლენინმა გაზეთი — ქაღალდისა და დისტანციის გარეშე?**

— არ ვიცი.

— **არა.**

— კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

— **ძველ ჰიმალაელ დურგლებში არსებობს ახალგაზრდა ოსტატთა გამოცდის ასეთი წესი: მოსწავლეს ესვრიან ხის ნაჭერს. რა უნდა გააკეთოს მან დაჭერამდე?**

— არ ვიცი.

— **ხის ჯიში უნდა ამოიცნოს.**

— ეს რა უცნაური წესი ჰქონიათ?! მე კი ჩემს მოსწავლეებს ვასწავლი, რომ ფოტოგრაფი არ არის ადამიანი, რომელიც სურათებს იღებს. ფოტოგრაფი არჩევს, რა გადაიღოს.

— **ეს საქმე თანდათან უფრო პოპულარული ხდება, ხომ?**

— ინტერესი გაიზარდა. ფოტოგრაფია საქართველოში სათანადოდ დაფასებული არ იყო. ეს საქმიანობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მეეზოვის და ნაკლები — ვიდრე პარიკმახერის, რომელსაც ახლა სტილისტი ჰქვია.

— **დაბოლოს, დაასრულეთ შანდორ პეტეფის ცნობილი გამონათქვამი: „ვინც ფიქრობს, რომ არავინ სჭირდება, ცდება; ხოლო ვინც ფიქრობს, რომ სხვები უმისოდ ვერ გაძლებენ...“**

— „...უარესად ცდება“. ■

# „არ მოგვიტევებს, თუკი ჩვენც არ მივუტევებთ“

**მაცხოვრის იგავები: „მეგობრისადმი თხოვნა“ და „მამისადმი თხოვნა“ მოთხრობილი აქვთ ლუკა და მათე მახარებლებს: „რომელიმე თქვენგანს რომ მეგობარი ჰყავდეს, შუაღამისას მიადგეს კარზე და უთხრას: მეგობარო, მასესხე სამი პური, ვინაიდან მეგობარი მომივიდა ნამგზავრი და არაფერი გამაჩნია, შევთავაზოო! და მან შინიდან გამოსძახოს: ნუ მაწუხებ, კარები დაკეტილია, ბავშვებიც ლოგინში მიწვანან, არ შემიძლია წამოდგომა და პურის მოცემა; გეუბნებით თქვენ, თუ არ ადგება და არ მისცემს პურს, მომაბეზრებელი თხოვნის გამო მაინც ადგება და მისცემს იმდენ პურს, რამდენიც სჭირდება. და მე გეუბნებით თქვენ: ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, დააკაკუნეთ და გაგეღებათ, ვინაიდან ყველა, ვინც ითხოვს, იღებს და ვინც ეძებს, პოულობს და ვინც აკაკუნებს, გაეღება.**

**ანდა, რომელი თქვენგანი იქნება მამა, რომ შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ანდა თევზი სთხოვოს და თევზის წილ გველი მიაწოდოს, ანდა კვერცხი რომ სთხოვოს, მორიელი მისცეს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა იცით კეთილ მისცემთა მიცემა თქვენი შვილებისთვის, მეტადრე ზეციური მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“...**

**გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):**

*შორენა მერკვილაძე*

— როგორც ლუკა მახარებელი გვაუწყებს, მოხდა ისე, რომ მაცხოვარი ერთ ადგილას ლოცულობდა. როდესაც ლოცვა დაასრულა, ერთმა მოწაფეთაგანმა სთხოვა — უფალო, ჩვენც გვასწავლე ლოცვა, როგორც იოანე ასწავლიდა თავის მოწაფეებსო. მაცხოვარმა მათ ასწავლა „მამაო ჩვენო“, რომელსაც მოაყოლა ეს იგავები. იგავებით ფაქტობრივად განმარტებულია „მამაო ჩვენოს“ არსი...



## „მამაო ჩვენო“

— ლოცვის დასაწყისი სიტყვებით „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი“ განვადიდებთ უფალს. როგორ უნდა იყოს ღვთის სახელი განდიდებული, წმინდა? — ღვთის სახელი თავისთავად წმინდაა, მაგრამ ჩვენს გულებში, ჩვენი საქმეებით უნდა იყოს ღვთის სახელი წმინდა. ჩვენი საქმეებით უნდა განვადიდოთ უფალი: „მოვედინ სუფევა შენი...“ — შენი სუფევა მოვიდეს მიწაზე, ამქვეყნადო, თორემ ზეცაში ღვთის სუფევა მარადიულადაა; „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“... — ისევე იყოს შენი ნება აღსრულებული მიწაზე, ამ ქვეყანაზე, როგორც ზეცაში აღესრულებაო. ზეცაში ანგელოზები მკვიდრობენ და მარადიულად, თავიანთი თავისუფალი ნებით აღასრულებენ ღვთის ნებას. ე.ი. ლოცვის ამ სიტყვების წარმოთქმით, უფალს შევთხოვთ — შეგვეწიე, უფალო, რომ ჩვენც ანგელოზთა მსგავსად აღვასრულებდეთ შენს ნებასო.

„პური ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს“, — რაც დღეს გვჭირდება, რაც აუცილებელია, ის მომეცი, უფალოო. ე.ი. ადამიანმა უფალს მიწიერი უნდა სთხოვოს — ის, რაც აუცილებელია.

„და მომიტევე ჩვენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“, — უფალო, ისე მოგვიტევე ჩვენი ცოდვები, როგორც ჩვენ მივუტევებთ სხვებს ცოდვებს, შეცოდებებსო.

„და ნუ შეგვიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩუენ ბოროტისაგან“ — განსაცდელში ნუ შეგვიყვანებ და გვიხსენ, დაგვიფარე ბოროტისგანო.

ფაქტობრივად ყველა მუხლი ლოცვისა არის თხოვნა, სათხოვარი უფლისადმი. მხოლოდ ერთი მუხლი არის მოვალეობა ადამიანისა, სადაც მართალია, უფალს შევთხოვთ, ჩვენი ცოდვები, ბრალეულობები მოგვიტევოს, მაგრამ შემდეგ მივმართავთ — ისე მოგვიტევოს, როგორც ჩვენ მივუტევებთ სხვებს. სწორედ ეს არის მოვალეობა ადამიანისა. თუკი შევთხოვთ, ყველაფერს მოგვცემს უფალი, გარდა იმისა, რომ ცოდვებს არ მოგვიტევებს, თუკი ჩვენც არ მივუტევებთ სხვებს მათ შეცოდებებს. ე.ი. შესასრულებლად ერთი რამ დაგვავალა — მიტევება სხვათა ცოდვებისა.

## „მეგობრისადმი თხოვნა“

— „მამაო ჩვენოს“ დასრულების შემდეგ, უფალი წარმოთქვამს იგავს „მეგობრისადმი თხოვნა“, სადაც ამბობს: „მეგობარი რომ მოგადგეს კარზე და პური გთხოვოს, შენ კი შინიდან გამოსძახებ — კარი დაკეტილია...“ — ანუ მიწიერ მიზეზებს დაასახელებ, რომლის გამოც დახმარება არ შეგიძლია, შემდეგ, მომაბეზრებელი თხოვნის გამო, მაინც ადგები და მისცემ პურსო... უფალი ამით გვასწავლის დაუცხრომელ ლოცვას. როდესაც უფალს რაიმეს შევთხოვთ, ვევედრებით და არ გვისრულდება სათხოვარი, არ უნდა დავცხრეთ, თავი არ უნდა დავანებოთ ლოცვა-ვედრებას. უფალმა ჩვენი თხოვნა შეიძლება არ აგვისრულოს სხვადასხვა მიზეზის გამო; შესაძლოა ის, რასაც ვითხოვთ, საზიანო იყოს ჩვენი სულისთვის ან სხვა ადამიანებისთვის. წმინდა მამები ბრძანებენ — უფალს რომ ადამიანებისთვის ყველა თხოვნა აესრულებინა, სამყარო დიდი ხანია აღარ იარსებებდაო... გარდა ამისა, ზოგჯერ თხოვნის აუსრულებლობით, უფალი ჩვენს სარწმუნოებას კი არ გამოცდის, რადგან მშვენივრად უწყის თითოეული ჩვენგანის სარწმუნოებრივი მდგომარეობა, არამედ განამტკიცებს. თუკი თხოვნის მსწრაფლ აუსრულებლობის შემთხვევაში მაინც ვაგრძელებთ თხოვნა-ვედრებას ღვ-

თისადმი, ჩვენი სარწმუნოება განმტკიცდება; რაც მეტად, დაუცხრომლად ვილოცებთ და შემდეგ მოგვეცემა აღსრულება თხოვნისა, მით უფრო მადლიერნი ვიქნებით უფლისა.

## „მამისადმი თხოვნა“

— „მამისადმი თხოვნის“ იგავის სათქმელიც იგივეა. აქ უფალს მოჰყავს თვალცხადი მაგალითი, მამის მაგალითი: რომელი მამა იქნება, რომ შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს, კვერცხი სთხოვს და მორიელი მისცეს... ე.ი. თუკი უფალს ვთხოვთ სიკეთეს, ყოველთვის აგვისრულებს, მაგრამ თუ ჩვენი სათხოვარი ეწინააღმდეგება ღვთის ნებას, არ აგვისრულდება. სწორედ ამის შესახებ მიანიშნებს უფალი, როდესაც ბრძანებს — თუ ხორციელმა მამამ იცის, რომ სიკეთის მაგიერ ბოროტება არ მისცეს შვილს, გაცილებით ზეაღმატებულად უწყის ზეციურმა მამამ. ადამიანს წარმოდგენაც კი არ შეუძლია, როგორ აღმატებულია ღვთაებრივი ცოდნა, ადამიანის ცოდნასთან შედარებით და როგორ შეიძლება, უფალმა ადამიანს მისცეს ის, რაც მისთვის საზიანოა.

მათეს სახარების თანახმად, მაცხოვარი ამ იგავის წარმოთქმის შემდეგ ბრძანებს — როგორც გსურთ, თქვენ მოგექცნენ ადამიანები, ისე მოექცით თქვენც, ვინაიდან ეს არის სჯული და წინასწარმეტყველება. ეს არის „მამაო ჩვენოს“ იმ მონაკვეთის განმარტება, სადაც წარმოვთქვამთ: „და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“. ადამიანს არასოდეს უნდა, რომ ცუდად მოექცნენ. როგორც ჩვენ გვსურს მოგვექცნენ და მოგვეტევოს ცოდვები, ისევე უნდა მივუტევოთ სხვებს მათი ცოდვები, ჩვენ წინაშე ჩადენილი შეცოდებები.

„ნუ განიკითხავ და არ განიკითხები“, — ეს არის უმოკლესი გზა ცათა სასუფევლისკენო, ბრძანებენ წმინდა მამები. იგივეა „მიუტევე და მოგეტევება“. შეიძლება, ადამიანმა განიკითხოს, მაგრამ ეს განკითხვა მივიდეს მიტევებამდე. არ არსებობს ცოდვა ქრისტიანისთვის, გარდა თვითმკვლელობისა და ღვთის გმობისა, რომ ღვთისგან არ მიეტევოს, თუ თვითონაც მიუტევებს მოყვასს; ხოლო თუ ადამიანი არ განიკითხავს, მას მისატევებელიც არაფერი აქვს. უფალს არ უთქვამს, მხოლოდ „მამაო ჩვენო“ წარმოთქვითო, არამედ გვასწავლა როგორ ვილოცოთ, რა უნდა ვითხოვოთ ღვთისგან.

■

*რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი*

# დაიბანეთ ხელები

**ზაფხულობით მთელ მსოფლიოში ხშირდება დაავადებები, რომლებიც ჭუჭყიანი ხელების, დაბინძურებული საკვებისა და წყლის მეშვეობით ვრცელდება. მიიჩნევენ, რომ ეს მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის, ხილისა და ბოსტნეულის სიუხვის, ღია წყალსატევებსა და ტბებში ბანაობის ბრალია. რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი ბუზების მომრავლებაც გახლავთ, რომელთაც სხვადასხვა ინფექციური და პარაზიტული დაავადების გამომწვევი მიკრობები ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ.**

ზაფხული კიდევ ერთი რამით არის საშიში: წელიწადის ამ დროს მიკრობების გამრავლებისა და განვითარებისთვის შესანიშნავი პირობები იქმნება; ამიტომ სურსათიც სწრაფად ფუჭდება. თანაც გაფუჭებული პროდუქტი ყოველთვის როდი იცვლის გემოს...

ერთი სიტყვით, ზაფხულში ყოველ ნაბიჯზე ავადმყოფობაა ჩასაფრებული: დაუბანელ ხელისგულებზე, გაურეცხავ ხილსა თუ ბოსტნეულზე, წყალში, კონსერვის ქილებში...

ნაწლავთა ინფექცია, რომელსაც ინფექციურ დიარეასაც უწოდებენ, სწორედ ასეთი გზით გადამდებ დაავადებათა ჯგუფს ეკუთვნის.

ნაწლავთა ინფექციას სხვადასხვა ტიპის მიკროორგანიზმები იწვევს, მაგრამ მათ ერთი საერთო თვისება აქვთ: ყველა მათგანი მეტწილად ფეკალურ-ორალური გზით გადაეცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანმა ცხოველის ან ადამიანის ექსკრემენტებით დაბინძურებული საკვები მიირთვა ან წყალი დალია (ანდა ტუალეტის შემდეგ თვითონვე არ დაიბანა ხელი), სავსებით მოსალოდნელია, დაავადების გამომწვევი ბაქტერია მის ორგანიზმში მოხვდეს და პათოლოგიურ პროცესს დაუდოს სათავე. სხვათა შორის, ამავე გზით გადაედება საყოველთაოდ ცნობილი ბოტკინის დაავადება — A ჰეპატიტი და პარაზიტული დაავადებებიც.

### სალმონელოზი

სალმონელოზს იწვევს სალმონელას ჯგუფის ბაქტერია, რომელიც კუჭსა და წვრილ ნაწლავს აზიანებს.

გამომწვევი შესაძლოა დაავადებული ცხოველი (მსხვილფეხა საქონელი, ღორი, ცხვარი) და ფრინველი (ქათამი, იხვი, ბატი) გახდეს. ადამიანი უმთავრესად ალიმენტური (კვებ-ის) გზით ავადდება — როცა დაავადებული ცხოველისა თუ ფრინველის ხორცს ან კვერცხს მიირთმევს.

საკვები შეიძლება კულინარიული დამუშავების დროსაც დაინფიცირდეს — თუ, ვთქვათ, ჭუჭყიან მაგიდაზე ან ჭურჭელში მოხვდა. სალმონელები დიდხანს ძლებენ საკვებში (ხორცში, კვერცხში, რძესა და მის ნაწარმში) და მრავლდებიან კიდეც.

სალმონელოზი ხშირად ემართება ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს. დაავადება ხშირდება მაისიდან ოქტომბრამდე. მისი საინკუბაციო პერიოდი (შეჭრიდან გამოვლინებამდე) 6 საათიდან სამ დღემდე გრძელდება. ყველაზე ხშირად ინფექცია მწვავედ — სხეულის ტემპერატურის მომატებით (38-39 გრადუსამდე) იწყება. დაავადების ძირითადი სიმპტომი განმეორებითი ღებინებაა. რამდენიმე დღეში ღებინებას დაერთვის ფაღარათიც. ფეკალური მასები წყლის მაგვარი, მყრალი და მომწვანოა. დეფეკაციის სიხშირე დღეში 10-15-ს აღწევს. ავადმყოფები უჩივიან დიფუზურ, მჭრელ ტკივილს მუცლის არეში, მუცლის ყურყურსა და შებერილობას.

აუცილებელია მკურნალობა!!!

### დიზენტერია

დიზენტერიის გამომწვევია შიგელას გვარის ბაქტერია, ამიტომ დაავადებას შიგელოზსაც უწოდებენ. ინფექცია უპირატესად მსხვილი ნაწლავის დაზიანებით მიმდინარეობს. განასხვავებენ დიზენტერიის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს.

დაავადების საინკუბაციო პერიოდი 1-7 დღეა. ინფექცია იწყება ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნებით: სხეულის ტემპერატურის მომატებით, თავის ტკივილითა და შემცივნებით. ცხელება 38-40 გრადუსს აღწევს. ავადმყოფი უჩივის ძლიერ, შემაწუხებელ, შეტევით ტკივილს მუცლის ქვედა მიდამოში, უმეტესად — მარცხნივ. განავალი თხიერია, თანდათან ლორწო და სისხლი ერევა, ბოლოს კი ავადმყოფი გამოყოფს მხოლოდ ლორწოსა და სისხლს. დეფეკაციის სიხშირე დღეში 10-დან 30-მდე აღ-

წევს. სწორი ნაწლავის კუნთების სპაზმური შეკუმშვის გამო თავს იჩენს ცრუ, მტკივნეული ჭინთვები და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება — ე.წ. ცრუ ტენეზმები (ჭინთვები).

დაავადების სიმძიმის კრიტერიუ-



მად ტემპერატურის მაჩვენებელსა (მსუბუქი ფორმა — 38 გრადუსამდე, მძიმე ფორმა — 38-40 გრადუსამდე) და დეფეკაციის სიხშირეს (დღეში 10-ზე ნაკლები — მსუბუქი; 15-მდე — საშუალო; 20-ზე მეტი — მძიმე) მიიჩნევენ.

დაავადების ძირითადი წყაროა ცუდად გარეცხილი ხილი, უმეტესად — საზამთრო და ყურძენი; ასევე — სოფლის არაჟანი და მაწონი.

აუცილებელია მკურნალობა!!!

## კვებითი ტოქსიკოინფექცია

დაავადებას იწვევს ბაქტერიები, რომლებიც ყოველთვის არის ადამიანის ორგანიზმში, მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში არ გვაავადებს. მათ პირობით-პათოგენურ ბაქტერიებს უწოდებენ.

ინფექციის წყარო ავადმყოფი ან ბაქტერიამატარებელი ადამიანია, რომელიც გამომწვევს განავალთან ერთად გამოყოფს.

ტოქსიკოინფექციის აუცილებელი პირობაა გამომწვევის საკვებში მოხვედრა და დაგროვება. ეს ყველაზე ხშირად მაშინ ხდება, როცა საკვებს (ხორცს, თევზეულს, ბოსტნეულს) დიდი ხნით ინახავენ 10-15 გრადუსზე ან რამდენიმე საათით — ოთახის ტემპერატურაზე.

დაავადება უპირატესად კუჭსა და წვრილ ნაწლავებს აზიანებს. მისი საინკუბაციო პერიოდი რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე გრძელდება. ავადმყოფი უჩივის მწვავე ტკივილს ეპიგასტრიუმის არეში, გულისრევას, პირღებინებას, სხეულის ტემპერატურის მომატებას და ფაღარათს (დღეში 3-5-ჯერ).

აუცილებელია მკურნალობა!!!

## დიაგნოსტიკა

ნაწლავური ინფექციების დიაგნოსტიკისთვის, გარდა ავადმყოფის ჩივილებისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური მასალის (პირნაღები მასის, შარდის, განავლისა და საკვების ნარჩენების) ბაქტერიულ გამოკვლევას და ნაწლავური ინფექციის გამომწვევი მიზეზის დადგენას.

## მკურნალობა

ნაწლავური ინფექციის მკურნალობა გულისხმობს დიეტას, ანტიბიოტიკების კურსს და წყლისა და ელექტროლიტების დანაკარგის შევსებას.

## ჰელმინთოზები

ჰელმინთოზი ჭიებით ინვაზიაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პარაზიტი ჭიების ორგანიზმში მოხვედრა და გამრავლება. ასეთი უსიამოვნებისგან არც უფროსები არიან დაზღვეულნი, მაგრამ ბავშვებს ეს დაავადება გაცილებით ხშირად ემართებათ.

თუ პატარას ახველებს, ხშირად სტკივა თავი ან ხშირად და ერთი შეხედვით უმიზეზოდ ერევა გული, ფერმკრთალია, თავს სუსტად გრძნობს და ადვილად ღიზიანდება, აუცილებელია ანალიზები, რომლებიც გააქარწყლებს ან დაადასტურებს ჩვენს ეჭვს და მართებული მკურნალობის დანიშვნის საშუალებას მოგვცემს.

ჰელმინთოზებს ანტიპარაზიტული საშუალებებით მკურნალობენ.

თანამედროვე სამკურნალო საშუალებები დაავადების განკურნების გარანტიას იძლევა, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა ჰელმინთოზზე სხვადასხვა პრეპარატი მოქმედებს.

**დიეტა**

პარაზიტი ჭიით ინვაზიის დროს კუჭ-ნაწლავი საგრძნობლად ზიანდება, ამიტომ პაციენტს საკვები მცირე ულუფებით, დღეში 5-6-ჯერ უნდა მიაწოდოთ.

რაციონიდან ამოიღეთ რძე, ცხიმიანი და მცენარეული პროდუქტები, სანელებლები, მწნილები, შებოლილი ხორცი და ყველი, შეზღუდეთ შაქარი, ნაღები, კვერცხი.

ნებადართულია თეთრი პურის ორცხობილა, ძროხისა და ქათმის უცხიმო ხორცი, მოხარშული ან ორთქლზე მომზადებული თევზი, წყალში მოხარშული ბურღულეული, შავი მოცხარის ნახარში, ასკილის ნაყენი, ჩაი, ჟელე, კისელი, მაწონი, კეფირი, ხაჭო. სასურველია B ჯგუფის ვიტამინების მიღება.

თუ პირღებინება და ფაღარათი მთელი დღე-ღამის (მცირეწლოვნებში — რამდენიმე საათის) განმავლობაში გაგრძელდა, ინტოქსიკაციის სიმპტომები (მოიმატა სხეულის ტემპერატურამ, გაძლიერდა თავის ტკივილი, სისუსტე) უფრო და უფრო შესამჩნევი გახდა, ავადმყოფი სასწრაფოდ სტაციონარში უნდა დავაწვინოთ.

მცირეწლოვანი ბავშვების, მოხუცებისა და მძიმე ავადმყოფებისთვის, ღებინებისა და ფაღარათის დროს, სითხისა და ელექტროლიტების ინტენსიური დაკარგვა განსაკუთრებით საშიშია. ამიტომ თვითმკურნალობას ერიდეთ.

ნაწლავური ინფექციით დაავადების დროს:

1. პირველი 6-12 საათის განმავლობაში ავადმყოფს საკვებს ნუ მისცემთ.
2. ამოურეცხეთ კუჭი სუფთა წყლით, სოდის 2%-იანი ან კალიუმის პერმანგანატის 0,1%-იანი ხსნარით. მიეცით სითხე მცირე ულუფებად. ასეთ დროს რეჰიდრონი ან გაზგასული მინერალური წყალი ჯობს. მოზრდილმა ადამიანმა 2 ლიტრამდე სითხე უნდა მიიღოს, ახალშობილმა კი იმდენი, რა მოცულობის საკვებიც გამოტოვა.

## „ჭუჭყიანი ხელების დაავადება“ რომ არ დაგემართოთ!!!

**ერთხელ კიდევ შეგახსენებთ უკვე კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას:**

**ხელების დაბანისას უთუოდ წაისვით საპონი, თანაც ერთხელ კი არა — ორჯერ.**

**ხელები აუცილებლად დაიბანეთ: ჭამის წინ;**

**სამსახურიდან ან სეირნობიდან დაბრუნებისას;**

**ტუალეტის შემდეგ. მაშინაც კი, თუ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება არ დაგიკმაყოფილებიათ. ეს იმიტომ, რომ ტუალეტის კარს, ონკანს, პირსაბანს, სადაც უამრავი პარაზიტის კვერცხი ბუდობს, ნებით თუ უნებლიეთ, უკვე შეეხეთ.**

ახლა კი სხვა წესები (ჩამონათვალი შეიძლება ცოტა ვრცელი მოგეჩვენოთ, მაგრამ ძნელი შესასრულებელი სულაც არ არის):

ფრჩხილები ძირში დაიჭერით, რადგან მათში ხშირად რჩება პარაზიტის კვერცხები;

შვილებს პატარაობიდანვე შეასწავლეთ პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესები;

გადააჩვიეთ ბავშვი ხელებისა და სათამაშოების პირში ჩადებას;

საკუთრად გამოუყავით თეთრეული და პირსახოცი;

ღამღამობით ჩააცვით საცვალი, რომელსაც ბარძაყებზე რეზინის მოსაჭერი აქვს. ასე აღარც ხელები დაუბინძურდება და შენობაში პარაზიტების კვერცხების მოთესვასაც გადაურჩებით;

საცვალი ყოველდღიურად გამოუცვალეთ. გარეცხეთ არანაკლებ 60 გრადუსი ტემპერატურის წყალში და ცხელი უთოთი გააუთოეთ;

სათამაშოები სისტემატურად გარეცხეთ ან მტვერსასრუტით გაწმინდეთ;

ბავშვის რაციონში უთუოდ შეიტანეთ სტაფილო, მარწყვი, ბროწეულის წვენი, კაკალი, კრაზანას ჩაი — ის ორგანიზმს ჰელმინთებისგან (პარაზიტი ჭიებისგან) წმენდს;

ზაფხულში მაინცდამაინც ნუ მიეძალებით (და ნურც ბავშვს დააძალებთ) რძესა და მის ნაწარმს. ყურადღება მიაქციეთ მათი შენახვის ვადას. იგივე ითქმის ყველა მალფუჭებად პროდუქტზე;

ხილი და ბოსტნეული (სასურველია, კვერცხიც) გამოყენებამდე საგულდაგულოდ გარეცხეთ გამდინარე წყალში, მერე კი ანადუღარი წყალი გადაავლეთ;

თუ წყლის სისუფთავეში ეჭვი გეპარებათ, წამოადუღეთ;

ნუ შეჭამთ სრულყოფილად დაუმუშავებელ ქათმისა და საქონლის ხორცს. ერიდეთ საეჭვო სასადილოებს;

დაიცავით პირადი ჰიგიენა;

ერიდეთ უმი და ნახევრად მოხარშული ხორცისა და თევზის კერძებს;

სურსათი (რაღა თქმა უნდა, მზა საკვებიც), სასმელი და ჭურჭელი ბუზებისგან დაიცავით;

ნუ შეიძენთ სურსათს შემთხვევითი პირებისგან, რომლებიც არასანქცირებულ ადგილებში ვაჭრობენ. ასეთი პროდუქტების წყალობით ბევრი აღმოჩენილა საავადმყოფოში;

მკაცრად დაიცავით მზა სურსათისა და მალფუჭებადი პროდუქტების შენახვისა და გამოყენების პირობები;

არ დალიოთ (და ბავშვებიც მოარიდეთ) აუდუღარი წყალი, განსაკუთრებით — ღია წყალსატევებიდან. თუ შინ ასეთი წყალი მოდის, ან აადუღეთ, ან ონკანზე გამწმენდი ფილტრი დააყენეთ;

თუ შინ ვინმეს პარაზიტული ან მწვავე ნაწლავური ინფექცია დაემართა, უთუოდ გამოიძახეთ ექიმი და ზუსტად შეასრულეთ მისი დანიშნულება;

ეცადეთ, სახლიც და ეზოც სუფთად შეინახოთ — სისუფთავე ხომ პარაზიტების მთავარი მტერია;

შენობა სისტემატურად დაალაგეთ სველი წესით. დალაგების დროს გამოიყენეთ სარეცხი საშუალებები (ფხვნილები, სოდა, მდოგვი და ა.შ.), რომლებიც იოლად აცილებს პარაზიტის კვერცხებს;

ხალიჩები მტვერსასრუტით გაწმინდეთ, თან დაბერტყეთ.

კვერცხები რომ დაიხოცოს, რბილი სათამაშოები 2-3 საათით ყინვაში ან თაკარა მზეზე დააწყვეთ. ■

## ვპასუხობთ მკითხველთა შეკითხვებს

**1. მიკანკალებს ხელები. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და რომელ სპეციალისტს უნდა მივმართო?**

ხელების კანკალის მიზეზი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ნევროზი, თირეოტოქსიკოზი (დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი), ჰიპოგლიკემიური მდგომარეობა (დაბალი შაქარი სისხლში), ალკოჰოლური ინტოქსიკაცია. გარდა ამისა, ხელების კანკალი ამჟამად საკმაოდ გახშირებული პარკინსონის დაავადების ერთ-ერთი სიმპტომიც გახლავთ. იმის მიხედვით, თუ რა იწვევს ამ ჩივილს, მკურნალობაც სხვადასხვაგვარია. გირჩევთ, მიმართოთ ნევროლოგს და ენდოკრინოლოგს, დიაგნოზის დასაზუსტებლად.

**2. ვარ 32 წლის. დილაობით, გაღვიძებისას, მაწუხებს თავის ტკივილი. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ ვიმკურნალო.**

თავის ტკივილს შეიძლება სხვადასხვაგვარი მიზეზი ჰქონდეს. ეს სიმპტომი ახასიათებს მაღალ ან პირიქით, დაბალ არტერიულ წნევას, ქალისშიდა წნევის მატებას, ქრონიკულ ინტოქსიკაციას (მოშხამვას), თავის ტვინის პათოლოგიებს, კისრის მალების ოსტეოქონდროზს, ნევროზებს, ანემიებს... ჯერ საჭიროა დიაგნოზის დასმა, რისთვისაც ლაბორატორიული გამოკვლევა გესაჭიროებათ. სასურველია, გაესინჯოთ გამოცდილ თერაპევტს, რომელიც დაადგენს, კერძოდ, რა გამოკვლევები უნდა ჩაიტაროთ.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
წიგნი №8
8 სექტემბრიდან




სერიის მომდევნო თემები:
№9 ყველაფერი კუჭისა და ნაწლავების წყლულოვანი დაავადებების შესახებ
№10 ყველაფერი კლიმაქსის შესახებ
უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## როცა ყველაფერი იწვის...



როცა ყველაფერი იწვის
ისე, როგორც წყირი წიწვის,
იწვის წიგნი, იწვის ხატი,
წარსული და აწმყო იწვის...
როცა დგება აღზევება
ღვარძლის, სულიერი სიძვის,
როცა ტყვიის წვიმა დასწვიმს
ჯვარს, ქაშუეთს, ილორს, ყინწვისს...
როცა იწვის ყველაფერი,
თავად რწმენა ცის თუ მიწის,
მაშინ შეგვეწიე, ღმერთო,
როცა ყველაფერი იწვის.

*ვახუშტი კოტეტიშვილი*

# სახსოვარი



## ჯემალ ქარჩხაძე

◆ ვისაც უკეთესი ბედი აქვს, ის დიდ და ღონიერ სახელმწიფოში იბადება და თუ მაინცდამაინც მოიწადინებს, შეუძლია, ნადირადაც იქცეს — ამით ქვეყანას ბევრი არა დააკლდება რა. ჩვენში კი ყოველი კაცი სათვალავშია ჩაგდებული. ჩვენში ყოველმა კაცმა საქართველო თავისი ზურგით უნდა ზიდოს.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### მ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-35, 2011

**მარხვანი** (ძვ.) — რელიგიური საგალობლების კრებული, რომელსაც დიდმარხვის დროს კითხულობენ.

**მარხული** — ვინც მარხვა შეინახა, ვინც იმარხულა.

**მასდარი** არაბ. (გრამ.) — ზმნის ფუძისგან ნაწარმოები არსებითი სახელი.

**მასივი** ფრ. — გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე.

**მასრა** — 1. ჩოხის მკერდზე საგანგებო ბუდეებში ჩაწყობილი ცილინდრული მოკლე ღეროები სამკაულად (ძველად ასეთ ღრუ ღეროებში თითო გასროლა თოფისწამალს და ტყვია-საფანტს ინახავდნენ); 2. დაცლილი ვაზნა; 3. საქსოვი დაზგის ნაწილი — საზედაო ძაფის დასახვევი მოკლე ღერო, რომელიც მაქოში მოძრაობს; 4. ტიკის პატარა მილი ღვინის გადმოსასხმელად.

**მატაოცი** (საუბ.) — ვისაც თავისი ყველაფერი უკვირს; ვინც თავისას სხვას ახარბებს; ვინც ყველაფერს იოცებს.

**მატერიკი** რუს. — კონტინენტი.

**მატიტელა** — ერთწლოვანი ბალახი; ნაყოფს იყენებენ ფრინველების საკვებად.

**მატრაბაზი** (საუბ.) — მეტიჩარა, მატრაკვეცა; მატყუარა.

**მატროსი** ჰოლ. — რიგითი მეზღვაური.

**მატური** (ძვ. და საუბ.) — საფლავზე დადგმული ქანდაკება, ძეგლი.

**მაუდი** — მტკიცე, მჭიდროდ ნაქსოვი ბუსუსიანი შალის ქსოვილი.

**მაფრაშა** — ფარდაგის მსგავსი ქსოვილისგან შეკერილი განიერი ოთხკუთხა ტომარა; ხმარობდნენ ლოგინისა და ტანისამოსის გადასატანად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# „წარსულმა მოგვატყუა, აწმყო გვაწამებს, მყობადი გვაშინებს“

წერილებისა და უბის წიგნაკებიდან ჩანაწერების კრებულით სრულდება „ჩემი რჩეულის“ სერიის შვიდტომეული, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას დაეთმო. საუკეთესო რომანებისა და მოთხრობების გაცნობისა თუ გახსენების შემდეგ, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის „ლაბორატორიაში“ ჩაიხედოს და შეიტყოს — რას ფიქრობდა, როგორც დამონებული ქვეყნის შვილი, მის გარშემო მიმდინარე ტრაგიკულ პროცესებზე; რა დარდს ატარებდა უნიჭიერესი შემოქმედი, რომელიც საბოლოოდ, უსასტიკეს რეჟიმს შეეწირა...

მისი „ჩანაწერები უბის წიგნაკიდან“ სასწაულებრივად გადაურჩა განადგურებას და ათწლეულების შემდეგ გამოვიდა დღის სინათლეზე.



## „ჩანაწერები უბის წიგნაკიდან“

### 1924 წელი

• რა სავსეა, რა ცარიელი ეს სოფელი!

• მთელი ჩვენი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქართული ენერგია აფეთქებით თავდება, ხანგრძლივობა არა გვყოფნიდა (დაღლილი ერი ვართ). თითქმის ყველა ომი ასე თავდებოდა: ბრძოლაში თუ გავიმარჯვებდით, ცოტა ხანს გავყვებოდით მტერს და მეორე დღესვე გამოვწევდით შინისკენ. ეს იყო თარეში, რბევა, პარტიზანობა და არა ფართოდ დასახული საომარი მოქმედება. ასეთი ერი მკვიდრ სახელმწიფოს ვერ ააშენებდა და აკი ვერც ავაშენეთ.

• ისე დავდივარ ჩემს დედაქალაქში, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ქვრივი.

• წარსულმა მოგვატყუა, აწმყო გვაწამებს, მყობადი გვაშინებს.

### 1925 წელი

• „შავრაზმელი რუსი მირჩევნიან გარუსებულ წითელ ქართველს“, — ამბობს ერთი.

• ქართველი ხალხის ერთ ნახევარს ბუნებრივად არ შეუძლიან, როგორც დედაკაცსაც, იფიქროს საკუთარ თავზე და შეიგნოს თვისი „მე“ საკუთარი ჭკუით. იგი სხვისი იდეებით იკვებება და მხოლოდ წაბაძვით ცხოვრობს.

• პირდაუბანელი, დაუვარცხნელი, დაკონკილი, აგრეხილი, კუზიანი ტფილისი (ქუჩები), აწეწილი.

### 1926 წელი

• ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის შესარიგებლად საჭიროა ერთ-ერთი: ან ქართველი ხალხი უნდა გარუსდეს, ან ხელისუფალი გაქართველდეს. ჯერჯერობით არც ერთია შესაძლებელი, არც — მეორე. მაშასადამე, ხრამი ისევ ხრამად რჩება. მიწა ჩემი სველია სისხლისა და ცრემლისგან; გული ჩემი სავსეა დარდისა და სევდისგან.

• მე ვშიშობ საქართველოს მომავლის შიშით, და მეშინიან ჩემივე შიშის.

• ჩემი საიდუმლოდ მუშაობა პარტიაში 1921-1923 წლებში ჰგავდა იმ ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახსნელად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადავარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ძალა — ალღო მოძმის მიშველებისა. და ამ ალღოს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას.

### 1927 წელი

• „იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვილა იქნებოდა!“ — ასე იწყება დღეს ზღაპარი.

• რუსულ-ქართულის გათანასწორებას მკაცრი შედეგი მოჰყვა. მაგრამ უფლება არავის აქვს, სხვას უსაყვედუროს გარუსება. ყველანი ნებაყოფლობით ვრუსდებით.

• მაგონდება: ჩეკას საკანში მაწვალებდა ტყე — უღრანი, ტევრი, დაბურული. გამოვედი და „ტყის კაცი“ დავწერე.

### 1929/30 წლები

• 25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითიდღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ველარ მოვასწრებ. ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს შენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც მოითხოვს.

### 1930/31 წლები

• ქრისტე რომ ჩამოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფაჩუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკდებით: „ბიჭო იესო, როგორ ხარ? რასა იქ, შე ჩემო ნალავ? წამო, ერთი ჩარექა დამალევინე“...

• სადღეისო ლექსიკიდან ფესვიანად ამოვარდა სიტყვები: „სინდისი“, „სიყვარული“, „პატიოსნება“, „ვაჟკაცი“ და მისთანანი. ამოვარდა ლექსიკიდანაც და ცხოვრებიდანაც, ამოვარდა სიტყვაც და საქმეც.

### 1931-1933 წლები

• მე მიყვარს საქართველოს წარსული, მე მძულს მისი დღევანდელობა. მე მწამს მისი მომავალი.

• ყოველ ქართველს ყოველ ჟამს უნდა ახსოვდეს, რომ ნახევარმა საქართველომ მარაბდის ბრძოლის დროს 10000 მოკლული გასწირა, ხოლო ერთობლივმა საქ-ომ 1921 წ. თავის დამოუკიდებლობას ასი მოკლული ვერ შესწირა.

### 1935 წელი

• ღმერთმა შვიდ დღეში შექნა ქვეყანა, კომუნისტების რწმენით კი ერთ დღეში შეიქნა — 25 ოქტომბერს.

■




**ურჯუკი** — **ურწმუნო, ულმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი**

*(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)*

დასაწყისი იხ. „გზა" №31-35

***რუსუდან ბერიძე***

ირაკლი ზოიძემ გამომძიებლის ყველა კითხვას მშვიდად და ამომწურავად უპასუხა.

— მაიამ წერილი როდის გადმოგცათ? — ჰკითხა მას ამირეჯიბმა.

— გუშინ. ჩემთან იყო მოსული და მაშინ დამიტოვა.

— წერილის პოლიციაში მიტანაც მან გთხოვათ?

— არა, მაიკოს არაფერი უთხოვია. უბრალოდ, დათრგუნვილი იყო. ბუნებრივია, ვკითხე, რა გჭირს-მეთქი. ნურაფერს მკითხავ; თუ ჩემი მეგობარი ხარ, ეს წერილი დაიტოვე და თუ რამე დამემართა, მიხვდები, როგორც უნდა მოიქცეო. ვთხოვე, შენ თვითონ მომიყევი, რა ხდება, იქნებ ახლავე შემიძლია შენი დახმარება-მეთქი, მაგრამ მეტი ვერაფერი ვათქმევინე. მერე ერთი წაიტირა და წავიდა.

— კონვერტი დაწებებული იყო?

— დიახ, — შეცბა ზოიძე, — დამნაშავე ვარ. ეს, რა თქმა უნდა, ულამაზო საქციელია, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და გავხსენი. რომ გენახათ, მაიკო რა მდგომარეობაში იყო, ალბათ თქვენც ასე მოიქცეოდით. ვიფიქრე, ღმერთმა არ ქნას, მართლა რამე უბედურება დატრიალდეს-მეთქი, და...

ირაკლის თქმით, ის და მაია ბავშვობიდან მეგობრობენ. ამიტომაც, მომხდარს განიცდიდა და გაუთავებლად იმეორებდა: ნეტავ, რა ჰქონდა მხედველობაში? რა უნდა დაემართოსო?

ეს კითხვები მიხეილ ამირეჯიბსაც გაუჩნდა, მაგრამ მათზე პასუხის გაცემა მხოლოდ მაია მოსიძეს შეეძლო...

მიხეილ ამირეჯიბმა მაია მოსიძესთან სასწრაფოდ შეხვედრა გადაწყვიტა. გოგონა განყოფილებაში გაფითრებული და დათრგუნვილი გამოცხადდა.

— ირაკლი ზოიძისთვის წერილის დატოვება რამ გაიძულათ? — ჰკითხა მას ამირეჯიბმა.

მაიას ხმა არ ამოუღია. გამომძიებელმა კითხვა გაუმეორა.

— მეშინია... — როგორც იქნა, ამოღერღა გოგონამ.

— ვისი ან რისი გეშინიათ?

— ჯერ ის მითხარით, რატი ხომ არ გაიგებს, თქვენთან რომ ვიყავი? —

წაიჩურჩულა მაიამ.

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გულახდილად გვიამბობთ ყველაფერს.

— მეტი აღარ შემიძლია! — საფეთქლებზე ხელები გამეტებით მიიჭირა გოგონამ.

— რა არ შეგიძლიათ?

— გამუდმებით სიკვდილსა და გვამებზე ლაპარაკი...

— იქნებ ცოტა უფრო გასაგებად ამიხსნათ, რა ხდება? ვინ გელაპარაკებათ სიკვდილსა და გვამებზე?

მაიამ წყალი მოითხოვა. ვიდრე ამირეჯიბი ჭიქას წყლით ავსებდა, გოგონამ გამშრალი ტუჩები რამდენჯერმე მოილოკა, შემდეგ წყლით სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა და დაიწყო:

— რატი მიიჩნევს, რომ მაკა მამამისმა მოკლა.

— მამამისმა?

— მისი თქმით, ბატონმა ვახტანგმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ არანორმალური, „შიზოფრენიკი" იყო. გოგონა მოკლა და შემდეგ, რაღაც რიტუალის დაცვით, გვამი აგარაკზე, სარდაფში ჩაფლა... ეს კი იმიტომ გააკეთა, რომ...

— ერთი წუთით, — გააწყვეტინა მაიას ამირეჯიბმა, — ჯერ ის მითხარით, ზუსტად როდის დაიწყო ეს საუბრები?

— რატის მშობლების დასაფლავებისთანავე... მაგრამ ამას რატომ მეკითხებით?

— დეტალებს ვაზუსტებ...

— განვაგრძო?

— რა თქმა უნდა. ყურადღებით გისმენთ.

— რატის ვეკითხებოდი, რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ მაკა მამაშენმა მოკლა-მეთქი? ის კი მპასუხობდა, რომ ფსიქოპათებს ყველანაირი საშინელების ჩადენა შეუძლიათ და ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ მამაჩემმა მაკას შემდეგ დედაჩემი მოკლა და ბოლოს თავიც მოიკლაო.

— არ დაინტერესებულხართ, საიდან იცოდა, რომ მაკა მაინცდამაინც სარდაფში იყო ჩამარხული? — ისევ ჩაურთო კითხვა გამომძიებელმა.

— როგორ არა... და იცით, რა მიპასუხა?

— ???

— სარდაფში ერთ ადგილზე მიწა ახალამოთხრილსა და შემდეგ საგულდაგულოდ გადასწორებულს ჰგავსო. ეს მაშინ აღმოუჩენია, როცა სარდაფში სტუმრებისთვის ღვინის ამოსატანად ჩასულა.

— ილურიძეებს სარდაფში მიწის „იატაკი" აქვთ? — გაუკვირდა გამომძიებელს.

— არა, მოპირკეთებულია. მხოლოდ ერთი მონაკვეთია დატოვებული. ბატონი ვახტანგი იქ ქვევრების ჩაყრას აპირებდა. ერთხელ რატიმ სარდაფში მეც ჩამიყვანა და იქაურობა დამათვალიერებინა. სხვათა შორის, ის მონაკვეთი, სადაც რატის თქმით, მაკა უნდა იყოს დამარხული, ზუსტად მისი მშობლების საძინებლის ქვეშაა, ოღონდ, 2 სართულის გამოტოვებით, რა თქმა უნდა...

— ამასაც რაიმე ახსნა აქვს?

— რა თქმა უნდა... რატის თქმით, ეს რიტუალური მკვლელობა იყო და გვამი აუცილებლად მამამისის საწოლის ქვეშ უნდა იყოს დამარხული...

— რას არ გაიგონებს კაცი... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია გამომძიებელმა და შემდეგ ისევ მაიას მიუბრუნდა: — რატისთან საუბრის შემდეგაც ხომ არ გინახავთ ის ადგილი?

— არა! — შიშით თვალები გაუფართოვდა გოგონას. — ის ადგილი კი არა, მას შემდეგ აგარაკზეც აღარ ავსულვარ.

— რატი ადიოდა?

— კი, ბევრჯერ იყო ასული. ერთხელ მუშტარიც აიყვანა.

— მუშტარი?

— დიახ. როგორც კი კანონიერი მემკვიდრე გახდება, აგარაკის გაყიდვას აპირებს...

— თქვენ არაფერს გეკითხებათ?

— არა, მაგრამ ისე, მეც ერთი სული მაქვს, ის აგარაკი როდის გაიყიდება. იქნებ მაშინ მაინც შეწყვიტოს იქაურ საშინელებებზე ლაპარაკი, თორემ მართლა აღარ შემიძლია, — ხელები ისევ საფეთქლებზე მიიჭირა მაიამ, — ვერ წარმოიდგენთ, ეს რა ტანჯვაა... ხანდახან ვფიქრობ, რატიც მამამისივით ფსიქოპათი ხომ არ არის-მეთქი?.. ღამღამობით შიშით თვალი ვეღარ მომიხუჭავს... სულ იმის შიშში ვარ, ერთხელაც იარაღი არ აიღოს და მეც სიცოცხლეს არ გამომასალმოს?...

— სახლში იარაღი გაქვთ? — დაინტერესდა ამირეჯიბი.

— გვაქვს. რატი ზოგჯერ სანადიროდ დადის... სხვათა შორის, ახლაც სანადიროდაა წასული... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრა... ჰოდა, მეც დრო ვიხელთე და ირაკლისთან მივირბინე...

— ბოლო ხანებში რატისთვის სხვა უცნაურობებიც ხომ არ შეგიმჩნევიათ? — დაინტერესდა ამირეჯიბი. — დის დაკარგვისა და მშობლების სიკვდილის შესახებ სხვას არაფერს გიყვებათ?

— არა! — იუარა მაიამ. — მაგრამ ესეც მყოფნის... ცოტაც და, შეიძლება, მეც გავრეკო...

— და მაინც, — არ მოეშვა გამომძიებელი, — იქნებ კიდევ რამე გაიხსენოთ?

— არც კი ვიცი, რა გითხრათ... — წამით ჩაფიქრდა გოგონა და დაუმატა: — რატი უცნაურად იქცევა. ხან ზედმიწევნით თბილი და ყურადღებიანია, ხან კი მთელი დღე ისე გაივლის, რომ ერთ სიტყვას არ მეტყვის. მეტიც, ზოგჯერ გვერდითაც ისე ჩამივლის, თითქოს ვერ მამჩნევს. მაგრამ თუ ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა, ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ მაფრთხილებს: „თუ ვინმე გკითხავს, იმ ღამეს შენ და რატი ერთად იყავით თუ არაო, აუცილებლად უპასუხე, — ერთად ვიყავით-თქო...“

„როგორც იქნა, მთავარ საკითხსაც მივადექით“, — გაიფიქრა ამირეჯიბმა.

— სინამდვილეში როგორ იყო? — ჰკითხა მან გოგონას.

— სინამდვილეში?.. — ექოსავით გაიმეორა მაიამ. — თავიდან მართლა ერთად ვიყავით, მერე კი რატი სხვა ოთახში გავიდა...

— ამის შემდეგ რა მოხდა? იცოდეთ, ყველაფერი გულახდილად უნდა მიამბოთ, რადგან ეს მნიშვნელოვანია.

— დიახ, მესმის...

— როცა რატის მშობლები დასაძინებლად დაწვნენ, თავად სად იყო და რას აკეთებდა? ან თქვენ რას აკეთებდით? თქვენ ორიდან ვინ სად იყო სროლის დროს?..

— იმ ღამეს რატის მშობლები ადრე დაწვნენ.

— უფრო კონკრეტულად?

— ზუსტად არ მახსოვს. მგონი, 10 საათი ხდებოდა... მე და რატი კი სასადილო ოთახში კიდევ კარგა ხანს ვისხედით. შემდეგ ლოგინიც იქ გავუშალე. როცა მათ აგარაკზე ღამის გასათევად ვრჩებოდი, რატის სასადილო ოთახში ეძინა, მე კი — მის საძინებელში. იმ ღამესაც ასე იყო... შემდეგ მეც დასაძინებლად წავედი...

— რომელ საათზე?

— სამწუხაროდ, საათისთვის არ შემიხედავს, მაგრამ ალბათ, 1-ელი იქნებოდა დაწყებული. სინათლე გამოვრთე, გავიხადე და დავწექი...

— რატის ოთახში? — ჩაეკითხა გამომძიებელი.

— დიახ, როგორც უკვე გითხარით...

— მალე დაგეძინათ?

— არა, — თავი მორცხვად დახარა გოგონამ, — იმიტომ, რომ ცოტა ხანში რატიც ჩემთან, მეორე სართულზე ამოვიდა და... ალბათ, ხვდებით, იმ ღამეს ჩვენ შორის რაც მოხდებოდა...

— ვხვდები.

— რატი რომ ჩემთან შემოსული დავინახე, ჩურჩულით ვკითხე: — მერე შენი მშობლები? ხომ შეიძლება, რამე გაიგონონ-მეთქი? ნუ გეშინია, მკვდრებივით სძინავთო, — დამამშვიდა...

— მერე რა მოხდა?

— მერე მოსახდენი მოხდა და ერთი საათის შემდეგ რატი ოთახიდან ისევ გავიდა.

— სად?

— არ ვიცი... ალბათ, სასადილო ოთახში ჩავიდა... მე კი მალევე ჩამეძინა... მერე კი უეცრად სროლის ხმა ჩამესმა... ახალგაღვიძებულზე ვერც კი მივხვდი, რა მოხდა... შემდეგ კიდევ ერთი გასროლა გავიგონე... მაშინვე საწოლიდან წამოვხტი, მაგრამ ვერც სინათლის ანთება გავბედე და ვერც გარეთ გასვლა... ამასობაში ოთახში რატი შემოვარდა და სინათლე აანთო.

— როგორ გამოიყურებოდა?

— მიტკალივით იყო გაფითრებული... თან, საშინლად ცახცახებდა... არ ვიცი, ეს ნერვიული ცახცახი იყო თუ მაისურისა და ტრუსების ამარას, უბრალოდ სციოდა... რა მოხდა-მეთქი? — ვკითხე. მამაჩემმა დედაჩემი მოკლა და მერე თავი მოიკლაო, ძლივს ამოილუღლუღა... მაშინვე კარს ვეცი, მაგრამ წინ გადამიდგა: მათთან არ შეხვიდე, საშინელი სანახავები არიანო. იქნებ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და დახმარება სჭირდებათ-მეთქი! — შევიცხადე... არა, უკვე მკვდრები არიანო, მითხრა და კინაღამ ჩაიკეცა... მერე... უკვე ვეღარ ვიხსენებ, რატის მშობლების საძინებელში როგორ აღმოვჩნდით ან სინათლე როგორ ავანთეთ... მართლა საზარელი სურათი ვნახე...

ამის შემდეგ მაიამ სახეზე ხელები აიფარა და დადუმდა.

— მერე რა მოხდა? — ფრთხილად ჰკითხა გოგონას გამომძიებელმა.

— მერე? — სახიდან ხელები ნელნელა მოიშორა გოგონამ. — მერე თითქოს ყველაფერი ნისლში ჩაიძირა და მომეჩვენა, რომ რატიმ იარაღის აღება დააპირა...

— იარაღი სად იყო?



— იარაღი?.. — კითხვაზე ისევ კითხვით უპასუხა მაიამ. — როცა ოთახში შევედი, უკვე იატაკზე ეგდო. მაგრამ როგორც რატიმ მითხრა, თავიდან ის საწოლზე ყოფილა და გადასაფარებლის გადაძრობისას დავარდნილა ძირს... ეს რომ გავიგე, თავში მაშინვე გიჟურმა აზრმა გამიელვა: ხომ შეიძლება, რატიმ იარაღი აიღოს და

თვითონაც ტყვია დაიხალოს-მეთქი...

— მაინც რატომ გაგიჩნდათ ეს აზრი?

— იმიტომ, რომ ჭკუაზე აღარ იყო... იარაღს ხელი წამოვავლე და იქაურობას მოვაშორე... მერე კი მეზობლებთან გადავიტანე...

— ივანიშვილებთან?

— დიახ.

ამის შემდეგ მაია მოსიძემ გამომძიებელს უკვე ის უამბო, რაც დაკითხვებზე რამდენჯერმე ჰქონდა მოყოლილი.

— აქამდე ერთხელ მაინც რატომ არ თქვით, სინამდვილეში რა მოხდა? რატომ ირწმუნებოდით, სროლის დროს მე და რატი ერთად ვიყავითო? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— რატიმ მთხოვა, ასე თქვიო.

— როდის გთხოვათ?

— მგონი, იატაკიდან იარაღი რომ ავიღე, მაშინ...

— ანუ პრაქტიკულად მაშინვე, როგორც კი საძინებელში შეხვედით და გვამები დაინახეთ, ხომ?

— დიახ... — ამოთქვა მაიამ.

— თავისი თხოვნა რით ახსნა?

— მითხრა, რომ პოლიციაში დაკითხვებზე მაწოწიალებენ და ნერვებს დამაგლეჯენო...

— ანუ ადასტურებთ, რომ იცრუეთ?

გოგონამ ერთი ამოიოხრა და შემდეგ გამომძიებელს თავი მორჩილად დაუქნია:

— რატი შემეცოდა და იმიტომ... ისედაც გული გახეთქვაზე ჰქონდა... მეშინოდა, არაფერი დამართოდა. მთხოვა, ყველაფერს ისე მოჰყევი, როგორც სინამდვილეში მოხდა, ოღონდ არ თქვა, რომ მთელი ღამე შენთან არ გამიტარებიაო და მეც დაკითხვისას ეს ამბავი დავმალე... დამიჯერეთ, სხვა ყველაფერი პატიოსნად გიამბეთ...

„მგონი, სიმართლეს ამბობს, — გაიფიქრა ამირეჯიბმა, — საყვარელ ადამინს გაუფრთხილდა, რომ ზედმეტად არ ენერვიულა“.

— რატის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მშობლებთან? — შემდეგ დაინტერესდა იგი.

— შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იდეალური. ორივეს უდიდეს პატივს სცემდა...

— თავად როგორ ექცეოდნენ შვილებს?

— ორივე უყვარდათ... თუმცა არც ისე დიდი ხანია, რაც ამ ოჯახს ვიცნობ. უფრო სწორად კი რატის ახლობლებმა და მე ერთმანეთის კარგად გაცნობაც კი ვერ მოვასწარით... — ამოიოხრა მაიამ.

— მშობლების სიკვდილის შემდეგ როგორ იქცეოდა?

— რატი?.. ძალიან განიცდიდა... მაგრამ ერთხელ მაინც უცნაურად მოიქცა.

— რა ჩაიდინა?

— მიცვალებულები მორგიდან რომ გამოგვყავდა, ბატონი ვახტანგისთვის მისი ახალი კოსტიუმი გავამზადე, რატიმ კი ერთი ამბავი ამიტეხა: ძველ კოსტიუმში ჩაცმული რომ დავმარხოთ, გვარიშვილობა წაუხდება თუ რაო? მეც წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე და საწყალი კაცი მართლა ძველი კოსტიუმით დავმარხეთ.

— რატის ეს სიძუნწით მოუვიდა?

— არა. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ დედის მოკვლა ვერ აპატია. მაგრამ მერე მაინც ნანობდა თავის საქციელს...

ამის შემდეგ ამირეჯიბმა კიდევ რამდენიმე დეტალი დააზუსტა და მაია მოსიძის დაკითხვა დაასრულა. ოქმზე ხელის მოწერისას გოგონამ კიდევ ერთხელ სთხოვა, რატის არაფერი გააგებინოთო. ამირეჯიბმა გოგონას პირობა მისცა და შემდეგ დასძინა:

— მეც მექნება ერთი თხოვნა.

— ბრძანეთ.

— არც თავად წამოგცდეთ მასთან რამე. კარგი იქნება, თუ ამ დღეებში რატისთან საუბრისას მის მშობლებს არ ახსენებთ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... — მაშინვე დაეთანხმა მაია გამომძიებელს. — ნეტავ, თვითონ არ ახსენებდეს წამდაუწუმ, თორემ ხმას როგორ ამოვიღებ?! თანაც, ახლა ქალაქშიც არ არის...

— აბა, სად არის? — დაინტერესდა ამირეჯიბი.

— მითხრა, სოფელში მივდივარ სანადიროდო, მაგრამ ვერ დავიჩემებ, იქ არის-მეთქი... — სევდიანად ჩაილაპარაკა გოგონამ.

— რატომ? ხშირად გატყუებთ?

— ხშირად-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ გასულ თვეშიც მითხრა, სანადიროდ მივდივარო. მერე კი გავიგე, რომ ვიღაც ქალთან ერთობოდა. ასე რომ, ახლაც ყველაფერია მოსალოდნელი...

— ის თუ მაინც იცით, ზუსტად როდის დაბრუნდება?

— ზეგ, — უპასუხა გამომძიებელს მაიამ და ფეხზე წამოდგა.

მაია მოსიძის დაკითხვის შემდეგ მიხეილ ამირეჯიბმა ილურიძეების აგარაკის გაჩხრეკის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღეს აგარაკზე ის, ავთო შათირიშვილი, პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ერთი წარმომადგენელი და 2 მოწმე ავიდნენ. გამომძიებლები გზაში მაია მოსიძის ბოლო ჩვენებაზე მსჯელობდნენ.

— როგორ ფიქრობთ, ბატონო მიხეილ, ამ გოგოს ნდობა შეიძლება? — დაინტერესდა შათირიშვილი. — იქნებ ქმრის ღალატით გამწარებულმა მოიგონა ეს ყველაფერი?

— ვერაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ მომეჩვენა, რომ გულახდილი იყო. უბრალოდ, ძალიან უყვარს ქმარი და აქამდე ხელს ამიტომაც აფარებდა.

— უყვარს, მაგრამ ეჭვიანობს კიდეც, — თავისას მაინც არ იშლიდა შათირიშვილი, — ხოლო სადაც ეჭვია, იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

— მაინც არა მგონია, ამ გოგოს ქმრისთვის სერიოზული უსიამოვნების მიყენების სურვილი ჰქონდეს, — შეეპასუხა მას ამირეჯიბი, — გონიერი და წინდახედული ადამიანი ჩანს.

— როგორი გონიერი და წინდახედულიც უნდა იყოს, ქალი წინა პლანზე მაინც ყოველთვის ემოციას აყენებს, — შუბლი შეიკრა შათირიშვილმა, — განა 1 და 2 შემთხვევა ვიცით, როცა ეჭვიანობით დაბრმავებულ ქალს ათასი სისულელე ჩაუდენია?

— რატომ მარტო ქალს? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ამირეჯიბმა. — ზოგი კაცი რომ ეჭვიანობის დროს საშინელებებს სჩადის, ღმერთმა ყველას გვაშოროს! ასე რომ, მოდი, რატის ნადირობიდან დაბრუნებას დაველოდოთ და ვნახოთ, მერე რა მოხდება.

— სიმართლე გითხრათ, ისიც მიკვირს, რატიმ თავისი ეჭვები გამოძიებას რატომ არ გაუზიარა? — შენიშნა შათირიშვილმა.

— როგორც ჩანს, მაინც მამის სახელს უფრთხილდება. დას და დედას ვეღარავინ გაუცოცხლებს, მამამისის ხსოვნას კი უფრო სერიოზული ჩრდილი მიადგება. და არც თვითონ აღმოჩნდება მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში. როგორია იმის აღიარება, რომ მამამ მარტო დედა კი არა, პატარა, სრულიად უმწეო დაც მოგიკლა...

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ შათირიშვილი ამირეჯიბს აღარ შეჰპასუხებია. ამასობაში კი სააგარაკო დასახლებაშიც შევიდნენ.

მიხეილ ამირეჯიბმა მაია მოსიძისგან იცოდა, რომ ილურიძეების აგარაკის გასაღები მარო და ილო ივანიშვილებთან ინახებოდა. გამომძიებლებმა ივანიშვილებს გასაღები გამო-

ართვეს და მოწმეებთან ერთად სახლში შევიდნენ.

— სარდაფიდან დავიწყოთ, — განაცხადა ამირეჯიბმა და მოწმეებს დაწვრილებით აუხსნა, თუ რა ევალებოდათ.

ამის შემდეგ ყველანი სარდაფში ჩავიდნენ...

გვამის ძებნა დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯერ გოგონას ცალი ფეხსაცმელი, შემდეგ კი ლეპტოპი და მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს. დაძაბულობისგან ყველა გაშეშდა და სარდაფში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომელსაც ნიჩბით ფრთხილად გადაყრილი მიწის შრიალი არღვევდა. როცა მიწის ქვეშ სანახევროდ გახრწნილი მაკა ილურიძის გვამი გამოჩნდა, ერთ-ერთ მოწმეს გული შეუღონდა...

ილურიძეების აგარაკის ჩხრეკამ დაღამებამდე გასტანა. სარდაფის შემდეგ აგარაკის ყველა კუთხე-კუნჭულიც მოიარეს და ყველაფერი გულდასმით დაათვალიერეს. ეზოში მდგარ ერთ-ერთ სათავსში, ათასი ძველმანით სავსე ძველებური სკივრის ფსკერზე, ამირეჯიბმა გახუნებულ ნაჭერში გახვეული ჩანაწერებიანი საერთო რვეული აღმოაჩინა.

ამის შემდეგ მაკა ილურიძის ცხედარი მორგში წაიღეს. გამომძიებლებმა კი აგარაკის დატოვებამდე მარო ივანიშვილისა და ილურიძეების კიდევ 2 სხვა მეზობლის დაკითხვაც მოასწრეს. მეზობლები შოკში იყვნენ და ვერაფრით აეხსნათ, მაკა ასე ვის უნდა გაემეტებინა. ეს კითხვა გამომძიებლებსაც არ ასვენებდათ და გზაში უკვე იმაზე მსჯელობდნენ, იყო თუ არა ერთმანეთთან დაკავშირებული მაკა ილურიძის მკვლელობა და ამის შემდეგ აგარაკზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენები.

— მაინტერესებს, რატი ილურიძემ დანამდვილებით იცოდა, რომ მისი და მოკლული და სარდაფში დამარხული იყო თუ ეს ინტუიციამ უკარნახა? — დასვა კითხვა ავთო შათირიშვილმა.

— მაგარი კითხვაა, ხომ იცი, — ჩაეცინა ამირეჯიბს, — მასზე ზუსტი პასუხის პოვნა ხომ მთელი ამ დანაშაულების კასკადის ამოხსნის ტოლფასი იქნებოდა.

— იქნებ რატიმ სულაც თვითონ მოკლა?

— ეს ერთ-ერთი ვერსიაა, — უპასუხა ხელქვეითს ამირეჯიბმა, — სხვა ვერსიით კი მაკა მამამ მოკლა და შემდეგ ეს ამბავი რატისთან წამოსცდა. ანდა რატიმ თავად იეჭვა რაღაც, როცა სარდაფში ის ადგილი ნახა; ამოთხარა და დის გვამი აღმოაჩინა.

— თუ ასე იყო, მაშინვე პოლიციას რატომ არ შეატყობინა?

— ალბათ შეშინდა, ეჭვი ჩემზე არ მოიტანონო... მაკა რომ გაუჩინარდა, აგარაკზე ხომ მხოლოდ რატი და მამამისი იყვნენ.



— გამოდის, რომ მკვლელი ერთ-ერთი მათგანია.

— ადვილი შესაძლებელია.

— მაგრამ ხომ შეიძლება, გოგონა ვინმე სხვასაც, თანაც აგარაკზე კი არა, სულ სხვა ადგილზე მოეკლა და გვამი მოგვიანებით ჩაემარხა სარდაფში?

— არც ამას გამოვრიცხავ, მაგრამ დაფიქრდი, რამხელა რისკია გვამის ჯერ მოკლულის სახლში მიტანა, შემდეგ მისი სარდაფში ჩატანა, ორმოს ამოთხრა და ასე შემდეგ... თან, არც ის დაგავიწყდეს, რომ მაკას დაკარგვის შემდეგ ილურიძეების აგარაკზე გამუდმებით ვიღაც ტრიალებდა, გოგონას დღე და ღამე ეძებდნენ, მთელი დასახლება აფორიაქებული იყო. ასეთ დროს კი ყოველი საეჭვო ადამიანი და მოვლენა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა.

— მართალი ხართ, — დაეთანხმა ამირეჯიბს შათირიშვილი, — მაგრამ ცოლ-ქმარ ილურიძეების დაკრძალვის შემდეგ სახლი დაცარიელდა. დასახლებაც მალევე დაიცალა, რადგან შემოდგომის დადგომასთან ერთად, მოაგარაკეების დიდი ნაწილი ქალაქში დაბრუნდა...

— შენი არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ ჯერ მაინც ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად ვის შეეძლო ასეთი საშინელი ბოროტების ჩადენა? თუმცა ერთი რამ უკვე ცხადია: მკვლელმა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, კარგად იცოდა ილურიძეების აგარაკის წყობა, სად რა როგორ იყო განლაგებული, სად იდო სარდაფის გასაღები და ასე შემდეგ. მაკა ილურიძის გვამის აღმოჩენა ბევრ რამეს აყენებს ეჭვქვეშ და შეიძლება, გამოძიების მიმართულების მკვეთრად შეცვლაც კი გამოიწვიოს...

იმ ღამეს მიხეილ ამირეჯიბმა თვალი ვერაფრით მოხუჭა. ნანახზე გაუთავებლად ფიქრობდა, ვერსიებს აანალიზებდა, ფაქტებს აჯერებდა. გამომძიებელი ილურიძეების აგარაკზე ნაპოვნმა ჩანაწერების რვეულმაც დააინტერესა. მან, პირველ რიგში, ჩანაწერების ავტორისა და ილურიძეების საქმეში არსებული რატის კალიგრაფიები შეადარა ერთმანეთს და დარწმუნდა, რომ დღიური რატის ეკუთვნოდა. უმცროს ილურიძეს მასში ძირითადად, სხვადასხვა მოსაზრება თუ გამონათქვამი ჰქონდა თავმოყრილი, შიგადაშიგ კი გაკვრით საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ ამა თუ იმ მოვლენასაც ეხებოდა. თავიდან ამირეჯიბმა იფიქრა, რომ მოსაზრებებიცა და გამონათქვამებიც რატის ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც კი მათ აზრს ოდნავ ჩაუღრმავდა, მაშინვე მიხვდა, რომ ისინი სხვათა ნაფიქრალის თავისებური გადამღერება იყო. კერძოდ, ამირეჯიბმა დღიურში შემდეგი „მარგალიტები“ ამოიკითხა:

„ფული ყველაფრის ფასად უნდა იშოვო“.

„უანგაროდ მხოლოდ ფული უნდა გიყვარდეს“.

„უფულო კაცი ადამიანი არ არის“.

„რატომ უნდა დაახარჯო ფული შვილებს, როცა ისინი შენთვის მაინც არაფერს გააკეთებენ?“

„შვილები მშობლებთან ურთიერთობას მათი სიყვარულით იწყებენ და მათი გასამართლებით ამთავრებენ“.

„მორალი ადამიანის მოგონილია და არა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამოტანილი დასკვნა“.




დასაწყისი იხ. „გზა“ №23-35

ლადო ჩემს პასუხს ელოდებოდა.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიკნავებული ხმით ამოვთქვი.

— არა...

„სალი კლდე“ თეფშს დააჩერდა... სინდისის ქენჯნა ვიგრძენი ჩემი სიჯიუტის გამო, მაგრამ უკან დახევა გვიანი იყო.

— კარგი, — თქვა ბოლოს, — ვერ გაიძულებ. ნება შენია. ისე, ეს როზას თხოვნა იყო, თავად მოისურვა ასე. პირადად მე, რომ არ დაგიმალო, თავშიც არ გამივლია ეგ აზრი... — დაასრულა, დანა-ჩანგალი უხეშად დააგდო თეფშზე და ისეთი წკარუნის ხმა გამოსცა, მეგონა, ფაიფურის ჭურჭელი ნამსხვრევებად იქცა. შეშინებულმა თვალები დავხუჭე. ლადო წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. ხელები ზურგს უკან დაიწყო და ფეხის თითებზე აქანავდა. მივხვდი, ბრაზობდა... და იმასაც მივხვდი, თუ დროზე არ გავერიდებოდი, მისი რისხვა არ ამცდებოდა.

კარისკენ გავემართე. სწრაფ და მოკლე ნაბიჯებს ვდგამდი, რათა ნაკლებად მეხმაურა და დროზე დამეტოვებინა სამზარეულო.

— იმედია, წასვლამდე აალაგებ... — დამაწია.

არც შევჩერებულვარ, არც პასუხი გამიცია, არც მიმიხედავს... იმდენად უხერხულად ვგრძნობდი თავს, ამწუთას არაფერი შემეძლო, გარდა იმისა, იქიდან გავსულიყავი. საკუთარი თავი მძულდა.

რატომ ვგრძნობდი თავს დამნაშავედ, უფრო მეტიც — მოღალატედ? როზამ გთხოვაო... მისი სურვილი იყოო... დავიჯერო, ასე მოკლე დროში ასეთი შინაური გავხდი? ან როზას ნათქვამს იგი ამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა? აქვს კი მას ამხელა გავლენა ლადოზე? იმიტომ, რომ მისი გაზრდილია? ყველაფერზე ვფიქრობდი, ყველანაირ უაზრობაზე, ოღონდ კი იმაზე არ მეფიქრა, რაზეც „სალი კლდე“ მელაპარაკებოდა.

სანამ კარს მივხურავდი, თვალი მისკენ გავაპარე. იგი კვლავ ფანჯარაში იყურებოდა... და კვლავ მარტოსულად მომეჩვენა. ამან უარესად დამაფრთხო და სასწრაფოდ შევიმალე სათამაშოების ოთახში.

კარგა ხანს განადგურებული ვცემდი ბოლთას ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში. ვასიკოს ხმა მესმოდა, გაკვეთილის ტექსტს უკვე მერამდენედ იმეორებდა, იზეპირებდა ალბათ. იმდენად უხაროდა, მე რომ მის გვერდით ვიყავი, ცდილობდა, თავი გამოეჩინა და თავისით მოემზადებინა დავალებები.

ადგილს ვერ ვპოულობდი. მთელი ძალისხმევით ვცდილობდი, მოვრეოდი ჩემს ემოციებს და გულთან ახლოს არ მიმეტანა ჩვენი საუბრის შინაარსი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ხმაური შემომესმა. მივხვდი, ლადო გავიდა სამზარეულოდან. ერთხანს კიდევ დაველოდე და ნაბიჯების ხმა საბოლოოდ რომ მიწყდა, გავედი და მაგიდა ავალაგე. ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინე, ჭურჭელიც დავრეცხე და დავგავე კიდეც. როცა საქმიანობას მოვრჩი, მხოლოდ მერე ჩავვარდი საგონებელში. ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო, ამაღამ მაინც მომიწევდა აქ დარჩენა, რადგან ლევანი ჯერ არ ჩანდა და ვასიკოს ლადოს ანაბარა ვერ დავტოვებდი. ამიტომ არ ღირდა ახლა მასთან შესვლა და წასვლა-დარჩენაზე ლაპარაკი, უარესად გავაღიზიანებდი. ის კი არა, შეიძლება სამუდამოდაც გავეძევებინე სახლიდან.

როცა ეს ყველაფერი ავწონ-დავწონე, ცოტათი დავმშვიდდი. სათამაშოების ოთახში შევიძურწე ჩუმად და დავწექი... გვიან ჩამეძინა...

დილით ლევანის ხმამ გამომაღვიძა. გამიხარდა, თითქოს შვება ვიგრძენი. ვასიკოს წაყვანაც არ მომიწევდა სკოლაში. საღამომდე არ ღირდა შინ წასვლა. გადავწყვიტე, მთელი დღით დავრჩენილიყავი და სახლისთვის მიმეხედა.

ლევანი გაბადრული სახით შემხვდა.

— გადმოსახლდი? — გამოაჩინა თავისი „დიდრონი“ კბილები.

— არა, — ყრუდ ვუპასუხე.

— მოგიწევს, — ეშმაკურად შემომღიმა და თვალი ჩამიკრა.

— არა, — ისევ იმავე ხმით გავუმეორე.

— ვიცი მე შენი გულის ამბავი. აგერ ნახავ, თუ არა, — საჩვენებელი თითი დამიქნია და გავიდა.

როცა ვასიკო სუფრას მიუჯდა, ზედმეტად მოწყენილი მეჩვენა... არ მომეწონა.

— რა გჭირს, პატარავ? — მივეფერე.

— როზა ბებო მოკვდება? — საცოდავად ამომხედა.

— რას ამბობ, რატომ უნდა მოკვდეს? სულ მალე კარგად გახდება და დაგვიბრუნდება.

— მართლა?

— მართლა, აბა, რა! ოდესმე მომიტყუებიხარ?

— არა, — თავი გადააქნია.

— ჰოდა, არც ახლა გატყუებ, — თავზე ხელი გადავუსვი და „ყიყლიყოებით“ სავსე თეფში წინ დავუდე.

თითქოს უგემურად დაიწყო ჭამა. დამიჯერა და არც დამიჯერა... ვასიკო კი არა, მეც მკვდარივით ვიყავი. როზაზე დარდი გულიდან არ გადამდიოდა. თითქოს მთელი სახლი მოწყენილი იყო, ისეთი სიჩუმე იდგა ყველგან — ამაზრზენი. კიდევ კარგი, ლევანი ჩამოვიდა და მისმა როხროხა ხმამ ცოტათი გამოაცოცხლა იქაურობა.

როცა ლევანი და ვასიკო გავისტუმრე, საქმეს შევუდექი. რამდენჯერმე და-

ვიჭირე ჩემი თავი იმაში, რომ წამიერად გავირინდებოდი და უაზროდ მივაშტერდებოდი კედელზე რომელიღაც წერტილს... ვერა და ვერ მივხვდი, სწორად მოვიქეცი თუ არა, როცა ლადოს თხოვნაზე უარი ვუთხარი.

მოულოდნელად კარი გაიღო და მოღუშული ლევანი შემოვიდა. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც მოხდა. კითხვით სავსე მზერა მივაპყარი.

— ლადომ დარეკა, ოპერაციამ კარგად ჩაიარაო.

— უკვე? ასე მალე?

— რაღა მალე, 2 საათი გახდება საცაა.

— მართლა? არც გამიგია დროის გასვლა. ვასიკო რომ გამოსაყვანია?!

— გამოვიყვანე, აქ არის, ეზოში.

— და... — ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ჩემთან რომ არ მოირბინა. — რას აკეთებს?

— კიბეზე ზის, ბავშვიც განიცდის.

— ჰო, განიცდის. შემოიყვანე, სადილი მზადაა.

— კი შევჭამდი, ძალიან მომშივდა.

— მერე? როგორ არისო?

— მეტი არაფერი ვიცი. მოვა და თვითონ იტყვის. მხოლოდ ის მითხრა, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო.

— და ამდენი ხანი თვითონ იქ იყო? იქ ელოდებოდა?

— ალბათ. მთლად ეგეთი უგულოც კი არ არის, ტყუილად გაქვს მასზე ცუდი წარმოდგენა.

— სულაც არა! — განაწყენებული კილოთი ვუპასუხე და სუფრის გაწყობას შევუდექი.

უეცრად სლუკუნის ხმა შემომესმა. მოვტრიალდი და... ვასიკო ტიროდა. მივუახლოვდი და ჩავიხუტე.

— რა გატირებს ამხელა ბიჭს?

— ვიცი, მოკვდებააა, — აზლუქუნდა.

მისმა სიტყვებმა უარესად გამხადა, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე. ნიკაპში ამოვდე ხელი და მტკიცე ხმით ვუთხარი.

— პირობას გაძლევ, რომ როზა გამოჯანმრთელდება, გესმის? ჩემი ხომ გჯერა?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ტირილი შეწყვიტა.

— ყოველთვის კარგის უნდა გჯეროდეს ადამიანს და იმედი არასდროს გადაიწურო. ეს დაიმახსოვრე, გასაგებია?

ისევ დამიქნია თავი და სუფრას მიუჯდა.

სადილის შემდეგ, სანამ



სამზარეულო მივალაგე და ვასიკოსთან გავედი, დრო გავიდა. ბავშვს ამასობაში ჩასძინებოდა. საყვარლად ამოედო ხელისგული თავქვეშ და თანაბრად სუნთქავდა. გამეღიმა. აღარ გავაღვიძე, მაინც მოვასწრებდით მეცადინეობას, საღამომდე არსად მეჩქარებოდა.

სწორედ ამ დროს ლადოც დაბრუნდა. როცა მისი მანქანის ხმა გავიგონე, ლამის გული გამიჩერდა. არ ვიცი, რამ ამანერვიულა ასე — როზას ამბავმა თუ მისმა მოსვლამ... ახლა არ მინდოდა ამაზე მეფიქრა. უეცრად საშინელი ყვირილის ხმა მომესმა. ვასიკო იყო. გულგახეთქილი შევვარდი საძინებელში. ბავშვი ძილში ხელებს იქნევდა და მთელი ხმით გაყვიროდა. მივხვდი, რაღაც კოშმარი ესიზმრებოდა. ხელ-ფეხი გამიცივდა ნერვიულობისგან.

— ვასიკო, გაიღვიძე, პატარავ, — ალერსით ჩავჩურჩულე და შევეხე.

დაფეთებულმა გაახილა თვალები და რომ დამინახა, შეშინებული მომეკრო მკერდზე.

— აქ ვარ, ნურაფრის გეშინია, — გულში ვიხუტებდი და თავზე ვკოცნიდი.

ლევანიც შემოვარდა.

— რა ყვირილია? რა მოხდა?

არ ვუპასუხე, თვალით ვანიშნე, ბავშვი იყო-მეთქი. ისიც მიხვდა, რაშიც იყო საქმე და დოინჯშემოყრილმა ღრმად ამოიხვნეშა, რა გული გამიხეთქეთო.

— მორჩა, ეს მხოლოდ ცუდი სიზმარი იყო, საყვარელო, დამშვიდდი, — ვუთხარი ბიჭუნას, თვალებში ჩავხედე და გავუღიმე.

— ისევ ის საშინელებები გესიზმრა? — გაეცინა ლევანს.

— რა საშინელებები? — გავიოცე.

— რაღაცები ესიზმრება ხოლმე, — ამიხსნა მამაკაცმა.

— მერე მე რატომ არ ვიცოდი?

— როზამ გააფრთხილა, არ უთხრა, ინერვიულებსო. ის იწვა ხოლმე მის გვერდით, ღამით მარტოს არ ტოვებდა.

— მაგრამ ის ახლა აქ არ არის, — წამოვიძახე.

— სამაგიეროდ, შენ ხარ, — გამიღიმა ლევანმა, — ხომ გითხარი, მოგიწევს დარჩენა-მეთქი.

— რა ხდება აქ? — ამ დროს ლადო გამოჩნდა ზღურბლზე.

მის დანახვაზე გამაჟრჟოლა. აკანკალებული ხმით ავუხსენი, რაც მოხდა. თან ჩემთვის ვფიქრობდი, — კიდევ რომ დაესიზმროს? თან ღამით? და მე რომ არ ვიქნები მის გვერდით? არა, ასე როგორ შეიძლება!

— ყველაფერი რიგზეა? — „სალი კლდის“ ხმამ გამომარკვია.

— ბატონო ლადო, — მისი კითხვა უპასუხოდ დავტოვე, — მე არ ვიყავი მართალი წუხელ, უარი რომ გითხარით... ახლა მესმის, რომ აქ საჭირო ვარ. თუ არ გადაგიფიქრებიათ და ძალიან არ მიბრაზდებით...

— ანუ დარჩენა გადაწყვიტე? — სრულიად უემოციოდ მკითხა.

— დიახ.

— კარგი, — მოწყვეტით წარმოთქვა და ეგრევე გავიდა.

— მართლა რჩები? — გამოცოცხლდა ვასიკო.

— ვრჩები, პატარავ.

— ბოლომდე?

— სანამ როზა არ დაბრუნდება. ახლა კი შეკითხვებს მოეშვი, პირი დაიბანე, ტანსაცმელი გამოიცვალე და საქმეს შევუდგეთ.

ბავშვმა ყურებამდე გაიღიმა, მერე პაწია ხელი გამომიწოდა და მეც შევაგებე გაშლილი ხელისგული... ლევანმა თვალი ჩამიკრა და კმაყოფილმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

ღამით ვასიკოს მივუწექი. ჩამძინებია... არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, რომ მოულოდნელად უცნაურმა ბიძგმა გამაღვიძა თითქოს. შეშფოთებულმა დავაჭყიტე თვალები და რას ვხედავ! ლადო თავზე წამომდგომია და მიყურებს. რამდენიმე წამის განმავლობაში უაზროდ ვახამხამებდი წამწამებს, რათა გამოვრკვეულიყავი, სად მთავრდებოდა სიზმარი და სად იწყებოდა რეალობა. ვერაფრით დავიჯერე, რომ ის თავზე მადგა და დამჩერებოდა. მერე გამახსენდა შუადღის ამბავი და მზერა ბიჭუნაზე გადავიტანე. მას მშვიდად ეძინა. კვლავ ლადოს მივაჩერდი. მან

თვალით მანიშნა, გამომყევიო და უხმაუროდ გავიდა საძინებლიდან. მაშინვე წამოვხტი და გავეკიდე.

— შენ შეგიძლია გვერდითა ოთახში დაწვე. ახლოს იქნები მასთან.

— არა უშავს, მე აქაც...

— გააკეთე, რასაც გეუბნები! — წარბები შეჭმუხნა.

— გასაგებია. ისე მოვიქცევი, როგორც მითხარით, — მორჩილად დავთანხმდი და ვასიკოს საძინებლის გვერდით მდებარე ოთახს მივაშურე.

კარი გამოვაღე, შუქი ავანთე, მერე უკან მოვიხედე და იქვე მდგარ ლადოს დავემშვიდობე.

— დიდი მადლობა. ღამე მშვიდობისა.

მან მხოლოდ თავი დამიქნია და გაქრა. მე კი, როგორც იქნა, ძლივს ადამიანურად გავშალე საწოლში ფეხები და ღრმა, მშვიდი ძილით დავიძინე...

არც მეორე დღეს მოუტანია სასიამოვნო სიახლეები. როზას მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა, მაგრამ სტაბილური, როგორც იციან ხოლმე ექიმებმა თქმა. შემჯავრდა ეს სიტყვა. საკმარისია, ტელევიზორი ჩართო, საინფორმაციოს მოუსმინო და თუ რამე უბედური შემთხვევა მოხდა, სასწრაფოდ მიაჩეჩებენ ხოლმე სამედიცინო პერსონალს მიკროფონს და ისიც რობოტივით იმეორებს ამ საშინელ სიტყვებს — მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სტაბილური! როგორი მოსასმენია?

მე მაინც ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. თუ არ გაუარესებულა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ესე იგი, ჯერ კიდევ არის იმედი. ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა! მთავარია, რომ უარესად არ არის. უკვე ისე ვიყავი, მიხაროდა კიდეც, ამდენი საქმე რომ მქონდა გასაკეთებელი. ეს დარდს მიმსუბუქებდა, დროებით მაინც მავიწყებდა როზას ამბავს.

საღამო ხანს ლადო ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა.

— როზამ მადლობა შემოგითვალა, — ცალწარბაწეული მომიახლოვდა და მითხრა.

— რისთვის? კარგად არის? — თვალები გამიბრწყინდა.

— იმისთვის, რომ მისი თხოვნა შეასრულე. არა უშავს, ცოტა უკეთ არის. ლაპარაკი შეუძლია, — ძალიან ხმადაბლა მომიგო და გავიდა, მეტი ვერაფერი დავაცდენინე.

იქვე, სკამზე ჩამოვჯექი. ჯერ კიდევ ჩამესმოდა ყურში მისი ხმა — მსუბუქი და თბილი, თითქოს როზა კი არა, შეფარვით თვითონ მიხდიდა დარჩენისთვის მადლობას.

სწორედ ამ დღიდან შეიცვალა სახლში ყველაფერი... უფრო სწორად, ლადო შეიცვალა. იგი უკვე აღარ რჩებოდა გვიანობამდე სამსახურში. საღამოს, როგორც კი დაბრუნდებოდა, ჩვენთან შემოდიოდა და როზას ამბავს გვიყვებოდა, — დღეს ასე იყო, ეს თქვა, ის ჭამა, გაიცინა, მოგიკითხათო, — და ა.შ.

ის კი არა, ბოლო დროს ჩამოგვიჯდებოდა კიდეც ცოტა ხნით და დღის ამბებს გამოგვკითხავდა. ეს კიდევ არაფერი. ჩემდა გასაკვირად, უკვე მესამე დღე იყო, შევამჩნიე, როგორც კი ლადო მოვიდოდა, ვასიკო კართან მიირბენდა და ზღურბლზე ხვდებოდა ბიძას. მგონი, უხაროდა მისი გამოჩენა.

ლადოც ძალიან უცნაური გახდა. თავიდან ცდილობდა, არ გაემჟღავნებინა თავი, მაგრამ ნელ-ნელა ალბათ შეეჩვია კიდეც „ახალ მდგომარეობას“. ის ძმისშვილის ყოველდღიური ცხოვრებით დაინტერესდა. ყოველდღე უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ბავშვის მიმართ, — რა ხდება სკოლაში, რა ქულები დაგიწერეს, მასწავლებელმა რა გითხრა, გაკვეთილს როგორ მოჰყევიო...

და ერთხელაც... თავზე ხელი გადაუსვა ბიჭუნას. მოდი და, ნუ დაიჯერებ, რომ სასწაულები არ ხდება!

თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრით, რა მოხდა ამ დღეებში, რამ შეცვალა „სალი კლდე“ ასე?! ასეთი უეცარი შემობრუნება ჩემთვის დიდი გამოცანა იყო, რომლის ამოხსნას ვერა და ვერ ვახერხებდი. თავგზა იმანაც ამიბნია, რომ ლადო მხოლოდ ვასიკოს მიმართ არ იჩენდა ინტერესს... ჩემ მიმართაც და... არანაკლებად. ბევრჯერ ვიგრძენი მისი დაჟინებული მზერა, რის გამოც გული ისე ამიძგერდებოდა, რომ სად დავმალულიყავი, არ ვიცოდი. თავში სულელური აზრები მიტრიალებდა უკვე. სულელური და უცნაური. ჩემთვის მთავარი მხოლოდ მისი გაცხოველებული ინტერესი არ იყო. მთავარი თვითონ იყო. ჩემდა გასაოცრად, მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ გარეგნულად საოცრად სიმპათიური ვინმე გახლდათ და ვიგრძენი, როგორც მამაკაცი, ძალიანაც მიზიდავდა. თუკი ადრე მის გარეგნობაში რაღაც ფრაგმენტები იქცევდა ჩემს ყურადღებას (მაგალითად, ვნებიანი ტუჩები ან თბილი ღიმილი, რომელიც ასე ცვლიდა მის გამომეტყველებას), ახლა მთლიანობაში დავინახე იგი. და ამ აღმოჩენამ თავზარი დამცა: ლადო ძალიან ლამაზი, სექსუალური და მომნუსხველი მამაკაცი ყოფილა! ამან შემაძრწუნა. ამჯერად იმას ვნატრობდი, ნეტავ, ძველებურად პირქუში გახდეს, რომ მისმა ერთმა ცივმა, გამჭოლმა მზერამ ისევ ისე, ადგილზე გამაქვავოს-მეთქი. მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, იგი უკვე აღარ იღუშებოდა, პირიქით, მის თვალებში დღითი დღე მეტი და მეტი სითბო გროვდებოდა. ეს კი თავბრუდამხვევად მოქმედებდა ჩემზე და ვატყობდი, „ცუდ, საშიშ“ ფიქრებში მხვევდა.

ყოველგვარი ანტიპათია გამიქრა მის მიმართ.

ამ ყველა დადებით გარდაქმნებთან ერთად, კიდევ ერთი რამ გამოიკვეთა განსაკუთრებულად. ის უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდა ვასიკოსთან. რაღაცებს ელაპარაკებოდა, უხსნიდა, ასწავლიდა... და რადგან ბიჭუნა თითქმის ყოველთვის ჩემ გვერდით იყო, ძალაუნებურად ლადო ჩემთანაც ბევრ დროს ატარებდა. ეს კი, ვხვდებოდი, საშიში ხდებოდა ჩემთვის. ჩემს სიმშვიდეს ყოველდღე მეტად და მეტად ემუქრებოდა საფრთხე. ლადომ თანდათან ისე დაიპყრო ჩემი გონება, ისე შემომიძვრა ფიქრებში, რომ ჩემს თავს ვერაფერს ვუხერხებდი. საშკა საერთოდ გადამავიწყდა. დღეები ისე გავიდოდა, ერთხელაც არ გამახსენდებოდა. ნუთუ არ მიყვარდა? მაშინ რატომ ვხვდებოდი მას? და თუ მიყვარდა, ასე უცებ რა მოხდა, რატომ გახდა მისი არსებობა ჩემთვის ასეთი სულერთი? რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვიძაბებოდი და ვიკეტებოდი საკუთარ თავში. ვცდილობდი, ოდნავადაც არ გამომემჟღავნებინა, რა ცვლილებები ხდებოდა ჩემში, რომ თავი არ გამეყიდა და მამაკაცს არაფერი შეემჩნია.

შვება მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როცა ერთ მშვენიერ დღეს, შინ დაბრუნებულმა ლადომ გვახარა, როზა კარგად არის და ამ დღეებში გამოწერენო. ყველაზე მეტად ალბათ მე გამიხარდა, რადგან როზას დაბრუნება ერთადერთი საშუალება იყო, ცდუნება დამეძლია.

— ანა! საღამოს სტუმრებს ველოდები, — ეს განცხადება დილით, საუზმეზე „გააკეთა“ ლადომ და გამომცდელი მზერა მომაპყრო.

დავიბენი და მერე როგორ! სუნთქვა შემეკრა და გული გამიჩერდა.

— გასაგებია, მაგრამ მე... მე რა შემიძლია? არც ისეთი კარგი დიასახლისი ვარ, — მოვისაწყლე თავი.

— არ არის საჭირო შენი კულინარიული გამოცდა. მზა კერძებს მოვიტან რესტორნიდან, შენ მხოლოდ სუფრის გაშლა გევალება.

— რა თქმა უნდა, ეს ადვილია, მაგას როგორმე შევძლებ. მაგრამ... ვასიკო... ალბათ აჯობებს, თავისი ოთა-

ხიდან არ გამოვიდეს, — შევაპარე.

— შენს ადგილას, მოვლენების ასეთ დრამატიზებას არ მოვახდენდი. მე პირიქით მირჩევნია, შენც და ვასიკოც ჩემ გვერდით იყოთ. მინდა, ბავშვი ჩემს სტუმრებს გავაცნო, — მშვიდად მომიგო, ადგა და გავიდა.

ყბა ჩამომივარდა გაოცებისგან. თავი სიზმარში მეგონა. რა ხდება? რა მოელანდა ამ კაცს? ათი დღის წინ ნამდვილი სალი კლდე იყო და დღეს რამ დაათბო ასე? ველარ ვცნობდი. და რაც მეტს ვფიქრობდი ამ ყველაფერზე, მით უფრო მიპყრობდა ცნობისმოყვარეობა, მის საიდუმლოს ჩავწვდომოდი.

არადა, ჩემს სიტყვებს რომ ჩავუღრმავდი, ვასიკოს ხსენებით თითქოს მისი პროვოცირება მინდოდა. მინდოდა, ისევ ის ძველებური ლადო დამენახა, ძმისშვილს თვალის დასანახავად რომ ვერ იტანდა. მან კი ისეთი რამ მითხრა, გამაოგნა... თითქოს ცხვირზე წკიპურტი გამკრეს! ვგრძნობდი, ამგვარი წინააღმდეგობრივი ქმედებებით ვცდილობდი ჩამეხშო ის სიმპათია, ასე უხილავად რომ აღმოცენდა ჩემში. მიუხედავად ამისა, ყოველ ჯერზე ისევ და ისევ მარცხს განვიცდიდი. ლადო უფრო და უფრო დამთმობი და მომთმენი ხდებოდა ჩემ მიმართ. თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ შეგნებულად ვცდილობდი მის გამოწვევას. ეს უარესად მაგიჟებდა.

ნაშუადღევს ლევანმა ნაირ-ნაირი კერძით დატვირთული მანქანა მოაყენა ჭიშკარს. თავიდან კი ხალისით შევუდექი სუფრის გაშლას, მაგრამ ბოლოს, როცა მაგიდას გადავხედე, შურით გავსკდი. ალბათ ვერასდროს შევძლებდი ასეთი კერძების მომზადებას, შესაბამისად, ვერასდროს გავხდებოდი კარგი დიასახლისი, რომელსაც „გემრიელობების“ გაკეთება შეუძლია. მით უმეტეს, ასეთი სახლის დიასახლისი ვერ გავხდებოდი ვერასდროს! როცა გავაანალიზე, საითკენაც იყო მიმართული ჩემი აზრები, შევშინდი. არ მქონდა უფლება, ქვეცნობიერადაც კი შევხებოდი ამ თემას, რადგან ჩემი ფიქრები ნამდვილი სიგიჟე იყო!

როცა ყველაფერს მოვრჩი, ვასიკოს ხელი დავავლე და პარკში წავიყვანე სასეირნოდ. ლევანიც თან გავიყოლეთ. ბევრი ვიხეტიალეთ, მანამ, სანამ ლევანმა არ გამოგვიცხადა, შინ დაბრუნების დრო დადგაო.

ეზოში შემოსვლისთანავე ვასიკო წინ გავარდა. მეც სასწრაფოდ უკან მივყევი. ჰოლში შევედი თუ არა, დაზაფრული ადგილზე გავშეშდი. სარკეებიან კედელთან ქალი იდგა... ჩვენს დანახვაზე ქალმა სარკეში საკუთარი სილამაზით ტკბობას თავი დაანება და მზერა ჩემზე გადმოიტანა.

უცნობი მოდების ჟურნალიდან გადმომხტარ მანეკენს ჰგავდა. მაღალი იყო და ტანკენარი, გრძელი ფეხებით. შავი, სხეულზე მოტმასნილი მოკლე კაბის დეკოლტედან ქათქათა მკერდი მოუჩანდა, ზომაზე მეტად მადის აღმძვრელი. ქალი ვარ და, მე ვერ დავმალე აღფრთოვანება. წარმოვიდგინე, მამაკაცები რა დღეში იქნებოდნენ მისი შემხედვარე. სახითაც ულამაზესი იყო. სქელი წითელი ტუჩები განსაკუთრებით უსვამდა ხაზს მის სექსუალურობას. და კიდევ... ეს მიბნედილი მზერა... ვნებიანი გამოხედვა... ვულგარული, ველური და... გამომწვევი...

ერთხანს თვალი ვერ მოვწყვიტე. მერე უცებ ვიაზრე, რომ სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და ვასიკოსკენ გავიხედე. არადა, ვიგრძენი, როგორ დამწყდა გული, მე რომ არ ვიყავი მისნაირი ლამაზი. მისნაირი კი არა, ახლოსაც ვერ მივიდოდი მასთან. სრულყოფილების განსახიერება გახლდათ, სილამაზის ეტალონიო, რომ იტყვიან, ისეთი. ბავშვმა ერთი მომხედა და კვლავ წინ გავარდა. ორიოდე ნაბიჯი გადავდგი მისკენ და ისევ გავშეშდი. ბავშვს ლადო მიუახლოვდა და... მხარზე გადახვია ხელი, თან რაღაცას უხსნიდა მის გვერდით მდგარ უცხო მამაკაცს... სწრაფად მივეახლე მოსაუბრეებს და უცნობს თავაზიანად მივესალმე. მეშინოდა, ლადოსთვის შემეხედა, რათა მის სახეზე უკმაყოფილება არ ამომეკითხა... შევცდი. თურმე ლადო სტუმარს სწორედ ვასიკოზე ელაპარაკებოდა, თანაც ძალზე მშვიდად და ხალისიანადაც. ესე იგი, არ გამიბრაზდება? კიდევ კარგი...

ახლა სამივეს ყურადღება ჩემზე გადმოვიდა.

— ეს კი ანაა, ჩემ მეგობარი და ვასიკოს აღმზრდელი, — მოულოდნელად ასე წარმადგინა ლადომ და მის სახეზე საოცრად თბილი ღიმილი გაკრთა.

გაოგნებულმა შევხედე და როგორც არაერთხელ, ახლაც მის გამომცდელ მზერას წავაწყდი.

— ანა, გაიცანი, ჩემი ბიზნესპარტნიორი, ძალიან კარგი ადამიანი — პაატა გაბაშვილი, — გამაცნო სტუმარი.

გაბაშვილმა ღიმილით შემათვალიერა. ისიც მაღალი იყო, ქერა და სიმპათიური. განსაკუთრებით მისი თითები მომხვდა თვალში, თხელი, გრძელი და ქალის თითებივით ნატიფი.

— გამარჯობა, ანა! სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — ხელი ჩამომართვა ბიზნესპარტნიორმა, — ის კი, სარკესთან რომ კეკლუცობს, ჩემი დაა, — დააყოლა ბოლოს და ლამაზი ქალისკენ მიმითითა, რომელიც კვლავ კეკლუცად ათვალიერებდა საკუთარ სხეულს უზარმაზარ სარკეში.



— ჩემთვისაც სასიამოვნოა, — ამოვილუღლუღე აფორაჯებულმა და წასვლა დავაპირე.

— ლადო, ძვირფასო, ეს შენი მოსამსახურეა? — ამ დროს ლამაზი ქალი ჩვენკენ წამოვიდა.

შევამჩნიე, როგორ მოექცა მის ძმას სახე. როგორც ჩანს, დის უტაქტობამ ხასიათი გაუფუჭა.

— მარიამ, ძალიან გთხოვ, — საყვედურით სავსე ტონით მიმართა დას, მერე მე მომიბრუნდა, — ანა, მაპატიეთ...

— რა იყო, რა ვთქვი ასეთი? განა ასე არ არის? რამე შემეშალა? მართლა! სად არის როზა? რაღაც ვერ ვხედავ! — წამოიძახა ქალმა და მაცდური მზერა ლადოს მიაპყრო.

— ანა მოსამსახურე არ არის, მარიამ, — აუხსნა ძმამ და უსაყვედურა, — ის ბავშვის აღმზრდელია. და თუნდაც ასე იყოს, ამის ხმამაღლა აფიშირება ლამაზი არ არის. პატარა აღარ ხარ და ამდენი უნდა გესმოდეს.

— თანაც ჩემს სახლში, — ხაზგასმით დაამატა ლადომ.

— მაპატიეთ... მე წავალ, — თავდახრილმა ძლივს გასაგონად ჩავილაპარაკე და ვასიკოს წავავლე ხელი. დროზე უნდა გავცლოდი იქაურობას, რათა კონფლიქტის მიზეზი არ გავმხდარიყავი...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# გზავნილები

## როგორ დაისაჯა მოღალატე

*მარი ჯაფარიძე*

გამარჯობა. მოღალატის დასჯაზე ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ბავშვობაში გადამხდა თავს. წინათაც გითხარით, რომ კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ძალზე ცელქი გახლდით. ათასნაირ „მაკვარანცხობას“ ვიგონებდი და ხშირად ვისჯებოდი კიდეც ამის გამო, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. ჩემს ბავშვობაში „მოდაში“ იყო „დიმაუშკების“ გაკეთება. ეს გახლდათ პლასტმასის სახაზავითა და სიგარეტის კოლოფის ვერცხლისფერი ქაღალდით გაკეთებული „მოწყობილობა“, რომელსაც ცეცხლს თუ მოუკიდებ, ისე ხრჩოლავს, სუნთქვა შეუძლებელი ხდება. ჰოდა, სწორედ ასეთი „დიმაუშკა“ გავაკეთე და ბიოლოგიის კაბინეტში გასაღების ჭუჭრუტანიდან შევაგდე. ვიდრე გაკვეთილი დაიწყებოდა, ოთახში ისეთი კვამლი დადგა, ვერაფერს გაარჩევდი. მასწავლებელმა საკლასო ოთახის კარი რომ გააღო, ელდა ეცა. ბავშვები ხელებს იფშვნეტდნენ სიხარულით, რომ გაკვეთილი ჩაიშლებოდა. მასწავლებელმა სხვა საკლასო ოთახი შეარჩია, ყველა ბავშვი სათითაოდ შეგვიყვანა და გვკითხა, ვინ იმაიმუნა. დარწმუნებული ვიყავი, რომ არავინ გამყიდდა, მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი. ცოტა ხნის შემდეგ ნათელა მასწავლებელმა დამიძახა, კვამლით სავსე საკლასო ოთახში ჩამკეტა, დანარჩენი ბავშვები კი — განიავებულ ოთახში შეიყვანა და გაკვეთილი იქ ჩაატარა. ვინაიდან ბიოლოგიის კაბინეტი პირველ სართულზე იყო, ფანჯრები დალურსმული ჰქონდა (რომ არავინ შემძვრალიყო და ჩონჩხი ან სპირტში ჩალაგებული ბაყაყები არ მოეპარა) და არც ერთი მათგანი არ იხსნებოდა. ხველებით დავიხრჩვე და ისეთი ცრემლდენა დამეწყო, ლამის 9 თაობის წინანდელი ნათესავებიც კი გამოვიტირე. ფანჯრების გულდასმით დათვალიერების შემდეგ, ერთ-ერთი მინის კუთხეში პატარა ღრიჭო შევნიშნე. რაფაზე ავედი და ცხვირი ღრიჭოში გავყავი. ასე ვსუნთქავდი ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ გაკვეთილიც დამთავრდა და „პატიმრობიდან“ გამათავისუფლეს. მალევე გავიგე, ვინ „ჩამიშვა“, მაგრამ ვერ გავიმეტე დასასჯელად... თუმცა, ამ რამდენიმე წლის წინ კი მაინც გადავუხადე სამაგიერო: მეგობრები რესტორანში შევიკრიბეთ. ზურაც იქ გახლდათ („ჩამშვებს“ ჰქვია ზურა). გვიანობამდე მოვილხინეთ, ღამის 2 საათზე კი ავტყდი, გინდა თუ არა, მშობლიური სკოლის ეზოში შამპანური დავლიოთ-მეთქი. ყველანი ამყვნენ. მივედით სკოლის ეზოში, შამპანური დალიეს (ვინაიდან მე მძღოლი ვიყავი, ფხიზელი გახლდით), ჩემს მანქანაში ჩასხდნენ, რომ სახლებში ჩამომერიგებინა. ისე მოვაწყე, რომ ზურა ყველაზე ბოლოს ჩამჯდარიყო... ჰოდა, ის იყო, მანქანისკენ ნაბიჯი გადმოდგა და ადგილიდან დავიძარი. კარგა ხანს გვეძახდა, მოიცადეთ, აქ ნუ დამტოვებთო, მაგრამ შეუვალი ვიყავი... ასე დაისაჯა მოღალატე და „ჩამშვები“, თუმცა, დღეს მაინც „ძმები“ ვართ და ამ ამბავზეც ყველანი გულიანად ვხალისობთ ხოლმე.

## შეყვარებულის ყოფილი შეყვარებული

„იქნებ „გზის“ ფურცლებზე ამას არ უნდა ვაქვეყნებდე, მაგრამ თემას მიესადაგა და... მოკლედ, რამდენიმე წლის წინ გავიცანი ადამიანი, რომელმაც შემდეგში ძალიან დიდი ადგილი დაიკავა ჩემს ცხოვრებაში (ალბათ ხვდებით, რაზეცაა საუბარი). ერთმანეთს საოცრად ვუგებდით, მაგრამ ერთი დიდი პრობლემა გვქონდა: მე პათოლოგიურად ეჭვიანი ვიყავი, ის კი — უამრავი გოგოთი გარემოცული... ასეთ სიტუაციებში ჩემი ყოველთვის გამაქვს და რაც უფრო ღრმავდებოდა ჩვენი ურთიერთობა, მის ირგვლივ გოგონებიც მცირდებოდნენ. საბოლოოდ, მხოლოდ ახლო მეგობრები შემორჩა (არ თქვათ ახლა, რომ დიქტატორი ან მონსტრი ვარ). მეც მშვიდად ვიყავი. უბრალოდ, ერთი გოგონას ახლო ურთიერთობა ნიკასთან (სახელი შეცვლილია) არ მსიამოვნებდა. ზუსტად ვიცოდი, ნიკა წმინდად, მეგობრულად უყურებდა, მაგრამ აქ სხვა ფაქტი იყო მთავარი: სოფო ნიკას ყოფილი შეყვარებულის დაქალი გახლდათ და ცხადია, ეს ნებისმიერისთვის უსიამოვნო ფაქტი იქნებოდა. გარდა ამისა, სოფო ყველანაირად ცდილობდა, ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ნიკას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და გამაღიზიანებლად იქცეოდა. ნიკაც არ აკლებდა ყურადღებას, სადაც მოისურვებდა, ყველგან დაჰყავდა ჩვენი ქალბატონი და არც საჩუქრებს აკლებდა. არ მსიამოვნებდა, მაგრამ დროებით ჩუმად ვიყავი. ამასთან, მე სოფოსზე ჩემი ეჭვებიც მქონდა, მაგრამ ჯერჯერობით არავის ვუზიარებდი... გავიდა დრო და მოხდა ისე, რომ ნიკას ყოფილმა შეყვარებულმა ერთ-ერთი სოციალური ქსელის მეშვეობით გვარიანად გამლანძღა (მიზეზი იმდენად სასაცილო და პრიმიტიული იყო, აქ არ დავწერ), მაგრამ ისეთი საუცხოო პასუხი მიიღო, მიხვდა, რომ მისამართი შეეშალა და დამიმეგობრდა. თურმე ეს გო-

გო არც ისეთი აუტანელი და უნამუსო აღმოჩნდა, როგორც მას სოფო ამკობდა. ნუ რა მოხდა ახლა, დაქალია, მაგრამ ნიკასთან ხომ უნდა გაელანძღა, რომ ქულები დაეწერა? მოკლედ, ჩემი შეყვარებულის ყოფილი შეყვარებული დამიდაქალდა და დაუფარავად მიყვებოდა თავისი ცხოვრების ყველა დეტალს (ვკითხულობ და მეცინება — ასეთ ამბებში ხშირად ვეხვევი) და ერთ დღესაც, სოფოზეც ჩამოვარდა ლაპარაკი და აი, აქ გამართლდა ჩემი ეჭვები: თურმე სოფო დაქალებში ხშირად ტრაბახობდა ნიკათი, ყველგან დავყავარ, ყველაფერს ყიდულობს ჩემთვის და მეც მეტი რა მინდაო... ეგ რა არის? თურმე არც ნიკას ლანძღვას ერიდებოდა და დაქალს ხშირად უბურღავდა ტვინს, რომ დაშორებოდა ამ მისთვის შეუფერებელ ბიჭს. ესეც შენი უანგარო და ერთგული მეგობარი... არ მინდოდა, მხოლოდ ამ ნათქვამს დავყრდნობოდი და ნიკას მეგობრებს, ვინც სოფოს იცნობდა, ყველას ვთხოვე, რაღაც-რაღაცები გაეხსენებინათ მასზე... ამის შემდეგ ნიკას ჩემი გვერდის პაროლი მივეცი და ვთხოვე, ყველაფერი თავისი თვალით წაეკითხა... ოოოო... მერე დაიწყო გარჩევები, ნიანგის ცრემლები, ფიცი, მტკიცი, მაგრამ სოფოს შელახულ ავტორიტეტს არაფერი ეშველა და ისიც გაქრა ჩვენი ცხოვრებიდან... აი, ასე დაისაჯა მოღალატე და ანგარებიანი ადამიანი... P.S. მინდა გითხრათ, რომ არც სხვებს დაუმსახურებიათ ჩემს თვალში დიდი პატივისცემა, რადგან სანამ გამოვჩნდებოდი და ხმას ამოვიღებდი, ყველასთვის საყვარელი და მისაღები იყო სოფო, მერე კი... ნუ, რას გაუგებ ამ ადამიანებს... ნევროზიანი“.

## ღალატი მარგოსთან

„ყველა კაცი მოღალატეა“ — ყოველდღე ესმოდა ეს სიტყვები მესამე ქმრის იმედად დარჩენილ ნანოს, რომელსაც ცივ ნიავს არ აკარებდა. წინა ორ ქმარს სწორედ მათი ღალატის გამო დაშორდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნორჩი გოგო იყო. მესამე და სამართალიო... 30 წლის შემდეგ ისევ ეწვია ბედი ნანოს და დღემდე მასთანაა. მერაბი მართლა არაჩვეულებრივი ქმარი აღმოჩნდა, ოჯახზეა გადამკვდარი და ძალ-ღონეს არ იშურებს მათ სარჩენად. მერაბის ნაკლი ის იყო, რომ ერთ დღეს არ „მაზავდა“ და შინ მუდამ ნასვამი ბრუნდებოდა, მაგრამ ნანო ხმას არ იღებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის იყო, რომ მესამედ ოჯახის დანგრევა და შვილების ულუკმაპუროდ დატოვება არ უნდოდა. მერაბს სიმთვრალეც არაჩვეულებრივი ჰქონდა, ერთ ზედმეტ სიტყვას არავის ეტყოდა, მაგრამ ეს ჩვენი მერაბი თვალის დახამხამებაში შეიცვალა და მასში იმდენმა უარყოფითმა თვისებამ იჩინა თავი, მარტო ნანო კი არა, მთელი სოფელი გაკვირვებული დარჩა. მისი შეცვლა კი ნანოს სადაქალომ გადამეტებულ სმას მიაწერა — ამდენმა სასმელმა ტვინი გადაუტრიალაო. მაგრამ რა სასმელი, რის სასმელი, ამ ყველაფრის თავიდათავი მათი თანასოფლელი, მარტოხელა მარგო ყოფილა, რომელთანაც თითქმის მთელი სოფლის კაცები დაძვრებოდნენ. ეს ამბავი კი ნანომ ყველასგან დამოუკიდებლად გაიგო, როცა მარგოსთან მისულს, იქ ქმარი დახვდა. იცოცხლე, თავბედი აწყევლინა ორივეს, ისეთი დღე აყარა ცოლმა. ნანო საგულდაგულოდ უმალავდა ამ ამბავს დაქალებს, მაგრამ მალე გასკდა და ყველას ყურამდე მივიდა, მერაბის ღალატის შესახებ. ნანოს დაქალები მხარში ამოუდგნენ და გაამხნევეს: — არ იდარდო, აკი გეუბნებოდით, ყველა კაცი მოღალატეა, ადექი და შენც უღალატეო, ნახევრად ხუმრობით უთხრა ერთმა. ნანოს ყური არც ერთისთვის არ უგდია, კარგად იცოდა, რაც უნდა ექნა... მეორე დღესვე, ქმრის მიერ ნაწვალებ, ნაჯაფარ, შეშის საყიდლად გადანახულ 300 ლარს დაავლო ხელი და ბავშვებთან ერთად ქალაქს მიაშურა საყიდლებზე. თავადაც და ბავშვებიც კარგად „ჩაზმანა“, ერთი-ორი საოჯახო ნივთიც იყიდა და შინ ხელდამშვენებული და ჯიბეგაფხეკილი მივიდა. მერაბის კი კარგად დაუცაცხანა. მერაბს ხმა არ ჰქონდა ამოსაღები და იყო კიდეც დარცხვენილი, თავისი ჩადენილი საქციელის გამო. მეორე დღეს დილაუთენია ახარა ქმარს, დღეს 8 მარტია, ქალები ვქეიფობთ, საღამომდე შინ არ მოვალ და ბავშვებს მიხედეო. დიდად არ ეპიტნავა ეს სიტყვები, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და ცოლისთვის აღარაფერი უთქვამს. წინათ ყოველთვის მერაბი აღნიშნავდა და ქეიფობდა ნანოს მაგივრად, ქალთა დღეს, ნანო კი შინ იჯდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად იყო საქმე. ნანო შინ გვიან ღამით, 1-ელ საათზე, გათხლეშილი მთვრალი მივიდა. მივიდა რა... დაქალებმა მიიტანეს და ნანომ ნირწამხდარ ქმარს ძლივძლივობით უთხრა: — მაშ, ის გაძვალტყავებული მარგო გირჩევნია ჩემს თავს, არაა? აწი გიჩვენებ სეირსო და იქვე მიეძინა, დივანზე. აი, ასე დასაჯა ნანომ მოღალატე ქმარი. ვინ იცის, რამდენი ხანი მოუნდა 300 ლარის ხელახლა შეგროვებას საწყალი მერაბი, მაგრამ ახია მაგაზე, მოღალატე კაცებს ეგრე მოუხდებათ... ლუნა“.

## დანაშაული და სასჯელი

„— ამხელა გოგო ხარ და კიდევ ვერ დაჭკვიანდი, — გაბრაზებული სახით მომიბრუნდა დედა და ორივეს, მეც და სანდროსაც, თითო ჭიქა ცივი ლიმონათი მოგვაწოდა.

— სანდრო, დავიჯერო, შენც ამისნაირი ხარ? — საჩვენებელი თითი გამოიშვირა დედამ ჩემკენ, — გადავწყვიტე, ორივე დაისაჯოთ. უახლოეს 24 საათში განაჩენი გამოტანილი იქნება! — ოდნავ, მაგრამ შესამჩნევად გაიღიმა, ჭკვიანად იყავითო, გაგვაფრთხილა და სამზარეულოში გავიდა.

მივხვდი, ზედმეტი მოგვივიდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ჩვენს მეზობლად, რამდენიმე თვის წინ ერთი ბიჭი გადმოვიდა. ვერ ვიტყოდი, რომ ეშტონ კატჩერს ჰგავდა ან ბრედ პიტს, მაგრამ ჰქონდა რაღაც შარმი, რითაც ბევრს მოსწონდა. ეს 23 წლის ახალგაზრდა ყოველდღე ახალ-ახალ გოგონებთან ერთად ჩნდებოდა ხოლმე. როცა შევეკითხებოდით, ვინ იყო ესა თუ ის გოგო მისთვის, გვეუბნებოდა, ნათესავია, დეიდაშვილია, ბიძაშვილია, ნათლიის შვილია, კურსელია, კლასელი, მეგობარიოო... ჩვენც გავაყოლებდით ხოლმე თვალს, სანამ სახლში არ შევიდოდნენ, აი მერე კი, რა ხდებოდა შიგნით, ღმერთმა უწყის... ისე, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ლამაზი გოგო გახლდათ.

სკოლა დავასრულეთ და ვინაიდან საქმე აღარაფერი გვქონდა,

უბნის ბავშვები კაკლის ჩრდილქვეშ ჩამოვსხედით და დავიწყეთ ლაყბობა. ამ საუბარში ვართ და გამოჩნდა ზუკა, ვიღაც გოგოსთან ერთად. არც აცია, არც აცხელა სანდრომ და მაშინვე ჰკითხა — ეს ლამაზი გოგოც შენი დეიდაშვილიაო? ზუკამ უხალისოდ გააქნია თავი და გოგონა სახლში შეიყვანა. გოგონას გააფთრებული თვალების დანახვაზე მივხვდი, რომ რაღაც ისე ვერ იყო. სიცხისგან გათანგული ბავშვები წავიდ-წამოვიდნენ, სანდრომ კი მანიშნა, წამო შენთან წავიდეთ, გეგმა მაქვს მაგარიო. ჰოლში დედა იჯდა და რაღაცას აკეთებდა. ამ ორომტრიალში ვერც კი გავიგეთ, რას საქმიანობდა. ერთი კი მოგვაძახა, არაფერი გააფუჭოთო, მაგრამ...

— მისმინე ახლა, მარაო მომაწოდა სანდრომ, — გეგმა მაქვს... — ჩემს პასუხს არც კი დალოდებია, წყალი მოსვა და დაიწყო: — ახლა, პირველ რიგში, ეზოში რომ კიბეა, იმას გავიტანთ და ზუკას სახლის გვერდით დავდგამთ. მოგეხსენება, — ხელები ზურგზე დაიწყო, ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. — სახლი ძალიან დაბალია, ნუ მაგაზე მაღალზეც გვიმუშავია...

თანხმობის ნიშნად თავი რამდენჯერმე დავუქნიე.

— ავალთ სახურავზე ფეხაკრებით, იქ კი მაგარი გართობა გველის. ფანჯარასთან ჩვენს მობილურებს ავამუშავებთ და ექსკლუზიურ მასალებს მოვუყრით თავს, მერე კი ზუკას ჩუმად დავუტოვებთ კართან. რეაქციები იქნება საინტერესო... — ერთი გულიანად გაიღიმა და დასძინა: — ჩვენც გავერთობით და ისიც ჭკუას ისწავლის. იმის ალბათობა, რომ ვინმემ დაგვინახოს, თითქმის არ არსებობს, ეგ ხომ სახლის უკანა მხარეა და იშვიათად თუ გაივლის ვინმე.

— კარგი-მეთქი, ვუთხარი და კიბეზე დავეშვით. ჰოლში დედა აღარ იჯდა. კიბე სასწრაფოდ მივადგით სახლს, მერე სახურავზე ვცადეთ ასვლა, მაგრამ რად გინდა? კიბემ ტორტმანი დაიწყო და საუბედუროდ, უმალ ორივე მიწაზე გართხმულები აღმოვჩნდით. სანდრომ ფეხი იღრძო, მე კი მოგვიანებით, სარკეში რომ ჩავიხედე, გარეთ გასვლის სურვილი უმალვე გამიქრა... ამ ხმაურზე უბანმა მოიყარა თავი ზუკას სახლის წინ, ჩვენ კი მოგვიწია დიდი ტყუილის „გამოცხობა“, ვითომ ხეზე მივძვრებოდით. არა და, პანიკურად მეშინია სიმაღლის. როგორც იქნა, „შეგვიტანეს“ სახლში. დედას კარგად მოეხსენებოდა ჩემი სიმაღლისადმი დამოკიდებულება, ამიტომაც ორივე დაგვსხა, დიდი ლექცია წაგვიკითხა და ყველაფერი დეტალებში „დაგვაფქვევინა“. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენოდა, ბედს შევგუებოდით და მინიმუმ, ზაფხულის ნახევარი სახლში გაგვეტარებინა. კიდევ კარგი, კისერი არ მოვიტეხეთ — სახლი არ იყო მაღალი და გაგვიმართლა... თოლქერ“.

## 4 ტრისტანი და 1 იზოლდა

„ნათქვამია, ცოდვა გამხელილი ჯობიაო და ამბავი, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, ცოდვასთან ერთად „ღალატის ელემენტებსაც“ შეიცავს, რის გამოც ორმაგ „ფონს“ მიქმნის „გზავნილის“ დასაწერად. ამას წინათ ჩემმა მეგობრებმა დამირეკეს და მე, როგორც ზღვისპირეთში დასვენების „სტაჟის“ მქონე პიროვნებას, კონსულტაცია მთხოვეს. დღის მეორე ნახევარში ჩემთან სახლში მოვიწვიე და ერთსაათიანი „ტრენინგიც“ „მივეცით“. გავაფრთხილე, რომ პლაჟზე საზამთროს ქერქები ჩვეული მოვლენაა, რომ თუ გაუმართლათ, ბოთლებთან ერთად იცურავებენ და იმაშიც გავათვითცნობიერე, რომ შავი ზღვა მართლაც შავია, რომ მეტსახელად „ავტოზაგარს“ ეძახიან და რომ ბათუმში „სემიჩკა“ „განვადებით“ იყიდება... მოკლედ, „არაფერი გაკვირვებთ, ყველაფერი გკიდიათ“ — მეთოდი ავათვისებინე. „ოთხმა მუშკეტერმა“ ფული შეკრიბა, ბარგი ჩაალაგა და ქალების „დასაკერად“ გაემართნენ. პირველი იმედგაცრუება მახინჯაურის სადგურშივე განიცადეს მეგობრებმა... — ექსპედიციიდან ღრუბლების დამშლელი მოწყობილობა მაინც წამომეღოო, — წვიმის დანახვით გამწარებულ გულზე მყოფმა ლაშამ ხუმრობა სცადა და ბათუმისკენ მიმავალ „მარშრუტკას“ დაუწყო ძებნა... ბინის შოვნა არ გასჭირვებიათ — მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე იმდენი „სახლი მაქვს გასაქირავებელი“ შემოგვეხვია ირგვლივ, კი არ ვეძებდით, ასარჩევად გვქონდა საქმეო, იხსენებდნენ უკან დაბრუნებულები... ზღვასა და ბულვართან ახლოს, ერთი ძალიან ლამაზი და ახალგაზრდა „ხაზეიკის“, საუკეთესოდ გარემონტებულ ოთახში შესახლდნენ. შეთანხმდნენ, რომ 10 დღით რჩებოდნენ და 600 ლარს იხდიდნენ. 300 ანუ 5 დღის საფასური წინასწარ, მეორე ნახევარი კი წამოსვლის წინ, „ბათუმტურის“ დასრულების შემდეგ უნდა გადაეხადათ. წვიმის გამო ბიჭები ვერ ერთობოდნენ. აქედან პრეზერვატივების მარაგი წაიღეს, გზად იფიქრეს, არ გვეყოფაო და კიდევ დაამატეს რამდენიმე შეკვრა და შედეგად რა? „საშინლად წვიმდა და სახლიდან გამოსულები მარტო ვრჩებოდით ტალახიანი გზებისა და აბობოქრებული ზღვის წინაშე“ — დაპოსტეს facebook-ზე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვით: ოთხივე მეგობარს ერთი ქალი — თავიანთი „ხაზეიკა“ ჩაუვარდა გულში. ასე დაიწყო 4 ტრისტანისა და 1 იზოლდას LOVE STORY. ქალს თამარი ერქვა, იყო ქერა, გარუჯული, დიდმკერდიანი, განათლებული, კაცების მოყვარული და ზომიერად „სვეტტსკი“. ეწეოდა „კენტს“, უყვარდა „ესპრესო“, ღამის კლუბები და კოქტეილი „მწვანე ოცნება“. ცომეულიდან უპირატესობას პიცას, ალკოჰოლური სასმელებიდან კი არაყს ანიჭებდა. თავისუფალი ქმრის, შვილების, უფროსი ძმისა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან... ჩვენი ოთხეულიდან 5-/50-ის პრინციპით 2 მზეჭაბუკი — დიტო და კახა მაშინვე გამორიცხა, დარჩენილ ორს კი „მეორე ტურში“ გადასვლის შანსი მისცა. მაგრად აიგდო თამარმა „სასოწარკვეთილი მამასახლისები“, ეკაიფა, ფული დაახარჯვინა, გა-

**ყურადღება!** **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

მოიყენა და მიგდება სცადა, მაგრამ ლაშამ, რომელიც თავის თავს „კახელ ჯეიმსას“ უწოდებს, გენიალური გეგმა შეიმუშავა... გაცუცურაკებულ ბიჭებს გაახსენდათ, რომ დარჩენილი 5 დღის ფული ჯერ კიდევ მათ ხელში იყო და ერთხმად გადაწყვიტეს, შური ეძიათ მოღალატე ქალბატონზე, რომელმაც „მეორე ტურიდან“ გამოთიშა კახელი „ჯეიმსები“, ბონდობა კი ვიღაც გურჯაანელ „ტურისტს“ შესთავაზა (თელაველი კაცი დამარცხებას, მით უმეტეს — გურჯაანელთან, ვერასოდეს შეეგუება). ბარგი შეკრეს, დიტო ფანჯარასთან დააყენეს, ზურგჩანთები გადაუყარეს, გულში ერთხელ კიდევ „დალოცეს“ თამარა და აორთქლდნენ (კბილი კბილის წილ). სასწრაფოდ მატარებლის სადგურისაკენ დაიძრნენ და... ჰოი, საოცრებავ... საფულე, რომელშიც ბიჭების ბილეთები, პირადობები და თანხა იდო, იმ ადგილზე დარჩენოდათ, სადაც იმ წუთებში გურჯაანელი ბონდი და აჭარელი ჰოლი ბერი სიამოვნებისგან ტკბებოდნენ... რას გრძნობდნენ იმ წამს, ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს... უკან (ნაქირავებ სახლში) ველარ დაბრუნდებოდნენ და კახეთში ჩამოსვლასაც უფულობის გამო ვერ მოახერხებდნენ. ჩვენთან დარეკეს, გავუგზავნეთ მგზავრობისათვის საჭირო თანხა და ჩამოვიყვანეთ უკან, დიად და ნათელ მხარეში. არ ვიცი, როგორი დრო გაატარეს ჩემმა მეგობრებმა ზღვისპირეთში, გამოიყენეს თუ არა ჩემი რჩევები, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ჩემს სამეგობროს დიდი ხანი არ დაემუქრება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების საფრთხე. არც ის ვიცი, ჩემების საქციელს ჰქვია ღალატი თუ აჭარელი ლედის, მაგრამ... უზრუნველყოფილი რომ ვარ მთელი წლის საკმარი „თავდაცვის საშუალებით“, ამაში დარწმუნებული ვარ. რუისპირი (GREEN)“.

■

***მომდევნო ნომრის თემა იქნება — „დაუჯერებელი ამბავი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:***
*marorita77@yahoo.com*

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



**ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61**

**ჩემეული ვერსია კი ასეთია:**

# არადა, როცა დავქორწინდით, შველს ჰგავდა

# „სასიყვარულო ურთიერთობაში მესამე ზედმეტია“

„გზის“ №34-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ რამდენიმე თვის წინ საუკეთესო დაქალი ბიძაშვილს გააცნო და მიზანსაც მიაღწია — მათ ერთმანეთი დანახვისთანავე მოეწონათ. „მარი და თოკო თითქმის 3 თვის მანძილზე ძალიან ბედნიერები იყვნენ, შემდეგ კი თოკო შეიცვალა — „ლოვეს“ ყურადღებას აღარ აქცევდა, სულ ეჩხუბებოდა და ერთხელ, ხელითაც კი შეეხო. ამის გამო ბიძაშვილს დიდხანს არ ველაპარაკებოდი. მას ჩემზე ადრე მარი შეურიგდა“. უცნობის თქმით, მან ახლახან სრულიად შემთხვევით, ბიძაშვილისა და მისი ძმაკაცის ლაპარაკს მოჰკრა ყური. თურმე თოკო ამბობდა: მარისთან ერთი-ორჯერ დავწვები და მერე თავიდან მოვიშორებო. გოგონა ბიძაშვილის ნათქვამმა გააბრაზა და მას ეჩხუბა კიდეც. „როცა მარის თორნიკესთან დაშორებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, მან მითხრა: თუ შენი ბიძაშვილი მიმატოვებს, თავს არ ვიცოცხლებო. როგორ გავუმხილო, რომ თოკოს მასთან მხოლოდ გართობა სურს? მეშინია, თავს მართლა არ აუტეხოს რამე; არადა, ვერც იმას დავუშვებ, რომ თორნიკემ გამოიყენოს და მერე მიაგდოს. ასე რომ მოხდეს, შეიძლება, მარიმ კი არა, ცხოვრება თვითმკვლელობით მე დავასრულო“.

## „დაქალი გააფრთხილე, მერე კი შეეშვი...“

**რუსპირი (GREEN):**

„ეს მესიჯი ორჯერ წავიკითხე. ჩემი აზრით, შენი ბიძაშვილისა და დაქალის 3-თვიანი სასიყვარულო ურთიერთობის დანგრევის მიზეზში იმალება იმის საიდუმლოება, თუ რატომ შეხედა თოკომ „ლოვეს“ სხვა თვალით. მარის ბრალეულობას მისი საქციელი ანუ შერიგებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯიც ადასტურებს. გირჩევ, დაქალს დაელაპარაკო, მაგრამ გაითვალისწინე, რაც უფრო მეტს იაქტიურებ, მათი ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევაში, ყველაზე მეტი შენ მოგხვდება. სასიყვარულო ურთიერთობაში მესამე ყოველთვის ზედმეტია. რაც შეეხება თვითმკვლელობას, რაღაცებს ნუ ბოდიალობ, P.S. დიდი მადლობა, ჩემგან რჩევის მიღება რომ გინდოდა და გამიხარდება, თუ გაითვალისწინებ კიდეც. დაიმახსოვრე: გააფრთხილე, მერე კი შეეშვი — ეს ყველაფერი ძალიან მარტივია“.

**ლუნა:**

„პირველ რიგში, მადლობა იმისთვის, რომ ჩემი მოსაზრება შენთვის ასეთი მნიშვნელოვანია. ჩემო კარგო, ძალიან კარგად მოიქეცი, რჩევა რომ გვთხოვე. დაქალს სიმართლე არ უნდა დაუმალო. ძალა მოიკრიბე და გაუმხილე ის, რაც ჩვენ გვითხარი. არა მგონია, ისეთი უტვინო იყოს, რომ არ დაგიჯეროს... თუ ამ ყველაფრის თქმა გაგიჭირდება, „გზა“ წააკითხე. აბა, შენ იცი, მოგვწერე, რა მოხდება. გკოცნი“.

**შამანკა:**

„მგონი აჯობებს, დაქალს სიმართლე უთხრა. თავიდან ალბათ იტი-



რებს კიდეც, მაგრამ სცადე დაარწმუნო, რომ შენი ბიძაშვილი მისი ღირსი არ არის. რაც შეეხება თვითმკვლელობას, მგონი, ორივე აჭარბებთ. სცადეთ და ყველაფერს ცოტა „ლაითად“ შეხედეთ, ცხოვრებას ტყუილად ნუ გაირთულებთ“.

**SAILORBEE:**

„ბრავო, ამდენი გამბედაობა რომ გაქვს და შეგიძლია, თავი მოიკლა. არ მეგონა, ასეთი სუსტი თუ ვიქნებოდი — მე სიცოცხლეს ვერ შეველევი! ალბათ იმიტომ, რომ მომავლის იმედი მაქვს... ეჰ, ნეტავ, რომელი მომავლის? მე ხომ „მის“ გარეშე მომავალი არ მაქვს...“

**ტალკერ:**

„გადავწყვიტე, ბევრი ლაპარაკის ნაცვლად, ასეთი რჩევა მოგცე: მეგობარს ყველაფერი გულახდილად უთხარი, ცხოვრება არ დაუნგრიო“.

**აურა:**

„თვითმკვლელობით მეგობარს ვერ დაეხმარები, ბნელი აზრები თავიდან ამოიგდე. ის გოგო თავად უნდა მიხვდეს, რომ თორნიკეს უნდა დაშორდეს. ჩემი აზრით, „ლოვესთან“ ურთიერთობას რაც მეტად დაუშლი, მით უფრო დაუახლოვდება. იქნებ დაქალს როგორმე გარემოს შეცვლაში დაეხმარო — რაღაც პერიოდის განმავლობაში ერთმანეთს თუ ვერ ნახავენ, შესაძლოა, ამან გოგოზე კარგად იმოქმედოს“.

**ლიფსო:**

„დაქალს სიმართლე უნდა უთხრა, მაგრამ რას გადაწყვეტს, ეგ უკვე შენი საქმე არაა. საკუთარ ცხოვრებას როგორც უნდა, ისე მოიწყობს. P.S. იცოდე, თავს არ მოიკლავს. გადაეცი, ყველაფერს ნუ ამუქებს“.

**აუტანელი:**

„მისთვის სიმართლის თქმა შენი მოვალეობაა. დარწმუნებული ვარ, თავს არც ის მოიკლავს და არც — შენ. დაფიქრდი, რას ამბობ. P.S. რა დღეში აქვს ხალხს ნერვები, რა!“

**მაცმაცუნა:**

„იქნებ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ შენი ბიძაშვილის ლაპარაკი საკუთარი ყურით მოისმინოს? თავმოყვარეობა თუ აქვს, სიკვდილზე კი არ უნდა იფიქროს, არამედ „ლოვე“ „დაიკიდოს“.

**ნევროზიანი:**

„მდააა... სიტუაციაში ხარ, უკეთესს ვერ ინატრებ. ადამიანო, ყველაფერს ჯობდა, საკუთარი ბიძაშვილი ჯერ თავად გაგეცნო და მერე გეფიქრა მისი და შენი დაქალის დაახლოებაზე. არ ვიცი, ნორმალურმა ბიჭმა ბიძაშვილის თუ მამიდაშვილის მეგობარს სხვა თვალით როგორ უნდა შეხედოს... თავის მოკვლას ნუღარ ახსენებ. ცხოვრებაში ბევრად დიდი სირთულეები შეგხვდება და ყველაფრის გამო თავი თუ მოიკალი, ნიახურიც რომ იყო, „დამთავრდები“. სანათესავოში ვინმე წესიერი, პატიოსანი ბიჭიც გეყოლება. ჰოდა, მას აუხსენი, რაც ხდება და სთხოვე, შენს ბიძაშვილს დაელაპარაკოს მანამ, ვიდრე რაღაც ცუდი არ მომხდარა. ხომ იცი, ბიჭი ბიჭს სხვანაირად დაელაპარაკება...“

**პინო 555:**

„როგორც მესიჯიდან ჩანს, ის გოგო დასავით გიყვარს. ჰოდა, აუცილებლად უთხარი, რაც თოკომ მასზე თქვა. იცოდე, დაქალს თვითმკვლელობით ვერაფერს უშველი, მას შენ ცოცხალი უფრო სჭირდები“. ■

# „მოღალატის პატიება ძნელია“

**„გზის“ №34-ში დაიბეჭდა ნანუჩი 20-ის მესიჯი. იგი გვწერდა: „მე და ლევანი 6 თვის განმავლობაში „ლოვეები“ ვიყავით. ერთად ვცხოვრობდით, ვაწყობდით მომავლის გეგმებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში გამოჩნდა გოგო, რომლის დანახვაც კი საკმარისი იყო, რომ ლევანი უმართავი, აგრესიული გამხდარიყო“. როგორც ნანუჩი ამბობს, იმ გოგოს გამო არ ნერვიულობდა, რადგანაც მას ქმარი ჰყავდა და ეგონა, რომ გათხოვილი ქალი ზედმეტს ვერ გაბედავდა; „თან, მასზე ნორმალური შთაბეჭდილება მქონდა, მაგრამ ბრჭყალები მალევე გამოაჩინა. ჯერ იყო და, თურმე ქმარს გაშორდა, ოქროულობაც თან წაიღო, მერე დედამთილს ბაითი აყიდვინა, ქმარი ხომ საერთოდ, დამონებული ჰყავდა... ამასობაში გავიგე, რომ ლევანისგან პატარას ველოდებოდი. ამ ამბავმა მეც და ჩემი სიყვარულიც უზომოდ გაგვახარა და პატარის ხათრით, ჯვრისწერის დღეც დავთქვით, მაგრამ ლევანმა ზუსტად ჯვრისწერის დღეს, უკვე ეკლესიაში მისული მიმატოვა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ეს იმიტომ გააკეთა, რომ იმ გოგომ დაურეკა და უთხრა: ნანა მიატოვე, შენთან ერთად მინდა ვიცხოვროო... სხვათა შორის, ლევანი ახლა პატიებას მთხოვს და ვგრძნობ, ჩადენილს გულით ნანობს. თქვენ რას მირჩევთ, შევურიგდე?“**

## „თუ გიყვარს, თავს უფლება მიეცი, ბედნიერი იყო“

**მისტერ:**

„ახლა შენს მესიჯს ვკითხულობ და მეცინება, მაგრამ არა შენს მონაყოლზე, არამედ იმაზე, რომ უშუალო კონტაქტი მქონია შენთანაც, მაგ ბრჭყალებიან გოგოსთანაც და, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თქვენი ცხოვრება სერიალივით თუ წარიმართებოდა. ისე, ვისგან რა რჩევას ითხოვ? ადამიანმა არსებული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს. იცოდე, საკუთარ თავზე უკეთესად არავინ გიცნობს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ დაახლოებით, შენი ასაკისანი ვართ და შენნაირად ვმსჯელობთ?! P.S. მნიშვნელობა არა აქვს, ასაკოვანი და უმუშევარი ქალი „მემზესუმზირება“ თუ რომელიმე კორპორაციის მფლობელი, მათ ერთი რამ აერთიანებს: ცხოვრებისეული გამოცდილება. ჰოდა, სწორედ ასეთი, გამოცდილების მქონე ადამიანის რჩევა გჭირდება“.

**ინგა:**

„ლევანის საქციელს გამართლება არა აქვს, მაგრამ თუ ისევ გიყვარს, თავს უფლება მიეცი, ბედნიერი იყო, თან — პატარაზეც იფიქრე“.

**ტალკერ:**

„თუ გინდა, ბედნიერი იყო, ამისთვის უნდა იბრძოლო, ყველაფრის პატიება უნდა შეგეძლოს. ჭეშმარიტ ქრისტიანს ზედმეტი ფანატიზმი არ უნდა ახასიათებდეს. თავადვე ამბობ, — ლევანს შერიგება სურსო. ჰოდა, რატომ არ აძლევ მეორე შანსს, ამას ხომ ყველა იმსახურებს?..“

**შამანკა:**

„თუ ფიქრობ, რომ ჩადენილს გულით ნანობს, აპატიე. თან გაითვალისწინე ისიც, რომ მარტოხელა დედობა გაგიჭირდება. თუ შეურიგდები, იცოდე, ფხიზლად უნდა იყო: იცოდე, ამქვეყნად იმ გოგოსნაირი ბევრია. წარმატებებს გისურვებ!“

**THE LOVELY:**

„ღმერთო ჩემო, ამ პატარა გოგომ რამდენი რამ გააკეთა?.. ვფიქრობ, ამხელა დამცირების შემდეგ ლევანს არ უნდა შეურიგდე. ბოდიში, მაგრამ ჩმორი, უნებისყოფო ყოფილა, რადგან იმ გოგოს დაკრულზე აცეკვდა... თუ ის უყვარდა, შენ რაღას გერჩოდა? ღირსი იქნება, ორივემ კუდამოძუებული რომ გაუშვათ. იცოდე, ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს“.

**ლუნა:**

„მესმის შენი და ვწუხვარ კიდეც. ეგ შენი ლევანი მთლად დალაგებული არ უნდა იყოს, თორემ იმ ტუტუცი გოგოს გამო გულს არ გატკენდა. შესაძლოა, მართლა უყვარხარ, მაგრამ იმ ქალმა თავგზა აუბნია. რაიმე იღონე და ლევანი მასთან აღარ გაუშვა. აბა, შენ იცი, ცოტა აწვალე და მიახვედრე, რომ სათამაშო არ ხარ და დაფასება გჭირდება. გკოცნი“.

**CHUKI:**

„მასთან შერიგება სისულელეა. ქალს თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს. წარმატებები!“

**SEX:**

„არავითარ შემთხვევაში არ აპატიო. იცოდე, ერთხელ თუ გიღალატა, ამის გაკეთება არც მეორედ გაუჭირდება. მისნაირი ადამიანები პატიებას არ იმსახურებენ. ისე, ამქვეყნად კაცების მეტი რა არის?! ყოველთვის იპოვი ისეთ ადამიანს, რომელიც გაგიგებს. ერთი რამ დაიმახსოვრე: მოიშორე ის, ვინც ხელს გიშლის!“

**რუისპირი (GREEN):**

„ან შენს ცხოვრებაში მომხდარმა ტრაგედიამ გაგასულელა, ან შენი სისულელე იყო მიზეზი ამ ტრაგედიისა. კაცმა, რომელთან ცხოვრების გადაწყვეტილება შეყვარებულობის პერიოდშივე მიიღე (ეს მაფიქრებინებს, რომ ენდობოდი), ქორწილის დღეს ეკლესიაში მიგატოვა და ახლა იმის უნარი შეგწევს, ატირებულ-აკანკალებულმა ჟურნალები იკითხო და რჩევა გვთხოვო? ნწუ, არ მჯერა მე ამის! თავადვე დაფიქრდი, როგორი უსუსურია შენი არგუმენტი. ქალმა დაურეკა და უთხრა, — ნანა დატოვე, შენთან მინდა ცხოვრებაო, არა? ჰმ, რამდენჯერაც ქალი მეტყვის, ოჯახი მიატოვეო, იმდენჯერვე მასთან რომ გავიქცე, სულელი უნდა ვიყო. კაცი ასეთ ნაბიჯს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადგამს, თუ საცოლეზე გული აუცრუვდა; თუკი იგრძნობს, რომ ის მისი ტვირთია და არა — თანამგზავრი. ალბათ ლევანი მიხვდა, რომ გამოიყენეს და მასაც ისე მოექცნენ, როგორც ყველა მის წინამორბედს და ახლა შენთან შერიგებით მისთვის სამაგიეროს გადახდა სურს. გამოიჩინე ღირსება და ნუ გახდები შურისძიების იარაღი იმ კაცის ხელში, ვინც მზადაა, საკურთხეველთან მიგატოვოს. P.S. შენნაირი „კეთილი“ ხალხი ძალიან მაღიზიანებს. მიდი, რა გაამწარე. დაე, ყველაფერი ინანოს“.

**მარიამ:**

„გულწრფელად ნანობს თუ არა, მაგას ვერ გაიგებ. გჯეროდა, რომ უყვარდი, მაგრამ საკურთხეველთან მიგატოვა... ძნელია, რაიმე გირჩიოთ. მე მაგალითად, საქმროს იმიტომ არ ვურიგდები, რომ 10 დღის განმავლობაში არ დამირეკა — ანუ მგონია, რომ შევურიგდე, იმავეს გაიმეორებს. კაცების გამო გულისტკივილი კი მერწმუნე, არ ღირს. წარმატებებს გისურვებ!“ ■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მესიჯის ფასი 50 თეთრი***

## ქალები



1. ოჯახური იდილიის შესაქმნელად გავიცნობ 40 წლამდე მანდილოსანს. ვარ 42/187/90, პრესტიჟული სამსახურითა და სოლიდური ანაზღაურებით. სასურველია, ჰქონდეს ბინა.

2. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 35-ის მე-6 სმს-ის ნომერი ან მას მისწეროთ ჩემი. არ მჯერა ასეთი რამეების, თან პირველად გწერთ. ისე, „გზას“ ხშირად ვკითხულობ. ხატია.

3. ვარ 34 წლის, პატიოსანი, სუფთა წარსულით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 38 წლამდე ასაკის, პატიოსან, დასაქმებულ, ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს.

4. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, რომელსაც სწყურია სითბო და ყურადღება. ვარ 27 წლის, ნორმალური მამაკაცი.

5. 38-48 წლამდე სულით ქართველმა, ნამდვილმა მამაკაცმა თუ ოჯახის შექმნა გადაწყვიტეთ, შემეხმიანეთ.

6. „გზა“ №35, მე-19 ნომრის ავტორმა მამაკაცმა დაამესიჯოს, საღამოს საათებში.

7. 34-ე ნომრის მე-18 სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი მომეცით ან მას მიეცით ჩემი ნომერი.

8. გავიცნობ 45-50 წლამდე ასაკის, ძალიან სიმპათიურ, კარგი ხასიათის, განათლებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, თბილ და ამავე დროს, კაცურ კაცს. ვარ 39 წლის, კარგი ქალი.

9. გთხოვთ, მომცეთ 34-ე ნომრის მე-18 სმს-ის ავტორის ნომერი.

10. გთხოვთ, მომცეთ 34-ე ნომრის 27-ე სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი. მადლობა წინასწარ.

11. გთხოვთ, „გზა“ №34-ის მე-12 სმს-ის ავტორს მიეცით ჩემი ნომერი ან მისი ნომერი მომწერეთ. ლიკა.

12. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, მოწესრიგებულ, თბილისელ მამაკაცს, 40 წლამდე.



## მამაკაცები

13. გთხოვთ, ნომერ 31-ში გამოქვეყნებულ მე-3 სმს-ის ავტორს მისცეთ ჩემი ნომერი ან მისი მომწერეთ. წინასწარ გიხდით მადლობას.

14. ვეხმაურები №33 ჟურნალში გამოქვეყნებულ, მე-3 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ ნომერი.

15. ოჯახის შექმნის მიზნით ვიახლობლებდი ძალიან ლამაზ, ზრდილ, მეოჯახე, 27 წლამდე ასაკის, ამბროლაურელ, სანდო ქალიშვილთან. ვარ 43/174/80, სანდო, უმაღლესი განათლებით, ნაკლიანი მამაკაცი.

16. დავიღალე მარტოობით. ვარ ცოლს გაცილებული, დასაქმებული, 55 წლის. გამომეხმაუროს პატიოსანი ქალბატონი. იყოს ღარიბი, ეს არაა პრობლემა.

17. გამომეხმაუროს 20-დან 40 წლამდე ასაკის, მატერიალურად უზრუნველყოფილი მანდილოსანი. გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ველი გამოხმაურებას.

18. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ თბილისელი, 42 წლის, დასაქმებული.

19. გამომეხმაუროს მსუქანი, შეძლებული, თბილისში მცხოვრები, 40 წლამდე ასაკის ქალი. ვარ 185/70/40.

20. ვარ 38 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ ყურადღებიან, თბილ და მხიარული ბუნების მანდილოსანს, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახი. გასართობად არ დარეკოთ.

21. ვარ 30/180/77, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ მშვენიერ, ჭკვიან, განათლებულ და ბინით უზრუნველყოფილ გოგონას, 25-30 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. გია.

22. ვარ სიმპათიური მამაკაცი, 35 წლის, დასაქმებული. გავიცნობ ზრდილობიან მანდილოსანს, დაოჯახების მიზნით, 25-დან 32 წლამდე, თუნდაც განათხოვარს, მხოლოდ თბილისში მცხოვრებს.

23. ვარ 18 წლის, სიმპათიური ბიჭი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 18 წლის, წესიერ გოგონას. მამუკა.

24. გავიცნობ ქობულეთელ ან ბათუმელ ქალს, 35 წლამდე. მსურველებს ნომერი მიეცით. გია.

25. ვარ ცოლს გაცილებული, იმერეთის რეგიონიდან. გავიცნობდი ჩემს შესაფერის გოგონას, 28 წლამდე.

26. გთხოვთ, მომცეთ ტელეფონის ნომერი „გზა“ №32, მე-6 მესიჯის ავტორის, ცისფერთვალება გოგოსი.

27. გავიცნობ გოგოს, სამეგობროდ. ვარ 22 წლის სპორტსმენი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

28. 33-ე ნომრის მე-5 განცხადების ავტორის ნომერი მინდა.

29. ვარ 19 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 19 წლამდე ასაკის, წესიერ გოგონას, ოჯახის შესაქმნელად. მამუკა.

30. ოჯახის შექმნის მიზნით ვიახლობლებდი ძალიან ლამაზ, ზრდილ, მეოჯახე, 27 წლამდე ასაკის, ამბროლაურელ, სანდო ქალიშვილთან. ისეთთან, რომ არ მანანოს. ვარ 43/174/80, სანდო, უმაღლესი განათლებით, ნაკლიანი, ახალგაზრდული შეხედულების მქონე მამაკაცი.

31. ვარ 22 წლის, თბილისში მცხოვრები, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 19-დან 25 წლამდე ასაკის, ლამაზ და ჭკვიან მანდილოსანს.

32. გავიცნობ სასიყვარულო ურთიერთობისათვის გორელ მანდილოსანს, ვისაც სითბო და სიყვარული გაკლია. დამიკავშირდით.

33. გავიცნობ გოგოს, ტრადიციული ოჯახის შესაქმნელად. ვარ 36 წლის, მაღალი, საკმაოდ სიმპათიური.

34. გთხოვთ, მომცეთ 32-ე ნომრის მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.



## ვეძებ

35. ვეძებ იზო (დალი) ქარუმის ასულ გაზაევას. მომწერეთ, თუ ვინმეს ინფორმაცია გაგაჩნიათ. ლევანი.



## სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? რა საკალელი ხარ, დე... ნამდვილი მაიმუნი ხარ. მოუსვენარი და თვალებს კი ისე აბრიალებ, რომ სიცილით ვკვდები, რომ ვიხსენებ. ჩემი პაწია ბიჭი მენატრება ძალიან. შენ გვერდით ვარ, დე. ახლა ახალი ამბავი უნდა გითხრა. როგორც გავიგე, პარლამენტი ამ დღეებში განიხილავს ახალ კანონს — გარკვეულ დანაშაულებზე შესაძლებელი იქნება, დარჩენილ თითო წელიწადზე 1000 ლარი გადაიხადო და გამოხვიდე. თქვენ ორივეს გეხებათ, თუ ეგ კანონი გავიდა. ამბობენ, ახალ წლამდე აუცილებლად შევა ძალაში. იმედი მომეცა და გახარებული ვარ. სიხარულო, ნეტავ მართლა ჩვენთან იყო ახალ წელს. მამაომ დარეკა და გაარკვია რაღაცები. ერთი მესამედი უნდა ჰქონდეს მოხდილი, უთხრეს. ანუ დაახლოებით ერთი მაგდენი მაინც, რაც უკვე მანდ გაატარე. ეგ ყველაზე ცუდი ვარიანტია დე. გადაყვანაზე კიდე სხვაც შემპირდა და ვნახოთ. ჩემო პატარავ, უფალი გფარავდეს. გეხუტები და გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• როგორ ხარ, ჩემო ლამაზო? ჩვენ არა გვიშავს. 3-ში ჩვენთან მამაო იყო, სახლი აკურთხა. ბექა და ივაც იყვნენ და ძალიან ვისიამოვნეთ. წერილში დაწვრილებით მოგწერ. რომ გნახე, იმ დღეს კარგ ხასიათზე ვიყავი. მოვიკალი შენი მონატრება. სახლში რომ მოვედი, საბამ მითხრა, უჩემოდ რატომ წახვედი, მეც მინდოდაო. პატარა ხულიგანი 12-ში ბაღში მიდის და მიხარია, დავისვენებ. გახსოვს, სიხარულო? შარშან ერთად მივიყვანეთ ბაღში. ის შენი და საბას სურათი ყველას ძალიან გვიყვარს. არა უშავს, ახლა მამაც მე ვიქნები, არ იდარდო, მალე ერთად ვიქნებით. მიხედე თავს, სიხარულო, არაფერზე იდარდო. ჩვენ ყველა გელოდებით. გვიყვარხარ და გვენატრები. ჩემო ლამაზო, მიყვარხარ უზომოდ. ნინო.

• დათო, უკვე ისე მენატრები, ლამის გავგიჟდე. შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ. მჯერა, მალე მოგვარდება ყველაფერი და ისევ ერთად ვიქნებით მე, შენ, თედო და იოანე. მიყვარხარ. შენი ცირა.

• პატუ, როგორ ხარ? მენატრები, მიყვარხარ. ჩვენი დარდი არ გქონდეს, კარგად ვართ. ქეთი.

• გია, ძალიან გვენატრები, აქეთ ყველაფერი კარგადაა, ერთად ვართ ყველა. იმედი გვაქვს, მალე ჩვენთან იქნები. ირმა ექიმი.

• 3.198გი, ნიკოლოზის დედა, ციცო იყო გამოსული. დიდი სიყვარულით მოგიკითხა, ჩემი ნიკასთვის კედელი იყო და იმედიო. ძალიან მენანება ასეთი მდგომარეობისათვის და ღმერთმა გამძლეობა და მოთმინება მისცესო, შენ კი რკინის ქალი ყოფილხარო. გი, ძალიან მესიამოვნა, ასე თბილად რომ გახსენებენ. მე კი რკინის ქალი კი არა, უბრალო მსახიობი ვარ, რომელიც ამ როლს თამაშობს, რადგან არანაირად არ მაქვს სურვილი, ვინმეს ვებრალებოდე და ვეცოდებოდე. ღირსეულად ვზიდავ ჩემს მძიმე ჯვარს და სიყვარულით გელოდები. თეე.

• გია, შენ არ იცი, ხალხს როგორ ჰყვარებიხარ, ყველა კარგის მთქმელი გყავს, გიცნობს თუ არ გიცნობს. ირმა ექიმი.

• ქუთაისის ახალ ციხეზე, 327-ე საკანში, ზურა ქილითაურს (აგნესას) მინდა ვუთხრა, რომ მენატრება. თამო ელოდება შენს წერილს, ზურა.

• 3.198 ბუუს, შუაღამეა, ქარის ზუზუნი არ მაძინებს. მომეძალა შენზე ფიქრები. ნეტავ გძინავს ახლა? ნეტავ თუ გრძნობ, როგორ მენატრები და რა ჯოჯოხეთია ჩემთვის უშენობა?

• ი რ ა კ ლ ი, შენი ხმა რომ გავიგე, უფრო მომენატრე. მალე გამოდი და აღარ გაგაბრაზებ, გპირდები. მეტიც — სულ შენ გამაბრაზე, თუ გინდა. მარი.

• ჩემო პუსკა! სიხარულო და სიყვარულო, ძალიან, ძალიან მენატრები. უშენოდ ეს სახლი ცარიელია. ჩემო დახატულო და ვაჟკაცო ბიჭო...

• ბახუსო, როგორ ხარ, ძმაო? არ ინერვიულო, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. ჩვენ შენთან ვართ. ბარდღა.

• თეე, ჩემო საყვარელო თეე, როგორ ხარ? ჩვენ ყველა კარგად. მომენატრე-მეთქი, რომ გითხრა, ხომ ხვდები, რა არაფრისმთქმელია იმ გრძნობასთან შედარებით, რითიც ვცხოვრობთ მე და შენ, უკვე სამი თვეა... მალე გნახავ, უკვე ძალიან მალე... ჩემო, აბა შენ იცი, მიყვარხარ. სანდრი ბათუმშია 2 დღეა, ორშაბათს ჩამოვა. მიყვარხარ, ბუტია.

• 3.198გი, როგორ ხარ? ძალიან მენატრები და მიჭირს უშენოდ ცხოვრება. წუთი არ არის ისეთი, შენზე არ ვფიქრობდე. თავს გაუფრთხილდი ბუს, უზომოდ მიყვარხარ. აქ იყო მინდა. თე.

• 3.198გი, ნეტავ, მიიღე წერილები? ვცდილობ, მაქსიმალურად მოგწერო. ჯესი ალეკოს ჰყავდა, კიდევ წაიყვანს. ძაღლი ისე დაღლილი იყო, ვეღარ ყეფდა.

• ლი23-ს: გმადლობ ლი, მოლოცვისთვის. :) გეიხარე შენ. :) ატარექსია.

• სუსტი და არაარგუმენტირებული პასუხი იყო, მე უფრო ძლიერი მეგონე. :) სულაც არ ყოფილხარ იდეინნი პროტესტანტი. P.S. ყველანაირი მანია, თავისთავად სისუსტეა. ატარექსია.

• შენა და, აქ ჩემ გარდა მარსიდან ჩამოვარდნილი არის ვინმე? არრრა! ჰოდა, ჩუ! ატარექსია.

• ვახო, შენი დავიწყება არ შემიძლია. მიყვარხარ, სიგიჟემდე მიყვარხარ, უკულმართო. დავბრუნდები. უშენოდ ჰაერიც არ მყოფნის თითქოს. მიყვარხააარ! ჩემი გემრიელი.

• ძალიან მინდა შენი ნახვა. მადროვე ჯერ. გილოცავ დღევანდელ დღეს.

• მოგესალმებით სრულიად გზავნილეთს და გილოცავთ მარიამობას! უცნობი ლექსის უცნობ მგზავნელს მინდა ვუთხრა, რომ ეს არის ალფრედ დე ვინის „მგლის სიკვდილი“. პარიჟანკა.

• მამიკოს დედიკოზე მეტად რომ ვუყვარვარ, უკვე ვხვდები. დამელოდეთ, მეც მიყვარხართ. მაიკო.

• მამიკოს თვალები მაქვს, დედიკოს სილამაზე. ხასიათით ბუნჩულა ვარ, პატარა, პაწაწუნა მამას სიცოცხლე, მაგარი გოგო, მაია.

• პირველად ვწერ გზავნილს და იმედი მაქვს, დამიბეჭდავთ. ძალიან მინდა რუისპირისა და ლაკვასტის გაცნობა. თუ სურვილი გაქვთ, მარის ჩემი ნომერი გამოართვით. კახელ-სიტა.

• რუისპირს მინდა ვუთხრა, რომ ამ სისულელეს არ მიაქციოს ყურადღება. მისი აზრები ძალიან მომწონს.

• მხოლოდ ერთი რამის მეშინია ამქვეყნად: არ მინდა, ჩემი ცხოვრება ისეთივე უგემური იყოს, როგორც ჩრდილში დამწიფებული ნაყოფი... ატარექსია.

• არც მე ვეყოფი ამ მიწას ლუკმად, არც ჩემი ცრემლი აუვსებს კათხას. ატარექსია.

• და სანამ კრემაციას გაუკეთებენ ჩემს 206 ძვალს, ამ უკანონო დედამიწაზე მინდა პარკეტი მაინც ავყარო! ატარექსია.

• არც მდიდარი ვარ და არც ჭკვიანი, მაინც ვერავინ ვერ ცხოვრობს ჩემდენს. ატარექსია.

• და მაინც, ვერ ეღირსება ეს ცოდვილი სამყარო ცრემლებს, ჩემი ლამაზი თვალებიდან! :) ატარექსია.

• მე ვარ ძლიერი და მე ვერასგზით ვერ დამხრის, რამაც უნდა დამხაროს! მე ვარ ნათელი და ჩემს მზერაში მოქცეულია მთელი სამყარო... ატარექსია.

• ჩემი ფილტვთბილი სალამი (აბა, გული არ გაქვსო, მეუბნებიან და) ძლიერ, ჭკვიან და კეთილ ადამიანებს. მათ, ვინც იციან, რომ ყოველივე ამაოა, მაგრამ მაინც იბრძვიან. ატარექსია.

• გიჟური რეჟიმი მაქვს, დაახლოებით 1 თვე ვერ მოვიცლი თქვენთვის, მაგრამ გახსოვდეთ: მე შეიძლება არ ვჩანდე, მაგრამ ყოველთვის გიყურებთ! :) მე დავბრუნდები! :) ატარექსია.

• მოვიკითხავ: აურას, ბუცას, ფისოს, მატიტელას, ჯ. ხავის, ფლამინგოს, ლი23-ს. ასევე მათაც, ვინც იცის, რომ ყოველივე ამაოა ამქვეყნად, მაგრამ მაინც იბრძვის. ატარექსია.

• სიყვარულით მოვიკითხავ ყველას.

• აუ, ნიკი დამიბეჭდეს არასწორად. ეკატერინე კი არა — ვეკატერინე. ნიკოლო, ფბ მითხარი, შეგეხმიანები, დამაინტერესე. ვეკატერინე.

• SEX BOY: სოფელი ნეხვიანია და ნეხვიანი იქნება! სიბინძურე კი ყველგან არის და რაც მთავარია, შენ არა გგავს! კუნკულა.

• სევდიანო ქალო, არ მოიწყინო, უფალი მოწყალეა და შეგეწევა. CRAZY, ნათათოსაც ენატრები. :) ეკატერინე, ვერ გიცანი. :( GREEN GIRL.

• იმ დღეს, როდესაც შენ გაგიცანი, ცრემლი ჩავარდა ზღვაში. ჩემო ძვირფასო, როცა იპოვი, დამავიწყდები მაშინ.

• ატარექსია, შემთხვევით ნიკოლო ხომ არ შეგიყვარდა? ვგიჟდები მაგ ტიპზე და თან რა მაგრად გაბანძებს, ხვდები? ნაომი, ძერზკი ვინმე ჩანხარ. შეიძლება, მოგწერო? ძუძგი.

• დათო, მე შენ ძალიან მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ. არაფრის გამო მკარგავ. შენი უაზრო ეჭვიანობით მეც მტკენ გულს და შენც გტკივა. სული ცარიელია, წარსული — ბედნიერი, აწმყო — ტკივილიანი, მომავალი — უიმედო. უბრალოდ გეტყვი — ჩემნაირ ადამიანს ვერსად შეხვდები და მწარედ ინანებ.

• უნდა გენახათ, დედიკო როგორ გაიზუზნა ვენახში, მამიკოს კი ცალი ფეხსაცმელი დაეკარგა. დედა ბრაზობდა, მე კი ბევრი ვიცინე. მაიკო.

• ჩემო სიცოცხლევ, უნდა გითხრა, რომ ძალიან მიყვარხარ. ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ. გიკოცნი ულამაზეს თვალებს. ალი.

• სანამ რეალურ ფასად მე არ შევაჩერებ კლიმატურ ცვლილებებს იესო ღმერთის ძალით, მანამდე არ შეჩერდება მსოფლიოში. დამიკავშირდნენ პრეზიდენტები. ჩალაძე ოქროპირი.

• ჩვენო საყვარელო, ძვირფასო და დიდო ტკივილო, მანანა მასწავლებელო! 15 სექტემბერს დავუბრუნდებით სკოლას, მაგრამ თქვენ იქ არ იქნებით. როგორ შევეგუოთ უთქვენობას? დაობლდა ჩვენი სკოლა, სამასწავლებლო, დავობლდით ჩვენც, თქვენი მოსწავლეები. მასწავლებლობის ღმერთო, ღრმა ცოდნითა და სითბოთი რომ გვასაზრდოებდით, განსაკუთრებით მძიმე იქნება ჩვენთვის ბიოლოგიის გაკვეთილზე შესვლა; თქვენი მონატრება უზომო ტკივილია ყველასთვის, ვისაც თქვენთან შეხება ჰქონდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე გვემახსოვრებით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული. მარტყოფის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ავთო, ნანო, თორნიკე ლეკიშვილები, გიორგი მიქელაძე.

• თემა მოღალატის დასჯა გქონია მარ, ფლამიმ მითხრა. ჰოდა, ყორღანაშვილის (ეთო არ გეგონოთ, ხალხო), ორჯონიკიძისა და ა.შ. ამბავი ყველამ ვიცით, ხომ ასეა, მარ? ჰოდა, რად გვინდა წარსულის გახსენება? ახლა იმ ვანოსგან დაველოდები, რა ზომებს მიიღებს ბურჯანაძე-ნოღაიდელის მიმართ და ა, ასევე გაცნობებთ, გენაცვალე. :) 9717.

• ჰოოდა, მალაზიაში მივდიოდი და გზად გადავაწყდი შემდეგ ამბავს: ასე, 32 წლამდე „მუტრუკი“ (მაგ ასაკშიც მასე ჰქვია? ვერ ვარ კომპეტენტური, მაგ მხრივ). ბავშვებს უჩვენებდა რაღაც უაზრო ფოკუსებს. ვაჰ, მივედი, „კარტი“ მათხოვემეთქი, ვუთხარი. მათხოვა, ავჩეხე კარგად. — ერთი კარტი ამოიღე-მეთქი, ამოიღო (კარტი, კარტი, ხალხო!), დაიმახსოვრა, დააბრუნა ისევ დასტაში და კარგად აჩეხა. გამოვართვი დასტა, მეც ავჩეხე, ერთი ბანქო ამოვიღე და ვაჩვენე — ესაა-თქო? — არაო. ვააჰ, მეორე ვაჩვენე, არაო... მესამეზეც უარი თქვა. ჰოდა, მივაწოდე დასტა შემდეგი სიტყვებით: კარგად მონახე, მანდ იქნება სადმე, სიგარეტზე მეჩქარება მალაზიაში-მეთქი. ა, ასე დავაკარგვინე ფოკუსების ჩვენების სურვილი. :) P.S. მოკითხვა მემეს, ნანი ბებოს, ფლამინგოს, ლაკვასტს, მილენას და რა ვი, ყველა კარგ ადამიანს. მადლობა მარიამ. 9717.

• გერასიმე, თავს ნუ იტანჯავ, ჩემო კარგო, სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. ჯობს, მათი სულისთვის ვილოცოთ. უფალი გფარავდეს. ნაომი.

• აუ, მარ, ანტიფანის სმს-ზე, შენს პასუხებზე ვიცინე. მაგარი ხარ, რა. გაძლება მოგცეს ღმერთმა. კლეოპატრა.

• დილა მშვიდობისა, მარიამულ! როგორ ხარ? ჰოი, საოცრებავ და ჰოი, საკვირველებავ! დაკარგული და მონატრებული (ვისთვის როგორ) ენიგმა გამოჩნდა. გაკოცეთ! CRAZY GIRL.

• ნიკოლო, მე სენაკელ-ოზურგეთელი ვარ, გენაცვალე. ძალიან გამიხარდა!

• ნიკოლო, მომეწონა შენი აზროვნება. ზუსტად ისე მოხდა, როგორც ველოდი. ამდენი ბუტიაობის მერე მირეკავს და მეხვეწება, ცოლობაც კი მთხოვა, მაგრამ ახლა მე ვიფასებ თავს და არ ვურიგდები. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ იმას ვერ ვაპატიებ, რომ ამდენი ხანი უყურადღებოდ დამტოვა. აღარ მჯერა მისი. არ ვიცი, მართლა რთულ სიტუაციაში ვარ.

• მიყვარდა „მობილი-ზაცია“, როცა სიმშვიდე იყო, როცა არავინ არავის არაფერს აბრალებდა და არც მარის ლანძღავდნენ დაუმსახურებლად. „გზავნილებიც“ უფრო დიდი იყო.

• მარიკუნა, როგორ ხარ წინა ხუთშაბათთან შედარებით? :) ვერ ვიტყვი, „გზა“ მომენატრა-მეთქი. მართალია წავედი, მაგრამ მაინც ვკითხულობ და რაც უნდა თქვან, ვერც ვერავინ გადამაყვარებს. უბრალოდ, არ მინდა, ვინმეს ცუდად რამე ვუთხრა. ხან რა დამაბრალეს, ხან — რა. არ წამირთმევია არავისთვის არავინ, არც ნიკოლოს წაურთმევია ჩემთვის რუისპირი და რატომ ესმის ამ ხალხს მეგობრობა სხვანაირად, არ მესმის. ზოგადად მათთვის, ვინც მეილზე ცუდად მახსენებს, მე და რუისპირი ნათესავები ვართ და აქ ყველა სხვა ურთიერთობა გამორიცხულია. დამშვიდდით! მარი, მოწმე ხარ, რაც მე აქ ვწერ, არც არავინ გამილანძღავს და არც არავისზე არაფერი მომიჭორია, დაწყებული სოფი-17-დან, სოფი-21-მდე.

• პატივისცემითა და დიდი მეგობრული სითბოთი მოვიკითხავ ნუგო30-ს. ნუგო, ჩემო კარგო, ულრმეს მადლობას გიხდი ლამაზი ლექსისა და თბილი სიტყვებისთვის. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან, თუ პირად ნომერზე დამიკავშირდებოდი. სევდიანი ქალი.

• დიახ, მე ვარ რუისპირის დამქაში. :) მარი ჩემი კრიშაა და ამაში ფულსაც ვუხდი :) და საერთოდ, მიშაც ჩემი ბრალია და ეკონომიკური კრიზისიც სამხრეთ ევროპაში. ნიკოლო.

• კარგი, რა, ხალხო! ლაკვასტი, რუისპირი, სევდიანი ქალი და ლუნა „გზიდან“ რომ წავიდნენ, ვინღა უნდა დარჩეს? ანტიფანი, მაგარი ბანძი იქნები. ანტიფანი.

• ფლამინგოს, უქაჯესს, ფიფქიას, აურას, ედეს, მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. პატივისცემით, თქვენი გამცილებელი.

• ნაომის ხელწერას ჰგავს ანტიფანის ხელწერა. ნაომ, რით ვერ დაიღალე? გეყოფა! გამცილებელი.

• აუ, რუისპირის ორიენტაციით რამდენი ადამიანია დაინტერესებული?! :) რუის შორიდან ვცნობ და მაგარი კაცია. რუი, არ გაბრიყვდე და არ წახვიდე აქედან. გამცილებელი.

• მარიამულის ანტიფანს: თემო, მადლობა ასეთი შეფასებისთვის... მაგრამ საშინლად არ მომეწონა შენი დამოკიდებულება მარიამულთან მიმართებაში! შენს თანამოაზრეებში მე ნუ ჩამთვლი, რადგან მარიზე ვაბოდებ. ვერ დამარწმუნებ იმაში, რომ მარიამული მიკერძოებულია და რომელიმე მგზავნელს განსაკუთრებით ელოლიავება. შენ წარმოიდგინე, თემო, რომ მარი ვისაც მფარველობდა, ეს მე ვიყავი. მგონი ეს აღარ უნდა მეთქვა, თუმცა რატომაც არა? ბევრჯერ გამიჩმახებია საქმე „ზაციებში“ და რომ არა მარი, იმაზე მეტი პრობლემა მექნებოდა, ვიდრე ახლა მაქვს (მისტერის არ იყოს, მეც კაი ოხერი ვარ, რააა). მაგრამ რა იცი შენ? დალშე არც არავინ! მე მაქვს მიზეზი, მიყვარდეს მარი. შენ კი, თემო, გირჩევ, ჭკვიანად იყო, თორემ გაფრენილ სიტყვებს ვერ დაიჭერ და სანანებელი გაგიხდება. ნაომი.

• არც იმას დაგიმალავთ, რომ ძალიან, ძალიან არ მსიამოვნებს, როცა ლუნაზე ცუდს წერენ. მე ვფიქრობ, დღესდღეობით ყველაზე დასაფასებელი მგზავნელი სწორედ ლუნაა! არ იმსახურებს ანუკი

ასეთ აგრესიას. და რატომაა ვითომ დასაფასებელი? — თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთივით სხვის დაწერილ ლექსებს თავისად არ ასაღებს და მხოლოდ მის ლექსებს გვიგზავნის, რომელიც თითოეულ ჩვენგანში დადებით ემოციებს აღძრავს... და არც ურცხვი ფანტაზიებით გვაბოლებს „გზავნილებში“ და მხოლოდ რეალურ ამბებს გვიგზავნის. ნაომი.

• „მოკალი ერთი, რათა დააშინო ასეულები!“ ბრძანებს ჩინური ანდაზა. მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას! SEX BOY.

• ვინ იცის, როგორ მენატრები, როგორ მიყვარხარ, რამდენჯერ შენზე ფიქრში ჩამძინებია! რამდენი ფარული კოცნა გამომიგზავნია შენთვის, მაგრამ სხვა რა ვქნა? არ მაქვს უფლება, მოვიდე და გითხრა: უშენოდ არ შემიძლია, ძალიან მიყვარხარ! სიყვარულს ვეთამაშები და ის უფრო ღვივდება ჩემს გულში. ერთ დღესაც ველარ დაიტევს ჩემი გული ამდენ სიყვარულს და აფეთქდება, მაშინ მოვალ და გეტყვი, რომ სულზე ძალიან მიყვარხარ! მაგრამ ეს როდის იქნება, ვინ იცის? არავინ! მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: ყველაზე ძალიან მიყვარხარ! არასოდეს დაგივიწყებ, ჩემო შავო მარგალიტო! ძვირფასო და სანატრელო, მე შენ მჭირდები. არასოდეს გაგცვლი სხვაზე, რადგან ძალიან მიყვარხარ და შენ ერთადერთი და განუმეორებელი ხარ! ხომ გესმის ჩემი? მეც მესმის! შეიძლება არ ვიმსახურებ შენს სიყვარულს, მაგრამ შენ მაინც გიყვარვარ, რადგან გულკეთილი და ძვირფასი ხარ! მეც მიყვარხარ იმიტომ, რომ შენში ვხედავ იმას, რასაც ბრბოში ვერ ვხედავ! და სწორედ ამიტომ არ მინდა ჩაქრეს ის ცეცხლი, რომელიც ჩემს გულში ანთია! და ამ ცეცხლს სიყვარული ჰქვია! მე შენ მიყვარხარ და ბოლომდე მეყვარები, ძვირფასო! გკოცნი! მალე გნახავ! SEX BOY!

• ფიქრი ვერ მიქარვებს მოურჩენელ იარებს, შენი სახე თვალწინ ისევ ძველებურად ტრიალებს. არა, დრო ვერ კურნავს უშენობის ტკივილებს, თუმცა შენ ჩემთვის კვლავაც ხარ ძველებურად იგივე... P.S. ეძღვნება ყველაზე მაგარ დედას, ყველაზე მაგარი შვილისგან. P.P.S. ორივენი — დედა-შვილი მიყვარხართ გულში... ბუცა.

• ღმერთო, ნიკოლოს ნაწერებს რომ ვკითხულობ, გული მისკდება. რა უგულო და ცივი ადამიანია. მისი დის ადგილზე თვითონ რომ ყოფილიყო, ძალიან მაინტერესებს, რას იზამდა?! თვითონ ხომ ჰყავს მამა და სხვა რა ენაღვლება? ახლა ვხვდები, რომ მე ძალიან გამიმართლა. მეც უკანონო შვილი ვარ და როცა წამოვიზარდე, გამიჩნდა სურვილი, ჩემი და-ძმა მეპოვა და ვიპოვე კიდეც. მისგან განსხვავებით, კარგად მიმიღეს და მშობლების შეცდომების გამო მე არ დავსჯილვარ. ნიკოლო, შენს დას ის ტკივილიც ეყოფა, რასაც უმამობის გამო განიცდის. შენ ხომ არ იცი, რა მტკივნეულია იმაზე ოცნება, რომ შენც გყავდეს მამა და გკოცნიდეს ძილის წინ, საბანს გაფარებდეს... ვიცი, რომ არ იცი, რა არის უმამობა და ამიტომ ნუ განსჯი შენს დას. შენ არ იცი, როგორი ტკივილითა და ტანჯვით გაიზარდა ის უმამოდ. ამას მაშინ მიხვდები, როცა მამა აღარ გეყოლება (ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს).

• მართალი ყოფილა: როცა ჩემ გვერდით იყავი, ვერ ვაფასებდი, რამდენად ძვირფასი ყოფილხარ. ახლა კი უშენოდ გაფერმკრთალდა... გაფერმკრთალდა ჩემი გული უკვე სიყვარულით. ლიზი123.

• რაც მართალია, მართალია! არ მიყვარს ჭორები საკუთარ თავზე! მათში სიახლის მომაჯადოებელი მიმზიდველობა არ იგრძნობა... ნიკოლო

• სინდისის ქენჯნის დასაყუჩებლად, ნარკოტიკული ნივთიერებები მოიძებნება და სინანულით რამის გამოსწორება რომ შეიძლებოდეს, ყველანი წმინდანები ვიქნებოდით. ნიკოლო.

• ერთ ბიჭს მოვწონდი, რომლის დედაც ჩემი მოგვარე იყო. მან სიყვარული ამიხსნა, მე კი ამ ყველაფერს არასერიოზულად ვეკიდებოდი და უარი ვუთხარი და მეგობრობა შევთავაზე. ამის შემდეგ იშვიათად ვწერდით ერთმანეთს, შემდეგ — საერთოდ არა, და ასე დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა. მას შემდეგ 2 წელი გავიდა და ახლა ხშირად ვფიქრობ მასზე. მის სურათებს ვნახულობ. რა მჭირს, ვერ გავიგე. თან ამის შესახებ ვერავის ვეუბნები. ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. მინდა გთხოვოთ, რომ რამე მირჩიოთ. ვერ გავრკვეულვარ ჩემს თავში. გთხოვთ, რომ ჩემს წერილს უპასუხოთ და რამე რჩევა მომცეთ. თქვენი აზრი მაინტერესებს. ინკოგნიტო...

• პედერასტი არავის გეგონოთ, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით: გაანებეთ ყველას თავი და თქვენს ცხოვრებას მიხედეთ! ყველა ცხოვრობს ისე, ან ცდილობს იცხოვროს, როგორც მას მოსწონს! ჰოდა, დაანებეთ თავი სხვების გაჭორვას! ჩემთვის მთავარია, მე არ ვიყო პედერასტი და სხვა ვინ იქნება და ვინ — არა, სულ მკიდია! SEX BOY.

• მოვიკითხავ: ლუნას, ატარექსიას, ნაომის! მაგარი ხალხი ჩანხართ! სეხ ბოყ.

• ისე, ქალები რომ არ არსებობდნენ, კაცებს რა ეშველებოდათ?! არ იფიქროთ, რახან ეს ნიკი მაწერია, მე მხოლოდ სექსი მაინტერესებს! სიყვარულია მთავარი! SEX BOY.

• თუ ასე გაგრძელდა, როგორც ახლაა, ეს ჟურნალი მაგრად გაბანძდება! BLACK MAN.

• საინტერესო ბევრი არაფერი იბეჭდება. ერთი სიტყვით, კარგი იქნება, თუ ბევრი ინფორმაცია იქნება ამ ჟურნალში ზღვებზე, ოკეანეებზე, თორემ ერთი და იგივე ამოვიდა ყელში.

• ისე, სოფელი რა მოსაწყენია, არა? ორი კვირა ვიყავი და ყელში ამომივიდა! არც გასართობია და არც არაფერი. სოფელი არის ერთფეროვანი! ისე, თქვენი აზრით, დასავლეთი საქართველო ჯობია თუ აღმოსავლეთი? მე სოფელი აღმოსავლეთში მაქვს და მგონია, რომ დასავლეთი ჯობია! განა ასე არ არის? ასეა! კაცუნა.

• რა გინდათ? და რას ელით? ჩვენ ერთად ვიქნებით! დღეს, ხვალ, თუნდაც ზეგ! ვიქნებით ერთად ჩვენ! SE'S MY LIFE.

• ეეჰ, მგონი დროა, ნიკი შევიცვალო, ერთი და იგივე ნიკი მალე მძულდება! არ მევასება, სულ ერთი და იგივე ნიკი. კაცუნა.

• მაცმაცუნა, შენ საით ცხოვრობ? შენც რუსთავში ხარ? მე რუსთავის შესასვლელთან ვარ. შენ? კაცუნა.



# გილოცავ!

• მარიამ შანშაშვილს: სიხალალა, გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე დიდი და სასახელო გოგო. გაუმრავლდი ოჯახს. გკოცნით სტურუები, ბიწაძეები და ნარიმანიშვილები.

• ხაშურში მცხოვრებ ბაქარი ნებიერიძეს დაბადების დღეს ულოცავს მაია ბარათელი. უსურვებს ოცნებების ახდენას და დიდ ბედნიერებას. პო, მიყვარხარ, ჩემო ერთგულო.

• ხაშურში მცხოვრებ ბაქარ ნებიერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს და ყოველივე საუკეთესოს. პო, გვიყვარხარ, ჯიგარი ხარ. მაია ბარათელი.

• მიხა, გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო სიხარულო. დაბადების დღეს იმ ნათელ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია. დიდხანს სიცოცხლე დამილოცნია. მიყვარხარ და გკოცნი.

• ჩემს შვილიშვილს, გიორგი (კიკო) ხვედელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს. გფარავდეს უფალი. გკოცნის ნიურა ბებო.

• სალომე კოხრეიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე, ვუსურვო საუკეთესო სურვილების შესრულება. გაიხარე, საყვარელ მშობლებთან და დიკოსთან ერთად. შენი ნიურა ბებო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

# „სამჭიდი ცხოვრებას ჰგავს, უნდა მიაწვე“

**„საშიშები არა ვართ“, — ღიმილით მითხრა ლურჯმაისურიანმა ბიჭმა, როცა დარბაზში მოვარჯიშე ერთნაირი აღნაგობის ადამიანების დანახვაზე უკან დავიხიე. სხვადასხვა წონის შტანგებს შეჭიდებული სპორტსმენები ერთმანეთს ოვაციებით გულშემატკივრობდნენ და წარმატებებს ულოცავდნენ... სამჭიდის არსებობის შესახებ პირველად იმ დღეს შევიტყვე. ერთ-ერთმა სპორტსმენმა, რომელიც გზამკვლევის ფუნქციას ასრულებდა, ამიხსნა, — საქართველოს სპორტის ამ სახეობაში 30-მდე მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს და ამ სპორტს იმ დროიდან მისდევენ, როცა საბჭოთა ცენზურა მას კრძალავდაო... სამჭიდს აღარავინ კრძალავს, მაგრამ მის შესახებ ცოტამ თუ იცის. ამერიკაში კი ჩვენი სპორტსმენების წარმატებებზე არაერთი გადაცემა მომზადებულა და ინტერნეტსივრცეშიც ძალზე მდიდარი ინფორმაცია მოიპოვება.**

## უცნობი სპორტის სახეობა, სადაც 30-მდე მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს

*ლალი პაპასკირი*

**გელა გელაშვილი**, *სპორტსმენი:*

— სამჭიდის არსებობის შესახებ მეც გვიან შევიტყვე... ბავშვობიდან ვვარჯიშობდი და მყესები, რაც ამ სპორტში წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი წინა პირობაა, ძლიერი მქონდა. რადგან სამჭიდი მძიმე სპორტია, ადამიანი კარიერას 30 წლის ასაკიდან იწყებს. მცირე შედეგის მიღწევასაც კი დიდი შრომა სჭირდება. აზარტი შეუმჩნევლად მოდის... ამერიკაში, ატლანტა სითიში „ბიცებში“ (შტანგის მკერდამდე მიტანა) 90 კილოგრამი მაქვს აწეული. ეს მოძრაობა რამდენჯერმე უნდა გაიმეორო. მაშინ ჩემი წონა 30-ჯერ ავწიე და ქულების დათვლაც ამის მიხედვით მოხდა...

**— ამერიკაში ალბათ სპორტსმენების მიმართ სხვანაირი დამოკიდებულებაა...**

— დიახ, იქ მწვრთნელის აყვანა სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ იქ ის პრობლემები არ არის, რაც — საქართველოში, და ამიტომ ცდილობენ, სპორტს მისდიონ... ადამიანს, რომელიც ვარჯიშობს, ელემენტარულად, კარგი კვება სჭირდება; ჩვენს ქვეყანაში კი ბევრს ამის საშუალებაც არა აქვს. მე და ჩემს მეგობრებს ნორმალური სამსახური გვაქვს და ხარჯების დაფარვაც არ გვიჭირს, მაგრამ რა ქნან იმ ბიჭებმა, ვისაც ამის საშუალება არ გააჩნიათ?!.

**— გელა, ვიცი, რომ თქვენს უბანში სპორტული კლუბი დააარსეთ, სადაც რამდენიმე წრეა გახსნილი...**

— დიახ, ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო გავხსენი ორხევში კლუბი, სადაც სამჭიდის გარდა — ძიუდო, ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ქვიშის რაგბი, ფიტნესიც არის. ყველა სახეობას თავის მწვრთნელი ჰყავს. ამას წინათ, ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრებაც ჩავატარეთ. მონაწილეთა გახარებული სახეები არასდროს დამავიწყდება... დღეს სამსახურის შოვნა ადვილი საქმე არ არის და ამიტომაც მინდა, ახალგაზრდებმა სპორტს მაინც მისდიონ. 2 შვილის მამა ვარ და ვიცი, რას ნიშნავს, როცა მშობელს საშუალება არა აქვს, შვილი სწორ გზაზე დააყენოს. ყველასგან პროფესიონალი სპორტსმენი ვერ დადგება, მაგრამ ჯანმრთელი და ფიზიკურად ძლიერი მაინც გაიზრდება. ეს კი ბევრს ნიშნავს. ძიუდოს სექციის გახსნას გოგონებისთვისაც ვაპირებ. ქართველი საზოგადოება სპორტის ამ სახეობას მაინცდამაინც არ სწყალობს და მინდა, ეს სტერეოტიპი დავუმსხვრიო. ამ მიზნით სკოლებში ჩამოვიარე და ხელმძღვანელობას სპორტული წრეების გახსნა შევთავაზე. თავიდან ყველა დამთანხმდა, მაგრამ ბოლოს თანამშრომლობის სურვილი მხოლოდ რამდენიმემ გამოთქვა... ისიც შევნიშნე, რომ გოგონებს ძიუდო აინტერესებდათ, მაგრამ კლუბში არც ერთი არ მოსულა. როგორც ჩანს, მშობლებ-




**„ერთ მოზარდს მაინც რომ შევაყვარო სპორტი, ბედნიერი ვიქნები“**

მა არ გამოუშვეს... გოგონაც მყავს და ვაჟიც, ორივეს ვავარჯიშებ. გოგონას განსაკუთრებით კარგი მონაცემები აქვს. თუ მოისურვებს, არ დავუშლი, გაჰყვეს ამ სპორტს, მაგრამ ისეთ ასაკშია, არჩევანი თვითონ უნდა გააკეთოს. მე და ჩემმა მეგობრებმა საკუთარ თავზე გამოვცადეთ, რას ნიშნავს, როცა სპორტსმენს ვარჯიშის საშუალება არა აქვს. ამიტომაც ვცდილობ, საკუთარი სახსრებით ბავშვები რეგიონულ შეჯიბრებაში გავიყვანო. რაიონებში მოზარდების უმეტესობა მწვრთნელთან თითქმის არ დადის, მაგრამ ბუნებრივი ნიჭისა და თანდაყოლილი მოქნილობის წყალობით, ტოლს არავის უდებს. ხშირად მეკითხავს, ვინ არის თქვენი მწვრთნელი-მეთქი? — არავინ, მე თვითონ ვისწავლეო, მეუბნებიან... ჩემს კლუბში ერთი ბიჭი დადის, რვაშვილიანი ოჯახიდანაა. კარგი მონაცემები აქვს. ახლახან მამამისმა შემომჩივლა, — თანხის გადახდისა და გასტროლებზე გაშვების საშუალება არა მაქვს და უნდა გავიყვანოო, — მაგრამ არ გავატანე: ეს ბავშვი გზას რომ ასცდეს, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ-მეთქი... ერთი მოზარდის სწორ გზაზე დაყენებას მაინც თუ შევძლებ, ბედნიერი ვიქნები.

**თემურ ლუტიძე**, *სამჭიდში მსოფლიოს ჩემპიონი*:

— იმედია, ჩემი თავგადასავალი ბევრისთვის სტიმული იქნება. ქუჩის ბიჭი და „ბირჟავიკი“ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ კარგა ხნის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი და მშობლების კისერზე ვცხოვრობდი. შემდეგ ცხოვრებამ რაღაცების შეცვლა „მომთხოვა“ და მეც დავემორჩილე... ბავშვობიდან ჭიდაობაზე დავდიოდი, მაგრამ დიდი წარმატებები არ მქონდა. თან, როცა მუშაობა დავიწყე, ვარჯიშისთვის დროც არ მრჩებოდა. ჭიდაობას კი დიდი ენერგია სჭირდება: წარმატების მისაღწევად დღე და ღამე „ლეიბი“ უნდა „ხეხო“. ერთხელაც, სამსახურის დარბაზში ვნახე, რომ ჩემი მეგობარი ბიჭები შტანგის აწევაში ვარჯიშობდნენ და მეც დავინტერესდი. მაშინ პირველად გავიგე სამჭიდის შესახებ და იმ დღემ ჩემი ცხოვრება შეცვალა. 1 წლის განმავლობაში, დიდი მონდომებით ვვარჯიშობდი. შემდეგ კი გავბედე და საქართველოს ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა; მესამე ადგილი დავიკავე და მაშინ მივხვდი, რომ უფრო მეტის მიღწევა შემეძლო. სამსახურიდან ღამენათევი პირდაპირ დარბაზში მივდიოდი და იქ 4-5 საათს ვატარებდი. აზარტი იმდენად შეუმჩნევლად მოდის, რომ სპორტსმენი დაღლას ვერ გრძნობს... შემდეგ გავიგე, ამერიკაში, ნიუ-იორკში მსოფლიოს ჩემპიონატი იმართებოდა, სადაც 15 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. წასვლა გავრისკე. გამიმართლა და მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდი.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ არ არის სპორტის ეს სახეობა პოპულარული?**

— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ მძიმე სპორტია... არადა, ჩვენი სასიქადულო სპორტსმენები — ზურაბ ჭავჭანიძე და ნუკრი სარალიძე — ცდილობენ, რომ ახალგაზრდები დააინტერესონ... ერთ ამბავს მინდა მოგიყვეთ: 2010 წელს ამერიკაში წავედით და მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ. უფრო სწორად, ყველა თასი ქართველებმა წამოვიღეთ. იქიდან ოვაციებით გამოგვაცილეს, მაგრამ საქართველოში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. გული დაგვწყდა, მაგრამ სტიმული მაინც არ დაგვიკარგავს... ალბათ „არნოლდკლასიკს“ რომ ავწევთ, მერე დაგვაფასებენ.

— **ეს რას ნიშნავს?**

— არნოლდ შვარცენეგერმა დააწესა და ის სტადიაა, როცა სპორტსმენი თავის შესაძლებლობების პიკზეა — ანუ თავის წონით კატეგორიაში უმაღლეს წონას ასწევს, რისთვისაც მსოფლიოში სულ რამდენიმე ადამიანს აქვს მიღწეული. ჯერჯერობით საქართველოსა და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში, ყველაზე დიდი წონა — 272 კილოგრამი, შოთა ბეჟაშვილმა ასწია და რეკორდი ჯერ ვერავინ მოხსნა.

**გელა გელაშვილი**:

— არადა, სპორტის ეს სახეობა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოსადეგია. ერთ ამბავს მოგიყვებით:



„ალბათ „არნოლდკლასიკს“ რომ ავწევთ მაშინ დაგვაფასებენ“



„ამერიკაში გვითხრეს: პატარა ქვეყნის შვილები ხართ, მაგრამ დიდი მონაცემები გაქვთო“

ნიუ-იორკში არის ფერადკანიანებით დასახლებული ე.წ. შავი უბანი — „ქუინზი“, სადაც მისვლას ყველა ერიდება. თუ სხვაგან შეურაცხყოფისთვის სასამართლოში ჩივიან, იმ უბანში ძველბიჭური გარჩევები იწყება... ამ უბნის შესახებ არაფერი ვიცოდით და იქაურობის დათვალიერებისას, „ქუინზშიც“ შევედით. მაშინვე ყურადღება მივიქციეთ. ბირჟაზე მდგომებმა გაოცებით შემოგვხედეს, მერე კი წრეში მოგვიქციეს. დავიძაბეთ. ვერ მივხვდით, სად ვიყავით ან რა უნდოდათ... ერთ-ერთი, რომელიც ალბათ, უბნის ყოჩი იყო, დანარჩენებს გამოეყო, მძიმე ნაბიჯებით მოგვიახლოვდა და შეგვათვალიერა. მერე კი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ სპორტსმენები ვიყავით და „ამერიკულად“, მუშტის მუშტზე მიდებით მოგვესალმა... დამშვიდობებისას, ერთ-ერთმა ავტობუსი გაგვიჩერა და გამოგვაცილა. მას შემდეგ, ნიუ-იორკში ჩასვლისას, „ქუინზის“ უბანსაც ვეწვევით ხოლმე და ჩვენი შავკანიანი მეგობრებიც სპორტულ წარმატებებზე გვეკითხებიან.

**ზურაბ ჭავჭანიძე**, *სამჭიდის მოქმედი სპორტსმენი, მწვრთნელი:*

— რამდენიმეწლიანი „საიდუმლო ვარჯიშის“ შემდეგ, 1986 წელს საბჭოთა კავშირის შიდა ჩემპიონატი გაიმართა და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი პირველ ადგილზე გავიდა. მას შემდეგ, ჩვენმა ბიჭებმა არაერთი რეკორდი დაამყარეს. 35 წელი სამჭიდის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ვიმუშავე და ამ საქმეს დღემდე ვემსახურები. მახსოვს, ისეთი ბიჭებიც მოსულან, თავიდან მაკარონივით წვრილები რომ იყვნენ, მაგრამ მალე სერიოზული წარმატებებისთვის მიუღწევიათ. ერთხელ ამერიკის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ბილ კატინოვსკიმ მითხრა, — პატარა ქვეყნის შვილები ხართ, მაგრამ მართლა კარგი მონაცემები გაქვთო. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს, ყველა თასი ქართველებმა „გამოვზიდეთ“ და ინგლისის წარმომადგენელი, რომელიც ასევე პირველობისთვის იბრძოდა, ხელცარიელი დარჩა და ატირდა... 60 წელს მიღწეული ვარ, მაგრამ კარიერა ჯერ არ დამისრულებია. ამ ზამთარს საქართველოში მორიგი ჩემპიონატი იმართება და მონაწილეობას ვაპირებ. სამჭიდს რამდენიმე სახეობა აქვს და მინდა, წოლჭიმში მოვხსნა რეკორდი. ამ დროს სპორტსმენი დაწოლილი სწევს შტანგას. ადვილი არ არის, მაგრამ იმედი მაქვს, შევძლებ. ■



# აკრძალული ძაღლები



**მსოფლიოში ათასზე მეტი ჯიშის ძაღლი არსებობს. მათ შორისაა რამდენიმე აკრძალული ჯიშის ძაღლი.**

• 1928 წელს არგენტინაში, რამდენიმე ძაღლის შეჯვარებით (მათ შორის ირლანდიური ნაგაზის) ახალი ჯიში — Dogo Argentino გამოიყვანეს. მისი უპირველესი მოვალეობა ლომზე ნადირობა იყო. ის განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევა. უმიზეზოდ ესხმის ადამიანებს. მისი გამრავლება ბევრ ქვეყანაში აკრძალულია, მათ შორის — ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და პორტუგალიაში.

კანარის კუნძულებზე გამოყვანილმა საბრძოლო ჯიშის ძაღლმა — Presa Canario 2001 წელს, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ დაწესებულებაში, 33 წლის მამაკაცი დაგლიჯა. მას შემდეგ ამ ჯიშის ძაღლის ყოლა მრავალ ქვეყანაში საბოლოოდ აიკრძალა.



• მასტიფის ჯიშის ძაღლი — Fila Brasiliero ბრაზილიაში გამოიყვანეს. მისი მოვალეობა ავაზებზე ნადირობა იყო. ერთი შეხედვით უწყინარი შინაური ცხოველი ისეთი აგრესიით გამოირჩევა, რომ მისი პატრონებსაც კი ეშინიათ. იაპონელებმა რამდენიმე ძაღლის (მასტიფი და ბულტერიერი) შეჯვარებით, ახალი საბრძოლო ჯიში — Tosa Inu გამოიყვანეს. საინტერესო ისაა, რომ ძაღლი „ხმის ამოუღებლად“ იბრძვის. გამარჯვებულს კი ოკო-



ზუნა-ის ტიტულს (საუკეთესოთა შორის საუკეთესოს სუმოში) აძლევენ. იაპონური ჯიშის ძაღლის ყოლა ევროპის მრავალ ქვეყანაში აკრძალულია.

• ამერიკულ პიტბულტერიერს ხშირად პიტბულსაც ეძახიან. კინოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია დღემდე არ აღიარებს ამ ჯიშის ძაღლს. იგი უმიზეზოდ არავის ესხმის თავს, მაგრამ მისი თავდაცვა ხშირად ადამიანებისთვის სავალალო შედეგით სრულდება. ამერიკული პიტბულტერიერის ყოლა აკრძალულია ამერიკაში, ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანაში. ■

*მოამზადა* ***რუსუდან გელაშვილმა***

# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები




სიახლე!

## მექანიკური ფორთოხალი

ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 216 გვ
ფორმატი: 12X16.5
ყდა: რბილი

ამ წიგნში მოთხრობილია ამბავი ერთი მელომანი სადისტისა, რომელიც ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამიზნული, არანაკლებ სადისტური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქნა.

## 3D ჯუნგლები

სიახლე!




ფასი: 17.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 28X23
ყდა: მაგარი

ამ მოძრავი ნახატებით გაფორმებულ წიგნში პატარები ალბატროს ალბერტთან ერთად მოივლიან ჯუნგლებსა და ველებს, მდინარეებსა და ოკეანეებს. ნახატების ამოძრავებისას კი მათ წინაშე ჯუნგლების ბინადარი ცხოველები გაცოცხლდებიან.

## სახალისო ამოცანები




სიახლე!

## გაავარჯიშე გონება




ფასი: 16.99

გვ. რაოდ.: 30 გვ.
ფორმატი: 26X29.5
ყდა:მაგარი

ამ წიგნებში თავმოყრილია ლოგიკური და საზრიანო ამოცანები, რომლებიც თქვენს პატარებს დაეხმარება გაავარჯიშონ გონება, ყურადღება და კონცენტრაციის უნარი. პასუხების შემოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფანქრის დახმარებით, რომელიც წიგნს თან ახლავს.

## კენგურუ ბასტერი




ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 27 გვ.
ფორმატი: 21.7X21.2
ყდა: მაგარი

## სპლიყვი ლიზი




სიახლე!

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნებში, თქვენი პატარები წაიკითხავენ სპლიყვი ლიზისა და კენგურუ ბასტერის სახალისო თავგადასავლებს.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ამ დაავადებას სამედიცინო ენაზე სტრუმა ჰქვია. დაასახელეთ მისი ხალხური სახელწოდება.
2. დაასახელეთ ამერიკელი გენერალი და შემდგომში პრეზიდენტი, რომელიც ამბობდა: „ადამიანთან მოლაპარაკება გაცილებით უფრო ადვილია, როცა იგი იარაღის სამიზნეზე გიზის“.
3. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომელსაც მოშურნეები „კუხარკების“ პოეტს ეძახდნენ.
4. ველურ ბუნებაში ბეჰემოთებთან მუშაობისას ზოოლოგები თითქმის არასდროს იყენებენ ტრანკვილიზატორებს. რატომ?
5. რა არის ჭვინტი?
6. ქალის მკერდის ხატვის უბადლო ოსტატი ხარო, ეხუმრებოდა ლადო გუდიაშვილს მხატვარი ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქიანი. რომელი სურათი შექმნა ამ საუბრის შემდეგ ქართველმა მხატვარმა?
7. ერთხელ კოლაუ ნადირაძეს კატეგორიულად მოსთხოვეს სამუშაო კაბინეტის კედლიდან გრიგოლ რობაქიძის პორტრეტის ჩამოხსნა. რა მოიმოქმედა ქართველმა პოეტმა?
8. საკუთარი გარდერობის მიმართ ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-ს განსაკუთრებული ყურადღება არასდროს გამოუჩენია. მის მკერავებს ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნა აქვთ წაყენებული. დაასახელეთ იგი.
9. ავიამზიდზე დაჯდომისას ავიაგამანადგურებელს ლითონის ტროსი „იჭერს“ და ამუხრუჭებს. ამ ტროსს ყოველი 100 დაჯდომის შემდეგ ცვლიან. რატომ?

# ანეკდოტები



***

დაქალები საუბრობენ:

— რა ცუდად არის ეს ქვეყანა მოწყობილი: ყველაფერი, რაც მომწონს — ან მასუქებს, ან უზნეობად მიიჩნევა.

***

პატარა ბავშვი ეკითხება მამას:

— მამა, ჩვენი კუ სიბერით მოკვდა?

— ჰო, შვილო, ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, მანქანას გადაასწრებდა.

***

— ბიჭუნა, რატომ თამაშობ ასანთით?

— არ ვთამაშობ, სიგარეტს ვუკიდებ.

***

სვანი და მეგრელი აფრიკაში სეირნობენ. უცბად ბუჩქებიდან ლომი გადმოხტა. მეგრელი არ დაიბნა, ერთი მუჭა ქვიშა თვალებში შეაყარა, სასწრაფოდ ხეზე აცოცდა და იქიდან სვანს უყვირის:

— დროზე ამოძვერი, სანამ ლომი ვერაფერს ხედავს!

— რატომ უნდა ამოვიდე?!. მე კი არ შევაყარე თვალებში ქვიშა!..

***

ბავშვები ქვიშაში თამაშობენ.

— მე კომბოსტოში მიპოვეს, — ამბობს ერთი.

— მე წერომ მომიყვანა, — ამბობს მეორე.

— მე ინტერნეტიდან გადმომქაჩეს, — არ ჩამორჩა მესამე.

***

ტელეფონი რეკავს:

— ალო...

— შენც ალო, კეთილო ადამიანო!

***

სვანმა საათი უფსკრულში გადააგდო და მეორე სვანს ეუბნება:

— ნახე, დრო რა ჩქარა მიქრის!

***

ცოლი ეკითხება ქმარს:

— ძვირფასო, ხალიჩას მიყიდი?

— ცოცხითაც კარგად იფრენ!

***

სტადიონის შესასვლელში:

— ბიჭუნა, სად იშოვე ბილეთი ასე ძვირად ღირებულ მატჩზე?

— მამაჩემმა იყიდა.

— თვითონ სად არის?

— სახლში. ბილეთს ეძებს...

***

კლიენტი ბარმენს:

— თქვენ რა, ანონიმური ალკოჰოლიკების კლუბი გახსენით?

— საიდან დაასკვენით?

— სახეზე ვერავის ვცნობ!



***

ბაზარში მოხუცი ქალი ყიდულობს კარტოფილს.

— რამდენი კილო მოგართვათ? — ეკითხება გამყიდველი.

— 5 კილო, შვილო... მაგრამ ვშიშობ, მაგსიმძიმის სახლამდე მიტანას ვერ შევძლებ...

— ნუ გეშინია, ბებო, ისე აგიწონი, რომ შეძლებ!..

***

— გუშინ რესტორანში იმდენი თევზი ვჭამე, თოლიებმა გორიდან თბილისამდე მდიეს!

***

მიხოს ნაცნობი შეხვდა:

— რას შვრები, მიხო, როგორა ხარ?

— გმადლობ, კარგად.

— ცოლი როგორა გყავს?

— კარგად.

— ბავშვები?

— ეგენიც კარგად.

— შენი ძმა რას შვრება?

— ისიც კარგადაა.

— ძმურად, 100 დოლარი ხომ არ გექნება, ერთი თვით რომ მასესხო?

— კეფაზე მაკოცე, აგერ!

— კეფაზე რატომ, ვითომ?

— როგორც შენ დაიწყე შორიდან შემოვლა, მეც ეგრე ვიწყებ!

***

ახალი ამბები:

— ზოოპარკიდან დაიკარგა დარაჯი... თუმცა შესაძლოა, ლომები ბოლომდე არ ამბობენ სიმართლეს.

***

— შენ, რა, კლარნეტზე აღარ უკრავ?

— არა, მეზობელს თოფი უყიდია.

***

— ამ ზაფხულს თბილისში ისე ცხელოდა, რომ ვეფხვი და მოყმე ცალ-ცალკე ისხდნენ!

***

ინგლისელი ლორდი მოსამსახურეს:

— ჯეიმს! ცხელი აბაზანა მესაჭიროება!

— უკვე ამოვდივარ, სერ!

***

ჭიჭიკიამ გონება დაკარგა და ქუჩაში გაიშხლართა. შემოეხვია ხალხი.

— წყალი, ჩქარა, წყალი! — იყვირა ერთმა.

— წყალი კი არა, ერთი ჭიქა კონიაკი უშველის მაგას, — თქვა ლოთმა კოწიამ.

— დოუჯერეთ კოწიას... — ამოილუღლუღა ჭიჭიკიამ.

***

— მიხო, რა გაჩუქეს დაბადების დღეზე?

— აგე იქ „ბენტლი“ რო დგა, ხედამ?

— ?!.

— ეგეთი ფერის „გალსტუკი“.

***

სვანს ეკითხებიან:

— დანა რომელ ხელში უნდა გეჭიროს და ჩანგალი რომელ ხელში?

— გააჩნია, თავს ვიცავ თუ ვესხმი.

***

— მამიკო, შენხელა რომ ვიქნები, შემეძლება რაც მინდა, ის გავაკეთო?

— არა შვილო, მაშინ უკვე ცოლი გეყოლება.



***

ნიკა და შოთიკო ეზოში თამაშობენ.

— შოთიკო, ნახე, მკვდარი მერცხალი! — ეუბნება ნიკა.

— აბა, სადა? — ცაში იყურება შოთიკო.

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ჩიყვი.

2. დუაიტ ეიზენჰაუერი.

3. გალაკტიონ ტაბიძე (არაკეთილისმსურველნი მის „ლურჯა ცხენებს“ პროვინციულ რომანსად ნათლავდნენ).

4. საძილე წამლით გატენილი თოფის სროლის შემდეგ ცხოველი შესაძლოა წყალში შევარდეს, იქ ჩაეძინოს და დაიხრჩოს.

5. წალის, ქალამნის ან ქოშის წანვეტებულ და ზევით აწეულ ცხვირს ჭვინტი ჰქვია.

6. ამ საუბრიდან მცირეოდე ხნის შემდეგ გუდიაშვილმა შექმნა სურათი, სადაც ის და ბაყბეყ-მელიქიანი ქალის მკერდს იყოფენ.

7. ჯინაზე მეორე პორტრეტიც ჩამოკიდა (პოეტი ხშირად იმეორებდა მანდელშტამის სიტყვებს: „ია ნე ატრეკაიუს ნე ატ ჟივიხ, ნე ატ მიორტვიხ“.

8. მკერავებს მიღებული აქვთ მითითება — ისე შეკერონ ტანსაცმელი, რომ მასში გამოწყობილი დედოფალი შედარებით მაღალი გამოჩნდეს.

9. რათა არ მოხდეს მეტალის „გადაღლა“ და გაწყვეტილმა ტროსმა გემბანზე მომუშავე პერსონალი არ დახოცოს.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 8-14 სექტემბერი

### ვერძი



მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. შვილების უზნეო საქციელის გამო გარშემო მყოფებისთვის ბოდიშის მოხდა მოგიწევთ.

### კურო



სახლიდან გასვლისას ჩართული არ დაგრჩეთ ელექტროხელსაწყოები. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან და შესაძლოა, დაქორწინებაზეც კი შეთანხმდეთ.

### ტყუპი



მგზავრობისას გაუფრთხილდით პირად ნივთებს. გაგეზრდებათ შემოსავალი და საოჯახო ნივთების შეძენას შეძლებთ. მოტყუებული რომ არ დარჩეთ, ნუ ენდობით ახალგაცნობილებს.

### კირჩხიბი



ახალი ნაცნობობა გელით. განაახლებთ ურთიერთობას ძველ მეგობრებთან. უსარგებლო ნივთებში ფულს ნუ გადაყრით. უქმეებზე ოჯახში ნათესავები მოიპატიჟეთ.

### ლომი



ნუ ენდობით ახალგაცნობილებს და ნუ გაანდობთ საიდუმლოებებს. ბიზნესპარტნიორი ან საყვარელი ადამიანი გიღალატებთ. დაფიქრდით, იქნებ მათ გარეშე უკეთესად შეძლოთ მომავალში ცხოვრება.

### ქალწული



არ გასცეთ სხვათა საიდუმლოებები. დეპრესიამ რომ არ შეგიპყროთ, მეტი დრო გაატარეთ მეგობრებთან ერთად. დაგეგმეთ მომავალი. უქმეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

### სასწორი



შესაძლოა, დაგაწინაურონ ან ახალი პროექტის ხელმძღვანელად დაგნიშნონ. გაფრთხილდით, რომ საყვარელ ადამიანსა და თქვენს მეგობრებს შორის კონფლიქტი არ გამწვავდეს.

### მორიელი



სამსახურებრივ და საოჯახო საქმეებში იქნებით ჩაფლული. დაძაბული გრაფიკის გამო მოიმატებს გაღიზიანება. ურთიერთობა დაგეძაბებათ გარშემო მყოფებთან.

### მშვილდოსანი



სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ მგზავრობისას, რათა მარშრუტი არ შეგეშალოთ ან მგზავრებთან არ იჩხუბოთ. კვირის ბოლოს განწყობილება გაგიუმჯობესდებათ.

### თხის რქა



გაფრთხილდით, შესაძლოა, ვიღაცამ გაგიტეხოთ ინტერნეტპაროლი. მოაგვარეთ იურიდიული საკითხები. კვირის მეორე ნახევარში საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ განმარტოვდით.

### მერწყული



გაგიფუჭდებათ ურთიერთობა კოლეგებთან და საყვარელ ადამიანთან. მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობას. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევა.

### თევზები



ჭორების გამო კოლეგებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. უარი თქვით ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლზე. კარგი პერიოდია ქორწინებისთვის. დაქორწინებულებმა უქმეები ბავშვებთან ერთად გაატარეთ.

# კელტური ჰოროსკოპი

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა" №35*

**გველი**
15 აპრილი — 12 მაისი
მფარველი პლანეტა — მთვარე
ქვა — მთვარის ქვა
ენერგიულია. უყვარს გარდასახვა. ლაპარაკს სხვათა მოსმენა ურჩევნია. კარგი მახსოვრობა აქვს. გამომგონებელია. იზიდავს მისტიკა.

**ფუტკარი**
13 მაისი — 9 ივნისი
მფარველი პლანეტა — მთვარე
ქვა — ტოპაზი
ანალიტიკური ნიჭი აქვს. არის კარგი ორგანიზატორი. უყვარს ხალხთან ურთიერთობა. ლიდერია, მაგრამ სხვათა აზრსაც ითვალისწინებს. ყოველთვის მზადაა სიახლეებისთვის.

**წავი**
10 ივნისი — 7 ივლისი
მფარველი პლანეტა — იუპიტერი
ქვა — ალმასი
ოპტიმისტია. დაბრკოლებებს არ ეპუება. აქვს განვითარებული ინტუიცია. შრომისმოყვარეა. უყვარს მოგზაურობა, გარემოს შეცვლა.

**კატა**
8 ივლისი — 4 აგვისტო
მფარველი პლანეტა — დედამიწა
ქვა — წითელი სერდოლიკი
კეთილშობილი, მგრძნობიარე და შრომისმოყვარე ადამიანია. ოჯახის წევრების მიმართ ერთგული და მოსიყვარულეა; მუდამ მზადაა მათ დასახმარებლად. უფროსობა აფასებს მის კრეატიულ იდეებს.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



1. ნიანგის სახეობა
2. ბელორუსიის დედაქალაქი
3. სიმებიანი მუს. საკრავი
4. პატარა ქვევრი
5. ვაშლის ჯიში
6. ქალაქი საქართველოში
7. შოკოლადის ხე
8. პატარძლის თავსაბურავი
9. ... ბისმარკი
10. დათვის ნაშიერი
11. ტბა საქართველოში
12. უეცარი გრძნობა დიდი შიშისა
13. უეშმაკო, მოუხერხებელი
14. წონის ერთეული
15. მაიმუნის სახეობა
16. მაუწყებლობის სახეობა
17. იგივეა, რაც ბირმა
18. ჰანგი, მელოდია
19. სანიავებელი
20. ჯილაგი, მოდგმა
21. ჯარების მართვის ორგანო
22. ნახშირის ფერი
23. დაცლილი ვაზნა
24. დახრილი კოშკი იტალიაში
25. თმის საღებავი
26. სასანთლე
27. ყაზახეთის დედაქალაქი
28. ვაზის ჯიში
29. გულუბრყვილო ადამიანი
30. გემის უკანა ნაწილი
31. მოგრძო თონის პური
32. წვრილი ხმით გულიანი სიცილი
33. სასოფლო სამეურნეო მანქანა
34. ავტომობილის სავალი ნაწილი
35. იაპონური პოეზიის ჟანრი
36. დაბალი მაგიდა
37. უბანი თბილისში
38. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
39. ბუნებრივი წყალსაცავი
40. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა
41. გერმანიის ფეხბურთის გუნდი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. საყვედური; 2. ვესტერნი; 3. ვენა; 4. დავა; 5. გუდაური; 6. როტონდა; 7. ფუქსავატი; 8. ქისა; 9. ტილო; 10. მესა; 11. კოლეგია; 12. ანტარქტიდა; 13. ტაიჰი; 14. ტერტერა; 15. ნოე; 16. ტრაქტორი; 17. ეკიპაჟი; 18. ხაჭო; 19. იერი; 20. იუდა; 21. კეკე; 22. ფირნიში; 23. ეტლი; 24. უპე; 25. ავდარი; 26. საბუთი; 27. ძე; 28. მადრიდი; 29. ჰავაი; 30. სეფა; 31. მესვეური; 32. სასა; 33. რომელი; 34. ჰამერი; 35. უშნო; 36. ემუ; 37. ელ; 38. პოლიფონია; 39. მთვრალი.

**სურათებზე:** სოფო ნიჟარაძე, მერაბ სეფაშვილი.

# სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

• მარკ ბურჯადა დამკრძალავ ბიუროში მუშაობდა. ერთხელაც, 1982 წელს, ერთ-ერთ კლიენტს საუკეთესო სასახლეს ურჩევდა. მოულოდნელად რამდენიმე კუბოს დამჭერი თოკი გაუწყდა და მარკს დაეცა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

• ბელგიურმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ სუდანელებს პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები გაუგზავნა. გაჭირვებულებს ტვირთს ვერტმფრენიდან უყრიდნენ. რამდენიმე ყუთმა 3 სუდანელი ადგილზე მოკლა.




• კამერუნელი ჰენრი მაბონგო მეზობლებს ხშირად ჰპარავდა ქათმებს. მეზობლები ქურდს ჩაუსაფრდნენ და ერთხელ ნადავლით ხელში დაიჭირეს. ბრბომ მაბონგო აიძულა, მოპარული ფრინველი ცოცხლად შეეჭამა. მამაკაცი ძვლებმა და ბუმბულმა დაახრჩო.

• ავტომობილით მგზავრობისას ფრანგი მანდილოსანი ხეს შეეჯახა და ადგილზევე გარდაიცვალა. მისი თანამგზავრი სერიოზულად დაშავდა და სანამ მაშველს გამოიძახებდა, ტამაგოჩის (ელექტროსათამაშო ვირტუალური ცხოველით) გამოკვება გადაწყვიტა. ტამაგოჩი გადარჩა, ქალი — არა.

• გერმანელმა ჯარისკაცმა ჰამაკი კარადებზე დაამაგრა და დასვენება გადაწყვიტა, როგორც კი ჰამაკში ჩაწვა, კარადები ზედ დაეცა და გაჭყლიტა.

• 30 წლის კრისტოფერ აზინსკი მეგობრებთან ერთად სვამდა. ერთ-ერთმა მათგანმა მამაკაცების გამხიარულება გადაწყვიტა და ელექტროხერხით ფეხები გადაიჭრა. „ნახეთ, როგორ უნდა გართობა“, — თქვა აიზინსკიმ, მეგობარს ელექტროხერხი გამოართვა და... თავი მოიჭრა.

• 1996 წელს, მარკ გლისონმა ხვრინვით გაწამებული ოჯახის წევრებისთვის „მშვიდი ღამის“ მოწყობა გადაწყვიტა და ნესტოები ქალის ჰიგიენური ტამპონებით „ამოიქოლა“. გლისონი ძილში გაიგუდა.



• 1991 წელს 57 წლის ტაივანელ მანდილოსანს სეირნობისას ფეხი დაუსხლტა, წონასწორობის შესანარჩუნებლად ელექტრობოძის შიშველ კაბელს მოჰკიდა ხელი და დენმა დაარტყა. ქალი ადგილზე გარდაიცვალა. დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გარდაცვლილის დამ ნათესავებს ტრაგედიის ადგილი უჩვენა. სურდა, მათთვის აეხსნა, როგორ დაიღუპა ქალი. მოულოდნელად მასაც დაუცურდა ფეხი, ხელი კაბელს მოჰკიდა, დენმა დაარტყა და ისიც ადგილზე გარდაიცვალა. ■

## იაპონური სენსაცია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 1 | 5 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 |
| 6 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 9 | 1 | 5 |
| 8 | 5 | 9 | 7 | 6 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 9 | 6 | 5 | 2 | 7 | 8 | 3 | 4 | 1 |
| 2 | 1 | 8 | 9 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 4 | 3 | 7 | 1 | 5 | 6 | 8 | 2 | 9 |
| 5 | 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 6 | 9 | 8 |
| 7 | 9 | 4 | 6 | 8 | 2 | 1 | 5 | 3 |
| 1 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 | 2 | 7 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 6 | 8 | 2 | 4 | 9 | 1 | 7 |
| 8 | 4 | 7 | 5 | 9 | 1 | 2 | 6 | 3 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 6 | 7 | 4 | 8 | 5 |
| 1 | 6 | 3 | 7 | 8 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 7 | 8 |
| 7 | 8 | 5 | 1 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 5 | 1 | 2 | 7 | 6 | 8 | 4 | 9 |
| 9 | 7 | 8 | 4 | 1 | 5 | 3 | 2 | 6 |
| 6 | 2 | 4 | 9 | 3 | 8 | 7 | 5 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 6 | 3 | 1 | 8 | 7 | 4 | 5 |
| 4 | 3 | 8 | 2 | 5 | 7 | 6 | 1 | 9 |
| 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 4 | 3 | 8 | 2 |
| 7 | 1 | 9 | 4 | 2 | 3 | 8 | 5 | 6 |
| 6 | 5 | 4 | 8 | 7 | 9 | 2 | 3 | 1 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 6 | 5 | 4 | 9 | 7 |
| 3 | 6 | 1 | 5 | 8 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 8 | 9 | 2 | 7 | 4 | 1 | 5 | 6 | 3 |
| 5 | 4 | 7 | 9 | 3 | 6 | 1 | 2 | 8 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 4 | | | 6 | |
| | 3 | | | 7 | | 9 | 2 | |
| | 8 | | | | 6 | 7 | | |
| | | 8 | | 5 | 9 | | | 1 |
| | 2 | | | | 1 | | 8 | |
| 3 | | | | | 2 | 6 | | |
| | | 9 | 2 | | | | 3 | |
| | 5 | 7 | | 3 | | | 9 | |
| | 4 | | | 9 | | | 1 | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 6 | | | 8 | | 3 |
| 8 | | | | | 3 | | | 2 |
| | | 2 | | | 8 | | 6 | |
| | | 9 | 3 | | | | 4 | |
| | | 3 | | | 6 | 9 | | |
| | 4 | | 8 | 7 | | 3 | | |
| | 2 | | 1 | | | 6 | | |
| 6 | | | 5 | | | | | 9 |
| 4 | | 5 | | | 2 | | | 7 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | 3 | 5 | | 6 | 1 | | 8 |
| | 9 | | | | 2 | | | 3 |
| | | 6 | 9 | | | | 4 | |
| | | 8 | | | 7 | | | 2 |
| 6 | 3 | | 2 | 5 | | | 1 | 7 |
| 7 | | | | 8 | | 6 | | |
| | 1 | | | | 5 | 9 | | |
| 5 | | | 6 | | | | 7 | |
| 8 | | 9 | 7 | | 1 | 5 | 2 | |

# ფოტოკურიოზები













# როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

**დაიკელი თვეში 9 კილომდე**

**მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც**

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი, დამზადებულია საფერავის ჯიშის წითელ ღვინოზე, ნატურალურ თაფლზე, მწვანე ჩაიზე და სამკურნალო მცენარეებზე
- ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი
- არეგულირებს ქოლესტერინს სისხლში
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას
- გამოირჩევა ეფექტურობით ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფიის დროს

## როდენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი“-ს, ავერსის სააფთიაქო ქსელს,
და ქალაქის სხვა აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge




მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

# სექტემბრის ნომერი




# არ გამოგრჩეთ!

## სახალხო დარბაზი

რადიო "პალიტრა" Fm 103.9

წარმოგიდგენთ საზოგადოებრივ თოქ-შოუს
**"სახალხო დარბაზი"**
თამარ ცაგარეიშვილთან ერთად!

ყოველ პარასკევს
**15:35** საათზე




**კარი ყველასთვის ღიაა!**

დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით :
2 14 95 95
ან მოგვწერეთ მისამართზე :
saxalxodarbazi@radiopalitra.ge

# ჟურნალი „ისტორიანი“ წარმოგიდგენთ! ტომი VII

**ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ტომად**

**შევსებულია საბჭოთა ცენზურის მიერ ამოღებული მონაკვეთებით**




შემდეგ თვეში: დავით აღმაშენებლის ბოლო ტომი
(წიგნის ფასი 3 ლარი)
უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში




„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი XXIII

ბოტიჩელი

12-დან - 19 სექტემბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!



ყურადღება უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 8(32) 238 26 73 / 8(32) 238 26 74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ბილაინი®

გადმოდი ნათელ მხარეზე

# «საერთაშორისო ზარები»

## ისაუბრე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ამერიკა | 5 | თეთრი |
| დსთ, თურქეთი | 20 | თეთრი |
| ევროპა, აზია | 30 | თეთრი |



აქტივაციისთვის აკრიფე: *110*231#

მომსახურების აქტივაციის ღირებულებაა 1 ლარი

მომსახურების აქტივაციის ვადაა 30 დღე

ზარის წამოწყების ღირებულებაა 10 თეთრი

2 20 06 11